

# მაცნე

675-7

1975

(90)

ისტორიის  
არქეოლოგიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

3 · 1975


1984  
ისტორიის, არქეოლოგიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

СЕРИЯ  
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი  
ТБИЛИСИ

3 · 1975



ს ა რ ე ლ ა ქ ე ი ო კ ო ლ ე ჯ ი ა : ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,  
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე),  
გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,  
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе (зам. редактора),  
Г. А. Меликишвили (редактор), Г. С. Читай, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე  
Ответственный секретарь Э. Вацакидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07 ტელეფონი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 24.1X.75; შეკვ. 2042; ანაწყოების ზომა 7X12;  
ქალაქის ზომა 7X1081/16; ნაბეჭდი თაბახი 19.08; საარტიცხო-საგამომცემლო  
თაბახი 17.80; უფ 04881; ტირაჟი 1500 1/1  
ფასი 1 მან.

\*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

\*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*[Handwritten signature]*

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

**წიკრიღვბი**

წინაწიკი, საქართველოს შრეწველობაში განომგონებლობისა და რაციონალიზა-ტობის ისტორიიდან	5
ბანკიონი, რუსეთთან შერთება და სასოფლო მმართველობის შემოღება სვანეთ-ში	13
მანუგბალაძე, უცხოური კაპიტალი ამიერკავკასიაში	35
წიკი, ყიფშიძე, ზემო სვანეთის სოფელ ხეს ეკლესიის მსატვრობის იკონოგრაფიული სქემის თავისებურება	46

**ცნობები და შენიშვნები**

კახანაძე, წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოუხერისათვის ბრძოლა საბჭოთა საქართველოში	55
კოვალევიკი, სკვითების, მიდიის, ირანის ურთიერთობა ამიერკავკასიასთან ლე-ონტი მროველის ცნობების მიხედვით	62
მამისთვალისვილი, ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი პალესტინაში მყოფი ქართვე-ლების შესახებ	74
ვორონოვი, ადრეშუასაუკუნეობრივი ცინე-სიმაგრეები აფხაზეთში	80
ნაბიძიძე, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები საქართვე-ლოს ქვის ხანის ძველებში	83
ბაგვალიძე, შესაქონლეობის სისტემა ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში	104
მინდაძე, რაციონალური ვლემენტები ქართულ ხალხურ მედიცინაში	109
ბიწინაშვილი, შენიშვნები ქალაქ არაქსა და მის შემოგარენში ხალიჩების წარ-მოების შესახებ	120
მინსაილოვი, ქვის მოზოვების, დამუწავებისა და გამოყენების ხალხური წესები სოფელ ირაგაში	129
რევიშვილი, ქართველი მეოშრის უძველესი გერმანული სურათი	135

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

ანანაძე, ა. იოსელიანი, მონოგრაფიული გამოკვევა გვიანფეოდალური საქარ-თველოს სოფლის შესახებ	141
ალასანიძე, სომხეთის ისტორიის საყურადღებო წყარო	145

**ქრონიკა და ინფორმაცია**

უსეთის პირველი რვეოლუციის 70-ე წლისთავი	149
ცქიტოვილი, საქართველოს სსრ არქეოლოგიური ატლასი	150
ბოსორაძე, ნასტაკიის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები	153
ბერიშვილი, ე. ორავონიძე, ნ. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია	161
ბაბაძე, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია	169
მინდაძე, საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ქ. ლენინგრადში	171

**ისტორიული თარიღები**

ტივაძე, მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისთავის გამო	173
პაიჭაძე, ვასტანგ VI	183
სალგარდა მეცნიერ მუშაკთა ნამუშევრების რესპუბლიკური კონკურსი	200



## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

Р. ДЖАНАШИА, Из истории изобретательства и рационализаторства в промышленности Грузии	5
Г. ГАСВИАНИ, Присоединение к России и введение сельского правления в Сванети	18
Г. МАНДЖГАЛАДЗЕ, Иностраный капитал в Закавказье	35
И. КИПШИДЗЕ, Особенности иконографической схемы росписи церкви в селе Хэ Верхней Сванети	46

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Т. КАПАНАДЗЕ, Борьба за ликвидацию неграмотности в Советской Грузии (1933—1937)	55
В. КОВАЛЕВСКАЯ, Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели	62
Э. МАМИСТВАЛИШВИЛИ, Бернард фон Брайденах о грузинах в Палестине	74
И. ВОРОНОВ, Раннесредневековые крепости на территории Абхазии	80
Л. НЕБИЕРИДЗЕ, Микролитическая техника и геометрические микролиты в памятниках каменного века Грузии	83
Б. ГАМКРЕЛИДЗЕ, Система скотоводства в горной полосе Северной Осетии	104
Н. МИНДАДЗЕ, Рациональные элементы в грузинской народной медицине	109
Л. ГИУНАШВИЛИ, Заметки о ковроделии города Арака и его окрестностей	120
М. МИХАЙЛОВ, Народные способы добычи, обработки и использования камня в селе Ирага	129
Ш. РЕВИШВИЛИ, Старинный германский портрет грузинского воина	135

### КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

З. АНЧАБАДЗЕ, А. ИОСЕЛИАНИ, Монографическое исследование о грузинской позднефеодальной деревне	141
Г. АЛАСАНИЯ, Важный источник по истории Армении	145

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

К 70-летию первой русской революции	149
Г. ЦКТИШВИЛИ, Археологический атлас Грузинской ССР	150
А. БОХОЧАДЗЕ, Результаты работы Настакисской археологической экспедиции в 1974 г.	153
Л. БЕРИАШВИЛИ, Э. ОРДЖОНИКИДЗЕ, Научная сессия, посвященная памяти акад. Н. А. Бердзенишвили	161
М. АБАШИДЗЕ, Комиссия по изучению источников истории Грузии	169
Н. МИНДАДЗЕ, Всесоюзная научная конференция в Ленинграде	171

### ИСТОРИЧЕСКИЕ ДАТЫ

Т. ТИВАДЗЕ, 350-летие Марткопской и Марабдской битв	173
Г. ПАЙЧАДЗЕ, Вахтанг VI	183
Республиканский конкурс работ молодых научных сотрудников	200

როლანდ ჰანაშია

საქართველოს მრავალეობაში გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის ისტორიიდან (1946—1955 წწ)

საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის აქცევდა და აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, აუტანელი სამეურნეო ნგრევის პირობებში, 1919 წლის 30 ივნისს, ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა პირველ დეკრეტს საგამომგონებლობის შესახებ<sup>1</sup>. ჩვენი ქვეყნისათვის ამ უმძიმეს დღეებში ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის ძირითადი პრინციპები და სახელმძღვანელო დებულება, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკურ პროგრესსა და შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას.

წარმოების რაციონალიზაცია ეს არის წარმოების იმ მოწინავე მუშაკთა შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომლებმაც აიმაღლეს თავიანთი კულტურულ-ტექნიკური დონე, კვალიფიკაცია და უშუალოდ წარმოების პროცესში გააუმჯობესეს ტექნიკა, შექმნეს შრომის საუკეთესო ორგანიზაცია და ხელი შეუწყვეს შრომისნაყოფიერების მკვეთრ ამაღლებას.

რაციონალიზაცია, ისე როგორც წარმოება უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ტექნიკური ან ფსიქოლოგიური მოვლენა, არამედ როგორც სოციალური კატეგორია. უდავოა, რომ რაციონალიზაციის, როგორც ტექნიკური ისე ფსიქოლოგიურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება რაციონალიზაციის სოციალ-ეკონომიურ მხარეს. რაციონალიზაციის ფსიქოლოგიური მხარე ასახავს იმას, თუ რა მდგომარეობამ განაპირობა შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულება, რამ წარმოშვა მისი მოთხოვნილება, მუშათა ტექნიკური აზრი მთელი ძალით ვლინდება იქ, სადაც მუშათა კლასი მტკიცედ შეიგნებს წარმოების პროცესს, სოციალისტური ქვეყნის და საწარმოო კოლექტივის მოთხოვნებს<sup>2</sup>.

მუშა-რაციონალიზატორის მიერ ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა შემოქმედებითი პროცესია, სადაც სრულყოფილად ვლინდება რაციონალიზატორობის ტექნიკური და ფსიქოლოგიური მხარის კავშირი მის სოციალ-ეკონომიურ მხარესთან. ტექნიკური ამოცანის განსაზღვრა, სწორი გადაწყვეტის მოძებნა და მიგნება, გამოსაცდელი მოდელის შექმნა და მისი გასინჯვა პრაქტიკულად, შემდგომი თეორიული დამუშავება და ექსპერიმენტული შე-

1 Директивы КПСС и Советского правительства, сборник документов, М., 1957, т. 3, 136, 137.

2 «О чертах личности нового рабочего», М., 1963, гл. 71—87.

მოწმების დროს აღმოჩენილ ნაკლოვანებათა გასწორება — მოიცავს წარმოების რაციონალიზაციის ფსიქოლოგიურ მხარეს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიურ მხარეს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სოციალ-ეკონომიური მხარე განსაზღვრავს მუშათა კლასის რაციონალიზატორული მუშაობის არსს მთლიანად.

ჩვენს სინამდვილეში რაციონალიზაციის ნაყოფი ეკუთვნის იმას, ვის ხელშიცაა წარმოების საშუალებები, ვინც წარმოების საშუალებათა ბატონ-პატრონია. სოციალისტურ საზოგადოებაში რაციონალიზატორული მუშაობის შედეგი ეკუთვნის იმას, ვისაც შეუძლია რაციონალიზატორობის და გამომგონებლობის იდეა გადააქციოს მატერიალურ ძალად, რეალურ სიმდიდრედ.

სოციალისტური რაციონალიზაცია ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან: კერძოდ, სოციალისტური რაციონალიზაცია მასობრივია, მასში ფართოდ მონაწილეობენ მუშები, რომლებიც ნებაყოფლობით აუმჯობესებენ წარმოების ტექნიკას. სოციალიზმის დროს საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობა იქცევა საერთო-სახალხო საქმედ. ამ შემოქმედებითი მუშაობის შედეგს წარმოადგენს წარმოების შემდგომი სრულყოფა, შრომის-ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის შემდგომი ამაღლება, თვითღირებულების შემცირება და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში მასების შემოქმედებით შრომას, მშრომელთა შეგნებულ მოქმედებას წარმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რადგან სოციალისტური წარმოების განვითარებას საერთოდ შეგნებული, გეგმიანი ხასიათი აქვს. მუშათა მასობრივი შემოქმედებითი ინიციატივაც განპირობებულია ახალი საწარმოო ურთიერთობით, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ადამიანის შეხედულება შრომაზე. აქედან გამომდინარე, კომუნისტური პარტია, მთელი ჩვენი ხალხი დიდად აფასებს ნოვატორებს, მათი შემოქმედებითი შრომის ყოველ გამოვლინებას, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ყოველ ახალ მიღწევას.

ანიჭებდა რა საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობას განსაკუთრებულ როლს, სკკპ XIX ყრილობამ (1952 წ. ოქტომბერი) თავის რეზოლუციაში აღნიშნა: „გაძლიერდეს ინიციატივა, ტექნიკოსთა, მუშათა და კოლმეურნეთა წრიდან გამოსული გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მასობრივი მოძრაობა წარმოების შემდგომი ტექნიკური სრულყოფისა და გაფართოებისათვის, ყოველმხრივი მექანიზაციის, შრომის პირობების გააღვივებისა და შემდგომი გაჯანსაღებისათვის. დავმოხილ იქნას პრაქტიკა სამეურნეო ორგანიზაციებისა, რომლებიც სათანადოდ ვერ აფასებენ ახალი ტექნიკისა და შრომის მექანიზაციის დანერგვის ამოცანებს და ურიგდებიან მუშახელის არასწორ გამოყენებას“<sup>3</sup>.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის ივლისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. პლენუმმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტური პარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, რომ „უფრო ხშირად მოიწვიონ მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციები, წარმოების

<sup>3</sup> სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, 1956, გვ. 800—801.

ნოვატორთა, რაციონალიზატორთა და გამოგონებელთა თათბირები, რომლებზეც განიხილონ ახალი ტექნიკის დარგში მუშაობის რაც შეიძლება წარმატებით შესრულების ღონისძიებანი<sup>4</sup>.

გამომგონებლობა და რაციონალიზატორობა სწრაფად განვითარდა და გაფართოვდა ომისშემდგომ პერიოდში, როდესაც იგი გაძლიერდა ახალი შინაარსითაც. თუ წინათ მუშა უმთავრესად მხოლოდ რაციონალიზატორი შეიძლება ყოფილიყო, თანამედროვე ეტაპზე მუშათა შორის მრავლად გაჩნდნენ გამოგონებლებიც. ეს ბუნებრივია, რადგან ამ პერიოდში მუშის საწარმოო კვალიფიკაცია და განათლების დონე, საერთო პროფესიული მომზადება ბევრ შემთხვევაში არაფრით ჩამოუვარდებოდა ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკების, ტექნიკურ-კულტურულ დონეს.

ომისშემდგომ პერიოდში არა მარტო დაუახლოვდა ერთმანეთს გამოგონებლობა და რაციონალიზატორობა, არამედ უფრო მჭიდრო გახდა მუშების, ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკებისა და მეცნიერ-მუშაკების თანამშრომლობა წარმოების პროცესის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ომისშემდგომ პერიოდში განუწყვეტლივ იზრდება წარმოების ნოვატორ მუშაკთა რიგები საქართველოს საწარმოებში; მეტალურგები, დაზვამშენებლები და მანქანათმშენებლები, მეშახტეები და მალაროელები, რკინიგზის მუშები სრულყოფდნენ და ავითარებდნენ ტექნიკას, აქტიურად იბრძოდნენ ახალი პროგრესული მეთოდის დანერგვისათვის წარმოებაში. ახალ, მძლავრ ტექნიკას საფუძვლიანად დაუფლებული მალაი კულტურულ-ტექნიკური დონის მქონე მუშები, რომლებსაც ამომრავებდათ სახელმწიფოს და ხალხის ინტერესები, ეძებდნენ და პოულობდნენ ჩვენი სახალხო მეურნეობის აღმავლობის უზრუნველსაყოფად უახლეს გზებს, საშუალებებს, აუმჯობესებდნენ წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს, წინ სწევდნენ ტექნიკას.

მეოთხე ხუთწლედის პირველ წლებში, როდესაც მიმდინარეობდა ბრძოლა მრეწველობის ომამდელი დონის აღდგენისათვის, თავი გამოიჩინეს რესპუბლიკის წამყვანი საწარმოების ნოვატორებმა. მათ შორის ყველაზე მეტ წარმატებებს მიაღწიეს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის რაციონალიზატორებმა და გამოგონებლებმა. მათ ჯერ კიდევ 1946 წელს დაზოგეს მრავალი ასეული ათასი მანეთი. გამოგონებელთა და რაციონალიზატორთა ჯგუფმა, რომელსაც ინჟინერი ა. ბერიაშვილი ხელმძღვანელობდა, 1946—47 წლებში შეიტანა 16 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა დანერგვისაგან საწარმოო მიიღო 340 ათასი მანეთის ეკონომია<sup>5</sup>.

1947 წელს დიმიტროვის სახელობის ქარხნის რაციონალიზატორებმა წლიური გეგმის 7 ნომბრისათვის შესრულების უზრუნველსაყოფად ვალდებულება იკისრეს წამოეყენებინათ და დაენერგათ 65 ახალი რაციონალიზატორული წინადადება, რაც წარმატებით შეასრულეს. ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა 1947 წელს 3 150 000 მანეთის ეკონომია მიიღო<sup>6</sup>.

1948 წლის 15 მარტიდან თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში დაიწყო გამოგონებლების და რაციონალიზატორების ახალი წინადადებების შეგროვების

<sup>4</sup> სკვპ რეზოლუციებში... ტ. 4, 1962, გვ. 142.

<sup>5</sup> ს. ჩხატარიაშვილი, შრომის სოციალისტური ფორმების განვითარება საქართველოში მრეწველობაში, 1966, გვ. 104.

<sup>6</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1948 წლის 29 ოქტომბერი.

ორთვიური; 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში ორთვიურის დაწყების პირველ დღესვე შემოიტანეს 15 ახალი რაციონალიზატორული წინადადება. საყურადღებო წინადადებები შემოიტანეს ქარხნის ამწყობი სამაქროს ოსტატებმა გ. ვასიშვილმა, ლ. გუტრეშიძემ, ვ. კონტერმა და სხვებმა. ქარხნის მოწინავე ინჟინრებმა ა. გორგაძემ და მ. კუბლაშვილმა შეფოხა იკისრეს იმ რაციონალიზატორულ მუშებზე, რომელთაც თვითონ არ შეეძლოთ ნახაზების გაკეთება და ახალ ნოვატორულ წინადადებათა ტექნიკური გაფორმება<sup>7</sup>.

1948 წლის მეორე კვარტალში დიდად იმატა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ ახალ გამოგონებათა და საყურადღებო რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვმა, მათ შორის აღსანიშნავია ს. ბებურიშვილის, ს. საგოხდიანის და გ. ოდუბაშვილის მიერ დამუშავებული თემა პუასონის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი დეტალის გაუმჯობესების შესახებ. ამ რაციონალიზატორული წინადადების დანერგვას შედეგად მოყვა წელიწადში 50 000 მანეთის ეკონომია<sup>8</sup>.

ამავე წლის აპრილში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მექანიკური ელექტროსარემონტო საწარმოების მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა 40 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. საყურადღებო წინადადებანი წამოაყენეს ელექტრომემონტაჟე დ. ჩიქოვანმა, ოსტატმა ა. შოსტაკმა, ელექტრომექანიკოსმა ნ. ხუციშვილმა და სხვებმა<sup>9</sup>.

წარმატებით იბრძოდა წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის „საქელექტროქსელმშენის“ ავჭალის ელექტროტექნიკური საამქრო. აქ დაინერგა 5 რაციონალიზატორული წინადადება. მათ შორის აღსანიშნავია მუშა ვ. დათაშვილის წინადადება, რომლის საფუძველზე დაამზადეს კუთხა რკინის საჭრელი დანები 70 ტონიანი წნეხისათვის, რომელიც სხვა დანებთან შედარებით უფრო გამძლე და წარმადობიანი იყო. ამ ღონისძიების გატარებამ სახელოსნოს წლიურად 30 000 მანეთის ეკონომია მისცა. დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებებით წელიწადში სულ მიიღეს 80 000 მანეთის ეკონომია<sup>10</sup>.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცალკეული მუშების წვლილი წარმოების რაციონალიზაციაში; ტყიბულქვანასშირის ტრესტის მუშამ, კომკავშირელმა ლ. შარვაძემ საშახტო კომისიაში შეიტანა რაციონალიზატორული წინადადება ავტომატური გადაამყირავებლის მოწყობის შესახებ. წინადადება დანერგა თვითონ ლ. შარვაძემ, რის შედეგად განთავისუფლდა 3 მუშა და დიდად დაჩქარდა საპაერო გზის გამტარიანობა. ეს წინადადება წელიწადში 19 000 მანეთის ეკონომიას აძლევდა საწარმოს<sup>11</sup>.

1948 წელს ჭიათურელმა მალაროელებმა შემოიტანეს და დანერგეს 180 რაციონალიზატორული წინადადება. აქედან წარმოებამ 576 400 მანეთის ეკონომია მიიღო. აღსანიშნავია გრ. წიწილაშვილის წინადადება, რომელმაც გააუმჯობესა მალაროში შრომის ორგანიზაცია და წარმოებას წელიწადში 314 000

7 გზ. „კომუნისტი“, 1948 წლის 19 მარტი.

8 იქვე.

9 იქვე, 1948 წლის 22 აპრილი.

10 იქვე, 1948 წლის 20 ოქტომბერი.

11 იქვე, 1948 წლის 20 დეკემბერი.

მანეთის ეკონომია მისცა. ა. ნიკოლაძემ მდნის გაუხვება შემოიღო დგუშის სალექ მანქანაზე, რითაც წლიურად 113 000 მანეთი იზოგებოდა.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობამ 1948 წელს დანერგილ რაციონალიზატორულ წინადადებათა შედეგად მიიღო 1 255 000 მანეთის ეკონომია<sup>12</sup>.

თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სოვატორებმა ვ. გურგენიძემ და დ. აღნიაშვილმა წინადადება შემოიტანეს, რომ ნავთქურის დეტალი, სადაც ცეცხლის ალის რეგულირება ხდება, თუჯის ნაცვლად დაემზადებინათ ფურცლოვანი რკინისაგან. ეს წინადადება ქარხანაში დაუყოვნებლივ დაინერგა და მარტო ამ წინადადებით 1947 წელს ქარხანამ 81 084 მანეთის ეკონომია მიიღო. რაციონალიზატორთა წინადადებით ამავე ქარხანაში წყვეტილი მოქმედების სადნობი ღუმელის ნაცვლად მოაწყვეს განუწყვეტელი მოქმედების ღუმელი. ამ წინადადების დანერგვით ქარხანამ 1947 წელს 73 487 მანეთის ეკონომია მიიღო. სულ რაციონალიზატორულ წინადადებათა განხორციელების შედეგად ქარხანამ 1947 წელს მიიღო 220 ათასი მანეთის ეკონომია<sup>13</sup>.

1949 წლის პირველ ნახევარში ქიათურის მალარობებში ათობით წინადადება დაინერგა. დანერგილი წინადადების შედეგად სახელმწიფომ ამ პერიოდში 4 083 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო. აღსანიშნავია, რომ რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენებით ინჟინრებთან (კ. ჭინჭველაშვილი, კ. ზამთარაძე, ა. კიკაბიძე) ერთად გამოირჩეოდნენ მუშები: ბ. სამხარაძე, პ. ბუხრაშვილი, ა. მალრაძე და სხვები<sup>14</sup>.

1945 წელს 9 თვის განმავლობაში თბილისის საწარმოებში შემოტანილი იყო 516 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან დაინერგა 307, ეკონომიის საერთო ჯამი 9 თვის განმავლობაში იყო 7 000 მანეთი. საერთოდ კი ამავე პერიოდში რაციონალიზატორული წინადადების და ტექნიკური გაუმჯობესების შედეგად წელიწადში დაიზოგა 8 000 000 მანეთზე მეტი<sup>15</sup>.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში ხარატმა ს. აკობოვმა თავისი შემოტანილი წინადადებით საწარმოს წელიწადში 12 ათასი მანეთის ეკონომია მისცა. ი. ტაჩიევმა ზუსტი ხელსაწყოების ქარხანაში აითვისა ავტოკალმების ბურთულების დამზადება, რომელიც ადრე საქართველოში არ მზადდებოდა და მოსკოვიდან შემოჰქონდათ<sup>16</sup>.

თბილისის ავტოსარემონტო კანტორაში ახალგაზრდა მუშა-გამომგონებელმა ვ. რადჩენკომ გააკეთა ავტომანქანის სასიგნალო დეტალის დამამზადებელი ტვიფრი, ამით წარმოებამ მიაღწია სასარგებლო დეტალის გამოშვების მექანიზაციას, რომელიც ქარხანას წლიურად 1 950 მანეთის ეკონომიას აძლევდა. ამავე საწარმოში ზეინკალმა რ. გოგუაძემ შეიტანა წინადადება, რომლის საფუძველზე მანქანის გადაბმულობის სისტემის გარკმის ტექნოლოგიაში შემოიღეს შედეგების მეთოდი, რამაც გააადვილა გარკმის შეკეთება და ქარხანას

<sup>12</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1949 წლის 16, 23 თებერვალი.

<sup>13</sup> ს. შარიქაძე, საქართველოს მუშათა კლასი ომისშემდგომ პერიოდში (1945—1963), თბ., 1966, გვ. 216.

<sup>14</sup> ვაზ. კომუნისტი, 1949 წლის 29 ივლისი.

<sup>15</sup> საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 821.

<sup>16</sup> საქ. ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1038, ფურც. 1, ს. 98, გვ. 10.

წელიწადში 1 200 მანეთის ეკონომია მისცა. აქვე ადრე არ მზადდებოდა ავტომანქანის დინამოს კორპუსი, მუშა ვ. შევეცოვმა ტრაქტორის დინამოს კორპუსი გადააკეთა ავტომანქანის დინამოს კორპუსად, რამაც წელიწადში 2 200 მანეთის დანაზოგი მისცა წარმოებას<sup>17</sup>.

ათასობით რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა შეიტანა რაციონალიზატორული წინადადებები, რომელთაგან მიღებულმა ეკონომიამ ომისშემდგომ პირველსავე ხუთწლეულში შეადგინა ათეული მილიონობით მანეთი. ამან შექმნა პირობები ტექნიკური პროგრესის და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის მრეწველობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, გამომგონებლების და რაციონალიზატორების წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებულ დიდ ეკონომიურ შედეგებზე ნათლად მეტყველებს ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი ცნობა.

თბილისის 9 საწარმოს: 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი, ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი, კალინინის სახელობის მექანიკური, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი და ინსტრუმენტული ქარხნების, პირველი სამკერვალო, თბილისის აბრეშუმსაქსოვი და № 1 თამბაქოს ფაბრიკების რაციონალიზატორების და გამომგონებლების მიერ შეტანილი წინადადებების დანერგვით მარტო 1949—1950 წლებში მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 4 180 ათას მანეთზე მეტი, ხოლო მთლიანად თბილისის მრეწველობამ 1949 წლისა და 1950 წლის განმავლობაში რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით მიიღო 17 350 ათასი მანეთის ეკონომია<sup>18</sup>.

1950 წელს თბილისის საწარმოებში შემოსული იყო 491 რაციონალიზატორული წინადადება, 1951 წელს კი 552, 1950 წელს დაინერგა 248, 1951 წელს — 254. ამის შედეგად წლიურმა ეკონომიამ შეადგინა 1950 წელს 5 870 ათასი მანეთი, 1951 წელს — 6 557 ათასი მანეთი<sup>19</sup>.

1950 წელს საპირველმაისო სოციალისტური შევიძირების გაშლა თბილისის პლასტმასის ქარხანაში მოელ რივ ტექნიკურ სიახლეთა დანერგვით აღინიშნა; სამჭრობებში დაინერგა ნაკადური მეთოდი, განხორციელდა რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება, შეუდგენენ წარმოებაში ტექნიკურ გაუმჯობესებათა შეტანას: ტექნიკურ სიახლეთა დანერგვამ საგრძნობლად გაზარდა ქარხნის სიმძლავრე და შექმნა პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების შესაძლებლობა, ამის შედეგად ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა მუშაობა და მიაღწია გეგმების შესრულების მაღალ დონეს<sup>20</sup>.

ტექნიკური სიახლეების და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის დიდი სამუშაოები ხორციელდებოდა რუსთავის საწარმოებში; რუსთავის რკინიგზაზე მომუშავე რკინიგზელებმა ა. ნემსიწვერიძემ და ლ. თოთაძემ გამოიგონეს ხრეშით, სილით, კირით, გაჯით, ცემენტითა და სხვა ფხვიერი საშენი მასალით დატვირთული ვაგონების მექანიზებულად გადმომტვირთავი ნიჩაბი. ადრე ვაგონების დაცლა ხელით წარმოებდა. ამ გამოგონებამ მარ-

<sup>17</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1949 წლის 2 თებერვალი.

<sup>18</sup> ს. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 105—106.

<sup>19</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1938, ანაწ. 1, საქმე 112, ფ. 4.

<sup>20</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1950 წლის 14 აპრილი.

ტო რუსთავის სამშენებლო ტრესტს ყოველწლიურად 860 000 მანეთის ეკონომია მისცა<sup>21</sup>.

ფესსაცმლის №2 ფაბრიკის მესამე შემკერავ საამქროში 175 რთული მანქანა იყო. ერთ-ერთი მათგანის გაჩერება იწვევდა რამდენიმე სხვა მანქანის და ზოგჯერ მთელი კონვეიერის მოცდენას. მანქანების მხოლოდ 10 წუთით მოცდენა ნიშნავდა 100-ზე მეტი მუშის გაცდენას და 50 წყვილი ფესსაცმლის დანაკლისს<sup>22</sup>.

საამქროს მექანიკოსმა ი. ნიკოლაიშვილმა მანქანა-მოწყობილობათა მოცდენები მინიმუმამდე დაიყვანა. ამ მიზნით მან საამქროს ყველა მექანიკოსი ერთ ბრიგადაში გააერთიანა და თითოეულ მექანიკოსზე მიახვარა მანქანების გარკვეული ჯგუფი, მიიღო ღონისძიებები საშუალო ადგილის ორგანიზაციისა და მექანიკოსების სათადარიგო ნაწილებით და ინსტრუმენტებით მომარაგების გასაუმჯობესებლად. მისი ინიციატივით მექანიკოსებმა შეისწავლეს მრავალი სხვადასხვა ტიპის მანქანის მომსახურება. მექანიკოსთა ბრიგადაში დაინერგა მუშაობის, ე. წ. მერყევა გრაფიკი. ეს იმას ნიშნავდა, რომ მექანიკოსები მანქანების მიმდინარე რემონტს, მათ დაყენებასა და რეგულირებას აწარმოებდნენ საამქროს საერთო შესვენების დროს. 1950 წლის განმავლობაში საამქროს მანქანების მოცდენა შეადგენდა 12,4 მანქანა-საათს, ნაცვლად 504 მანქანა-საათისა. მექანიკოს-მარეგულირებლებმა საშუალო დღის შემპიღროების ხარჯზე შეაქეთეს 400 მანქანა-ერთეული და დაზოგეს 60 ათას მანეთზე მეტი. მანქანების მომსახურე მუშათა რაოდენობა შემცირდა 84 კაციდან 67 კაცამდე და მარტო ხელფასის ფონდიდან დაიზოგა 50 ათასი მანეთი<sup>23</sup>.

ცნობილია, რომ ი. ნიკოლაიშვილის თაოსნობა გავრცელდა არა მარტო ტრესტბლიკებში არსებულ საწარმოებში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. 1950 წლის ნოემბერში სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით და მინისტრის სპეციალური ბრძანებით იგი რეკომენდირებულ იქნა სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოში დასანერგად, ი. ნიკოლაიშვილს კი სახელმწიფო პრემია მიენიჭა<sup>24</sup>.

ჭიათურაში მუშა ა. ნიკოლაძის წინადადებით მოეწყო მადნის გამაუხვებელი სპეციალური დაზვა და ცხრილი, რომელმაც თვეში 300 ტონით გააღიდა პირველი ხარისხის მანგანუმის მადნის გამოშვება, ეს მადანი წინათ გამოვონების დანერგვამდე, მთლიანად იკარგებოდა. აქვე მოეწყო შლამების დამკერი მოწყობილობა, რომელმაც ფაბრიკის წარმოება 10—12 პროცენტით გააღიდა<sup>25</sup>.

აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ქუთაისის მანქანათმშენებელ ქარხანაში 1950 წელს განიხილეს 248 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან წარმოებაში დაინერგა 110, რის შედეგად ქარხანამ 652 814 მანეთის ეკონომია მიიღო, დაიზოგა 23 468 კგ შავი და 1 800 კგ ფერადი ლითონი.

ამავე ქარხანაში 1951 წლის პირველ კვარტალში 54 წინადადება იქნა შემოტანილი, აქედან დაინერგა 16, რაც ქარხანას 170 000 მანეთის ეკონომიას

21 გაზ. „კომუნისტი“, 1950 წლის 6 ივლისი.

22 საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფონდი 2, ს. 56, ფურც. 36.

23 ს. ჩხარტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106—107.

24 გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1950 წლის 29 დეკემბერი.

25 გაზ. „კომუნისტი“, 1950 წლის 3 აგვისტო.

აძლევდა წელიწადში. ზეინკალ ა. პრივალოვის წინადადებით წუნდებული ქუროებისაგან დამზადდა ტუმბოს დამცველი რგოლი, რამაც ქარხანას 8310 მანეთის ეკონომია მისცა. ზეინკალ ვ. ლევიძის წინადადებამ გორგოლაჭების სპეციალურ აბაზანაში შეღებვის შესახებ 51 518 მანეთის წლიური ეკონომია მისცა ქარხანას, ხოლო ვ. ქურდიანის წინადადებამ ტუმბოს სახურავის დაფორმების ტექნოლოგიური პროცესის შეცვლის შესახებ — 7 533 მანეთის წლიური ეკონომია<sup>26</sup>.

თბილისის ს. კიროვის სახელობის დაზგამშენებელ ქარხანაში ლითონ-მსხმელმა დ. დანილოვმა შეცვალა მილსაჭრელი დაზგის ბრინჯაოს საკისრის ჩამოსხმის წესი; მილსაჭრელი დაზგის ბრინჯაოს საკისრისათვის სხმულის ახალი მეთოდით დამზადება ქარხანას თითოეულ დეტალზე 13 კგ ლითონის ეკონომიას აძლევდა. ამ გამოგონებით დაჩქარდა დეტალის ჩამოსხმაც. თუ ადრე დღეში 6 დეტალს ასხამდნენ, წინადადების დანერგვის შემდეგ შესაძლებელი გახდა 8 დეტალის დამზადება<sup>27</sup>.

ამავე ქარხანაში მ. წეროდის წინადადებით მბრუნავი ამწის შავივრად საამქროში გამართეს მონორელსი. ამით გაუმჯობესდა დაზგის სადგარზე სიჩქარის კოლოფის მორგება. ეს ღონისძიება ქარხანას წლიურად 26 000 მანეთის ეკონომიას აძლევდა<sup>28</sup>.

კიდევ უფრო ამაღლდა გამოგონებულთა და რაციონალიზატორთა როლი ტექნიკური პროგრესისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების საქმეში ომის შემდგომ მეხუთე ხუთწლეულში. რაციონალიზატორები და გამოგონებლები გამრავლდნენ მრეწველობის ყველა დარგში. ამ პერიოდში ამ მოძრაობის კიდევ უფრო ფართო გაქანება ნათელი მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველოს მუშათა კლასი გაიზარდა თვისებრივად, ამაღლდა მისი როგორც ტექნიკური, ისე კულტურული დონე.

დიდი წარმატებები მოიპოვეს თბილისის მათე-კამეოლის ფაბრიკის რაციონალიზატორებმა და გამოგონებლებმა. თუ ფაბრიკამ მეოთხე ხუთწლეულის პირველ წელს რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გზით მიიღო 337 ათასი მანეთის ეკონომია, შემდგომი 4 წლის განმავლობაში საშუალოდ — 712 ათასი მანეთი, მეხუთე ხუთწლეულის პირველ წელს (1951) მიიღო 833 ათასი მანეთის ეკონომია<sup>29</sup>.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ინჟინერმა გ. ხომასურიძემ და ლ. ურუშაძემ მარკიზეთის დაჩითული ქსოვილების გამოსაშვებად შეამცირეს ტექნოლოგიური პროცესის ერთი ციკლი და მიიღეს 432 ათასი მანეთის ეკონომია. ინჟინერმა ვ. თევდორაძემ კი ახალი დამატებითი ორთქლის ქვაბის დადგმით შემოიღო სამღებრო საქმეში ქსოვილების წინასწარი გაცხელების წესი და ამ გზით საწარმომ 305 ათასი მანეთი დაზოგა<sup>30</sup>.

1951 წელს ხაშურის საელმავლო დეპოში განხორციელდა 22 რაციონალიზატორული წინადადება, რის შედეგად გაუმჯობესდა ტექნოლოგიური

26 გაზ. „კომუნისტი“, 1951 წლის 1 აპრილი.

27 იქვე, 1951 წლის 10 ივნისი.

28 იქვე, 1951 წლის 10 ივლისი.

29 იქვე, 1953 წლის 11 თებერვალი.

30 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 17, აღწ. 26, ს. 482, ფურცელი 42—44.

რეჟიმი, ამაღლდა შრომისნაყოფიერება, მიიღეს საგრძნობი ეკონომია.

ფოთის გემთშენებელ სააქქროში 1951 წელს 18 რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რამაც წარმოებას მისცა 23 000 მანეთის ეკონომია. ამ სახელოსნოს მუშამ ა. ტურაბელიძემ საზღვაო ტაქსების სახელურების დასამზადებლად გამოიყენა მიღების ჩამონაჭრები, რითაც დაიზოგა 200 კგ ფერადი ლითონი და ასეული მანეთის სხვა მასალა<sup>31</sup>.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის შახტებსა და საწარმოებში 1949, 1950 და 1951 წლებში ჩატარებულმა რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა შეგროვებისა და დანერგვის ორთვიურმა ხელი შეუწყო წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებას, რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტას. მარტო 1951 წელს დანერგულ წინადადებათა ეკონომიამ 3 543 მანეთი შეადგინა<sup>32</sup>.

იმავე 1951 წელს სამტრედიის საორთქმავლო დეპოში 21 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს, რომელთაგან 12 დანერგეს. ზეინკალ თ. ლეჟავის წინადადებით ორთქმავალზე წყლის მიმწოდებელ ინექტორებს დამატებით ხვრელები გაუკეთეს, რაც მნიშვნელოვნად აადვილებდა ამ ხელსაწყოთა ნალექებისაგან გაწმენდას. მარტო ამ წინადადებათა საწარმოს 3 506 მანეთის ეკონომია მისცა<sup>33</sup>.

თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის რაციონალიზატორები აქტიურად მონაწილეობდნენ საწარმოო ტექნოლოგიის გაუმჯობესების, შრომისნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ქარხნის სტახანოველებმა, სააქქროთა ოსტატებმა და ტექნიკოსებმა 1953 წლის პირველ 4 თვეში 59 რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს, აქედან დაინერგა 41. წინადადებების დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა დეტალების დამუშავებისა და აწყობის საწარმოო ციკლი, გამოიწვია მასალებისა და ფულადი სახსრების ეკონომია; ა. ჯიბლაძის წინადადების განხორციელებამ წარმოებას 15 000 მანეთის ეკონომია მისცა ოსტატმა ნ. კუზმინმა გააკეთა ახალი სამარჯვი, რითაც შესაძლებელი გახდა 4-ის ნაცვლად ერთდროულად 8 რკინის ძელის დამუშავება. ამით გაიზარდა შრომისნაყოფიერება. თითოეული ძელის დამუშავების თვითღირებულება შემცირდა 1 მანეთით და 30 კაპიკით<sup>34</sup>.

1953 წლის პირველ ნახევარში თბილისის მუდ-კამვოლის ფაბრიკაში განხორციელდა 42 გამოგონება, ტექნიკური გაუმჯობესება და რაციონალიზატორული წინადადება, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რთვის, ქსოვისა და ქსოვილთა გამოყვანის ტექნოლოგია. ეს ღონისძიებანი საწარმოს წლის განმავლობაში 870 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევდა.

ამ პერიოდში (1953 წ.) თითქმის ყოველდღე ინერგებოდა რაციონალიზატორული წინადადებები ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალში. აღსანიშნავია ერთი წინადადება: ელექტროტურბინის კონდენსატორის შეკეთება-გაწმენდის დროს აუცილებელი იყო ტურბინის გაჩერება, ამის გამო ტურბინი წლის განმავლობაში 189 საათს უქმად იდგა. რ. მო-

31 ვახ. „კომუნისტი“, 1952 წლის 10, 16 იანვარი.

32 იქვე, 1952 წლის 3 ივლისი.

33 იქვე, 1952 წლის 10 ივლისი.

34 იქვე, 1953 წლის 9 მაისი.

ნასელიძემ, მ. ბაქრაძემ, ვ. რომანიუკმა და ი. ეფრემოვმა შეიტანეს რაციონალიზატორული წინადადება, რომლის საფუძველზე მოხდა რეკონსტრუქცია; კონდესატორს მთელ სიგრძეზე შუაში ჩაუდეს ლითონის ფირფიტა, რითაც ერთმანეთისაგან მთლიანად იზოლირებულია კონდენსატორის ორთქლის გამაცივებელი მილები. ამასთან იზოლირებულ ნაწილებს ცალ-ცალკე გაუკეთეს იზოლირებული სარქველები. შეკეთება-გასუფთავების დროს იხსნება ერთი ნაწილი, მეორე კი უზრუნველყოფს ტურბინის შეუფერხებელ მუშაობას. ამ წინადადების დანერგვამ წარმოებას წელიწადში 150 000 მანეთის ეკონომია მისცა<sup>35</sup>.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვნად გააღიძურა მალახარისხოვანი შეკეთებული ავტომანქანების გამოშვება. ქარხნის კოლექტივმა მალალი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვა შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენებით, ტექნიკურ გაუმჯობესებათა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით. ქარხნის მოწინავე მუშებმა 1953 წელს მარტო ერთ თვეში (სექტემბერი) 15 რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენეს, რომელთა დანერგვის შედეგად საწარმოში ერთი თვის განმავლობაში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 8 გაჯანსაღებული მანქანა<sup>36</sup>.

თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის პროდუქციის გამოშვების გადიდებაში დიდ როლს ასრულებდა ქარხნის გამომგონებლების და რაციონალიზატორების მრავალრიცხოვანი რაზმი: 1954 წელს ქარხნის 150-მა გამომგონებელმა და რაციონალიზატორმა შეიტანა 400-ზე მეტი წინადადება, წარმოებაში დაინერგა 150, რამაც ქარხანას წელიწადში 710 000 მანეთის ეკონომია მისცა<sup>37</sup>.

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების გზით და დანადგარების მოდერნიზაციით 1955 წელს მიღწეის შრომისნაყოფიერების მნიშვნელოვან ზრდას, ხოლო მთელი რიგი დანადგარების სიმძლავრე გაიზარდა 50 პროცენტით. ახალი ტექნიკის დანერგვაში მნიშვნელოვანი წვლილი შექმნა რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს; მგზობე ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში შემოიტანილ იქნა 1253 წინადადება, რომელთაგან 1955 წელს უკვე დანერგილი იყო 817 და სახელმწიფომ მიიღო 8,5 მილიონი მანეთი ეკონომია<sup>38</sup>. რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა მარტო 1955 წლის პირველ ნახევარში შემოიტანეს 125 წინადადება, აქედან 56 მაშინვე დაინერგა წარმოებაში და ქარხანამ 556 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო<sup>39</sup>.

ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში მარტო 1955 წელს შემოვიდა 300-ზე მეტი წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 140 და ქარხანამ წელიწადში 570 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო. სატრანსპორტო სამკროს ოსტატმა ვ. კარპოვიჩმა თავისი წინადადებით გაამარტივა არტეზიული ტუმბოების შეფუთვისა და ტრანსპორტირების ტექნოლოგია. ამ წინადადებების განხორციელებით ქარხანამ 55 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო.

35 ვახ. „კომუნისტი“, 1954 წლის 11 სექტემბერი.

36 ს. შარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 23.

37 ვახ. „კომუნისტი“, 1955 წლის 20 აგვისტო.

38 იქვე, 1955 წლის 16 ნოემბერი.

39 თურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1956, № 2, გვ. 69.

თბილისის ს. კიროვის სახელობის ქარხანაში კიდევ უფრო გაფართოვდა საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობა; მეხუთე ხუთწლედის ბოლოს და მეექვსე ხუთწლედის დასაწყისში ქარხანაში მუშაობდა 400 რაციონალიზატორი, მათ შორის გამოირჩეოდა 100 კაცი, რომელთაგან თითოეულს შეტანილი ჰქონდა 25-ზე მეტი წინადადება. აღსანიშნავია, ხარატი ა. ავაჯანოვი, რომელმაც შემოიტანა 50-ზე მეტი წინადადება, ხოლო გ. ნიქაბაძის წინადადების დანერგვით ქარხანამ 600 ათასი მანეთის ეკონომია მიიღო<sup>40</sup>.

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც 1000-მდე რაციონალიზატორი მუშაობდა სულ უფრო თვალსაჩინო ხდებოდა რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის შედეგად მიღებული ეკონომიური ეფექტი. მაგალითად, მეხუთე ხუთწლედში რაციონალიზაციის და გამომგონებლობის გზით აბრეშუმკომბინატში დაიზოგა 4 060 741 მანეთი, ლითოფონის ქარხანაში — 2,5 მილიონი მანეთი, მანქანათმშენებელ ქარხანაში — 3 მილიონი მანეთი და ა. შ.<sup>41</sup>.

საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ მუშაობას ცალკეულ საწარმოებში წარმართავდნენ პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები. ისინი აწყობდნენ სამეცნიერო-ტექნიკურ კონსულტაციებს ტექნიკის სხვადასხვა საკითხებზე, სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციებს სსრ კავშირში და საზღვარგარეთ მეცნიერების და ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა შესახებ. პირობებს ქმნიდნენ ტექნოლოგიური დასაბრუნებისათვის. თითოეულ გამომგონებელს და რაციონალიზატორს შესაძლებლობა ჰქონდა ესარგებლა სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებში არსებული მასალებით, სპეციალური კონსულტანტის ხელშეწყობითა და დახმარებით. ამასთან ერთად პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს თემატური დავალებების მიცემა და ამ დავალებების შესრულებაზე კონტროლი. ყოველივე ამის შედეგად რაციონალიზატორული და საგამომგონებლო მუშაობა უფრო ფართო ხასიათსღებულობდა<sup>42</sup>.

მრავალი სასარგებლო წინადადება შეიტანეს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. მათ მარტო 1955 წელს საწარმოს დაუზოგეს 1,9 მილიონი მანეთი<sup>43</sup>.

ომისშემდგომი ხუთწლედების დავალებათა შესრულებაში გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ნაყოფიერი შედეგები ყველაზე ნათლად გამოჩნდა თბილისის ფეხსაცმლის №1 ფაბრიკის მაგალითზე. ფაბრიკაში მუშაობდა გამომგონებლობის ექსპერიმენტული სახელოსნო, საკონსტრუქტორო ბიურო, რომელშიც ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკებთან ერთად შედიოდნენ მუშებიც. სისტემატურად ეწყობოდა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორობის დათვლიერება. 1955 წელს საწარმოში შეიქმნა მუშათა მასობრივი გამომგონებლობის კომისია, რომელსაც თავისი რწმუნებულები ჰყავდა საამქროებში. რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაერთიანებული იყო კომპლექსურ ბრიგადებში.

40 საქართველოს სსრ პროფსაბჰოს არქივი, ფონდი 2, ს. 55, ფ. 25.

41 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1956, № 3, გვ. 69.

42 ს. შარტიქაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 230.

43 საქართველოს სსრ პროფსაბჰოს არქივი, ფონდი 2, ს. 395, ფურც. 148.

მესხეთე ხუთწლედის ორნახევარ წელიწადში (1953—1955 წწ.) ფაბრიკაში დანერგილი რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამოგონებებისაგან მიღებულ იქნა 1850 ათასი მანეთის ეკონომია<sup>44</sup>.

1955 წელს თბილისის ს. კიროვის სახელობის ქარხანაში რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ მუშებს; მეექვსე ხუთწლედის დასაწყისისათვის იმ რაციონალიზატორებს და გამომგონებლებს შორის, რომლებმაც რაციონალიზატორული წინადადებები შეიტანეს, 52 პროცენტზე მეტს მუშები შეადგენდნენ<sup>45</sup>.

ამ პერიოდში სწრაფად ვითარდებოდა გამომგონებლობა და რაციონალიზატობა რესპუბლიკის უდიდეს საწარმოში — რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. 1954 წელს ქარხანაში ითვლებოდა 361 რაციონალიზატორი და გამომგონებელი, 1955 წელს — 462, 1954 წელს დაინერგა 572 წინადადება, 1955 წელს — 479. 1954 წელს მიღებული იქნა 2 347 ათასი მანეთის ეკონომია, 1955 წელს კი 3 728 ათასი მანეთის ეკონომია<sup>46</sup>.

საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მოძრაობის წარმმართველ ძირითად ძალას საწარმოებში წარმოადგენდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მოძრაობისადმი კარგი ხელმძღვანელობის მაგალითს იძლევა თბილისის ს. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია. ქარხნის პარტიული ბიუროს ინიციატივით 1955 წლის აპრილში გაიმართა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კონფერენცია, რომელმაც შეაჯამა ჩატარებული მუშაობა და დასახა ახალი ამოცანები. რაციონალიზატორთა შემოქმედებითი ინიციატივის წარმართვისათვის ქარხანაში გამოუშვეს სპეციალური ბროშურა, რომელშიც მითითებული იყო ის ძირითადი თემები, ტექნოლოგიური პროცესები, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვდნენ; ქარხნის მსხვილ საამქროებში პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით წაიკითხეს სპეციალური მოხსენებები თემაზე: „მასობრივი გამომგონებლობის მნიშვნელობა“. ქარხანაში თითოეულ რაციონალიზატორზე შემოღებული იყო პირადი ანგარიში. 1955 წელს ქარხანაში ითვლებოდა 100-მდე რაციონალიზატორი, რომელთაგან თითოეულმა მათგანმა წარმოებაში დანერგა 3-დან 25-მდე წინადადება. პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად იბრძოდა წარმოებაში რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვისათვის. პარტიულ კრებებზე ხშირად ყოფილან გაკრიტიკებული ის ამხანაგები, რომლებიც ხელს უშლიდნენ რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვას. პარტიული ორგანიზაციის ამ მზრუნველობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმას, რომ რაციონალიზაცია და გამომგონებლობა ს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში ნამდვილ მასობრივ მოვლენად გადაიქცა<sup>47</sup>.

ომისშემდგომ პერიოდში წარმოებაში დანერგილი წინადადებების შედეგად საქართველოს მრეწველობამ მიიღო მილიონობით მანეთის დანახოგი, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ომისშემდგომი ხუთწლედების (მეოთხე და მე-

44 ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109.

45 მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტარქივი, ფ. 18, აღწ. 34, ს. 93, ფურც. 168.

46 საქართველოს სსრ პროფსაბჭოს არქივი, ფ. 2, ს. 508, ფურც. 121.

47 გ. ე ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი, წარმოების პროგრესისათვის ბრძოლაში, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1955, №9, გვ. 66—67.

ხუთე. — რ. ჯ.) დავალებათა დროულ შესრულებას; საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ომისშემდგომი, მეოთხე ხუთწლიანი გეგმა შესრულდა წარმატებით; ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებული სამრეწველო წარმოების დონე მიღწეულ იქნა ვადამდე 1949 წლის მეოთხე კვარტალში; 1950 წელს, 1940 წელთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდა 2,7-ჯერ, ელექტროენერჯის გამომწვევა — 1,9-ჯერ, მანგანუმის მადნის ამოღება I—1,3-ჯერ, ლითონსაჭრელი დაზვების წარმოება — 3-ჯერ და ა. შ.<sup>48</sup>.

რესპუბლიკის საწარმოებმა ძირითადად ვადამდე შეასრულეს, აგრეთვე, მეხუთე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალებები, ხუთწლიდის განმავლობაში საერთო პროდუქციის მოცულობა 8 მილიარდ 560 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 14 მილიარდ 680 მანეთამდე. 1955 წელს შრომისნაყოფიერება 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 19 პროცენტით<sup>49</sup>.

როგორც ვხედავთ, ომისშემდგომ პერიოდში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობა საკმაოდ მაღალ დონეზე დგას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას აკლდა ცენტრალიზაცია. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ არ არსებობდა ამ პერიოდში სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც კოორდინირებას გაუკეთებდა და უხელმძღვანელებდა ამ საქმეს. მხოლოდ 1954 წელს იქმნება გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საქავშირო საზოგადოება, მის შესაბამისად კი გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საქავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭო, რომელიც ჩაუდგა ამ მოძრაობას სათავეში და მას უფრო ორგანიზაციული და ქმედითი ხასიათი მისცა.

ამრიგად, ომისშემდგომ პერიოდში საქართველოს მრეწველობაში საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მუშაობის მდგომარეობა მოწმობს, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და მზრუნველობით ეკიდებოდა მშრომელთა შემოქმედებით ინიციატივას, ყოველი ღონისძიებით ავითარებდნენ ამ ინიციატივის გამოვლინებას, რაც დიდად უწყობდა ხელს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური ღონის შემდგომ ამაღლებას.

48 ჟურნ. „ბოლშევიკი“, № 7, 1951, გვ. 3.

49 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, № 2, 1956, გვ. 4.

წარმოადგინა თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენისა და  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის № 1-მა კათედრამ

43135



მეორედი პასკიანი

რუსეთთან შეერთება და სასოფლო მხარეთმშენებლის შემოღება  
სვანეთში

ერისთავ გელოვანთა ძალაუფლების დაცემისა და იმერეთის სამეფოს გავლენისაგან საბოლოო განთავისუფლების შემდეგ სვანეთი რამდენიმე ნაწილად დაიშალა.

სპეციფიკური ვითარება შეიქმნა ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილში (ე. წ. ბალსზემო სვანეთში) და ქვემო სვანეთის დასავლეთში (ლენტეხის თემში). ერისთავთა ძალაუფლების დაცემის და იმერეთის მეფეთა ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა ადგილობრივმა აზნაურებმა კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლაში XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის პირველ მესამედში მარცხი განიცადეს, მათი ძალაუფლება თანდათანობით დასუსტდა ან დაეცა.

ლენტეხის თემის მოსახლეობა, რომელიც უწინ იმერეთის მეფის მოლაშქრეს წარმოადგენდა, XVIII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში დადიანებმა დაიმორჩილეს, ამასთანავე, აქ ადგილობრივი პრივილეგირებული წოდების მქონე გვარის წარმომადგენლებიც გაქრენ. ბალსზემო სვანეთის ერთ-ერთ უდიდეს და საუკეთესო თემში — ლატალში XIX ს-ის 30-იან წლებში გლეხთა ე. წ. აჯანყების შედეგად ჩარკვიანთა ბატონობა დაემხო. შეირყა და დასუსტდა სხვა აზნაურთა (ყიფიანი, გოშთელიანი, ჯაფარიძე, იოსელიანი, ქურდიანი, ჟორჯოლიანი, დევდარიანი და სხვ.) ძალაუფლებაც. ზოგიერთ თემში (კალა, ლენჯარი და სხვ.) პრივილეგირებული წოდების მქონე გვარები სრულიად გადაშენდნენ.

კლასობრივ და შინაკლასობრივ ბრძოლაში მეზობელ მფლობელთა დახმარებით დადიშქელიანებმა გაიმარჯვეს, მათ გაანადგურეს მეტოქე რიჩგვიანები, მთელი ბალსქვემო სვანეთის (ზემო სვანეთის დასავლეთი ნაწილი, ბალის მთის ქვევით) მოსახლეობა დაიმორჩილეს და პატარა სამთავრო ჩამოაყალიბეს. ამავე დროს, ლაშხეთის თემს გელოვანები და რამდენიმე წვრილი აზნაური ფლობდა, ხოლო ჩოლურის თემს გარდაფხაძეები დაეპატრონენ. ბალსზემო სვანეთი, სადაც მხოლოდ ძალაუფლებადასუსტებული აზნაურები შემორჩენ, ცალკეულ დამოუკიდებელ სოფლებად დაიშალა.

XIX ს-ის პირველ ნახევარში სვანეთის დიდი ნაწილი თავადთა გამგებლობასა და ბატონობაში იმყოფებოდა, ხოლო ბალსზემო სვანეთში, სადაც მხო-

<sup>1</sup> Д. З. Бакрадзе, Сванетия, ЗКОИРГО, кн. VI, 1864, გვ. 47—48; ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 72—73; რ. ხარაძე, აღ. რ. ბაკრაძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964, გვ. 110; გ. ვასციანი, სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მატჩიანე, ჟურნ. „მაცნე“ ისტორიის... სერია, 1972, № 2, გვ. 107—108; მისივე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 220—221.

ლოდ მრავალრიცხოვანი დასუსტებული აზნაურები შემორჩენ, საერთო მმართველობა არ არსებობდა (სვანეთის ეს ნაწილი შემთხვევით და დროებით თუ ერთიანდებოდა).

რუსეთის მეფის მთავრობამ დადიანთა მეშვეობით 1804 წელს უბრძოლველად შეიერთა ქვემო სვანეთი (სამეგრელოსა და ლეჩხუმთან ერთად), შემდეგ კავშირი შეკრა დადიშქელიანებთან და მათი მემამულური უფლებების აღიარებით ბალსქვემო სვანეთიც 1832—1833 წწ. თავის გამგებლობაში მოაქცია.

ჯერი დადგა ბალსზემო სვანეთზეც\*.

მეფის მთავრობამ დადიანების, დადიშქელიანების, წერეთლების და სხვა მემამულეების დახმარებით მრავალჯერ სცადა კავშირი დაემყარებინა ადგილობრივ აზნაურებთან და მათი მეშვეობით ბალსზემო სვანეთის დანარჩენი მოსახლეობა შემოეერთებინა, მაგრამ მთელი გლეხობა აზნაურთა სურვილს არ გაჰყვა.

ბალსზემო სვანეთის რუსეთთან შერთება მხოლოდ 1847—1853 წლებში განხორციელდა. XIX ს-ის 20—30-იან წლებში, როდესაც მეფის ხელისუფლებამ საქართველოს თავად-აზნაურთა პრივილეგიები ოფიციალურად აღიარა და დაამტკიცა, ბალსზემო სვანეთი რუსეთის ქვეშევრდომობაში უშუალოდ არ შედიოდა, ამიტომ იქაური აზნაურების წოდების საკითხი საერთოდ განუხილველ-გაურკვეველი დარჩა. ამასობაში სვანეთის აზნაურთა ძალა და გავლენა კიდევ უფრო დასუსტდა.

რუსეთთან შერთების შემდეგ მდგომარეობის გამწვავების შიშით, მეფის მთავრობამ სვანეთის აზნაურთა დაცვა და დაკარგული უფლებების აღდგენა არ ისურვა და საკითხის განხილვის გარეშე, ისინი, როგორც აზნაურები, სახაზინო უწყებაში გადარიცხა მექანიკურად (ოფიციალური აღრიცხვისას თუ იმჟამინდელ ნარკვევებში ბალსზემო სვანეთში ყიფიანები, ჯაფარიძეები, გოშთელიანები, ქურდიანები, იოსელიანები, ჟორჯოლიანები, დევდარიანები და ჩარკვიანები აზნაურიშვილად ან ყოფილ აზნაურებად მოიხსენიებიან).

რუსეთთან შერთების შემდეგ არც ქვემო სვანეთში და არც ბალსქვემო სვანეთში თავდაპირველად რუსული მმართველობა არ არსებობდა (ლენტეხის თემი უშუალოდ სამეგრელოს სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ჩოლურისა და ლაშხეთის თემები გარდაფხაძეების და გელოვანების ფეოდალური სახლების გამგებლობაში იყვნენ, თუმცა გარდაფხაძეები და გელოვანები დადიანთა უზენაესობას აღიარებდნენ, რის გამო მეფის მოხელეთა თუ ოფიციალურ ისტორიკოსთა მიერ მთელი ქვემო სვანეთი „სადადიანო სვანეთად“ იწოდებოდა.

\* თავისებური ვითარების გამო, რომელიც ზემო სვანეთის აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნა, მას „თავისუფალი სვანეთი“ — *Вольная Сванетия* ეწოდა (სვანურად ასეთი სახელწოდება არ არსებობს). მეფის მოხელეები და ოფიციალური ისტორიკოსები, რომელთაც XIX ს-ის პირველ ნახევარში ეს სახელწოდება შემოიღეს ან მიიღეს, „თავისუფალი“ ან „უბატონო“ სვანეთის ცნებაში ძირითადად იმას გულისხმობენ, რომ მოცემულ ხანაში სვანეთის ეს ნაწილი არც ერთი თავადის გამგებლობაში არ შედიოდა (იხ. გ. გასკვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 270—272).

<sup>2</sup> საქ. სსრ ცსსა ქუთაისში, ფონდი 8, ს. 22ა, ფურც. 1—19.

XVIII ს-ის დასასრულსა და XIX ს-ის დასაწყისში ბალსქვემო სვანეთი ანუ სვანეთის სამთავრო ორ მთავარ ნაწილად გავითიშა და მათ დადიშქელიანთა ორი შტოს უფროსები განაგებდნენ.

ბალსზემო სვანეთში რუსეთთან შეერთებისთანავე (1847 წ.) საბოქაულო ჩამოყალიბდა (მასში პირველად ლატალის და ლენჯერის თემები არ შედიოდნენ), მართალია საბოქაულო მმართველობა 1849 წელს გაუქმდა, მაგრამ 1853 წელს ბალსზემო სვანეთის რუსეთთან საბოლოო შეერთების შემდეგ, იგი კვლავ აღდგა.

ყირიმის ომის შემდეგ კავკასიის მმართველობის გარდაქმნასთან დაკავშირებით სამეგრელოსა და სვანეთის სამთავროებიც გაუქმდა, რის შემდეგ — 1859 წელს მთელი ზემო სვანეთი ერთ საბოქაულოში გაერთიანდა. საბოქაულო მმართველ შტატში ბოქაული, თანაშემწე (ანუ ნაცვალი), საქმის მწარმოებელი, თარჯიმანი, ორი მწერალი, ორი ცხენოსანი და ათი ფეხოსანი ჩაფარი შედიოდა. იმავე დროს, საერთო სასამართლო ორგანოც დაარსდა — ბოქაულის (თავმჯდომარე), თანაშემწის, ხუთი მდივანბეგის და ერთი დამტარებლის შემადგენლობით.

საბოქაულოს შექმნის მთავარი მიზანი იყო სვანეთში რუსული ორიენტაციის და სტაბილური ვითარების დამკვიდრება. პირველ ეტაპზე საბოქაულო მმართველობა და სასამართლო ორგანო სვანეთის შინაურ-ადათობრივ საქმეებს ვერ აწესრიგებდა და უფრო ფორმალურად არსებობდა.

მმართველობის ცენტრალიზაციის და რუსული კანონმდებლობის მტკიცედ დამკვიდრების მიზნით 1867 წელს გადაწყდა მთელი სვანეთის ერთ საბოქაულოში გაერთიანება<sup>3</sup>. ზოგიერთ დარგში სვანეთის ბოქაულს მაზრის უფროსის ფუნქციები დაეკისრა, მაგრამ ცენტრალიზებული მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, სვანეთის ბოქაული ლეჩხუმის მაზრის უფროსს დაექვემდებარა.

სვანეთში, როგორც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, XIX ს-ის 60-იან წლებამდე სპეციალური სასოფლო მმართველობა ფაქტიურად არ არსებობდა. როგორც ალ. ბენდიანიშვილი წერს, საგლეხო რეფორმის მომზადების პერიოდში მეფის მთავრობის წინაშე ლოგიკური აუცილებლობით დაისვა ახალი პირობების შესაბამისი სოფლის მმართველობის რეორგანიზაციის საკითხი<sup>4</sup>.

1861 წლის დებულების საფუძველზე რუსეთში არსებული სათემო — სასოფლო მმართველობის ანალოგიური მმართველობა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოშიც უნდა დამყარებულიყო.

1864 წ. 13 ოქტომბერს თბილისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის უმაღლესად დამტკიცებული წესების თანახმად მეფისნაცვალს დაევალა, რუსეთის 1861 წ. დებულების საფუძველზე, კავკასიაში სასოფლო საზოგადოებათა მოწყობის დაწერილებითი დებულება შეედგინა. 1865 წ. 11 აპრილს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა უკვე დაამტკიცა სათანადო დებულება, რომლის საფუძველზე საგლეხო რეფორმის გან-

<sup>3</sup> ЦГИАЛ, ფ. 416, ან. 3, ს. 91, ფურც. 1—2.

<sup>4</sup> ალ. ბენდიანიშვილი, სოფლის საზოგადოებრივი მმართველობის შემოღება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, 1970, გვ. 303.



ხორციელების შემდეგ მთელ საქართველოშიც ახალი სასოფლო მმართველობა უნდა დაარსებულიყო.

დებულების თანახმად, საქართველოში სოფლის საზოგადოებრივ მმართველობას უნდა დაკისრებოდა ყველა ეს ფუნქცია, რაც რუსეთში სათემო — სასოფლო მმართველობას ევალა, ე. ი. საჭირო შემთხვევაში, სოფლის მმართველობას ადმინისტრაციულთან ერთად, სამეურნეო საქმეების გამგებლობაც ეკისრებოდა. ნავარაუდები იყო განხორციელებულიყო ისეთი ადმინისტრაციული დაყოფა, რომელიც მმართველობის თვალსაზრისით მოხერხებული იქნებოდა. იმ შემთხვევაში თუ ცალკეულ სასოფლო-ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებისათვის ამა თუ იმ სოფლის მოსახლეობა საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, ტერიტორიული პრინციპით, ერთ მმართველობაში რამდენიმე სოფელი უნდა გაერთიანებულიყო. ამ შემთხვევაში, მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას თუ ეს სოფლები უწინ თუ რეფორმის მომენტში ვის კუთვნილებას შეადგენდნენ, მთავარი ყურადღება ადმინისტრაციული მმართველის მოხერხებულობას ექცეოდა. მმართველობის მოხერხებულობისათვის ერთ სასოფლო საზოგადოებაში არამც თუ სხვადასხვა სოფლის გაერთიანება შეიძლებოდა, არამედ ერთი და იმავე მეზობლისადმი ვალდებული გლეხების სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულისადმი მიკუთვნებაც. ამასთან, ერთ საზოგადოებაში უნდა გაერთიანებულიყო ყველა კატეგორიის გლეხი.

მასასადამე, დებულების თანახმად სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის იყო, რომ ეს ერთეული ადმინისტრაციული და სამეურნეო თვალსაზრისით მოხერხებული ყოფილიყო.

სოფლის საზოგადოების ორგანო — სასოფლო კრების და მისი მმართველი პირებისაგან უნდა შემდგარიყო. სოფლის საზოგადოების უმაღლესი ორგანო გლეხთა ყრილობა უნდა ყოფილიყო. აღმასრულებელი ხელისუფლება მამასახლისის ენიჭებოდა, ხოლო მართლმსაჯულის — სასამართლოს. სასოფლო საზოგადოების შტატი უნდა განსაზღვრულიყო სასოფლო საზოგადოების შეხედულებისამებრ იმ პირობით, რომ ადმინისტრაციული აპარატის ხარჯი მოცემულ ერთეულში გაერთიანებული მოსახლეობისაგან აკრეფილი სახსრებით დაფარულიყო, ე. ი. სოფლის მოსახლეობას თვითონ უნდა უზრუნველყო თავისი მმართველობის დაფინანსება. სასოფლო მმართველობის აპარატის შტატი შედგებოდა — მამასახლისისა და მისი ქვემდგომი ერთეულებისაგან. თუ სასოფლო საზოგადოება დიდი იყო და, რაც მთავარია, მას შეეძლო მართველი აპარატის სათანადო ხარჯებით უზრუნველყოფა, სოფლის მმართველობა შეიძლებოდა შემდგარიყო მამასახლისის, თანამშემწის (ანუ ნაცვალის), გზირის, მეველეს, მერუეს, მწყემსის, მეწისქვილის, სარწყავი არხების და თხრილების ზედამხედველის და სხვა საშტატო ერთეულებისაგან.

სახელმწიფო-საეროზო ვადასახადებთან და საზოგადოებრივ მმართველობის დაფინანსებასთან ერთად, გლეხობა ვალდებული იყო დამატებითი, ერთდროული ან მუდმივი, თანხები გაეღო სოფლის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებებისათვის, აგრეთვე, სარწყავი არხების, გზებისა და ხიდების მოვლისათვის, მალაზიების, საცხოვრების თუ სხვა ამგვარ დაწესებულებათა მოწყობისათვის, აგრეთვე, დარაჯის, მწყემსის თუ სხვა საშტატო ერთეულის შენახვისათვის.

დებულება ითვალისწინებდა სასოფლო სასამართლოს ჩამოყალიბებასაც. ამ შემთხვევაში სოფლის ყრილობა სასამართლოს შემადგენლობაში არანაქ-



ლებ სამ პირს ირჩევდა. სასოფლო სასამართლოს ფუნქციებში მხოლოდ უნიშვნელო სამოქალაქო საქმეების განხილვა-გადაჭრა შედიოდა. მაგალითად: მიწაზე გლეხთა დავის, ნასყიდობის, ურთიერთზარალის მიყენების და სხვა ამგვარი საქმეების მოწესრიგება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ დავის საგანს სათანადო აქტებით გაფორმებული საქმე შეადგენდა და მისი ღირებულება 100 მანეთს არ აღემატებოდა. დებულების შესაბამისად, სასოფლო საზოგადოების თანამდებობის პირები: მამასახლისი, თანაშემწე, მოსამართლე და სხვა სამი წლის ვადით უნდა არჩეულიყვნენ. შემდეგ კი არჩევნები ხელახლა უნდა ჩატარებულიყო. არჩევნების შედეგები საბოლოოდ გუბერნატორს უნდა დაემტკიცებინა. სასოფლო საზოგადოების თანამდებობის პირები, პირველ რიგში, ბოქაულს ექვემდებარებოდნენ, მაგრამ ყველა მათგანი მაზრის უფროსის და გუბერნატორის წინაშე იყო პასუხისმგებელი. იმ შემთხვევაში, თუ სასოფლო საზოგადოების თანამდებობის პირები არასასურველი აღმოჩნდებოდნენ მათი განთავისუფლება, გუბერნატორთან შეთანხმებით, მაზრის უფროსს შეეძლო ყრილობის გარეშე.

რუსეთთან შეერთების შემდგომ ბატონყმობის გაუქმებამდე სვანეთის მთელ მმართველობას ადგილობრივი მებატონეები ან მთავრობის მოხელეები განაგებდნენ, მაგრამ სისხლის თუ სამოქალაქო საქმეების უმეტესობა ტრადიციისამებრ — მოდავე პირთა ან მათ მიერ ღროებით არჩეულ თავკაცთა (მოციქულ-მედიატორთა) განსჯით და ეკლესიაში დაფიცებით წყდებოდა. საერთო საკითხების მოგვარება ზოგჯერ სოფლის ან ყველა დაინტერესებული პირის შეკრებით და მოლაპარაკებითაც ხდებოდა. საკითხების განხილვა-გადაწყვეტა მიმდინარეობდა საუკუნოობით დაგროვილ იმ ადათ-წესების საფუძველზე, რომლებიც საერთო ქართულ ფეოდალურ კანონმდებლობიდან და ტრადიციებიდან გამომდინარეობდა (ზოგჯერ საქმე გვაქვს ადგილობრივ თავისებურებასთანაც).

როგორც აღვნიშნეთ, რეფორმამდელ სვანეთში სასოფლო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები არ არსებობდა. საქმეებს მებატონეები (თავდაახნაურები), ან დაინტერესებულ პირთა მიერ ღროებით არჩეული თავკაცები განაგებდნენ.

დებულების მიხედვით, სასოფლო მმართველობის ჩამოყალიბება საგლეხო რეფორმის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ ზემო სვანეთში ჯერ სასოფლო მმართველობა დაარსდა, ბატონყმობა კი შემდეგ გაუქმდა\*. მეფის მოხელეთა (სამეგრელოს მმართველის, გუბერნატორ ლევაშოვის და სხვ.) ჩვენებით, სვანეთში საგლეხო რეფორმის გვიან გატარების ერთ-ერთი მიზეზი მტკიცე მმართველობის არ არსებობაც იყო<sup>5</sup>.

მეფის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1869 წელს მთელი სვანეთი ერთ საბოქაულოში გაერთიანდა და ახალი ადმინისტრაციული დაყოფა განხორციელდა.

\* სასოფლო საზოგადოებების ჩამოყალიბებას საგლეხო რეფორმა წინ უსწრებდა მხოლოდ ქვემო სვანეთში.

<sup>5</sup> Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, Тб., 1950, составил проф. П. В. Гугушвили, გვ. 518.

სვანეთის ადმინისტრაციულ გარდაქმნასთან ერთად\*, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა 1869 წელს სასოფლო-საზოგადოებების არჩევნებიც ჩაატარა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო სათანადო საზოგადოების ყველა ოჯახის უფროსმა მამაკაცმა („მახვში“) და არჩეულ იქნენ მამასახლისები (ზოგან თანაშემწეები და სხვა პირებიც) და სასოფლო სასამართლოს შემადგენლობა. ამის შესახებ გუბერნატორი მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ მიმართვაში წერდა; „Сельские управления и суды введены при мне в действие в обеих Сванетиях. Большинство выборов в должностные лица пало на людей сравнительно надежных и влиятельных в обществах и потому должностные все тотчас же были мною утверждены“<sup>6</sup>.

სასოფლო საზოგადოებების ჩამოყალიბებასთან ერთად, ამ საზოგადოების მმართველ ორგანოთა ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი დებულების საფუძველზე განისაზღვრა. რადგან სვანეთში სახნავ-სათიბ მიწაზე და ტყეზე საერთო-სათემო მფლობელობა არ არსებობდა\*\*, სასოფლო ანუ სათემო მმართველობას ძირითადად ადმინისტრაციული ფუნქციები დაეკისრა, ეს მაშინ, როდესაც რუსეთის და კავკასიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სასოფლო მმართველობას ადმინისტრაციულთან ერთად, სამეურნეო ფუნქციებიც დაეკისრა\*\*\*.

მამასახლისის მთავარ მოვალეობას შეადგენდა: სახელმწიფო და საერთო გადასახადების აკრეფა, აღწერათა ჩატარება, სვანეთის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ თუ სხვაგან გლეხების გაშვებაზე ნებართვის მიცემა, ზემდგომი ორგანოების თუ ცალკეულ მოხელეთა ბრძანება-განკარგულებების სისრულეში მოყვანა. მამასახლისის ევალეობა: სამხედრო დეზერტირების, მთავრობის მოწინააღმდეგების, ქურდ-ყაჩაღების და წესრიგის დამრღვევთა დაკავება. იგი ვალდებული იყო, აკრეფე, თვალყური ედევნებინა მთელი საზოგადოების მოქმედებისათვის და საეჭვო შემთხვევაში ყოველივე ბოქაულის, მაზრის უფროსის და გუბერნატორისათვის შეეტყობინებინა, აუცილებლობის შემთხვევაში ბოქაულს შეეძლო პოლიციური რაზმის გამოძახება და დადგენილ ფარგლებში მოქმედება.

როგორც სპეციალური დებულებით იყო ნაწარუდევრი, რეფორმის გატარების შედეგად სვანეთში სასოფლო-სათემო საზოგადოების უმალესი ორგანო გახდა ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა ყველა ოჯახის უფროსი („მახვში“). ამ ყრილობის უფლებებში შევიდა; თემის თანამდებობის პირთა არჩევა, ოჯახის გაყოფაზე ნებართვის გაცემა, საზოგადოებრივი საჭი-

<sup>6</sup> 1869 г. 9 августа. Отношение кутаисского военного губернатора гр. Левашова наместнику Кавказскому вел. кн. М. Романову о мерах, предпринятых в Сванетии для разрешения крестьянского вопроса, Сельское хозяйство и аграрные отношения, II, 33. 521.

\* ეს დაყოფა ტერიტორიული პრინციპით განისაზღვრა და არსებითად უწინდელი თემების ფარგლებში მოქცეა.

\*\* საერთო მფლობელობაში იყო მხოლოდ საძოვრები და საბალახო ადგილები, რომელიც სოფელს ეკუთვნოდა.

\*\*\* ბალსზემო სვანეთში მხოლოდ ზოგიერთ თემს ჰქონდა საერთო საძოვარი. სხვა შემთხვევაში ასეთი საძოვარი თემის ცალკეული სოფლის მფლობელობაში იყო. ასე მაგალითად, კალის თემში არც ერთ დანარჩენ სოფელს არ შეეძლო ხალხის საძოვრებით ესარგებლა, ასევე — ვინაშის, დაუბერის, იფრალის, ლალხორის სოფლები ცალ-ცალკე ფლობდნენ საძოვრებს. ასეთივე სურათი იყო სვანეთის უდიდეს ნაწილში.

როებისათვის გარკვეული გადასახადების დაწესება, უბატრონოდ დარჩენილებისადმი მეურვეობა, მავნე პირად მიჩნეულთა სოფლიდან გასახლებაზე საკითხის დასმა, სახაზინო და საეროზო გადასახადების თუ თემის საზოგადოებრივი დაწესებულებების შესანახი სახსრების კომლობრივი განაწილება და სხვ.

სოფლის ყრილობის დადგენილება კანონიერად ითვლებოდა თუ მას ოჯახის უფროსთა ნახევარი მაინც ესწრებოდა, საკითხები ხმათა უმრავლესობით წყდებოდა. მნიშვნელოვანი დადგენილების გამოსატანად აუცილებელი იყო ხმების ორი მესამედი მაინც.

როგორც აღვნიშნეთ, ლევაშოვმა 1869 წელს სათემო სასამართლოებიც დააარსა. სასოფლო-სათემო საზოგადოების მიერ არჩეულ სასამართლო ორგანოს შემადგენლობაში, მოსამართლესთან ერთად, სოფლის თავაკეებიც შევიდნენ (მათ რიცხვს თითოეული საზოგადოება თავის შეხედულებისამებრ საზღვრავდა. როგორც წესი, ერთი საზოგადოების სასამართლო ორგანოში დაახლოებით 10—20 ასეთი თავაკეი ირჩეოდა).

სასოფლო-სათემო სასამართლოს უფლებამოსილებას, დებულების შესაბამისად, მხოლოდ უმნიშვნელო სამოქალაქო საქმეების განხილვა-გადაწყვეტა შეადგენდა. სასამართლო ფუნქციას 100 მანეთის ფარგლებში დაჯარიმება ექვემდებარებოდა, აგრეთვე ექვსი დღით საზოგადოებრივი სამუშაოს მისჯა, ურთიერთმიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებინება და სხვა მსგავსი საქმეები. მამასახლისს ფორმალურად არ შეეძლო სასამართლოს მსვლელობაზე გავლენის მოხდენა, მაგრამ იგი სინამდვილეში სასამართლოს მთელ საქმიანობას თავისი შეხედულებისამებრ წარმართავდა, მამასახლისის ხელში იყო აღმასრულებელი უფლებებიც.

ასეთია ის ფუნქციები (უფლება-მოვალეობანი), რაც მთავრობის სპეციალური დებულებით ყრილობას და მამასახლისს მიენიჭათ, აგრეთვე, მათი მოწვევის წესი და მოქმედების სფერო.

\*

\* \*

ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული ზოგიერთი საკითხი, რომელიც სვანეთში ე. წ. „გვაროვნულ“ ინსტიტუტებთანაა დაკავშირებული. სვანეთში და, კერძოდ, ბალსზემო სვანეთში „გვაროვნული“ სახალხო მმართველობის არსებობის ერთ-ერთ მაჩვენებლად, სწორედ ყრილობა და მახვია წარმოდგენილი. რეფორმით შემოღებული სასოფლო-სათემო საზოგადოების უმაღლესი ორგანო—ყრილობა სვანეთისადმი მიძღვნილ ეთნოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურის უდიდეს ნაწილში უძველეს დროიდან მოქმედ გვაროვნული საზოგადოების ინსტიტუტადაა მონათლული, ხოლო მამასახლისის („სტარშინას“) ფუნქციები და მოვალეობა ოჯახის უფროსის — „მახვიის“ ფუნქცია-მოვალეობადაა გასაღებული. მართალია, ზოგიერთი მოხელე თუ მოგზაურ-მკვლევარი სვანეთში ადრეც მოიხსენიებს მამასახლისს („სტარშინას“ და არა „მახვიის“), მაგრამ ეს მხოლოდ რუსეთის სათემო მმართველობის სათანადო ტერმინების გავლენით აიხსნება. რაც შეეხება, რეფორმის შემდგომდროინდელ სვანეთს, როგორც ვნახეთ, აქ ყრილობის და მამასახლისის, როგორც მუდმივმოქმედი მმართველობის ორგანოს არსებობა ფაქტია. სწორედ რეფორმისშედეგად შემოღებულ ყრილობასა და მამასახლისზეა ლაპარაკი ნ. დუბრო-

ვინის ნარკვევში<sup>7</sup>. შემდგომ სვანეთის მმართველობის საკითხზე სტატიას აქვეყნებს სვანეთის ბოქაული ი. მამაცოვი, რომელიც აღნიშნავს, რომ XIX ს-ის პირველ ნახევრამდე სვანეთში არსებობდა „ფედერაციული რესპუბლიკები“, რომელთაც თითქოს საბჭოების ტიპის დაწესებულებები ჰქონდათ: «Члены этого федеративного Совета выбирались по большинству голосов. Каждое общество назначало по 24 человека. Цвирми (Симон) было местом заседания, куда собирались все члены два раза в год для разбора порученных им дел. Под ведением этого союзного схода находились дела, касающиеся всей вообще Сванети, как напр. объявление войны соседям, вызов ополчения, назначение главного начальника над ополчением, а равно и сотников и заключение мира. В случае нужды «лузроб» имел право облагать жителей податями для ведения войны и для других финансовых нужд... Решение или постановление этого союзного Совета было безапелляционное для всех сванетов, в знак чего и присягали образу «Шалиани». Эти советы не касались внутреннего управления Сванетии, т. к. каждое общество само заведывало своими делами»<sup>8</sup>. როგორც ჩანს, ამ ფანტაზიურ წერილს, რომელიც არავითარ სარწმუნო საბუთს არ ეყრდნობა (ერთმანეთშია არეული ფედერაციული რესპუბლიკები, საბჭოები და ყრილობა), საბაზი მიუცია ზოგიერთი სხვა ავტორისათვის არა მარტო ეს შეთხზული მოსაზრება მიეღო, არამედ თვითონაც ახალი აზრები გამოეგონა. სვანეთის მმართველობის შესახებ თავის მოსაზრებას გვაწვდიან ი. ივანიუკოვი და მ. კოვალევსკი, რომლებიც წერენ: „Военный пристав..., его помощник и выборные обществами старшины суть единственные представители власти в Сванетии,...“<sup>9</sup>. აღნიშნული მკვლევრები ქვემოთ მესტიაში აზნაურ ჯაფარიძეთა ბატონობის დამხობას ეხებებიან და „ისტორიულ“ თვითმმართველობის დახასიათებისას წერენ: «Избавившись от князей, жители местийского общества стали управляться сами собою, собираясь с этою целью на народные сходы (джан-назуран\*) и выбирая на них особого старейшину, занимавшего должность бессрочно, до тех пор, пока дурное поведение его заставит подумать народ о новом выборе. Старшина этот носил то же название, какое принадлежит доселе старейшему во дворе («Махвша»); буквально слово это означает: старший. Кроме старшины, — гвангарძობენ მკვლევრები, — сходы выбирали еще двенадцать человек так называемых «мибари» (выборные) (?), обязанностью которых было, между прочим, следить за тем, чтобы никто не работал по пятницам, суббогам и воскресениям. Виновных в нарушении таких запретов подвергали штрафованию. Народные сходы созываемы были с помощью особых, почти саженных труб... Участие в собраниях принимали все совершеннолетние, не только мужчины, но и женщины. Для постановки решения требовалось единогласие; но последнего, очевидно, нелегко было достигнуть, особенно если принять во внимание, что наиболее влиятельные граждане являлись на джан-назуран каждый в сопровождении своей партии и притом не безоруженными...<sup>10</sup>. იგივე

7 Н. Дубровин, Сванеты (Шаны) История войны и владычества русских на Кавказе, I, кн. II, Санкт-Петербург, 1871, გვ. 91.

8 И. Мамაცов. Заметки о Сванетии, газ. «Кавказ», 1872, № 121.

9 Журн. «Вестник Европы», кн. 8-я, გვ. 575.

\* ლაპარაკია „ლუზობრ-ზე“, რაც რაიმე საჭირობოტო საკითხთან დაკავშირებით ხალხის თავმოყრა-შეკრებას ნიშნავს.

10 Журн. «Вестник Европы», кн. 8-я, გვ. 603.

მკვლევრები ქვემოთ მიუთითებენ, რომ «События, описанные нами в Местти, с некоторыми вариантами повторялись и в любом из остальных обществ Вольной Сванетии. В каждом возникает свой народный сход (джанназуран), называющийся также в некоторых обществах «духор»\* или «лузор». Местом его собраний служит специально отведенная площадь, своего рода форум, по-сванетски «лахор». Народное собрание каждого общества выбирает своего старшину, который, подобно английскому мировому судье, остается в должность «dugante se bene gesserit», то-есть пока его дурное поведение не сделает нужным в глазах народа назначение ему преемника»<sup>11</sup>. როგორც ამ ამონაწერებიდან ჩანს, საკითხი მართლაც 1869 წელს რეფორმის შედეგად დაარსებულ ყრილობას და მამასახლისის ეხება (ამის შესახებ ავტორთა მიერ პირველ ამონაწერში პირდაპირია ნათქვამი). შემდეგ ი. ივანიუკოვსა და მ. კოვალევსკის, ი. მამაცოვის და ბ. ნიქარაძის ნაამბობის საფუძველზე უცდიათ თავიანთი სქემის შევსება და სვანური ტერმინების მოშველიებით ხსენებული ყრილობა და მამასახლისი წარსულში გადააქვთ — ყრილობას გვაროვნული საზოგადოების ინსტიტუტად ნათლავენ, ხოლო მამასახლისის (სტარშინას) — „მახვშიდ“. როგორც უწინაც აღვნიშნეთ, „მახვში“ არც ერთ ადრინდელ ისტორიულ საბუთში არ გვხვდება<sup>12</sup>, ხოლო სვანური ტერმინები: „ლუზორ“, „ლუზორ“, რაიმე საპირბორტო საკითხთან დაკავშირებით ხალხის დროებით შეკრება თავყრილობას ნიშნავს და არაფერი საერთო არ აქვს მთავრობის მიერ შემოღებულ სასოფლო მმართველობის მუდმივმოქმედ ორგანო — ყრილობასთან და არც იმ გვაროვნულ ინსტიტუტთან, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი გვთავაზობს.

ი. ივანიუკოვმა და მ. კოვალევსკიმ წინასწარ შედგენილ გვაროვნული საზოგადოების სქემისათვის ხორცის შესხმის მიზნით რეფორმის შედეგად შემოღებული ყრილობის ჩატარებისა და მამასახლისის არჩევის წესი და მათი ფუნქციები სახელდახელოდ გამოგონილ „სვანურ გვაროვნულ ინსტიტუტებს“ — ყრილობას და მახვშის“ მიაწერეს. თბრობის დამაჯერებლობისათვის, საეკლესიო ნივთი — „სანყვირიც“ (საყვირი) მოიშველიეს. აღნიშნული მკვლევრები, ქვემოთ, კიდევ უფრო შორს მიდიან და წერენ, რომ სხვადასხვა თემთა ყრილობა თითქოს სულ სამ ადგილზე ტარდებოდა: „в ушкуле, на площади, называемой Жибниани; в поселке Цвирли (სოფ. წვირბი. — გ. გ.) местийского общества, на площади, называемой Симок, и в Лалвере, селении, расположенном к западу от Эцери и более не существующем“<sup>13</sup>. აქ, გარდა იმისა, რომ ერთიმეორეშია არეული ადგილმდებარეობები (წვირბი მესტიისაგან დამოუკიდებელი, სულ სხვაგან მდებარე თემია, ხოლო მესტიაში დასახლებული მოედანი — „სიმოკ“, სინამდვილეში — „სიმონი“, მდებარეობს იფარის, წვირმისა და მულახის თემებს შორის) — ყურადღებას იპყრობს ის, რომ ი. ივანიუკოვის და მ. კოვალევსკის განცხადებით ყრილობა (народный сход) მას შემდეგ გაჩნდა, რაც მესტიაში ჯაფარიძეთა ბატონობა დაამხეს.

\* „ლუზორ“ იგივე შინაარსისაა, რაც „ლუზორ“.

<sup>11</sup> Журн. «Вестник Европы», кн. 8-я, зв. 604.

<sup>12</sup> იხ. გ. გასკიანი, „სვანეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, ეურ. „მნათობი“, 1968, № 7, გვ. 173.

<sup>13</sup> Журн. «Вестник Европы», кн. 8-я, зв. 604.

ამ შემთხვევაში სხვა უხერხულობას (ჯერ ბატონყმობის დამხობა და შემდეგ გვაროვნული ინსტიტუტების წარმოშობა?) ემატება ის, თუ როგორ გავიგოთ სადადეშქელიანო სვანეთში გვაროვნული ყრილობის მოწვევა (ყრილობის ჩასატარებელ ერთ-ერთ ადგილად რომ ლალვერია მითითებული). თუ დასახელებულ მკვლევრებს მიაჩნდათ, რომ ყრილობას დადეშქელიანთა ყმები იწვევდნენ, ნუთუ იმაზე არ დაფიქრდნენ, რომ ამას დადეშქელიანები არ დაუშვებდნენ? ხოლო „თავისუფალი“ სვანეთის წარმომადგენელთა ყრილობის მოწვევა სადადეშქელიანო სვანეთში კიდევ უფრო წარმოუდგენელია.

გარკვეული დროის შემდეგ, მ. კოვალევსკიმ სვანეთში ადრე „აღმოჩენილი“ ე. წ. „გვაროვნულ ინსტიტუტებს“ სლავ, ჩერნიგორიელ, სერბ თუ სხვა ხალხებში შეინიშნული გვაროვნულ-პატრიარქალური ინსტიტუტებიც მიუმატა და ყოველივე ეს სვანეთზე გაავრცელა მექანიკურად<sup>13</sup>. მ. კოვალევსკის გამოკვლევამდე სვანეთის სასოფლო საზოგადოების მმართველობის წარმომადგენლებზე 1875 წელს წერილს აქვეყნებს ლაზარე დადუანი, რომელიც წერს: „დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სვანეთში მამასახლისეები და სუდიები დააყენეს... უმეტესად მამასახლისებად და სუდიებად, ვინც ქართული იცოდა, ის ამოირჩიეს. თავად-აზნაურობას სისხლი მოსდიოდათ ყელში, როდესაც გლეხებს ირჩევდნენ სოფლის მოსამართლეთ... მულახის საზოგადოებაში ერთს გლეხაკაცს და აზნაურიშვილს გვარიანი ჩხუბი შეექმნათ მაზედ, რომ თუ როგორ იქნება თქვენი, გლეხების ჩვენს უმფროსებათ დაყენებაო\* ჩვენ აზნაურნი ვართ და თქვენ ჩვენი მოყმე გლეხები. დღეს აზნაურიშვილებმა უნდა მოვიყაროთ თავი და ვთხოვოთ ქუთაისის გუბერნატორს უფ. ლევაშოვს, რომ როგორც იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში თავად-აზნაურობას მიეცათ ფული გლეხების განთავისუფლებაზე აგრეთვე ჩვენც მოგვცენ“<sup>14</sup>. როგორც ვხედავთ, ი. დადუანმა კარგად იცოდა, რომ სოფლის მოხელეები (მამასახლისი, მოსამართლე თუ სხვა) მოსახლეობის მიერ ირჩეოდნენ მთავრობის მითითებით.

ი. დადუანის შემდეგ მ. კოვალევსკამდე და მის პარალელურად სვანეთის სასოფლო მმართველობაზე, კერძოდ, ყრილობისა და მახვშის შესახებ 1885 წელს ეთნოგრაფიულ წერილებს აქვეყნებს ბესარიონ ნიჟარაძე, რომელიც წერს: „სასოფლო ყრილობა იყო უზენაესი ინსტანცია სვანეთის იურიდიულს წესთ-წყობილებაში.

სასოფლო ყრილობა დაბოლოვებით ათავებდა საზოგადო საქმეებს; არავის არ აძლევდა თავის მოქმედების ანგარიშს, არავის წინაშე პასუხისმგებელი არ იყო. ყრილობას დიდი რთული და მრავალგვარი უფლება ჰქონდა: იგი „მახვშის“ თავსმჯდომარეობით აპყრიდა მოსახლეს, ერთს ან მეტს, გადასწავდა მისს სახლ-კარს, განდევნიდა საზოგადოებიდან მავნე პირთ და დასჯიდა სიკვდილით, თუ რომ საზოგადოების რომელიმე წევრს აღმოაჩნდებოდა, რომ იგი სცდილობს საზოგადოების რომელიმე თავადიშვილის ხელში ჩაგდებას საყმოდ-კერძო ინტერესებისათვის. ერთის სიტყვით, როგორც ხალხი ამბობს „ვერი მუქდენის“ — ქვეყნის მოღალატე სიკვდილით ისჯებოდა ადგი-

<sup>13</sup> М. М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I и II, М., 1890.

<sup>14</sup> ი. დადუანი, მამასახლისეები და სუდიები სვანეთში, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973, გვ. 26.

\* როგორც ცნობილია, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თანამდებობაზე არჩევისას წოდებრიობას გადამწყვეტი მნიშვნელობა უკვე არ ენიჭებოდა, ამიტომ მამასახლისად თუ მოძრივებულ მოსამართლედ გლეხთა წრიდანაც ირჩევდნენ.

ლობრივ ეკლესიათა გამცარცავი“<sup>15</sup>. იქვე ნიჟარაძე ეხება სასჯელის საკითხს და მიუთითებს: „ახლანდელს მოღვაწის თავის-თავად არასოდეს ვისმეს სიკვდილით დასჯა საზოგადოებისაგან“<sup>16</sup>. მაგრამ ნიჟარაძე იმოწმებს ზეპირად მოცემას, რომლის მიხედვით, თითქოს იფარის საზოგადოებაში დაუსჯიათ ვინმე გულბანი, რომელსაც ამ საზოგადოებაზე გაბატონების მოსურნე ვიღაც დევდარიანისადმი დახმარება დაბრალდება. იქვე ბ. ნიჟარაძე კვლავ ყრილობის ფუნქციებზე მსჯელობს და წერს: „სასოფლო ყრილობის საქმე იყო ა. გადაწყვეტა სამტროდ წასვლისა (ლაიმახვალდ ლიზი) გარეშე ქვეყნებში... ბ. მათი დაბეგვრა და შერიგება, გ. კავშირის შეკვრა სხვა საზოგადოებასთან, როდესაც ეს საჭიროდ აღმოჩნდებოდა და დ. განაწილება მეკომურთა შორის გარდასახადისა, თუ ამ უკანასკნელს რაიმე შემთხვევა მოითხოვდა; მაგალითად, თუ საზოგადოების რომელიმე წევრი საზოგადო მტერს, გარეშეს მოჰკლავდა, მაშინ საზოგადოება ვალდებული იყო ეზღო მოკლულის ჭირისუფლისათვის „სისხლი“ (წორ) საერთოდ და თანასწორად ყოველს მეკომურს...“

სასოფლო ყრილობა თავისი უფლებით სჯიდა ადგილობრივ ქურდებს... ქურდების დასჯა მდგომარეობდა ჯარიმის (ჰიბარ) გადახდევინებაში საზოგადოების და ნაქურდალის პატრონის სასრაგებლოდ. რაოდენობა ქურდისაგან ამოსაღებ ჯარიმისა ყრილობის შეხედულებასა და ნებაზე იყო დამოკიდებული, ქურდის ნივთიერის შეძლებისა და მდგომარეობის მიხედვით“<sup>17</sup>. ქვემოთ ბ. ნიჟარაძე ეხება ყრილობის სხვა ფუნქციებსაც და მიუთითებს ამ ყრილობათა თავშესაყარ ადგილებზე, კერძოდ, ლალვერზე, სვიმონზე და უშგულზე.

თუ ოდნავ მაინც ჩავუყვირდებით ბ. ნიჟარაძის აღწერილს, ცხადია, საკითხი 1869 წელს რეფორმით შემოღებულ ყრილობას, მამასახლისის და მათ ფუნქციებს ეხება (ოღონდ გავზიადებულ ფორმაში — სიკვდილით დასჯა, გადაწვა, საომრად წასვლა და სხვ.), თან ამ დაწესებულებათა მოქმედება წარსულ დროშია გადატანილი. ეს რომ ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ ბ. ნიჟარაძე, ერთ შემთხვევაში, ყრილობის ერთ-ერთ ფუნქციად — გადასახადების მეკომურთა შორის განაწილებაზე მიუთითებს, ცხადია, აქ ლაპარაკია რეფორმის შედეგად შემოღებულ გადასახადებზე, რომელიც სასოფლო საზოგადოების მმართველობას კომლობრივად უნდა დაეყო. სხვა შემთხვევაში ბ. ნიჟარაძე 1875 წელს მოწვეულ სვანეთის ყრილობაზე (აჯანყებისათვის მზადებას რომ მიეძღვნა) მსჯელობს და დასძენს, რომ ფედერატიული რესპუბლიკის მსგავსი ყრილობის მოწვევის საკითხი სასოფლო ყრილობებშია გადაწყვეტილი: „ქვემოთ იგივე ავტორი სოფ. დაუბერში მოწვეულ სასოფლო ყრილობას ეხება და წერს, რომ 1880 წელს კალის საზოგადოებაში ვიღაც პირმა მეზობელს ცხვარი მოპარა. ამ დანაშაულმაროგორცკი საზოგადოების ყურამდე მიადწია, „მაშინვე სოფლის ყრილობა მიხდა, მიადგა ქურდს, წაართვა ერთი ხარი და ორი ცხვარი; ორი ცხვარი მოპარული ცხვრის პატრონს მისცა ყრილობამ და ხარი თვით მოიხმარა — დაკლა და შეჭამა. როდესაც ადგილობრივ ადმინისტრაციამ თვითმნებლობისათვის უკმაყოფილება გამოუცხა-

<sup>15</sup> გ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 85—96.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 88.

და ყრილობას ამგვარ უკანონო მოქმედებისათვის და დააკვირა ხარის გადახდევინება... ამგვარი შემთხვევები, დასკვნის ნიჟარაძე, — სხვა საზოგადოებაშიც ბევრი გვინახავს უკანასკნელ ხანებში<sup>18</sup>. როგორც ვხედავთ, ეპქვი არ შეიძლება იყოს, რომ საკითხი მთავრობის მიერ შემოღებულ სასოფლო ყრილობას ეხება. ეს კარგად ჩანს იქედანაც, რომ ყრილობის მიერ ქუროლის მეტისმეტად მკაცრ დასჯას ადმინისტრაციის უკმაყოფილება გამოუწვევია. აღსანიშნავია, რომ მითითებული წერილების გამოქვეყნებამდე ბ. ნიჟარაძე რამდენიმე წელიწადს (1878—1883 წწ.) სვანეთის საბოქაულოს საქმისმწარმოებლად მუშაობდა<sup>19</sup> და, ცხადია, მან კარგად იცოდა მთავრობის მიერ დაარსებული სასოფლო მმართველობის ორგანოთა ფუნქციები.

ასეთია ჩვენთვის საყოველთაოდ ცნობილი „ყრილობის“ და „მახვშის“ უფლება-მოვალეობანი და მათი ისტორიულ-ჰუმარიტებითი არსი.

ვინც კი სვანეთს შეეხო და იქ გვაროვნული წყობილების ან მისი „მრავალრიცხოვანი“ და „მნიშვნელოვანი“ გადმონაშთების აღმოჩენა სცადა (ან მათი არსებობა ირწმუნა), ამოსავალ მთავარ წყაროდ ი. მამაცაშვილის (მამაცოვი) და ბ. ნიჟარაძის ეთნოგრაფიული წერილები ვახიდა. მათ რიცხვს განეკუთვნებიან მ. კოვალევსკი, ი. ივანიუკოვი (რომლებიც ამაზე პირდაპირაც მიუთითებენ<sup>20</sup>), რ. ერისთავი<sup>21</sup>, ე. გაბლიანი<sup>22</sup>, ბ. დეგენ-კოვალევსკი<sup>23</sup>, რ. ხარაძე<sup>24</sup> და სხვები.

ამ მცირე შენიშვნაში შეუძლებელია „ყრილობის“, „მახვშის“ და ამგვარი ე. წ. „გვაროვნულ ინსტიტუტებზე“ დაწერილ ნარკვევთა მთელი შინაარსის გადმოცემა, თუმცა არც ერთ მათგანში არ არის დამოწმებული რაიმე სარწმუნო წერილობითი წყარო, რომელიც „მახვშის“ და „ყრილობის“ იმდაგვარ გაგებას და მათ ისტორიულობას დაუქერდა მხარს, როგორც ზემოაღნიშნულ მკვლევართა მიერაა ისინი წარმოდგენილი.

უნდა ითქვას, რომ „მახვში“ (ხოშა-ხნით — უფროსი) ოჯახის უფროსია. ქართული ტრადიციით ოჯახის უფროსად ასაკით უფროსი მამაკაცი ითვლებოდა (უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახში, ასევე ხნით უფროსი ქალი, თუმცა სვანეთის სინამდვილეში ოჯახის უფროსი ქალის ცნებაც — „ქორა მახვში ზურაალ“ გამოვლილია. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც სვანეთზე მექანიკურადაა გავრცელებული სერბი ხალხის ოჯახის ყოფისათვის ერთ დროს დამახასიათებელი „ლომაჩიცას“ ინსტიტუტი).

18 ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 87 (ხაზგასმა ჩვენია. — გ. ბ.).

19 ბ. ნიჟარაძის ბიოგრაფია, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, გვ. 11.

20 Журн. «Вестник Европы», т. IV, кн. 8-я, 1886, гв. 580, 582; М. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. I и II, М., 1890.

21 Р. Д. Эристов, Заметки о Сванети, Тифл., 1898.

22 ეგნ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927.

23 Б. Е. Деген-Ковалевский, Сванетское селение как исторический источник, Советская этнография, № 4—5, М.-Л., 1936.

24 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939; მისივე, სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VI, თბ., 1953 და სხვ.

ცხადია, მრავალრიცხოვან ოჯახში მოხუცს (ასაკით ყველაზე უფროსს), რომელსაც დიდი დამსახურება ჰქონდა, რამდენიმე შვილი, შვილიშვილი და და-ძმები ჰყავდა, უპირატესობა და პატივისცემა ჰქონდა (მოხუცის კულტი მთელ კავკასიაში არსებობდა). შემთხვევითი არ არის ქართული ფეოდალური სამართლისათვის დამახასიათებელი „საუფროსო“ ინსტიტუტი, როდესაც ოჯახი გაიყრებოდა უფროსს, რიგით წილთან ერთად, დამატებით საუფროსო წილიც ეძლეოდა.

ფაქტია, უფროსისადმი პატივისცემას სვანეთშიც ჰქონდა ადგილი. მოხუცი, რომელიც დამსახურებით, ჭკუით, გამოცდილებით და სხვა დადებითი თვისებებით განირჩეოდა, სათანადო გავლენით სარგებლობდა არა მარტო საკუთარ ოჯახში, არამედ სამშოში („ლანხუბ-ში“), გვარში, სოფელში და ზოგჯერ მთელ კუთხეშიც. რაც შეეხება ოჯახის უფროსის — „მახვშის“ იმდაგვარ გაგებას, თითქოს იგი სამშოს, გვარის და თემის უფროსი იყო — სინამდვილეს არ შეეფერება. მართალია, სამშო სისხლით ნათესავ ოჯახებს აერთიანებდა, მაგრამ იგი შედგებოდა ცალკეული — დამოუკიდებელი ოჯახებისაგან, რომელთაც თავთავისი უფროსი ანუ „მახვში“ ჰყავდათ. გვარს, რომელიც როგორც სისხლით ნათესაობაზე და სამეურნეო ერთიანობაზე აგებული ერთეული, დაშლილი იყო და არა ნათესავ განშტოებებისაგან შედგებოდა, არც შეიძლებოდა ჰყოლოდა ერთი „მახვში“, რომელიც თავის ბრძანებას დაუქვემდებარებდა მთელ გვარს, მით უფრო თემს, რომლის მოსახლეობა არა მარტო სხვადასხვა გვარეულობისაგან შედგებოდა, არამედ სხვადასხვა წოდების გვარებისაგანაც. სხვათა შორის, თვით ტერმინებიც „ლანხუბი მახვში“ (სამშოს უფროსი), „გვარი მახვში“ (გვარიას უფროსი) და „თემი მახვში“ (თემის უფროსი) ხელოვნურადაა გამოგონილი, ასეთი ცნებები სვანურში არ არსებობენ.

სულ სხვა საკითხია ადმინისტრაციული თანამდებობის პირის „მახვშის“ სახელწოდებით მოხსენიება. როგორც ირკვევა, რუსეთთან შეერთების და ადმინისტრაციული მმართველობის შემოღების შემდეგ ტერმინმა „მახვში“ (ისევე, როგორც „უფროსმა“) ახალი შინაარსიც შეიძინა და მისი ცნება გაფართოვდა. ამჯერად „მახვში“, ოჯახის უფროსის გარდა, თანამდებობის პირსაც ეწოდა, მაგალითად, მამასახლისს, ბოქაულს, მოსამართლეს და ა. შ. როგორც ჩანს, მოცემულ პერიოდში, ზემოაღნიშნულის გავლენით ეს ტიტული თავადთა წოდების წარმომადგენლის აღმნიშვნელიც გახდა, მაგალითად, „მახვში ფუთა“ და სხვ.

\* \* \*

მეფის მთავრობის მიერ განხორციელებული სასოფლო მმართველობის რეფორმა მებატონეთა გამგებლობასთან შედარებით პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ სასოფლო საზოგადოებათა ახლებურმა მოწყობამ სვანეთის ცხოვრებაში ფაქტიურად დიდი სიახლე ვერ შეიტანა.

მნიშვნელოვანი საქმეები სოფლის მოხელეთა შეხედულებისამებრ წყდებოდა, ახლად შემოღებული მმართველობის არსებითი ნაკლი ისიც იყო, რომ იგი ძალდატანებით რუსიფიკაციას ემსახურებოდა. საქმის წარმოება ადგილობრივი ხალხისთვის გაუგებარ რუსულ ენაზე წარმოებდა, რის გამო, გლეხობა იძულებული იყო ზოგჯერ პროგრესული ღონისძიებისათვისაც ზურგი შეექცია და მოძველებული ადამიანებით ემოქმედნა.

ახლად შემოღებული სასოფლო მმართველობა ანგარიშს არ უწევდა მოსახლეობის ეკონომიურ შესაძლებლობას, მთავრობა არავითარ სახსრებს არ ხარჯავდა. სოფლის ცხოვრების გარდაქმნისათვის იგი არ ითვალისწინებდა თავის ხარჯზე სკოლების, საავადმყოფოების, სავაჭრო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების დაარსებას, გზების გაყვანას და სხვ. ამასთანავე, ცხოვრების ახლებურ მოწყობას მხოლოდ გლეხობაში აკრეფილი სახსრებით ცდილობდა. ამიტომ, მიუხედავად ახალი მმართველობის შემოღებისა, მეფის მთავრობამ სვანეთის მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობები ვერც რეფორმის შემდგომ გააუმჯობესა, მისი ყოველგვარი ღონისძიებები ფაქტიურად ქალაღღზე რჩებოდა.

სასოფლო მმართველობის შემოღების არსებითი ნაკლი ისიც იყო, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მშრომელებს შეეხო და საზოგადოების რომელიმე წევრის დანაშაულზე პასუხს მთელი საზოგადოება აგებდა. ახლად შემოღებული ე. წ. ურთიერთთავდებობის სისტემისას პასუხისმგებლობა მხოლოდ მშრომელებს ეკისრებოდათ. ამ ნაკლოვანებაზე ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ ადრე მიუთითებდა: „თუ გლეხკაცმა დააშავა რამე, წაუხდინა რამ ვისმე, ან პირობა არ აუსრულა, ყველას, სოფელში მცხოვრებს: თავადს, აზნაურს, მღვდელს, დიაკვანს, მეღუქნეს ნება აქვს იქვე თვალწინ, უხარჯოდ, მოუცდენლად, სოფლის სასამართლოს შემწეობით, გადაახდევინოს გლეხს სასჯელი, თუ საზღაური; და თუ არა — გლეხმა გლეხს დაუშავა რამე, წაუხდინა, პირობა არ აუსრულა, საწყალი გლეხი იძულებულია ათს. ოცს, ოცდაათს ვერსზე გააქცეს, მომრიგებელ მოსამართლეს მიმართოს, რამდენიმე დღე წასვლა-მოსვლაში დაკარგოს, მერე რამდენიმე თვე საქმის გარჩევას ელოდოს, ...ყველა ეს იმისთანა მძიმე რამ არის გლეხისათვის, რომ მის გამო გლეხი უფრო ხშირად იძულებულია თავისი დაზავება არა — გლეხისაგან გულში გაბოროტებით ჩაიმარხოს, ხელი აიღოს საჩივარზედ, გული აიყაროს კანონზედაც, რომელიც მისთვის ისე მიუწევდომელია — როცა დიდი სჩაგრავს, გული აიყაროს თავის სანმართველოზედაც, რომელიც უღონოა დიდის წინაშე. რა წარმომადგენელია უფლებისა იგი წყობა, რომელიც დიდის წინ ნაცრად იქცევა ხოლმე და დაბლის წინ — ცეცხლად?! რა პატივით უნდა უყურებდეს გლეხი იმ მმართველობას, რომელიც დიდისაგან გაჭირვებულს არ ესარჩლება, არას შველის, და რომელიც დიდისათვის კი თავს გამოიდებს ხოლმე...

ყოველ ამის გამო ჩვენის სოფლის სამმართველო და მისნი მოხელენი პოლიციის ბრმა მსახურებს და დარაჯებს უფრო წარმოადგენენ, ვიდრე სოფლის საზოგადოების ინტერესებს<sup>25</sup>.

ი. ჭავჭავაძის მიერ მოცემული ეს კლასიკური დახასიათება კარგად ასახავს სვანეთის სათემო მმართველობის მთელ დედაარსს და მის ნაკლოვანებებს, საქმე ის არის, რომ სიმართლის ძებნა აქ ცავერში ან ქუთაისში წასვლასთან იყო დაკავშირებული, სადაც, აგრეთვე, გლეხს სიმართლის პოვნის არავითარი ვარანტია არ ჰქონდა. სასოფლო-სათემო მმართველობის მანკიერებას, ჯერ კიდევ 1875 წელს შეეხო ლაზარე დადუანი, მისი გადმოცემით, მუქალში ერთმა აზნაურმა გლეხის ეზოდან ხარი წაიყვანა, როცა ეს გლეხმა შეიტყო მივიდა აზნაურთან და შეეხვეწა ხარი დაებრუნებინა, მაგრამ აზნა-

25 ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, VIII, თბ., 1928, გვ. 64—70.

ურმა ხარი დაკლა და მთელი კვირა იქეიფა. ამის თაობაზე გლეხმა მამასახლისთან და მომრიგებელ მოსამართლესთან იჩილა, მაგრამ მის ჩივილს ყური არავინ დაუგდო, სანამ სახლში არ დაბატიყა და ცხვარი არ დაუკლა. ქეიფის შემდეგ მამასახლისმა და მომრიგებელმა მოსამართლემ გლეხის საქმე დაივიწყეს. რადგან გლეხმა ადგილზე ვერაფერი გააწყო მაზრის უფროსთან იჩივლა, მაგრამ ლეჩხუმში სიარულითაც ვერაფერს ვახდა და ბოლოს იძულებული შეიქნა ჩივილიც შეეწყვიტა<sup>26</sup>. ადმინისტრაციულ მმართველთა უკანონო მოქმედებასთან ერთად, ლ. დადუანი აგვიწერს სასოფლო-სათემო სასამართლოში გამეფებულ მექრთამეობას და განუყოფლობას. სასამართლოში ამორჩეულმა მომრიგებელმა მოსამართლემ და ხევისთავებმა (ლაპარაკია სოფლის თავკაცებზე. — გ. გ.), წერს ლ. დადუანი, გარკვეულ სიკეთესთან ერთად, ბევრი საქმეც წახდინეს, როდესაც ისინი საქმის მოსაგვარებლად დამნაშავეს ოჯახში მიდიან, არყით, ზორციით და პურით ძღვებიან, ხოლო დანაშაულს ხუთმაგად ანაზღაურებინებენ (ორმაგს დაზარალებულს უბრუნებენ და დანარჩენს თვითონ იტოვებენ)<sup>27</sup>. სოფლის სასამართლოს ამგვარ მოქმედებაზე ლ. დადუანი არაერთხელ მიუთითებს.

აღნიშნული სისტემის გამო სვანეთში კანონმდებლობას და ოფიციალურ მოხელეებს იშვიათად თუ ვინმე მიმართავდა. მთავრობის ღონისძიებებს თუ ცალკეულ მოხელეთა უკანონო მოქმედებას ხალხი ხშირად პროტესტით და შეიარაღებული გამოსვლით ხვდებოდა.

არსებული მონაცემების მიხედვით, სვანეთის საბოქაულოში სასამართლო ორგანომ სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით განიხილა<sup>28</sup>:

საქმე აღიძრა	საქმეთა რაოდენობა*	
	1886 წ.	1887 წ.
ქონებრივ დავაზე	22	16
სახაზინო საქმეზე	4	—
სხვადასხვა საქმეზე	2	1
ვალის გადაუხდელობის გამო	16	13
პირად ვალდებულებასთან დაკავშირებით	3	4
ზიანთან და ზარალთან დაკავშირებით	3	1
მეურნეობის გამო	6	—

რა თქმა უნდა, ეს მონაცემები სრული არ შეიძლება იყოს, რადგან გლეხს მხოლოდ უკიდურესობა აიძულებდა სასამართლოსათვის მიემართა, ამიტომ დანაშაულთა დიდი ნაწილი შინაურული ადათ-წესით წყდებოდა. მიუხედავად ამისა, ძარცვა, ქურდობა თუ სხვა ამგვარი დანაშაული სვანეთში საერთოდ იშვიათად ხდებოდა. მოგზაურს შეუძლია, — წერს ვ. ტეპცოვი, — დამშვიდებული შემოუაროს მთელ სვანეთს ისე, რომ არ ჰქონდეს გაძარცვის შიში<sup>29</sup>.

<sup>26</sup> ლ. დადუანი, მამასახლისი და სუდიები სვანეთში, გვ. 28—29.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 39.

<sup>28</sup> В. Я. Теплов, Сванети, СМОМПК, вып. X, отд. I, გვ. 63.

\* რადგან ყველა წლის მონაცემი არ მოგვეპოვება, იძულებული ვართ მხოლოდ აღნიშნულით ვისარგებლოთ.

<sup>29</sup> В. Я. Теплов, დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

წერილობითი მონაცემების მიხედვით 1886 წელს სვანეთში მოხდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი<sup>30</sup>.

დანაშაულის სახე	აზნაური		თავადი		გლეხი	
	მამრ.	მდ.	მამრ.	მდ.	მამრ.	მდ.
მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში განთავისუფლებულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან	1	—	17	1	83	4
	—	—	11	1	20	1

ცხრილში მოცემულიდან 1 თავადი და 5 გლეხი მიეცა პასუხისმგებლობაში პოლიციელისა და სასამართლოსადმი შეურაცხყოფის გამო, აქედან 1 თავადს და ერთ გლეხს ფულადი ჭარიმა მიესაჯა, ხოლო 4 გლეხს პატიმრობა. სულ 106 ბრალდებულიდან 33 გამართლდა. თუ ჩავთვლით, რომ ყველა დანაშაული დამნაშავე იყო, გამოდის, რომ ერთი წლის განმავლობაში მთელ სვანეთში სისხლის 73 დანაშაული მოხდა. ამ შემთხვევაში ძნელია თავს ვიდრით ამ მონაცემების სიზუსტე, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ სისხლის დანაშაულის და მათ შორის მკვლელობის საქმეს მეფის მოხელეები აღურიცხავს ნაკლებად ტოვებდნენ. ამდენად, საფუძველს მოკლებული და გაზვიადებულია ზოგიერთი მოხელეს, მოგზაურის, თუ მკვლევის განცხადება — სვანეთი თითქოს სისხლის აღების და ხოცვა-ჟლეტის მოედანს წარმოადგენდა\*.

ახალმა მმართველობის შემოღებამ სვანეთში ერთგვარი ბიძგი მისცა განათლების განვითარებას, 70—80-იან წლებში აქ რამდენიმე დაწყებითი სკოლა გაიხსნა, მაგრამ სათანადო სახსრების უქონლობისა და მასწავლებელთა სიმცირის გამო ზოგიერთი მათგანი კიდევაც დახურულა. სვანეთიდან ზოგიერთი ახალგაზრდა ქუთაისში წასულა სასწავლებლად, მაგრამ სწავლა-განათლებას მაინც ვიწრო მასშტაბი ჰქონდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მაინც წერაკითხვის უცოდინარი იყო. მიუხედავად უკიდურესი პირობებისა, XIX ს-ის 80-იან წლებში სვანეთში წერა-კითხვას მცოდნეთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ამასთან დაკავშირებით სვანეთის ერთ-ერთი მკვლევარი ვ. ტეპცოვი ერთგვარ გაკვირვებასაც კი გამოთქვამს. იგი, ერთი მხრივ, ხაზს უსვამს მოსახლეობის განათლების მიღებისათვის მისწრაფებას, მეორე მხრივ, სინანულს გამოთქვამს

<sup>30</sup> В. Я. Тенцов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 63.

\* დ. ლობროვოლსკის განცხადებით, სვანეთში მამაკაცები თითქოს თავისით იშვიათად კვდებოდნენ, არამედ ერთმანეთს კლავდნენ, რის გამოც მოხუცებულები არ არიანო (იხ. ЗКОСХ, № 6, 1868, გვ. 209), ასეთივე განცხადებას აკეთებს ნ. დუბროვინი, რომლის მიხედვით „სვანეთში ვერ ნახავთ კაცს, რომელსაც სხვა არ ყავდეს მოკლული“ (იხ. Сванети, *История войны и владычества русских на Кавказе*, I, кн. 2-я, გვ. 111). მსგავს მოსაზრებას გამოთქვამენ: ევვ. კოვალევსკი (*журн. „Вестник Европы“*, III, 1867) და ბორის კოვალევსკი (*Страна снегов и башен, „Прибой“*, 1913). სამწუხაროა, რომ აღნიშნულ უსაფუძვლო და ტენდენციურ მოსაზრებას ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარიც გულუბრყვილოდ იმეორებს, მაგალითად, ვ. ჯაოშვილის და მ. შენგელაის ნარკვევის მიხედვით, სვანეთის მოსახლეობის რიცხობრივი ზრდის ერთ-ერთ დამპარკოლებელ მიზეზს „სისხლის აღების წესი“ და „მეზობელ თემებს შორის დაუსრულებელი შუღლი“ წარმოადგენდა (იხ. სვანეთის მოსახლეობა, კრებულში: *მალაღმთიანი რაიონების ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი*, თბ., 1970, გვ. 61).

3. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 3.

სასწავლო ქსელის ვიწრო მასშტაბის გამო და ამ მხრივ მეფის მთავრობის უმოქმედობაზე<sup>31</sup>.

მიუხედავად ერთგვარი ჩამორჩენისა, XIX ს-ის მიწურულში მარტო ე. წ. ბალსზემო სვანეთში (ბალსქვემოზე მონაცემები არ მოგვებოვება) სოფლის 13 სკოლა არსებობდა (7 საეკლესიო-სამრევლო და 6 საერო), ხოლო ქვემო სვანეთში 4 სკოლა (2 საეკლესიო და 2 საერო). ბალსზემო სვანეთის სკოლებში სულ 419 ბავშვი სწავლობდა, ხოლო ქვემო სვანეთში — 82<sup>32</sup>. იმავე პერიოდისათვის სვანეთში (ბალსქვემო სვანეთის გამოკლებით) საშუალო რიგის სასწავლებელ დამთავრებული 40-ს უდრიდა, ხოლო ქალაქის სხვადასხვა სასწავლებლებში 30-მდე ბავშვი სწავლობდა<sup>33</sup>.

ასეთი იყო 1869 წელს სვანეთში მეფის მთავრობის მიერ შემოღებული სასოფლო-სათემო მმართველობა (აგრეთვე ყრილობისა და მამასახლისის — მახვშის“ ფუნქციები და არსი), რომელმაც მშრომელი მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ შეიტანა.

<sup>31</sup> В. Я. Тепцов, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

<sup>32</sup> ი. გასვიანი, წერილი სვანეთიდან, ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973, გვ. 178—179.

<sup>33</sup> იქვე.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთ-  
 ნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხთა ისტორიის საბრობლე-  
 მო ჟღუღმა

გურამ მანჯგალაძე

უცხოური კაპიტალი ამიერკავკასიაში

(საქციო საზოგადოება „კომპანია ზინგერი“)

საქციო საზოგადოება „საკერავი მანქანების კომპანია ზინგერი“ დაარსდა 1864 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ ჯერსში. მისი დამაარსებელი იყო ვერტიკალურნემისიანი საკერავი მანქანების ერთ-ერთი პირველი გამომგონებელი ი. მ. ზინგერი (1811—1875), რომელმაც ამ სახის პირველი ნიმუში ჯერ კიდევ 1851 წელს შექმნა.

80-იან წლებში ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შეიქმნა კომპანია „ზინგერის“ ფილიალები. მალე რამდენიმე მათგანი იმდენად მომძლავრდა, რომ ფაქტიურად დამოუკიდებელ მონოპოლისტურ გაერთიანებად გადაიქცა. მათ შორის განსაკუთრებით გაძლიერდა გერმანული „ზინგერის“ ფორმა, რომელსაც ამერიკულთან მხოლოდ პროფესიული ურთიერთობა აკავშირებდა, როგორც თანასწორთან თანასწორს. გერმანულმა ფირმამ, რომლის ცენტრალური სამმართველო მთავსებული იყო ქ. ჰამბურგში, 90-იან წლებში წამყვანი პოზიციები დაიკავა ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებზე და წარმატებით უწყვედა კონკურენციას საკერავი მანქანების დამამზადებელ-გამსაღებელ ყველა კაპიტალისტურ გაერთიანებას.

რუსეთის იმპერიაში კომპანია „ზინგერი“, რუსული საქციო საზოგადოების სახით, შეიქმნა 1897 წლის 13 ივლისს, როდესაც მთავრობამ დაამტკიცა მისი წესდება. როგორც ამ წესებიდან ჩანს, თავდაპირველად მისი დამაარსებლები იყვნენ სამი სახელმწიფოს ქვეშევრდომები: ერთი ამერიკელი მოქალაქე, ერთი ინგლისელი და ერთი გერმანელი (ნაიდლინგერი). იურიდიულად მის დამაარსებლად ითვლებოდა ამერიკული ფირმა, მაგრამ ფაქტიურად მთელ მის საქმიანობას უმთავრესად განაგებდნენ გერმანული ფირმის წარმომადგენლები და საერთოდ გერმანელები, რომლებიც თავიდანვე ფორმალურად ჩრდილში იყვნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ახლადშექმნილი რუსული საზოგადოება მხოლოდ და მხოლოდ ამერიკულ ფირმასთან დაკავშირებულად წარმოედგინათ.

ამ პერიოდის რუსეთისათვის „ზინგერის“ მაგალითი არ იყო გამონაკლისი. რუსეთში მრავლად იყვნენ გერმანულ კაპიტალზე დაფუძნებული ფირმები და საწარმოები, რომლებიც სხვა ქვეყნების სახელით მოქმედებდნენ. ხშირად გერმანელები ექსპორტს უწყევდნენ სხვის კაპიტალს რუსეთში და თვით გამოდიოდნენ შუამავლის როლში. „არის ბევრი მანქანათმშენებელი ქარხანა, — ვკითხულობთ ერთ-ერთ გაზეთში, — რომელთაც სხვადასხვა ნიშნით, ჩვეულებრივ მიაკუთვნებდნენ რუსულ, ბელგიურ, ფრანგულ საწარმოებს. მაგრამ ყურადღებით შემოწმებისას აღმოჩნდება ხოლმე, რომ მათი ზემოქმედანელები და გარკვეული სახით მსხვილი აქციონერები არიან გერმანელე-

ბი. ეს, ერთი შეხედვით უცნაური ფაქტი, აიხსნება იმით, რომ ხშირად ბელ-გოური ან ფრანგული საწარმოს დაარსებისას შუამავლები არიან გერმანელები, რომლებიც გაცილებით უკეთ იცნობენ ადგილობრივი რუსული ბაზრის პირობებს, ვიდრე ყოველი სხვა უცხოელი. შემდგომში შუამავალი — გერმანელები აღმოჩნდებიან ასეთი საწარმოების სათავეში<sup>1</sup>.

XIX ს-ის 90-იანი წლებიდან გერმანია-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა ძალზე გამწვავდა და თითქმის საბაჟო ომის ხასიათი მიიღო. გერმანიის მემამულურ-იუნკარული წრეების ინტერესებისათვის გაიზარდა საბაჟო ტარიფი შემოტანილ სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, რაც დიდ ზიანს აყენებდა რუსეთის ექსპორტს. ამის საპასუხოდ რუსეთმა გააძლიერა ბაჟები გერმანიიდან შემოტანილ სამრეწველო ნაწარმზე. ეკონომიკურ წინააღმდეგობათა გამწვავებამ გააძლიერა, ისედაც საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური წინააღმდეგობა.

სულ სხვა ვითარება იყო რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში. ცალკეულ წინააღმდეგობათა მიუხედავად XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე აშშ-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობა ფართოვდებოდა. ამას ხელს უწყობდა ორივე ქვეყნის მისწრაფება გამოყენებინა პარტნიორის ეკონომიკის თავისებურება. რუსეთი ცდილობდა ევროპის კაპიტალთან შედარებით თავისთვის უფრო ხელსაყრელ პირობებში მოეზიდა ამერიკის კაპიტალი, ხოლო აშშ სულ უფრო და უფრო მეტ დანიტერესებას იჩენდა რუსეთის ბაზრით. რუსეთის მთავრობა შეღავათიან პირობებს უქმნიდა ამერიკას ქვეყნის შიგნით ვაჭრობისათვის. ასე მაგალითად, 1905 წელს რუსეთის მთავრობამ, ს. ი. ვიტეს ინიციატივით, კვლავ განაახლა შეღავათიანი ტარიფი რუსეთში ამერიკული მანქანებისა და ლითონის ნაწარმის შემოსაზიდად. რუსეთ-აშშს ეკონომიკური დაახლოება განსაკუთრებით სწრაფი ტემპით ვითარდება პირველი მსოფლიო ომის წინ. ამერიკაში გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემებით, 1912 წლისათვის აშშ-მ რუსეთში თავის ექსპორტის მოცულობით უკან მოიტოვა ინგლისი და ჩამორჩებოდა მხოლოდ გერმანიას.

„ზინგერის“ საზოგადოება თავდაპირველად შექმნილი იყო სავაჭრო ფირმის სახით, რომლის სააქციო კაპიტალი შედგებოდა 50 000 თითოეული ათასმანეთიანი აქციისაგან, ე. ი. მთელი მისი სააქციო კაპიტალი უდრიდა 50 000 000 მანეთს.

როგორც წესდებაში იყო ნათქვამი ახლად დაარსებული საზოგადოების მიზანი იყო სხვადასხვა სახის საკერავი მანქანების დამზადება (რუსეთში 1902 წლიდან) და ამ მანქანებით ვაჭრობა.

საზოგადოების აქციები მთლიანად უცხოელთა ხელში იყო. საზოგადოების ხელმძღვანელობის ოფიციალური განმარტებებით (განსაკუთრებით მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ) აქციებს თითქმის მთლიანად ფლობდნენ ამერიკის შიგნით მდებარე მანქანების და დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომები. დოკუმენტალურად ამის დადგენა საკმაოდ ძნელდება, რადგან აღნიშნული აქციების კოტირება არც ერთი ქვეყნის ბირჟაზე არ ხდებოდა. მაგრამ ზოგიერთი მონაცემი მიგვანიშნებს, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გერმანელთა ხელში უნდა ყოფილიყო.

<sup>1</sup> „Торгово-промышленная газета“, 1913, № 86.

1900 წელს სააქციო საზოგადოება „კომპანია ზინგერმა“ მოსკოვის გუბერნიის ქალაქ პოდოლსკში ტროიცკის სატყეო აგარაკზე შეიძინა მიწის ნაკვეთი, საკერავი მანქანების და მისი ნაწილების დამამზადებელი ქარხნის ასაგებად. 1902 წლიდან ქარხანა ამუშავდა<sup>2</sup>. პირველ ხანებში ქარხანაში წარმოებდა მანქანების აწყობა მხოლოდ საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნაწილებით. მომდევნო წლებში ქარხანა თანდათან გაფართოვდა: თვით იწყებს ნაწილების დამზადებას და მანქანების გამოშვებას.

პოდოლსკის ქარხანა უშვებდა მხოლოდ საოჯახო საკერავ მანქანებს. სპეციალურ სახელოსნო მანქანებს ქარხანა არ ამზადებდა. ამის მიზეზი იყო, როგორც ამ მანქანების მექანიზმების სირთულე და განუწყვეტელი კონსტრუქციული სრულყოფა, ისე მათზე მოთხოვნილების სიმცირე. ასეთი მანქანები „კომპანია ზინგერს“ გამზადებული სახით შემოჰქონდა საზღვარგარეთიდან. პოდოლსკის ქარხანა, რა თქმა უნდა მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა რუსეთის იმპერიის მოთხოვნილებას საოჯახო საკერავ მანქანებზეც, რომლის დიდი ნაწილი, „კომპანია ზინგერს“, მთელი მისი საქმიანობის მანძილზე ასევე საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა. პოდოლსკის ქარხანა, იმ დროს რუსეთში, ითვლებოდა ერთ-ერთ მოწინავე, სანიმუშო საწარმოლ<sup>3</sup>.

წესდების 23-ე მუხლის თანახმად სააქციო საზოგადოება „კომპანია ზინგერის“ მთელ საქმიანობას წარმართავდა მთავარი სამმართველო ხუთი დირექტორის შემადგენლობით. 1912 წლამდე სამმართველო იმყოფებოდა პეტერბურგში, ნევის პროსპექტზე (№ 28) აგებულ საკუთარ ფეშენებელურ სახლში, იქ სადაც ამჟამად მოთავსებულია წიგნთა პალატა. 1912 წლიდან იგი გადაიტანეს მოსკოვში და მოათავეს ძველ მოედანზე (№ 8). სამმართველოს დირექტორთა შემადგენლობაში ძირითადად გერმანული წარმოშობის პირები შედიოდნენ.

„კომპანია ზინგერი“, სხვა წამყვანი საზღვარგარეთული ფირმების მზგავსად, რუსეთის იმპერიაში ვაჭრობას აწარმოებდა პრინციპით: ყოველგვარი საქონელი საკუთარ მალაზიებსა და საკუთარი თანამშრომლების საშუალებით მიეყიდოს უშუალოდ მომხმარებლებს, ყოველგვარი გადაამყიდველებისა და შუამავლების გარეშე. ეს მეთოდი ყველაზე სრულყოფილად ითვლებოდა იმ დროის მოწინავე კაპიტალისტურ ფირმებში. „კომპანია ზინგერი“ რუსეთის იმპერიის საკმაოდ დაბალ მყიდველობითუნარიან მოსახლეობაში საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობით გასავრცელებლად ფართოდ მიმართავდა კრედიტით (განვადებით) ვაჭრობას. ამის საშუალებას მას აძლევდა უცხოეთის ბანკებთან მჭიდრო კავშირი. კრედიტი ორი სახის იყო: მოკლევადიანი (სამი თვის ხანგრძლიობით) და გრძელვადიანი (6 თვისა და მეტი ხანგრძლიობით).

„კომპანია ზინგერი“ საკერავი მანქანებით ვაჭრობას აწარმოებდა, როგორც მალაზიების, ისე ამკრეფების (აგენტების) მეშვეობით. აგენტებს პირადად ეძლეოდათ მანქანების გარკვეული რაოდენობა და ისინი ვალდებულნი იყვნენ დილის რვა საათზე გამოცხადებულიყვნენ სამსახურში და გვიან დაღამებამდე თავიანთ სამოქმედო უბანზე კარდაკარ ევლოთ და გაესაღებინათ

<sup>2</sup> საქ. სსრ ცსსა, ფ. 120, ანაწ. I, საქმე 58, ფურც. 2—3.

<sup>3</sup> Л. Я. Эвентов, Иностраные капиталы в русской промышленности, 1931, 23, 71.

თვეში არანაკლები ოთხი საკერავი მანქანისა; ყოველ გაყიდულ მანქანაზე უნდა გაესაღებინათ სათადარიგო ნაწილებისა და ძაფის გარკვეული რაოდენობა, რომელიც თან უნდა ეტარებინათ. აგენტებს ეკრძალებოდათ ყოველგვარი სხვა საქმიანობის შეთავსება „კომპანია ზინგერში“ მუშაობასთან. ადმინისტრაციას თავისი შეხედულებით შეეძლო აგენტის ადგილგადასაცვლება ერთი ქალაქის ან მაზრის ფარგლებში. აღნიშნული სამუშაოს შესრულებისათვის კომპანიის აგენტები იღებდნენ ხელფასს კვირაში ოთხ მანეთს და ხუთ პროცენტს ყოველ გაყიდულ მანქანაზე. თითქოს „კომპანია ზინგერში“ მუშაობის პირობები არ იყო ცუდი. მართლაც, მთელი მისი არსებობის მანძილზე „ზინგერს“ სხვა „დამსახურებებთან“ ერთად თავი იმით მოჰქონდა, რომ „საკმაოდ კარგ პირობებში ამუშავებდა და არსებობის საშუალებას უქმნიდა“ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფს. მაგრამ სინამდვილეში აგენტების მდგომარეობა გაცილებით რთული და მძიმე იყო, ვიდრე ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რაც შემდგომში არაერთხელ გახდა მიზეზი კონფლიქტისა ერთი მხრივ, მატერიალურად შევიწროებულ და მძიმე პირობებში მყოფ მშრომელ აგენტებსა და მეორე მხრივ, ადმინისტრაციას (ცენტრალური განყოფილებებისა და დეპოების ხელმძღვანელობა) შორის, რომელიც სულ სხვა უცხო ელემენტისაგან შედგებოდა. თვეში ოთხი და მეტი მანქანისა და მათი დანამატების გაყიდვა რუსეთის იმპერიაში „კომპანია ზინგერისადმი“ კონკურენციის არარსებობის პირობებში, თვით მოსახლეობის დაბალმყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით, თითქოს არ იყო ძნელი საქმე, მაგრამ აგენტებს სასტიკი კონკურენციის უწყევლა... თვით „კომპანია ზინგერი“ — მისი მალაზიების სახით. საქმე ის არის, რომ მყიდველისათვის მალაზიებში საკერავი მანქანების ფასები და განვადებით გაყიდვის პირობები მნიშვნელოვნად უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე ეს აგენტებს ჰქონდათ პრესკურანტი მიცემული და აგენტები ყოველი კონფლიქტის დროს თავისი მოთხოვნილებების ერთ-ერთ მუხლად აყენებდნენ ერთიანი ფასების შემოღებას მათთვის და მალაზიებისათვის.

„კომპანია ზინგერი“ სრულიადაც არ ქმნიდა სამოთხეს თავისი აგენტებისათვის, როგორც აშას არაერთხელ ამტკიცებდა მთავრობისადმი განცხადებებში, თუ პრესის ფურცლებზე. „ზინგერის“ აგენტები იმდროინდელი დოკუმენტებისა და პრესის მოწმობით მოსახლეობის ყველაზე უფრო ექსპლუატირებულ, დაჩაგრულ და დამცირებულ ნაწილს მიეკუთვნებოდნენ.

აი როგორ ახასიათებდა, მაგალითად, „კომპანია ზინგერის“ აგენტს ამიერკავკასიის იმდროინდელი პრესის ერთ-ერთი ორგანო: „ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა, რომელიც გაზეთებს კითხულობს, იცის თუ რას წარმოადგენს კომპანია ზინგერის თანამშრომელი. ეს არის აბსოლუტურად დამონებული და უკიდურესად ექსპლუატირებული არსება. თქვენ ყველამ იცით ეს ზინგერის აგენტები, გაყვითლებული ქვაბ-ქუდებით (котелок), ცვეთილი ჩექმებით, რომ დააბიჯებენ თვალუწვდენელი რუსეთის სოფლებში აგროვებენ კომპანია ზინგერისათვის ერთგულ ქვეშევრდომებს და იღებენ ამისათვის ზუსტად იმდენს, რამდენიც საჭიროა იმისათვის რომ შიმშილით არ დაიხოცონ.

კომპანია ზინგერის აგენტი — ეს საცოდავი, ყველასაგან დავიწყებული და დაჩაგრული არსებაა, რომელიც ვალდებულია, რაც არ უნდა დაუჯდეს გაყიდოს ყოველგვარეულად მანქანებისა და მოწყობილობის გარკვეული რაოდენობა და ყურადღება მიაქციოს გადამხდელთა კეთილდღეობას. აგენტის სი-

ცოცხლე ისეა რეგლამენტირებული, რომ იგი მთლიანად ეკუთვნის კომპანია ზინგერს.

ზინგერი... უზარმაზარი რვაფეხაა, რომელმაც თავისი საცეცები შემოხვია მთელ რუსეთს და ათეულ ათასობით მშვიერი ადამიანი აქცია თავისი გეგმების შემსრულებლად<sup>4</sup>.

„კომპანია ზინგერის“ მოგების უდიდეს ნაწილს მისი აქციების მფლობელი, რუსეთის ხელისუფლება და ადმინისტრაცია ინაწილებდნენ ხოლო მანქანების უშუალო მწარმოებელ-გამსაღებლები მხოლოდ საარსებო გროშებს იღებდნენ. დიდი იყო განსხვავება ადმინისტრაციისა და რიგით თანამშრომელთა (აგენტების) შრომის ანაზღაურებას შორის, პირველთა ხელფასი უკანასკნელთა ხელფასზე ხშირად 25-ჯერ მეტი იყო<sup>5</sup>.

რუსეთის იმპერიის ტერიტორია „კომპანია ზინგერის“ ქსელში იყო გახვეული. არ იყო იმპერიის არც ერთი მივარდნილი კუთხე, სადაც „ზინგერის“ აგენტთა საქმიანობა არ იყო გაშლილი. ამ მხრივ ძნელია მოინახოს სხვა რომელიმე რუსული ან უცხოური კომპანია, რომელიც „ზინგერს“ შეედარებოდეს. მაგალითად, პატარა ქალაქ ვერნში, რომლის მოსახლეობა იმ დროისათვის 40 000 კაცს არ აღემატებოდა, „კომპანია ზინგერის“ მხოლოდ 21 ამკრეფი საქმიანობდა. პირველი მსოფლიო ომის წინ ქ. თბილისსა და ბაქოში „ზინგერის“ 201—201 თანამშრომელი ირიცხებოდა, ქუთაისის გუბერნიაში — 187 თანამშრომელი<sup>6</sup> „ზინგერის“ აგენტები აქტიურად საქმიანობდნენ ისეთ მივარდნილ კუთხეშიც კი, როგორც საინგილო იყო<sup>7</sup>. საერთოდ, ამიერკავკასიაში პირველი მსოფლიო ომის წინ „ზინგერის“ თანამშრომელთა რიცხვი 800 აღემატებოდა. ხელმძღვანელი თანამდებობის პირთაგან განსხვავებით ამკრეფთა (აგენტთა) უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეობისაგან იმიტომაც ინიშნებოდა, რომ, როგორც თვით კომპანიის მიერ მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათშია აღნიშნული, მათ კარგად უნდა სცოდნოდათ ის ენა, რომელიც საჭირო იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობისათვის; ამ მომენტს „ზინგერის“ მმართველობა ქვეყნის წინაშე თავის დიდ დამსახურებად თვლიდა და იქვე პირფერულად აღნიშნავდა „ზოგჯერ, ადგილზე გამოცდილ მოსამსახურეთა უკმარისობის გამო, იქ გადაგყავს გამოცდილი მოსამსახურენი სხვა ადგილებიდან, მაგრამ რა თქმა უნდა ისეთ თანამდებობებზე, რომლებზეც საჭირო არ არის ადგილობრივი ენის ცოდნა ასევე ყველგან გეყავს მცირე რაოდენობით უცხოეთის (უმთავრესად გერმანიის. — გ. მ.) ქვეშევრდომები, რომლებსაც მათი სპეციალობებისა და ცოდნის მიხედვით საჭიროებს ასეთი ფართო საქმე, მაგრამ მათი რიცხვი, მოსამსახურეთა საერთო რიცხვთან შედარებით უმნიშვნელოა“.

პირველი მსოფლიო ომის წინ „კომპანია ზინგერის“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი, მთელ რუსეთის იმპერიაში შეადგენდა 30 328 კაცს, მათ შორის 5614 პოდოლსკის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი იყვნენ<sup>8</sup>. ამ რი-

4 Газ. „Касий“, от 9 августа 1915 года.

5 საქ. სსრ ცსსა, ფ. 190, ანაწ. 1, საქ. 4, ფურც. 1; საქ. 17, ფურც. 1—3; საქ. 20, ფურც. 1—3.

6 საქ. ცსსა, ფ. 153, ანაწ. 1, საქმე 28601<sup>2</sup>, ფურც. 4—10; ფ. 190, ანაწ. 1, საქ. 53, ფურც. 1—5; ფ. 13; ანაწ. 27, საქ. 3642, ფურც. 20.

7 იქვე, ფ. 153, ანაწ. 1, საქ. 28601<sup>2</sup>, ფურც. 36.

8 იქვე, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3658, ფურც. 2.

ცხვიდან კომპანიის მონაცემებით მხოლოდ 131 კაცი იყო გერმანიის ქვეშევრდომი, რაც თითქოს კომპანიაში გერმანელთა მცირე გავლენის დამადასტურებელი იყო, მაგრამ სინამდვილეში გერმანელთა რიცხვი კომპანიაში გაცილებით მეტი იყო, რადგან მათ რიცხვში არ შედიოდნენ არა მარტო რუსეთის ქვეშევრდომი გერმანელები, არამედ თვით ორმაგი ქვეშევრდომობის მქონე გერმანიიდან გამოსული პირები, რომელთა რიცხვი კომპანიის შემადგენლობაში საკმაოდ დიდი იყო. ასე მაგალითად, თბილისის ცენტრალურ განყოფილებაში მთელი მისი არსებობის მანძილზე, ასეთი პირები უდგნენ სათავეში<sup>9</sup>.

მთელი ამიერკავკასია გაყოფილი იყო „კომპანია ზინგერის“ ორი ცენტრალური განყოფილების — თბილისისა და ბაქოს სამოქმედო ასპარეზზე. თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველს ევალებოდა ორივე განყოფილების მუშაობის კოორდინირება.

ზინგერის ცენტრალური განყოფილებების სამოქმედო ზონების საზღვრები აბსოლუტურად როდი ემთხვეოდა გეოგრაფიულ, ადმინისტრაციულ, ეთნიკურ და ან თვით სახელმწიფო საზღვრებს. თბილისის ცენტრალური განყოფილების საქმიანობის არე განსაზღვრული იყო თბილისის გუბერნიით, ქუთაისის გუბერნიით (ბათუმისა და სოხუმის ოლქების ჩათვლით) ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების ნაწილით, ქ. თავრიზით (სპარსეთი). ბაქოს ცენტრალური განყოფილების სამოქმედო ტერიტორიაში შედიოდნენ: ბაქოს გუბერნია, ელისავეტპოლისა და ერევნის გუბერნიების ნაწილი, დაღესტნის ოლქი და თერგის ოლქის აღმოსავლეთი ნაწილი, ბაქოს ცენტრალურ განყოფილებასავე ემორჩილებოდნენ რეშტა და თერაზში (სპარსეთი) არსებული დეპოები (მაღაზიები).

თბილისისა და ბაქოს ცენტრალურ განყოფილებებში შემავალი დეპოების რიცხვი სხვადასხვა წლებში შეადგენდა 20—26 ერთეულს.

9 1906 წლის დასაწყისამდე „კომპანია ზინგერის“ თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველი იყო შრედერი. 1906 წლის დასაწყისში თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველად დაინიშნა კოცი. „კომპანია ზინგერის“ თანამშრომლებში ამ დროს ფართოდ იკიდებნ ფეხს რევოლუციურ-საბორტისტო მოძრაობა. 1906 წლის დასაწყისში ეს მოძრაობა ფართო ხასიათს იღებს. მმართველი კოცი დარწმუნდა რა რომ უძლური იყო ამ მოძრაობის ჩახშობაში, მისივე თხოვნით გაათავისუფლეს თანამდებობიდან. მის ადგილზე მთავარმა სამმართველომ გამოგზავნა კოზენი. მან მკაცრი ზომები გაატარა რევოლუციურ თანამშრომელთა მიმართ. კოზენის ასეთმა მოქმედებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია თანამშრომლებში, რის გამოც 1906 წლის 12 დეკემბერს იგი მოკლეს. მის მკვლელობაში მონაწილეობდნენ თბილისის რკინიგზის სადგურთან მდებარე „ზინგერის“ დეპოს აგენტები: მიქაძე, ახვლედიანი და საკანდელიძე.

მოკლული კოზენის ნაცვლად თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველად დაინიშნეს ერნსტი. ერნსტმა ვერ შეძლო თანამშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ჩაქრობა. სიცოცხლისადმი საფრთხის შიშით შეპყრობილი, იგი ვერ ახორციელებდა რადიკალურ ღონისძიებებს, რის გამოც მთავარმა სამმართველომ 1907 წლის აგვისტოში იგი თანამდებობიდან გაათავისუფლა. აღნიშნული სიტუაციით შეშფოთებულმა „ზინგერის“ ცენტრალურმა ადმინისტრაციამ უშუალოდ თავის ხელში აიღო თბილისის განყოფილების საქმიანობის წარმართვა: თბილისის ცენტრალური განყოფილების მმართველად გადმოიყვანეს მთავარი სამმართველოს აპარატის მუშაკი მუსკატი, ხოლო მის დასახმარებლად მთელ ამიერკავკასიაში „ზინგერის“ დაწესებულებების საქმიანობის საკოორდინაციოდ სამმართველოს მთავარი ბუღალტერი პეტერბურგში ელსტე.

პირველი მსოფლიო ომის წინა ხანებში მუსკატი შეცვალა ლევიჩმა, რომელიც ამ პოსტზე იმყოფებოდა ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ, კომპანიის ნაციონალიზაციამდე.

ფართოდ დაქსელილი და მწყობრი ორგანიზაციის არსებობა ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიასა და ამიერკავკასიაში „კომპანია ზინგერის“ სულ უფრო მზარდ სავაჭრო ბრუნვას. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში „ზინგერის“ საქმიანობის პირველი ათწლედი დაემთხვა კრიზისულ პერიოდს, მისი ვაჭრობა განუხრელად ფართოვდებოდა და იზრდებოდა.

გ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1897 წ. წერდა: „საჭირო არ არის წინასწარმეტყველი იყო, რომ წინასწარ განჭვრიტო ის აუცილებელი კრაზი (ცოტად თუ ბევრად მძაფრი), რომელიც უნდა მოჰყვეს მრეწველობის ამ „აყვავებას“<sup>10</sup>. კრიზისის პირველმა სიმპტომებმა რუსეთში თავი იჩინა ჯერ კიდევ 1899 წლის ზაფხულში, როდესაც „კომპანია ზინგერი“ სულ ორი წლის ჩამოყალიბებულ იყო და ახლად შლიდა თავის საქმიანობას. კრიზისმა გამოიწვია მთელი რიგი საბანკო და სამრეწველო ფირმების კრაზი. მათ შორის განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო სარკინიგზო მავანტების ფონ დარვიზის და მამონტოვის, სამხრეთ რუსეთის მსხვილი მეწარმის ალჩევსკის და სხვ. კრაზი. ქვეყნის შიგნით არსებული ფეოდალურ-ბატონყმური გადმონაშთებით განპირობებული შინაგანი ბაზრის სივიწროვე, სხვა ქვეყნებთან შედარებით, განსაკუთრებით ამწვავებდა კრიზისს რუსეთში. კრიზისის გამწვავებას აგრეთვე ხელი შეუწყო წინა პერიოდის საგრიუნდერო ციებ-ცხელებამ. ყველაზე ძლიერ კრიზისმა შეარყია ლითონდამმუშავებელი და მეტალურგიული მრეწველობა. კრიზისის წლებში თუჯის გამოდნობა შემცირდა 15,2 პროცენტით, რელსების წარმოება 32 პროცენტით, ორთქმავლების გამოშვება 25 პროცენტით. კრიზისის გავლენა კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, რომ კაპიტალისტურ გაერთიანებებს ხაზინა არ დახმარებოდა, ხაზინის დახმარებით, რომელმაც დიდი სახელმწიფო შეკვეთები გასცა, კრაზი აიცილეს თავიდან მთელმა რიგმა მსხვილმა საბანკო და სამრეწველო საწარმოებმა (მათ შორის პოლიაკოვის საბანკო ჯგუფმა).

1904 წელს დაწყებულმა რუსეთ-იაპონიის ომმა, მნიშვნელოვნად გაადიდა სახაზინო შეკვეთების მოცულობა და ხელი შეუწყო რუსეთის მრეწველობის ნაწილობრივ გამოცოცხლებას. მაგრამ შემდგომში, 1905 წლის ამბებში, დააფრთხეს უცხოელი და რუსი კაპიტალისტები და ისინი თავს იკავებენ რუსეთის მრეწველობაში ახალი კაპიტალდაბანდებებისაგან. 1906—1907 წლებში დაიწყო ერთგვარი გამოცოცხლება, მაგრამ 1908 წელს ევროპის ქვეყნებში დაწყებული სამრეწველო კრიზისი რუსეთსაც მოეღო.

ამრიგად, „კომპანია ზინგერის“ საქმიანობის პირველ ათწლეულში რუსეთის ეკონომიკა შევიწროებულ მდგომარეობაში იყო, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ „ზინგერი“ განსაკუთრებულ ვითარებაში იმყოფებოდა. როგორც აღვნიშნეთ, „ზინგერი“ თავის არსებობის პირველ წლებში, კრიზისული სიტუაციის მიუხედავად, საკმაოდ კარგად აწარმოებდა ოპერაციებს და მნიშვნელოვან მოგებას ღებულობდა. ეს კი განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

1. რუსეთის იმპერიის შიდა ბაზარზე „ზინგერს“ საკერავი მანქანებით ვაჭრობაში მონოპოლიური მდგომარეობა ეკავა. იგი იყო ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ მანქანებით ვაჭრობას ეწეოდა და მას თითქმის არ ჰყავდა კონკურენტები.

2. „კომპანია ზინგერი“ აბსოლუტურად იზოლირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა რუსეთის სამრეწველო-საბანკო კაპიტალთან. მას არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდა რუსეთში მოქმედ რუსულ ან უცხოურ ბანკებსა და კაპიტალისტურ საზოგადოებებთან, რის გამოც ნაკლებად ვანიცდიდა კრიზისის გავლენას. ამასთანავე ძალზე მაღალი დივიდენდი და მით განპირობებული საზღვარგარეთის მძლავრი ფინანსური ჯგუფების მხარდაჭერა, მას საშუალებას აძლევდა ფართოდ ევაჭრა კრედიტით, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მისი საქონლის გასაღებას.

3. იმ პერიოდში რუსეთის იმპერიაში სუსტად იყო განვითარებული სამკერვალო მრეწველობა. ამიტომ საკერავი მანქანების მყიდველები ძირითადად კერძო პირები იყვნენ — როგორც მდიდარი კლასების, ისე წვრილი ბურჟუაზიის, მუშათა და გლეხობის წარმომადგენლები. საერთოდ მანქანური წარმოება, საკერავი მანქანა განუზომლად უფრო წარმადი იყო ხელით კერვასთან შედარებით. იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით დროს და სახსრებს უზოგავდა ყოველ ოჯახს. ამასთან ერთად იმ დროისათვის მანქანების მაღალი ხარისხი და საიმედოობა მუშაობაში დიდ პოპულარობას უხვევდა მათ. კერვაში გარკვეული დაოსტატება, მანქანას არა მარტო ეკონომიის, არამედ შემოსავლის წყაროდაც აქცევდა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დაბალი კლასების წარმომადგენელთათვის (ხელმოკლე ოჯახები, მარტოხელა ქალები და ა. შ.). საკერავი მანქანა იმდენად პოპულარული გახდა, რომ იგი ერთ-ერთ მდიდრულ ნივთად ითვლებოდა ქალის მზითვში. საკუთარი საქონლის პოპულარობისათვის ფართოდ ზრუნავდა „კომპანია ზინგერი“ პრესის, ბუკლეტების, საოჯახო კალენდრების გამოცემით და სხვ. იგი ფართო რეკლამას უწევდა საკუთარ ნაწარმს.

აღნიშნული განსაკუთრებული პირობების შედეგად „კომპანია ზინგერი“ ამ კრიზისულ წლებშიც აფართოებდა თავის საქმიანობას და მნიშვნელოვნად მოგებას იღებდა.

1905 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე ამიერკავკასიაში (ქალაქები თბილისი, ბაქო, ბათუმი, ელისავეტპოლი, ქუთაისი, ერევანი, სოხუმი, ყარსი, ფოთი, ალექსანდროპოლი, დერბენტი, შუშა, მათი მიმდებარე ტერიტორიებით) გაიყიდა 8 344 მანქანა, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 586 317 მან. და 12 კაპ. ახალ საკერავ მანქანებთან ერთად უმნიშვნელო რაოდენობით (1—3%) იყიდებოდა დაბრუნებული ძველი და ხელახლა შეკეთებული მანქანებიც. 1906 წლის მხოლოდ იანვარში ამიერკავკასიაში გაიყიდა 892 საკერავი მანქანა — 61 448 მანეთის და 41 კაპ. ღირებულების. 1907 წელს ამიერკავკასიაში გაიყიდა 12 410 საკერავი მანქანა, რომელთა საერთო ღირებულება შეადგენდა 1 027 581 მან. და 43 კაპ. 1908 წელს მხოლოდ თბილისის ცენტრალურმა განყოფილებამ გაიყიდა 7 749 მანქანა, 555 054 მან. და 06 კაპ. საერთო ღირებულების<sup>11</sup>.

კრიზისისა და დეპრესიის წლებში კიდევ უფრო გამოამჟღავნა რუსეთის მრეწველობის ცალკეული დარგების (მანქანათმშენებლობა, ელექტროინდუსტრია და სხვ.) და ტრანსპორტის განვითარების ცალხმრივი ხასიათი. „უცხოეთის კონცერნები რუსეთში ქმნიდნენ შვილობილ საზოგადოებებს, რომელთაც

<sup>11</sup> საქ. სსრ ცსსა, ფ. 190, ანაწ. I, ს. 3, ფურც. 15; საქ. 5, ფურც. 1; საქ. 8, ფურც. 19—20; საქ. 11, ფურც. 23—24.



შესაძლებლობა ეძლეოდათ გამოსულიყვნენ „სამამულო მრეწველობის“ დრო-  
შით და მოეთხოვათ ხელისუფალთა მფარველობა და დახმარება<sup>12</sup>. ასეთ პო-  
ლიტიკას, მთელი მისი არსებობის მანძილზე ახორციელებდა „კომპანია ზინგე-  
რიც“. ზემოთ აღნიშნულმა მიზეზებმა და ხელისუფლების ორგანოების ყო-  
ველმხრივმა დახმარებამ შესაძლებლობა მისცა „კომპანია ზინგერს“ თითქმის  
სტაბილურად, ყოველგვარი ჩავარდნების გარეშე ეწარმოებინა თავის საქმიან-  
ობა. მოყვანილი ციფრობრივი მონაცემებიდან ჩანს, რომ კრიზისულ წლებ-  
შიც კი საქონლის გასაღების შეფერხებას და შემოსავლის კლებას, რომელსაც  
აცხადებდნენ „ზინგერის“ ხელმძღვანელები, ადგილი არ ჰქონია. ხანგრძლივი  
შეფერხების შემდეგ, 1909—1910 წლებიდან რუსეთის ეკონომიკის განვითარე-  
ბაში დაიწყო ახალი სამრეწველო აღმავლობა, რომელიც თითქმის მსოფლიო  
ომის დაწყებამდე გრძელდებოდა.

ამ წლებში რუსეთის იმპერიის ეკონომიკაში კვლავ დიდ როლს ასრუ-  
ლებდა უცხოური კაპიტალი. „მთელი მსოფლიო კაპიტალიზმი, საერთაშორი-  
სო აღებ-მიცემობის მთელი ძალა, ყველა ქვეყნის ბურჟუაზიის მილიარდო-  
ბით კაპიტალების მთელი ძლიერება თან ეზიდება რუსეთს, ასაზრდოებს და  
ესმარება მის ბურჟუაზიას“<sup>13</sup>.

ახალი სამრეწველო აღმავლობის პერიოდში წარმატებით ავითარებდა თა-  
ვის საქმიანობას „კომპანია ზინგერიც“<sup>14</sup>. ამის საილუსტრაციოდ კარგ მასალას  
წარმოადგენს თბილისის ცენტრალური განყოფილების სტატისტიკური მონა-  
ცემები: 1909 წ. თბილისის ცენტრალურმა განყოფილებამ (თბილისის სამი  
მლაზია, ალექსანდროპოლის, ახალციხის, ართვინის, ბათუმის მიხაილოვოს  
(ხაშურის), გორის, შუშის, ელისავეტპოლის, სამტრედიის, ყვირილის, ხონის,  
ლანჩხუთის, ქუთაისის, ოზურგეთის, ოჩამჩირის, ფოთის, სიღნაღის, სოხუმის,  
თელავის, ნუხის, ნახჭევანის, ერევანის, თავრიზის, დეპოები) გაყიდა 10 598 მან-  
ქანა 794 198 მან. და 80 კაპ. ღირებულების. 1910 წელს თბილისის ცენტრა-  
ლურმა განყოფილებამ გაყიდა 13 636 მანქანა, რომელთა საერთო ღირებულე-  
ბა შეადგენდა 1 101 917 მან. და 36 კაპ. (მათ შორის თავრიზის დეპომ გაყი-  
და 182 მანქანა 18 752 მან. და 82 კაპ. საერთო ღირებულების). 1911 წელს—  
15 034 მანქანა 1 255 667 მან. და 21 კაპ. საერთო ღირებულების (მათ შორის  
თავრიზში გაიყიდა 174 მანქანა 14 624 მან. და 59 კაპ. საერთო ღირებულე-  
ბის). 1912 წელს — 15 675 მანქანა 1 382 386 მან. და 79 კაპ. (მათ შორის თავ-  
რიზში გაიყიდა 251 მანქანა 24 211 მან. საერთო ღირებულების)<sup>15</sup>. ამავე

<sup>12</sup> В. С. Дякин, Германские капиталы в России. Л., 1971, стр. 130.

<sup>13</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 445.

<sup>14</sup> ისეთი ავტორიტეტული მკვლევარი, როგორც ლ. ი. ვენტოვია, წერს, რომ 1912 წ. მთელი რუსეთის იმპერიაში გაიყიდა 22 224 საკერავი მანქანა, რომელთაგან 12 129 რუსეთში დაამზადეს, ხოლო 8 095 საზღვარგარეთიდან შემოზიდეს (Л. Я. Эвентов, Иностранные капиталы в русской промышленности. 1931, стр. 69). ეს მონაცემები ძალზე შემცირებულია რადგან შეუძლებელია, რომ თბილისის გუბერნიაში გაყიდულიყო 15 675 საკერავი მანქანა მთელი რუსეთის იმპერიაში გაყიდული 22 224 მანქანიდან. ამ უკანასკნელზე მეტად 1912 წელს, ალბათ, ამიერკავკასიაში გაიყიდა. ეს შემთხვევა მიუთითებს, რომ როგორ ფრთხილად და ყურადღებით უნდა მოვეყვილოთ რუსეთში მოქმედი სააქციო საზოგადოებების შესახებ არსე-  
ბულ სტატისტიკურ მონაცემებს.

<sup>15</sup> სსსრ ცსსა, ფ. 190, საქმეები 15, 17, 22, 26.

პერიოდში წარმატებით ვაჭრობდა ბაქოს ცენტრალური განყოფილებაც. 1909—1914 წლებში იგი ყოველწლიურად 14—18 ათას მანქანას ყიდდა<sup>16</sup>.

ამრიგად, როგორც მონაცემებიდან ჩანს „კომპანია ზინგერის“ ვაჭრობა და მოგება ამიერკავკასიაში განუხრელად იზრდებოდა. ვაჭრობის ზრდას ვერ აფერხებდა საკერავი მანქანების საშუალო ფასის (აგენტებისა და მალაზიების მიერ გაყიდული სხვადასხვა ტიპის მანქანების საშუალო ფასი) პროგრესული ზრდა<sup>17</sup>. თბილისის ცენტრალური განყოფილებისათვის ეს შემდეგი მონაცემებით გამოიხატებოდა: 1910 წელს გაყიდული მანქანების საშუალო ფასი შეადგენდა 74 მან. და 74 კაპ.; 1911 წელს გაყიდული მანქანებისა — 78 მან. და 83 კაპ. 1912 წელს გაყიდული მანქანებისა — 82 მან. და 59 კაპ.<sup>18</sup>.

„ზინგერის“ საქმიანობა ამიერკავკასიაში წარმატებით ვითარდებოდა მიუხედავად იმისა, რომ გაყიდული მანქანების საშუალო ფასები ყოველწლიურად იზრდებოდა. საშუალო ფასების ზრდა გამოწვეული იყო როგორც მანქანათა კონსტრუქციების გაუმჯობესებით და უფრო მაღალფასიანი (ფეხის საკერავი და სპეციალური) მანქანების გასაღების გაზრდით, ისე მანქანებზე არსებული ფასების გადიდებით.

„ზინგერის“ მთავარმა სამმართველომ თავის ცენტრალურ განყოფილებებსა და დეპოებს სამრეწველო აღმავლობის წლებში სამჯერ დაუგზავნა ინსტრუქცია-პრეისკურანტები, რომლებითაც 1912 წლის პირველი ნოემბრიდან, 1913 წლის პირველი იანვრიდან და 1914 წლის პირველი ივლისიდან იცვლებოდა მანქანების გაყიდვის პირობები, ხოლო ფასები ყოველი ახალი პრეისკურანტით 5 — 10 პროცენტით იზრდებოდა<sup>19</sup>.

„კომპანია ზინგერის“ მოგების მასშტაბზე ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს რევოლუციამდელ პრესაში გამოქვეყნებული გაანგარიშებანი. მანქანის ნაწილების ღირებულება აღებულია იმდროინდელი მაქსიმალური ფასებით, სახელდობრ: ერთი ფუთი თუჯის სხმული — ორი მან. და 50 კაპ.; სხმული ფოლადისა და შენადნობებისაგან დამზადებული მასალები — ფუთი — 20 მანეთამდე; შემდეგ ხის ნაწილები: ხუფი (თალფაქი) — 2 მან.; საღვარი — 1 მან.; ჩვეულებრივი მაგიდა ფეხის მანქანისათვის — 1 მან. და 50 კაპ.; კაბინეტის მანქანის მაგიდა 5 უჯრით — 5 მანეთამდე. ასეთი იყო ძირითადი ფასები. საკმარისია მათი შეკრება, რომ გავიგოთ თითოეული მანქანის ნამდვილი ღირებულება. მანქანების გასაყიდი ფასები აღებულია პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდიდან.

„ზინგერის“ ხელის საკერავი მანქანა, რომელიც განვადებით ღირდა 85 მანეთი, სინამდვილეში ჯდებოდა მხოლოდ 17 მანეთი. იმავე სისტემის ფეხის საკერავი მანქანა, რომელიც განვადებით ღირდა 125 მან. სინამდვილეში ჯდებოდა 21 მანეთი. იგივე ფეხის საკერავი მანქანა (საკაბინეტო ტიპის) განვადებით ღირდა 140 მან. სინამდვილეში ჯდებოდა 21 მანეთი.

თვით ამ მონაცემების შემდგენელთა აღნიშვნით ცალკეული დეტალების ფასები მაქსიმალურად და ზოგჯერ გადაჭარბებით არის აღებული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გასაყიდი ფასები რამდენიმეჯერ აღემატებოდა „ზინგერის“.

16 სსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 5457, ფურც. 25—30.

17 იქვე, ფ. 190, საქმეები 15, 17, 22, 26.

18 იქვე, საქმეები 25, 35.

19 საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3194, ფურც. 81.

საკერავი მანქანების თვითღირებულებას და იძლეოდა 500—700 პროცენტ მოგებას — ყოველ დახარჯულ მანეთზე „ზინგერი“ იგებდა 5—7 მანეთს. პირველი მსოფლიო ომის წინ „კომპანია ზინგერი“ ერთ-ერთ უმდიდრეს სააქციო საზოგადოებად იქცა, რომლის ქონებაც 60 მილიონ მანეთად იყო შეფასებული<sup>20</sup>. „სააქციო საზოგადოებები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მართლაც იმისათვის არსებობენ, რომ ექსპროპრიაცია გაუწიონ გულმინდობილ და ხელმოკლე ხალხს დიდი კაპიტალისტებისა და სპეკულანტების სასარგებლოდ“<sup>21</sup>. და მართლაც, „კომპანია ზინგერი“ ზღაპრულად მდიდრდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის არაპირდაპირი ძარცვისა და თანამშრომელთა უზარმაზარი არმიის შრომის ექსპლუატაციის შედეგად.

<sup>20</sup> საქ. სსრ ცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3638, ფურც. 25.

<sup>21</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 238.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილებამ

ირაკლი ყიფშიძე

ზემო სვანეთის სოფ. ხეს ეკლესიის მხატვრობის იკონოგრაფი-  
ული სქემის თავისებურება

სოფ. ხეს წმ. ბარბალეს (სვანურად: ბარბალ) ეკლესიის\* მხატვრობის იკონოგრაფიული სქემა ძირითადად შეესატყვისება საქართველოს და განსაკუთრებით კი ზემო სვანეთის შუასაუკუნეთა კედლის მხატვრობის ტრადიციებს. საკურთხეველი მოხატულია ქრისტეს დიდების თემაზე — იგი საქართველოში გავრცელებულია როგორც გუმბათის მოხატულობის თემა, კერძოდ, ზემო სვანეთში კი, როგორც წესი, საკურთხეველში გვეხვდება. წმ. ბარბალეს ეკლესიის კამარა ეთმოზა სცენებს ქრისტოლოგიური ციკლიდან, რომელთაგანაც, ადგილის უკმარისობის გამო, ოსტატი ირჩევს მხოლოდ რამდენიმე ძირითად სცენას. იგივე მიზეზი აიძულებს ოსტატს ქრისტოლოგიური ციკლის ორი დასკვნითი სცენა („სულიწმიდის მოფენა“ და „ღვთისმშობლის მიძინება“) გამოიტანოს დასავლეთის კედელზე. ყოველივე ეს დამახასიათებელია სვანური წრის ძეგლებისათვის და განპირობებულია დარბაზული ეკლესიების მცირე ზომებით (დარბაზული ეკლესია კი სვანეთის საეკლესიო არქიტექტურის ერთადერთ თემას წარმოადგენს), რაც ზღუდავს კომპოზიციების რაოდენობას.

განსხვავებით ისეთი მაღალპროფესიული დონის ფერმწერებისაგან, როგორც არიან მეფის მხატვარი თევდორე და მიქაელ მალაქელი, რომლებიც კამარის მხატვრობისათვის აგრეთვე არჩევდნენ რამდენიმე ძირითად სცენას ქრისტოლოგიური ციკლიდან, მაგრამ ურთიერთუპირისპირებდნენ მათ თეოლოგიური არსის მიხედვით, წმ. ბარბალეს ოსტატი არ ისახავს ესოდენ რთულ მიზანს და ქრისტოლოგიური ციკლის სცენებს ანაწილებს მხოლოდ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით („ხარება“ — „შობა“ — „მირქმა“ — „ნათლისღება“). აზროვნების ამგვარი პრიმიტიულობა წმ. ბარბალეს მხატვრობის იკონოგრაფიულ სქემას ანიჭებს სისადავესა და ერთგვარ თვითმყოფადობას და, ამასთანავე, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს ძეგლის ხალხურ ხასიათს.

შუასაუკუნეების კედლის მხატვრობის იკონოგრაფიული სქემის შედგენაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკლესიის პატრონის თემა; ეს უაღრესად მკაფიოდ ჩანს შუასაუკუნეების სვანეთში, სადაც შეიმჩნევა რამდენიმე წმინდანის განსაკუთრებული განდიდება.

შუასაუკუნეების სვანეთის ქრისტიანულ პანთეონში განსაკუთრებით გამოირჩევა და დიდი თაყვანისცემით სარგებლობს წმინდანთა გარკვეული ჯგუფი, რომელთა სახეც, როგორც წესი, მორწმუნე სვანში იწვევდა ასოცი-

\* იხ. Д. Бакрадзе, Сванетия, გვ. 113—114; ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 205; გ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ტფილისი, 1939, გვ. 6, 16, 17, 35, 39.

<sup>1</sup> იხ. Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши: Ars Georgica, ტ. IV, თბ., 1955; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии“, Тб., 1966.

აციას წარმართულ ცნებებთან; სხვაგვარად რომ ვთქვათ — ესენი არიან წმინდანები, რომელთაც მორწმუნე სვანის შეგნებაში ჰპოვეს წარმართული წინამორბედი: წმ. წმ. გიორგი<sup>2</sup>, კვირიკე და ივლიტე<sup>3</sup>, ბარბაღე<sup>4</sup>, მთავარანგელოზი<sup>5</sup>. წინა პლანზე იმ წმინდანების წამოწევა, რომელთაც მიეცათ წინაქრისტიანულ ცნებათა მემკვიდრეების მნიშვნელობა, სიმპტომატურია შუა საუკუნეების სვანეთის სარწმუნოებისათვის.

გამორჩეულ წმინდანთა თემებმა, ბუნებრივია, მრავალმხრივი ასახვა ჰპოვეს სვანური წრის საკულტო ხელოვნებაში, რომელიც, როგორც თეოლოგიურად, ისე მხატვრულად, მკიდროდ არის დაკავშირებული ადგილობრივ ხალხურ ტრადიციებთან. ამან, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ „სვანურმა ფერწერის სკოლამ“, რომელიც ვითარდებოდა ქრისტიანული იკონოგრაფიის საზღვრებში, შეძლო თვითმყოფადი მომენტების შეტანა, როგორც იკონოგრაფიულ სახეთა გადაწყვეტაში, ისე იკონოგრაფიულ სქემებში. სწორედ შუა საუკუნეების სვანეთში გამოჩნდა აქამდე უცნობი სქემა, ნაკარნახევი წმ. გიორგის კულტის განსაკუთრებული განდიდებით; ამ სქემის მიხედვით წმ. გიორგის ცხოვრების სცენები, ანდა წმ. მებრძოლთა ცალკე გამოსახულებანი ექცევიან კამარაში, ე. ი. „ციურ ზონაში“, რაც სრულიად უცხო და დაუშვებელია ბიზანტიური ეკლესიის ეგვიპტის ქვეშ ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული ნორმებისათვის. ხსენებული სქემა საფუძვლად უდევს აცის, ადიშის ჯგრაგის<sup>6</sup> და იფხის<sup>7</sup> მხატვრობას.

ეკლესიის დაარსება ამა თუ იმ წმინდანის სახელზე გამოხატვას ჰპოვებს, როგორც წესი, აზრობრივი აქცენტების განაწილებაში, ფერწერული დეკორის მთლიან კომპოზიციაში და, რაც მთავარია, მის სიუჟეტურ შემადგენლობაში. ამის მაგალითს ვხედავთ როგორც იმ მხატვრების ნაწარმოებში, რომელთაც მიიღეს პროფესიული განსწავლა\*, ისე ძველებში, რომლებიც წარმოგვიდგენენ ადგილობრივ თვითნასწავლ ოსტატებს.

ლაგურკის მხატვრობაში<sup>8</sup>, რომელიც შესრულებულია მეფის მხატვარ თევდორეს მიერ, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სიუჟეტებს ეკლესიის პატრონების წმინდანების კვირიკესა და ივლიტეს ცხოვრებიდან და მათ ცალკე გამოსახულებებს: კონქში, კამარაში, ჩრდილო და სამხრეთ კედლებზე გაშლილი შვიდი მრავალფეგურიაანი კომპოზიციიდან ორი ხსენებულ სიუჟეტებზეა შექმნილი; კერძოდ, ესენია: „კვირიკეს სიკვდილი“ სამხრეთის კედლის აღ-

<sup>2</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ტფილისი, 1939, I, გვ. 196; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1960, I, გვ. 48—59; Г. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1954, Текст., гл. 264; А. Вольская, Церковь св. Георгия в с. Аднши в Верхней Сванетии (ხელნაწერი) გვ. 4.

<sup>3</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

<sup>4</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 190; Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

<sup>5</sup> Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 264—265; Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962, გვ. 250.

<sup>6</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი.

<sup>7</sup> Т. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი.

<sup>8</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, თავი 3.

\* ყველაზე თვალსაჩინო მაგალითთა თევდორეს მხატვრობა.

მოსავლეთ თაღში და „ივლიტეს თავის კვეთა“ იმავე კედლის დასავლეთ თაღში. ეკლესიის პატრონთა მკერდზევითი გამოსახულებანი მოთავსებულია კანკელზე, აღსავლის კარის ორსავე მხარეს; მათივე სრული გამოსახულებანი მოცემულია დასავლეთის კედლის ლუნეტში — სარკმლის ორსავე მხარეს.


თედორეს მიერვე არის მოხატული ნაკიფარის წმ. გიორგის ეკლესია (1130 წ.)<sup>9</sup>. სცენების მცირე რაოდენობით შეზღუდული მხატვარი საგულდაგულოდ არჩევს სიუჟეტებს, სავსებით მიზანდასახულად ანაწილებს და გამოყოფს აზრობრივ აქცენტებს. კონქში მოთავსებულია „ვედრება“, აბსიდში — წმინდანები, კანკელზე ოთხი წმინდანის მკერდზევითი გამოსახულებანი; კამარა, ისევე, როგორც ლაგურაკში, უკავია ოთხ სცენას სახარებლად; სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ კიდეში, ვიწრო მონაკვეთში სარკმელსა და კანკელს შორის, მოთავსებულია წმ. სტეფანეს ფიგურა; ჩრდილოეთი კედელი მთლიანად არის დაკავებული ურთიერთმიმართული ორი წმ. მხედრის — გიორგისა და თედორეს გამოსახულებით. ეს თემა მეტად პოპულარულია შუა საუკუნეების ქართულ ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი სვანეთში; მას, როგორც წესი, თედორესული ყველა ძეგლი შეიცავს. ნაკიფარში კი წმ. მხედართა გამოსახულება, როგორც ეკლესიის პატრონის თემის პირველი მიმანინშნებელი, განსაკუთრებით არის საზღვასმული სწორედ იმ სიბრტყეზე მოთავსებით, რომელიც უწინარეს ყოვლისა და სრულად აღიქმება ინტერიერში შესვლისთანავე: ეკლესიის მთავარი შესასვლელი არის სამხრეთ კედელში. ინტერიერის დანარჩენი სიბრტყეები უკავია წმ. გიორგის ცხოვრების სიუჟეტებზე დაწერილ სცენებს: დასავლეთის კედლის ქვედა რეგისტრში მოთავსებულია „გიორგის ურმის თვლით დამშკვალვა“; სამხრეთ კედელზე, რომლის მხატვრობას უწყვეტი ხაზობრივი რიტმი გასდევს; ერთიან ფრიზად არის გაშლილი სამი სცენა — „წამება კირის ორმოში“, „წამება ფოცხით“ და „გიორგის თავის კვეთა“; დასავლეთის კედლის ლუნეტში წარმოდგენილია წმ. გიორგის სასწაულის სცენა — „კერპთა დაღწევა“, რომელიც თითქოსდა აგვირგვინებს წამებათა ციკლს<sup>10</sup>. როგორც ვხედავთ, ნაკიფარის მხატვრობის იკონოგრაფიულ სქემაში ოსტატი სავსებით მიზანდასახულად უსვამს ხაზს ეკლესიის პატრონის — წმ. გიორგის თემას, იგი წამყვანი და ძირითადი მხატვრობის სიუჟეტურ შემადგენლობაში.

ეკლესიის ფერწერული დეკორის სიუჟეტური შემადგენლობის შერჩევისადმი ამგვარსავე მიდგომას იჩენენ ადგილობრივი ოსტატებიც. ამის დამადასტურებელია აღიშნავ ჩრაგის მხატვრობა<sup>11</sup> — ადგილობრივი სკოლის ერთ-ერთი დამახასიათებელი ძეგლი. ამ მცირე ზომის (დაახლ. 3×4 მ) ეკლესიის მხატვრობა ატარებს XI—XII საუკუნეების ქართული ფერწერისათვის ჩვეულ ნიშანს — ესაა მონუმენტური ფორმებით აზროვნება; სქემა, ძირითადად, დამახასიათებელია იმავე პერიოდის სვანური წრის ნაწარმოებებისათვის. კონქში მოთავსებულია სამი დიდი ზომის გამოსახულებისაგან შემდგარი „ვედრება“, აბსიდში — სამი წმინდანის მუხლზევითი გამოსახულება; კედლებზე


<sup>9</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, თავი 4.

<sup>10</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

<sup>11</sup> იქვე.



ნახ. 1. საკურობეველი



ნახ. 2. ჩრდილოეთი კედელი



ნახ. 3. სამხრეთი კვლელო

გაშლილია წმ. გიორგის ცხოვრების სცენები: ჩრდილო კედელზე წარმოდგენილია „სასწაული ურჩხულით“, მის მოპირდაპირე კედელზე კი „სასწაული გადარჩენილი ბიჭით“. ორივე სცენის მთავარ აზრობრივ და მხატვრულ კომპონენტად გვევლინება წმ. გიორგის ცხენოსანი გამოსახულება. დასავლეთი კედელი სრულად უკავია ქრისტეს მიერ გიორგისა და თევდორეს დაგვირგვინების სცენას. იგი შედგება ქრისტეს მკერდზევითი გამოსახულებისაგან მედალიონში, რომელიც მოქცეულია სარკმელსა და კარს შორის კედლის მონაკვეთში და მის ორივე მხარეს სიმეტრიულად განლაგებული წმ. მხედართა დიდი ზომის ორი ფიგურისაგან. კამარა ჩამონგრეულია, მაგრამ მისი ფუძის შემორჩენილ ნაწილებზე მკვლევრებმა ამოიკითხეს ფერწერის ფრაგმენტები, რომელთა მეშვეობითაც დადგინდა, რომ კამარაში მოთავსებული იყო სცენა — „წმ. გიორგის ურმის თვლით დამშკვალვა“<sup>12</sup>. აღიშნის ჯგრაგის ინტერიერის მხატვრობის სქემაც და სიუჟეტური შემადგენლობაც საცხებით არის დაქვემდებარებული ძირითად მიზანს — ეკლესიის პატრონის თემის გახსნას, ოსტატი ისწრაფვის რაც შეიძლება სრულად განავითაროს და ამოწუროს ჯგრაგის თემა. ეკლესიის პატრონის თემა ჟღერს არა მხოლოდ ინტერიერის მხატვრობაში: ჩრდილო ფასადზე, რომელიც მკაფიოდ აღიქმის ეკლესიის მისადგომებიდან, მოთავსებულია (მართალია, უკვე სხვა ოსტატის მიერ შესრულებული) წმ. მხედართა — გიორგისა და თევდორეს — გამოსახულებები.

ისეთ ძლევამოსილ წმინდანებთან ერთად, როგორებიცაა გიორგი, კვირიკე და ივლიტე, შუასაუკუნეების სვანეთში განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტად იქცა მთავარანგელოზთა (სვანურად — თარინგზელ)<sup>13</sup> სახე. მთავარანგელოზნი აღჭურვილ იქნენ ფუნქციებით, რომლებსაც ადრე წინაქრისტიანული სამყაროს ღვთაებები ატარებდნენ და, თუმცა ამგვარი ასიმილაცია დამახასიათებელია მთელი საქართველოსათვის, ქრისტიანული აღმოსავლეთისათვის, ნაწილობრივ კი დასავლეთ ევროპისათვის, სვანეთში ამ მოვლენამ ნახა საუკეთესო ნიადაგი სრული გამოვლენისათვის. ქრისტიანულ სამყაროში მთავარანგელოზთა სახე უკავშირდება მნიშვნელოვან შემადგენლობაზე განლაგებულ სალოცავებსა და სხვა წმინდა ადგილებს. მთავარანგელოზნი ბრძოლისა და ქარიშხლის ღრუბლების ღვთაების მემკვიდრედ და ნაცვლად არის მიჩნეული<sup>14</sup>. მთავარანგელოზნი არის მთის სული და მფარველი. თუ არა სვანეთში, სად უნდა ყოფილიყო გამართლებული მთავარანგელოზთა ეკლესიების დაარსება<sup>15</sup>. მთავარანგელოზს — მთის სულსა და მფარველს, აქ, სვანეთში, ენიჭება მთელი რიგი სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ფუნქციები: თარინგზელი შემატებს ოჯახს ვაჟს, მას ძალუქს განკურნოს მძიმე სენისაგან, დაიცავს სოფელი ზვავისაგან და სხვა<sup>16</sup>. ბუნებრივია, რომ სასწაულმოქმედებრივი უნარის ამგვარმა დიაპაზონმა განაპირობა მთავარანგელოზთა განსაკუთრებული განდიდება და პოპულარობა სვანეთში. ამით აიხსნება მთავარანგე-

<sup>12</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

<sup>13</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

<sup>14</sup> A. K. Porter, Wreckage from a tour in Apulia in: Melanges Schlumberger, II, Paris, 1924, გვ. 113.

<sup>15</sup> Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 264—265.

<sup>16</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 191—192.

4. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1975, № 3.

ლოზთა ეკლესიებისა და ხატების (როგორც ჭედურის ისე ფერწერული) ის დიდი რაოდენობა, რაც სვანეთში შეიქმნა და შემოინახა.

როგორც ეს ხდებოდა სხვა პატრონების შემთხვევაში, ეკლესიის მიძღვნა მთავარანგელოზისადმი გამოიხატებოდა ინტერიერის ფერწერული დეკორის სიუჟეტურ შემადგენლობასა და აქცენტების განაწილებაში. თევდორეს ყველაზე ადრეული ნაწარმოები, დათარიღებული 1096 წლით, არის იფრარის მთავარანგელოზთა ეკლესიის მხატვრობა<sup>17</sup>. ოსტატი აზროვნებს მონუმენტური ფორმებით, რაც ინტერიერის მეტად მცირე ზომასთან (4,75×2,6 მ) ერთად განაპირობებს კომპოზიციითა და ცალკე გამოსახულებათა მცირე რაოდენობას. თითოეული სცენა („ვედრება“, „ხარება“, „შობა“, „ნათლისღება“) მონუმენტურია და შედგება დიდი ზომის გამოსახულებებისაგან, რომლებიც მჭიდროდ ავსებენ სასურათო სიბრტყეს. მხატვარი ითვალისწინებს, რომ ეკლესია აგებულია მთავარანგელოზთა სახელზე და „სახარებიდან არჩევს იმ სცენებს, რომლებშიც მონაწილეობს მთავარანგელოზი, ანდა ანგელოზი“<sup>18</sup>. ამასთან, „ხარებას“ ეთმობა თვალსაჩინო ადგილი — დასავლეთის კედლის ლუნეტი. „შობის“ სცენაში კი განსაკუთრებით არის ხაზგასმული ანგელოზთა მონაწილეობა: მათი რიცხვი გაზრდილია ექვსამდე<sup>19</sup>. მხატვრობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ცალკე გამოსახულებები, ესენია: ოთხი წმინდანი საკურთხეველში, ოთხი, შედარებით მცირე ზომის, მკერდზევითი გამოსახულება კანკელზე; წმინდანები ბარბალე და ეკატერინე შემოსასვლელი კარის ორსავე მხარეს; წმ. ანა და ღვთისმშობელი ჩვილით — სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ ნაწილში; მათ მოპირდაპირედ წარმოდგენილია არქისტრატეც მიქელის მძლავრი ფიგურა და მის წინაშე დამხობილი იესო ნაეინის განზრახ მცირე ზომის გამოსახულება; ჩრდილო და სამხრეთ კედლების დასავლეთ ნაწილებში მოთავსებულია წმ. მხედართა გამოსახულებები — გიორგი დამხობილი დიოკლეტიანეთი და თევდორე დამარცხებული გველეშაპით. კამარის ორივე ფერდის აღმოსავლეთ ნაწილში, კონქის კომპოზიციასთან მიჯრით, მოთავსებულია დიდი ზომის ორი მთავარანგელოზის ფიგურა, ისინი საზღვრავენ „ვედრებას“ და ამასთანავე, ამზადებენ თანდათანობით გადასვლას კონქის გამოსახულებიდან ბევრად უფრო მცირე ზომის ფიგურებზე „შობისა“ და „ნათლისღების“ სცენებში. იმპერატორის სამოსში გამოწყობილი მთავარანგელოზები წარმოგვიდგებიან პარადულ პოზაში, ნახატის ხაზი მოძრავია და მეტყველი, ფერადოვანი გამა — ღრმა და ქლერადი. ამან, ფიგურათა უღვაწოდ დიდ მასშტაბთან ერთად, განაპირობა ის, რომ მთავარანგელოზთა წყვილი კამარაში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ აქცენტს იფრარის ეკლესიის ფერწერულ დეკორში.

უპირატესობა, რომელიც ეძლევა სიუჟეტებს ანგელოზთა მონაწილეობით, მთავარანგელოზთა დიდი ზომის სამი გამოსახულების მოთავსება საკურთხეველთან მიჯრით, „შობაში“ ანგელოზთა რიცხვის გაზრდა — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ოსტატი მიზანდასახულად, სავსებით შეგნებულად გამოყოფს და ავითარებს ეკლესიის პატრონის თემას.

<sup>17</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, თავი 2.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 29.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 21.

იფარარის თევდორესეული ნაწარმოების უდავო გავლენის დას ატარებს წვირმის ერთ-ერთი ეკლესიის, ჩობან-თარინგზელის მხატვრობა (XII ს.)<sup>20</sup>. ისევე, როგორც იფარარში, მთავარანგელოზთა დიდი ზომის გამოსახულებები გამოტანილია კამარაში და ორი მხრიდან საზღვრავენ კონქის კომპოზიციას. მათ მოსდევს სცენები სახარებიდან. ჩობან-თარინგზელის მხატვრობაში ეკლესიის პატრონის თემა ხაზგასმულია იმავე ხერხით, რაც გამოყენებულია იფარარში და, აგრეთვე, ზემო-კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიაში (XI ს-ის შუა წლები), სადაც ლორონიან მთავარანგელოზთა გამოსახულებანი გამოტანილია ბემის კამარაზე<sup>21</sup>. ჩობან-თარინგზელში, ისევე, როგორც იფარარში, „ხარებას“ უკავია თვალსაჩინო ადგილი — დასავლეთის კედლის ლუნეტი. ამგვარად, ჩობან-თარინგზელის მხატვარი მისდევს იფარარის სქემის ძირითად პრინციპებს. ამასთანავე, იგი არ იზღუდება ცნობილი სქემით და კამარის დასავლეთ კიდეებზე ერთხელ კიდევ წარმოგვიდგენს ლორონიან მთავარანგელოზთა წყვილს<sup>22</sup>; ეს უკანასკნელი ჰკეტავენ კამარის მოხატულობას და ახდენენ პატრონის თემაზე იმ აქცენტების დუბლირებას, რომელთაც ვხედავთ კამარის აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხეველის კონქის პირას. ამგვარად, მთავარანგელოზთა თემის განსაკუთრებულად გამოყოფის ნაცნობი ხერხი — მათი ლორონიანი გამოსახულებების კონქის საზღვრებს გარეთ, კამარაში მოთავსება — შემდგომ განვითარებას პოულობს ჩობან-თარინგზელის მხატვრობაში.

მთავარანგელოზთა თემის განსაკუთრებულად გამოყოფის მომენტის გარჩევასა ზემო კრიხში, სადაც იგი გამოიხატება არა მარტო ლორონიან მთავარანგელოზთა გამოტანით ბემის კამარაზე, არამედ ვითარდება ანგელოზთა წყვილ გამოსახულებათა განმეორებით მთელ რიგ სცენებში<sup>23</sup>, თ. ვირსალაძე აღნიშნავს, რომ აქ მთავარანგელოზთა თემა «выделяется далеко не так ярко, как в ряде росписей, сохранившихся в храмах, посвященных архангелам в... Сванетии»<sup>24</sup>. და აქვე ჩამოთვლის ამის დამადასტურებელ ძეგლებს: იფარარის, ჩობან-თარინგზელის, წვირმი-ზაგერის, ლაშხვერის, მაცხვარიშის მთავარანგელოზის, კაიშე-თარგლეზერის მხატვრობანი.

მთავარანგელოზთა ეკლესიებში ლორონიან მთავარანგელოზთა გამოსახულებებს ვხედავთ ან საკურთხეველში (აცო — „დიდება“) ან, რაც უფრო ხშირია, ისინი თან ერთვიან „ვედრებას“ (იფარარი, ჩობან-თარინგზელი, ფხოტრერი). დღესასწაულთა ციკლიდან უპირატესობა ეძლევა სიუჟეტებს ანგელოზთა მონაწილეობით (აცო, იფარარი, ჩობან-თარინგზელი), ზოგიერთი ამ სცენიდან, ამასთანავე, იკავებს თვალსაჩინო ადგილს („ხარება“ — იფარარში, ჩობან-თარინგზელში). რიგ შემთხვევაში მხატვრობა შეიცავს მთავარანგელოზთა ცალკე სალოცავი ტიპის გამოსახულებებს, რომლებიც, როგორც წესი, მოთავსებულია ქვემო რეგისტრში: არქისტრატეგი მიქელ (იფარარი,

<sup>20</sup> Н. Аладашвили, И. А. Дзидзидзиви, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>21</sup> Т. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви архангелов села Земо-Крихи: *Ans Georgica*, ტ. 6, სერია А, თბ., 1963, გვ. 121.

<sup>22</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

<sup>23</sup> Т. Вирсаладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 128.

ლაშთხვერი, ფხოტრერი), „მთავარანგელოზთა კრება“ — წვირმი-ზაგერში<sup>25</sup>.

შუასაუკუნეების სვანეთის კედლის მხატვრობის ძეგლებში განსაკუთრებით ნათლად უღერს მხატვრის მიერ განვითარებული და აქცენტირებული ეკლესიის პატრონის თემა (იქნება ეს წმინდანები გიორგი, კვირიკე და ივლიტე, თუ მთავარანგელოზი და სხვა). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფერწერული დეკორის სიუჟეტური შემადგენლობა და იკონოგრაფიული სქემა გვევლინება ეკლესიის ამა თუ იმ წმინდანისადმი მიძღვნის მკაფიო მანიშნებლად. ამ ფონზე უჩვეულოდ გამოიყურება სოფ. ხეს ეკლესიის მხატვრობა, რომლის სიუჟეტურ შემადგენლობასა და იკონოგრაფიულ სქემაში შეიმჩნევა საწინააღმდეგო მოვლენა: წმ. ბარბალესადმი მიძღვნილი ეკლესიის კედლის მხატვრობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მთავარანგელოზთა გამოსახულებებს.

„ვედრების“ კომპოზიცია, რომელიც მკაცრადაა მოქცეული კონქის არქიტექტურულ საზღვრებში (ნახ. 1), შეიცავს ლორონიან მთავარანგელოზთა ტრადიციულ წყვილს; არანაკლები ზომის ლორონიან მთავარანგელოზთა გამოსახულებები მოთავსებულია სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებზე, მათ დასავლეთ თაღებში (ნახ. 2, 3). წარწერის მიხედვით, ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია მთავარანგელოზი მიქაელი, ხოლო მის მოპირდაპირედ — მთავარანგელოზი გაბრიელი.

ზემო კრიხსა, იფარასა და ჩობან-თარინგხელში „ვედრება“ ფლანკირებულია კონქის გარეთ გამოტანილ ლორონიან მთავარანგელოზთა გამოსახულებებით, რითაც ხაზგასმულია მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა ფერწერული დეკორის შემადგენლობაში.

სოგანლეს ეკლესიის კანკელზე მოთავსებულ მთავარანგელოზთა გამოსახულებების განხილვისას უერფანიონი მიუთითებს, რომ ისინი, როგორც ჩანს, იცავენ საკურთხეველს<sup>26</sup>. სავარაუდოა, რომ იმავე ფუნქციას ასრულებს მთავარანგელოზის გამოსახულება, მოთავსებული კონქისა და დანარჩენი სივრცის ზღვარზე; ჩობან-თარინგხელში უშუალოდ საკურთხეველთან მოთავსებული მთავარანგელოზთა წყვილის გამოსახულებანი დუბლირებულია კამარის დასავლეთ კიდეზე მთავარანგელოზთა კიდევ ერთი წყვილით, მთავარანგელოზნი თითქოსდა თავს ადგებიან ეკლესიაში შემომსვლელს და, როგორც ჩანს, იცავენ ეკლესიის უკვე მთელ შიდა სივრცეს. თუ ჩობან-თარინგხელის ოსტატი ავითარებს ლორონიან მთავარანგელოზთა კონქს გარეთ გამოტანის ხერხს ისე, რომ არ არღვევს მთავარანგელოზთა „ციურ ზონაში“<sup>27</sup>, ე. ი. კამარაში მოთავსების ტრადიციას, შემდგომში ეს ტრადიცია დარღვეულია ხეს წმ. ბარბალეს ოსტატის მიერ. „ვედრების“ სცენაში მოქცეული ლორონიან მთავარანგელოზთა წყვილი დუბლირებულია ანალოგიურ გამოსახულებათა კიდევ ერთი წყვილით, მაგრამ მთავარანგელოზებს ვხედავთ უკვე არა „ციურ ზონაში“, არამედ ეკლესიაში შესასვლელთან კიდევ უფრო ახლოს — მათი გამოსახულებები მოქცეულია გასწვრივი კედლების დასავლეთ თაღებში — ქვემო რეგისტრში. თუ ლორონიან მთავარანგელოზთა კონქს გარეთ გამო-

<sup>25</sup> Т. Вирсаладзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 129.

<sup>26</sup> G. de Jerphanion, *Eglises rupestres de Cappadoce*, ტექსტი, II, I, გვ. 316.

<sup>27</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 18.

ტანისა და მათ გამოსახულებათა დუბლირების მხრივ ხეს ბარბალეს მხატვრობა უკავშირდება მთავარანგელოზთა თემის განსაკუთრებულად გამოყოფის ხაზს, რომელიც გაყვება ზემო-კრიხის, იფარარის, ჩობან-თარინგზელის მხატვრობას, ლორონიან მთავარანგელოზთა გადანაცვლება ქვემო რეგისტრში, ჩანს, მომზადებული იყო მათი სალოცავი ტიპის გამოსახულებათა ქვემო რეგისტრში მოთავსების ტრადიციით. ამრიგად, ხეს ბარბალეს ეკლესიაში ლორონიან მთავარანგელოზთა ქვემო რეგისტრში გამოსახვის ფაქტი წარმოგვიდგება როგორც ორი პარალელურად არსებული ტრადიციის სინთეზის შედეგი\*.

კანკელის ფასადზე მოთავსებულია ოთხი მთავარანგელოზის მკერდზევითი გამოსახულებანი (ნახ. 5). სამი მათგანის სახელი იკითხება: რაფაილი, მიქელი, გაბრიელი (მარცხნიდან მარჯვნივ), მეოთხე მთავარანგელოზის სახელის აღდგენა შეუძლებელია, მაგრამ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს არის ურიელი<sup>28</sup>. თვით ფაქტი კანკელზე ოთხი მთავარანგელოზის გამოსახვისა უპრეცედენტოა: რენე შმერლინგის ხსენებული ნაშრომის გამოქვეყნებამდე კანკელის მხატვრობის ამგვარი შემადგენლობა სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის მოყვანილი<sup>29</sup>. მკვლევარი, დაწვრილებით რომ არჩევს ამ მომენტს, ხეს წმ. ბარბალეს კანკელზე ოთხი მთავარანგელოზის გამოჩენას ხსნის, როგორც წინაქრისტიანულ სარწმუნოებათა ერთ-ერთ გამოძახილს; ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ხეს მხატვრობის ავტორი ადგილობრივ სკოლას ეკუთვნის. ეერფანიონის ზემომოყვანილი მოსაზრებიდან გამომდინარე, რენე შმერლინგი დაასკვნის: ოთხი მთავარანგელოზი ხეს ეკლესიის კანკელზე მოწოდებული იყვნენ დაეცვათ საკურთხეველი, რაც, თავის მხრივ, მიგვითითებს აღმოსავლეთ-ქრისტიანულ ტრადიციათა სიმტკიცეზე შუასაუკუნეების სვანეთის ხელოვნებაში<sup>30</sup>.

სოფ. ხეს წმ. ბარბალეს მხატვრობაში მთავარანგელოზთა გამოსახულებათა ოდენობა და როლი ამით არ ამოიწურება. თუ „შობის“ სცენაში ჩვეულებრივ მონაწილეობას იღებენ ანგელოზები, აქ „შობა“ შეიცავს სამ ლორონიან მთავარანგელოზს, რომელთა მკერდზევითი გამოსახულებები, მარაოსავით გაშლილი გამოქვავულის თავზე, მასშტაბით უსწორდებიან მთავარი პერსონაჟის — ღვთისმშობლის გამოსახულებას (ნახ. 3). სამი მთავარანგელოზი „შობის“ სცენის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი კომპონენტია. მეფის მხატვარი თევდორე იფარარში მიზნად ისახავს ეკლესიის პატრონის თემის განსაკუთრებით გამოყოფას და ამიტომ „შობის“ სცენაში ზრდის ანგელოზთა რიცხვს ექვსამდე. წმ. ბარბალეს ეკლესიის მხატვარს, ჩანს, იგივე მიზნით, შეჰყავს „შობის“ კომპოზიციაში ლორონიან მთავარანგელოზთა საკმაოდ დიდი ზომის გამოსახულებანი, რითაც მკვეთრად არის აქცენტირებული მთავარანგელოზის თემა.

იგივე თემა ერთხელ კიდევ უღერს დასავლეთის კედლის მხატვრობაში: „ღვთისმშობლის მიძინების“ სცენაში, მთავარანგელოზთა წყვილის პორიზონ-

<sup>28</sup> Ренэ Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 249.

<sup>30</sup> იქვე, თავი X.

\* ერთი მხრივ, მთავარანგელოზთა ლორონიან გამოსახულებათა კონქის ზღვარს გარეთ გამოტანისა და, მეორე მხრივ, მთავარანგელოზთა სალოცავი ტიპის გამოსახულებათა ქვემო რეგისტრში მოთავსების ტრადიცია.

ტალური გამოსახულებანი, დიდი მასშტაბისა და სიბრტყეზე საესეებით გამოზნული სიმეტრიული განლაგების შემწეობით, ძალზე მკვეთრად აღიქმებიან, კომპოზიციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, მეტყველ ელემენტს წარმოადგენენ (ნახ. 4).

კარების და საკუროთხევლის სარკმლის კამარებში მოთავსებულია ანგელოზთა გამოსახულებანი, ამასთან, ანგელოზები მიმართული არიან ეკლესიიდან გარეთ და, ჩანს, მათი ფუნქცია აქაც ქერფანიონის მოსაზრებით აიხსნება.

ჩრდილოეთის და სამხრეთის კედლების აღმოსავლეთ თაღებში ერთიმეორის მოპირდაპირედ მოთავსებულია წმ. ბარბალესა და წმ. ეკატერინეს ცალკე გამოსახულებები (ნახ. 2, 3). მთელ რიგ სვანურ ეკლესიებში ვხვდებით ამ ტრადიციულ გამოსახულებებს, ამასთან არანაკლებ მნიშვნელოვან და ხშირად კი უფრო თვალსაჩინო სიბრტყეებზე\*. ამრიგად, სოფ. ხეს ეკლესიის პატრონის — წმ. ბარბალეს თემა მხატვრობაში არ პოვებს რაიმე განვითარებას და არც განსაკუთრებით არის აქცენტირებული. ამავე დროს, წმ. ბარბალეს ეკლესიის მხატვრობაში მრავალჯერ, მეტად დაჟინებით ქლერს მთავარანგელოზის თემა.

თუ შუასაუკუნეების სვანეთის კედლის მხატვრობაში, როგორც წესი, ფართო განვითარებას იღებს მთავარი თემა — თემა ეკლესიის პატრონისა, მაშინ, ზემომოყვანილიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ წმ. ბარბალეს ოსტატი მხატვრობას მიუღდა როგორც მთავარანგელოზის ეკლესიის ფერწერულ დეკორს. საეჭვოა, რომ თავდაპირველად ეკლესია მთავარანგელოზის სახელზე ყოფილიყო აგებული. ეკლესიის პატრონისა და მხატვრობის სიუჟეტურ შემადგენლობას შორის ამგვარი შეუსაბამობის მიზეზი შეიძლება აეხსნათ იმით, რომ ოსტატმა განიცადა იფარარის მხატვრობის მძლავრი ზემოქმედება<sup>31</sup>. უნებლიედ გაჰყვა თევდორესთან დანახულ თემატიკას, თუმცა კი შეიტანა იკონოგრაფიულ სქემაში რიგი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა.

წმ. ბარბალეს მხატვრობაში უგულებელყოფილია ტრადიცია, რომლის მიხედვითაც იკონოგრაფიულ სქემაში წამყვანი როლი ეკლესიის პატრონის თემას მიეკუთვნება. ეს გარემოება აიხსნება ოსტატის პროფესიული განსწავლის დაბალი დონით, რაც გამორიცხავს ფრესკის სიუჟეტური შემადგენლობის აზრობრივად მართებულ შერჩევას.

უდავოა, რომ სოფ. ხეს ეკლესიის მხატვრობის იკონოგრაფიული სქემა უნდა განიხილებოდეს როგორც მთავარანგელოზთა თემასთან დაკავშირებული სპეციფიკური სქემის ერთ-ერთი საყურადღებო მაგალითი შუასაუკუნეების სვანეთის კედლის მხატვრობაში.

\* ყურაშში წმინდანების ბარბალესა და ეკატერინეს გამოსახულებები მოთავსებულია კანკელზე; თარინგულ-ჩობანში ტრიუმფალური თაღის პილასტრებზე; მაცხვარიში გვერდი-გვერდაა დაწერილი წმ. ეკატერინეს დაგვირგვინების სცენა და წმ. ბარბალეს გამოსახულება, იფარარში მათი ფიგურები მოთავსებულია დასავლეთის კედლის ქვემო რეგისტრში და ა. შ. (იხ. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 27).

<sup>31</sup> Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская, დასახ. ნაშრომი, გვ. 22-

თინათინ კახანაძე

## წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრისათვის ბრძოლა საბჭოთა საქართველოში

(1933—1937 წწ.)

1933 წლიდან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლა განვითარების ახალ ფაზაში გადავიდა; ქვეყნის ეკონომიკისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ძირეული ცვლილებები, უდიდესი მიღწევები სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, — რაც საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომლებმაც მოიპოვეს, — მტკიცე მატერიალურ ბაზას ქმნიდა მუშათა და სოფლის მშრომელთა კულტურის ამაღლებისათვის. ამავე დროს, სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე სოციალისტური მშენებლობის გაცილებით უფრო დიდ ამოცანებს სახავდა, ვიდრე პირველი ხუთწლიანი გეგმა, მოითხოვდა გადამწყვეტ იერიშს, აგრეთვე, წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის ფრონტზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ამ ეტაპზე კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა საზოგადოებრივი ძალები კულტაქტივისა და კულტარმიელთა სახით მასობრივი ლაშქრობების, კონკურსების და სხვა ღონისძიებათა საშუალებით.

1933 წლის 25 სექტემბრიდან კულტესტაფეტა გამოაცხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, განათლების სახალხო კომისარიატმა, პროფკავშირთა საბჭომ და საზოგადოება „სოცკულტურამ“. კულტესტაფეტის ფინიშზე ტარდებოდა საოლქო, საქალაქო, რაიონული შტაბებისა და კულტარმიელთა შეკრება; შეჯამდებოდა შედეგები, ხდებოდა ძირეული შტაბებისა და კულტარმიელთა დაჯილდოება, კანდიდატურების შერჩევა რესპუბლიკურ ჯილდოზე წარსადგენად. ფინიში დანიშნულ იქნა 1934 წლის იანვრის პირველი რიცხვებისათვის<sup>1</sup>.

აღნიშნულ კულტესტაფეტას მოჰყვა საკ. კპ (ბ) XVII ყრილობის სახელობის მასობრივი ლაშქრობა<sup>2</sup>.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის, ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე 1934 წლის 26 დეკემბრიდან ჩატარდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკ-

<sup>1</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1933 წელი, 21 ნოემბერი, 17 დეკემბერი.

<sup>2</sup> იქვე, 21 ნოემბერი.

ვიდაციის მიმდინარეობის შემოწმების ოცდღიური, რომლის დროსაც ხდებოდა, ერთი მხრივ, ამ დარგში მიღწეულ წარმატებათა პოპულარიზაცია სახალხო განათლების, კომკავშირისა და პროფკავშირის ორგანოების საშუალებით და, მეორე მხრივ, დარჩენილ უცოდინართა 100 პროცენტით ჩაბმა სწავლებაში<sup>4</sup>.

ჩატარდა სასწავლო-საწარმოო ლაშქრობა საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კაპანაის მზადებასთან დაკავშირებით; მასში, ქ. ლენინგრადის განათლების მუშაკთა კავშირის მოწოდების საფუძველზე, ჩაება საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირიც, რომელმაც ვალდებულება აიღო საბჭოების ყრილობამდე წერა-კითხვა შეესწავლებინა 2300 უცოდინარისათვის. ამისათვის მთელმა რიგმა კავშირებმა გამოყვეს ბრიგადები რაისაბჭოების დასახმარებლად, ხოლო პედაგოგებმა აიღეს ინდივიდუალური ვალდებულებანი<sup>5</sup>.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ფართოდ გაშლისა და 1934—1935 სასწავლო წლის გეგმის წარმატებით შესრულების მიზნით, 1934 წლის 10 ოქტომბრიდან 1935 წლის 15 ივნისამდე გამოცხადდა რესპუბლიკური კონკურსი. ეს კონკურსი გამოაცხადა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა, ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, პროფკავშირთა საბჭომ, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ, საშეფო საზოგადოებამ და საზოგადოება „სოცკულტურამ“. კონკურსის ძირითად ამოცანებად დაისახა პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის 1934 წლის 31 მაისის დადგენილების საფუძველზე წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და მცირემცოდნეთა სკოლების ქსელის გაშლა დამტკიცებული გეგმის თანახმად და მასში ფართო მასების ჩაბმა, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო სკოლებში საპროგრამო მეთოდური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება და სწავლების მაღალხარისხიანობის მიღწევა, სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცება.

კონკურსის ხელმძღვანელობისათვის საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა რესპუბლიკური შტაბი, ხოლო რაიონებში — რაიშტაბები. სასოფლო საბჭოებში ხელმძღვანელობა დაევალა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ რწმუნებულებს.

კონკურსის ჩატარებაში ფართო მონაწილეობა უნდა მიეღოთ როგორც რესპუბლიკურ, ისე ადგილობრივ გაზეთებს; კონკურსის ამოცანების გაშუქებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მშრომელთა ფართო მასების ყურადღების მოზილიზაციის მიზნით, სპეციალური ნომრები უნდა დაეთმოთ გაზეთებს: „კომუნისტურ განათლებას“<sup>6</sup>, „ახალგაზრდა კომუნისტს“ და „მუშას“, ხოლო გაზეთებს — „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკას“, „ენი კენდს“ და „პროლეტარს“ სისტემატურად უნდა გაეშუქებინათ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობა. ამ მიზნით, ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული, აგრეთვე, რაიონული, წარმოება-დაწესებულებათა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ძირეული პრესაც.

<sup>4</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1933, 27 დეკემბერი.

<sup>5</sup> იქვე, 22 ოქტომბერი.

<sup>6</sup> გაზ. „კომუნისტი“, 1934, 8 ოქტომბერი.



კონკურსში გამარჯვებულთათვის (რაიონები, ცალკეული კულტარმიელე-ბი, გაზეთები და ა. შ.) დაწესებულ იქნა გარდამავალი დროშა, ფულადი ჭილ-დოები, საპატიო სიგელები და სხვ. ამისათვის შეიქმნა ფონდი 25 000 მანე-თის რაოდენობით<sup>7</sup>.

ზემოხსენებული კონკურსი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ მან წერა-კი-თხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობაში გამოააშქარავა მთელი რი-გი ნაკლოვანებებისა, რომელთა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა გადამ-ჭრელი ზომები; საქართველოს ცაკმა წინადადება მისცა ავტონომიური რეს-პუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, რაილმასკომებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს დაუყოვნებლივ გაეშალათ შემდე-გი სახის მუშაობა: **1.** 15 თებერვლამდე დამთავრებულიყო წერა-კითხვის უცოდინართა ზუსტი აღრიცხვა და სალიკვიდაციო სკოლებში ჩაბმა; **2.** კოლ-მეურნეობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელების პირადი პასუხისმგებლობით, უზრუნველყოფილიყო დაწესებულება-ორ-განიზაციებში მყოფ უცოდინართა სისტემატური დასწრება მეცადინეობა-ზე, არ დაეშვათ ამ უკანასკნელთა დატვირთვა სხვა სამუშაოთი მეცადინეო-ბის საათებში; **3.** გათბობა-განათებით, პედაგოგიური კადრებით, სახელმძღ-ვანელოებითა და სასწავლო ნივთებით წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკო-ლების სრული უზრუნველყოფისათვის უშუალო პასუხისმგებლობა დაკისრე-ბოდა რაილმასკომებისა და სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებს; **4.** უზ-რუნველყოფილიყო სალიკვიდაციო სკოლების დაფინანსების საქმეში პრო-ფესიულ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობა<sup>8</sup>.

1935 წლის დეკემბერში საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელ-მა კომიტეტმა და განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადეს კონკურ-სი საუკეთესო სასოფლო საბჭოსათვის, კულტსექციისათვის, სკოლისათვის, და ა. შ.<sup>9</sup> უფრო ადრე ჩატარდა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კო-მიტეტების დათვლიერება-კონკურსი და სხვ.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოცემულ ეტაპზე უმნიშვ-ნელოვანეს ამოცანად იქნა მიჩნეული სწავლების ხარისხობრივი ამაღლება. სალიკვიდაციო სკოლები უზრუნველყოფილი იქნა სტაბილური პროგრამებით. სასწავლო გეგმებით, სახელმძღვანელოებით. პოლიტსაათი ტარდებოდა და-წესებული პროგრამით. სკოლებს სისტემატურად ეძლეოდათ მეთოდური წე-რილები, მასწავლებელთათვის ეწყობოდა მეთოდური კურს-კონფერენციე-ბი, დამუშავდა მეთოდური სახელმძღვანელო ბროშურა და სხვ.<sup>10</sup> რაიონულ ცენტრებში შეიქმნა საბაზო სკოლები.

პროგრამებისა და მეთოდურ მითითებათა შესრულების შემოწმების მიზნით, განათლების სახალხო კომისარიატებს და სახალხო განათლების რა-იონულ განყოფილებებს დავალებული ჰქონდათ დაეწესებინათ თითოეულ სკოლაზე მუშაობის აღრიცხვა და ყოველთვიური შემოწმება<sup>11</sup>. წერა-კითხვის

7 გაზ. „კომუნისტი“, 1934, 8 ოქტომბერი.

8 გაზ. „კომუნისტი“, 1935, 28 იანვარი.

9 საქ. სსრ ოქტომბრის რევოლუციის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგ: საქ. სსრ ორცსა), ფ. 284, აღწ. 1, საქმე 2984; ფურც. 9.

10 კულტურული აღმშენებლობა საქართველოში (მასალები სსრ საბჭოების VII ყრი-ლობისათვის), გვ. 74—75; გაზ. „კომუნისტი“, 1934, 24 დეკემბერი.

11 საქ. სსრ ორცსა, ფ. 617, აღწ. 1, საქ. 7694, ფურც. 26.

უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლათა მასწავლებლების ანგარიშგების მოსმენა და გამოცდილების გაზიარება პერიოდულად უნდა მომხდარიყო მასწავლებელთა თათბირებსა და კონფერენციებზე<sup>12</sup>.

სკოლებში, სწავლების მაღალი დონის უზრუნველყოფის მიზნით, ხდებოდა პედაგოგთა და კულტარმიელთა შერჩევა. საქართველოს პროფსაბჭოს VII პლენუმის დადგენილებაში (1936 წლის 2 ნოემბერი) ნათქვამია: პლენუმში აფრთხილებს პროფორგანიზაციებს, რომ სახალხო განათლების ორგანოებთან წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის ხაზით ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკის გაუქმება არ ნიშნავს ამ მუშაობაში პედაგოგების ჩაბმის პრაქტიკაზე უარის თქმას. ამიტომ, პლენუმში წინადადებას იძლევა, შემდეგაც სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლად მოწვეულ იქნან საშუალო და დაწყებითი სკოლების საუკეთესო პედაგოგები<sup>13</sup>. ხოლო საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილებაში (1934—1935 სასწავლო წლის შესახებ) აღნიშნულია, რომ სალიკვიდაციო სკოლათა მასწავლებლების შერჩევის დროს უნდა შეირჩეს ყველაზე საუკეთესო კულტარმიელები, რისთვისაც უნდა გატარდეს კულტარმიელთა ხელახალი აღრიცხვა<sup>14</sup>.

კულტარმიელებთან უნდა წარმოებულყოფიო სისტემატური მუშაობა სემინარებზე მათი გადამზადებისა და ახალი კადრების მომზადების მიზნით<sup>15</sup>. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პროფსაბჭოს VII პლენუმმა წინადადება მისცა პროფორგანიზაციებს დაუყოვნებლივ მოეწყოთ სემინარები ყველა კულტარმიელისათვის წარმოებისაგან მოუწყვეტლად წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში სწავლების მეთოდის დასამუშავებლად<sup>16</sup>.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები გადაკეთებულ იქნა მასობრივი კვალიფიკაციის სკოლებად და წარმოადგენდნენ მუშათა და კომუნურნეთა განათლების ერთიანი სისტემის ნაწილს<sup>17</sup>. მის პირველ საფეხურს. სკოლებში გადიდდა სწავლების ვადა<sup>18</sup>. ამ დროისათვის უკვე შეიქმნა საქიროება წერა-კითხვის უცოდინართათვის მიეცათ ცოდნა დაწყებითი ორი კლასის მოცულობით, მცირემცოდნეთათვის კი — სამი კლასის მოცულობით<sup>19</sup>.

ამიერკავკასიის ფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა სალიკვიდაციო სკოლათა სასწავლო გეგმები შემდეგი სახით: წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებისათვის 330 სასწავლო საათი, აქედან 200 საათი ეთმობოდა მშობლიურ ენას და 130 საათი არითმეტიკას. სკოლებში სწავლების ხანგრძლივობა შეადგენდა: ქალაქად 10 თვეს — თვეში 12 სასწავლო დღეს და დღეში 3 სასწავლო საათს; სოფლად 7 თვეს, თვეში — 12 სასწავლო დღეს და დღეში 4 სასწავლო საათს<sup>20</sup>.

<sup>12</sup> საქ. სსრ ორცსა, ფურც. 28—29.

<sup>13</sup> იქვე, ფ. 819, აღწ. 1, საქ. 2492, ფურც. 15.

<sup>14</sup> იქვე, ფ. 820, აღწ. 1, საქ. 3272, ფურც. 1.

<sup>15</sup> ЦГАОР СССР, ф. 5451, оп. I, д. 505, л. 12.

<sup>16</sup> საქ. სსრ ორცსა, ფ. 819, აღწ. 1, საქ. 2492, ფურც. 15.

<sup>17</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1933, 1 იანვარი.

<sup>18</sup> ვაზ. „კომუნისტი“, 1934, 26 დეკემბერი.

<sup>19</sup> ЦГАОР. СССР, ф. 5451, оп. 18, д. 537, л. 16.

<sup>20</sup> საქ. სსრ ორცსა, ფ. 617, აღწ. 1, საქ. 7694, ფურც. 28—29.

v 1483 წლის 25 აპრილს ბრაიდენბახი გაემგზავრა პალესტინისა და იერუსალიმის მოსანახულებლად და, როგორც თვითონვე შენიშნავდა, აღსაწერად. v მოგზაურობის დროს მას თან ახლდნენ გრაფი იოჰან ფონ ზოლმსი<sup>2</sup>, რაინდი ფილიპ ფონ ბიქენი<sup>3</sup> და დომინიკელი ფელიქს ფაბრი<sup>4</sup>. მათ, ბრაიდენბახის მიწვევით, შეუერთდა უტრეხტელი მხატვარი ერპარდ რევიზი, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ამ მოგზაურობის უკვდავყოფის საქმეში.

მოგზაურები ჯერ ვენეციაში მივიდნენ, შემდეგ გაიარეს კ. კორფუ (კერკირა), მოდონი, კანდია (კ. კრეტა), როდოსი და მრავალი ხიფათის შემდეგ მი-

<sup>1</sup> Bernard von Breidenbach, Peregrinatio in terram Sanctam, Mainz, 1486.

<sup>2</sup> იოჰან ფონ ზოლმსი 1440 წლიდან მაინცისა და კელნის კანონიკი იყო. მოგვიანებით მან უარი თქვა საეკლესიო სამსახურზე და დაქორწინდა. იგი ითვლება ე. წ. ზოლმსური საგვარეულო შტოს დამაარსებლად (იხ. C. A. Schaab, Die Geschichte der Erfindung der Buchdruckkunst, Mainz, 1830, გვ. 531).

<sup>3</sup> იგი ბრაიდენბახის ახლო ნათესავი იყო (იხ. C. A. Schaab, დასახ. ნაშრომი, გვ. 531).

<sup>4</sup> ფელიქს ფაბრი შემდეგში ისევ დაბრუნდა პალესტინაში და იქვე გარდაიცვალა 1502 წ. იხ. Nouvelle biographie générale, depuis les temps les plus reculés jusqu'à nos jours, t. 7, Paris, 1863, გვ. 363).

აღწიეს დანიშნულების ადგილს. ბრაილენბახი, დიდი პატივისცემის ნიშნად, არჩეულ იქნა იერუსალიმის წმ. საფლავისა და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის რაინდად. ამ სპატიო ჯილდოს თვით ბრაილენბახი დიდ მნიშვნე-

## Von den Georgianen die auch wollen cristen sein.

Es meinsten auß volck in orient vor vñ iherusalem wohnt. des her-  
schafft sich strecket bis zu den Berge Caspyos genant. vñ ist gar ein streyt  
bar volck vñ stark vñ vil niterschafft habende. auch groß welt in streyt  
wamüged. also dar die saraceni vñ persy. medi vñ assyr yanische oder nach  
der werthe gar vñ bel schen. vñ wie wol die volck vñ allseyne vmbgebē ist mit  
der vngläubigen. noch dan forcht es die selbe mit. sunder es wurde von allen den  
selben gefort. vñ selten geleydiget. Sie heissen Georgian vñ sancto Georgio  
den heilige antze. den sie sich ein besundern patron vñ van siere halten. vnd er-  
men mit großer andacht vñ reuerenz. bey. wan sie zu veld vñ ziehen in streyt.  
Vñ diesen lufft wonē vil zu iherusalem vil heilige stett im habende. vñ bestund  
den berg Caluane vñ das loch darinne das eruz stund in eym veltchen der auß  
erh do cyrus am eruz verschied. Bey dem selben eruz haben sie ein altar vnd ge-  
manlichey an ein vñ den yren darinne verschlossen daren zu bewaren. Dar zu has-  
ten sie in gebirg die kirch der heilige engel. do erwan das haß anne des bischofs  
ist. dar er vñ unser her vñ den berg zum eruz ward gefuret. Item diese  
Georgian volge nach den kriegischen in allen yren anieteln vñ vñmen auch  
in den sacramenten. dem nach sie eben als wol sasmata oder vñgehoßam der er-  
mischen kirchen sein als die selben. Item yr clercken habē rind kronen vñ dem  
haube. Aber die leyen vier eckel oder quadrat. So die diese mensche vñ yren lan-  
den ziehen gen iherusalem die heilige stett bey zu suchen. gan sie mit vñger-  
then jancē vñ on all inder zu iherusalem vñ vñ ein. wan die saraceni d dret  
yren kan ley d rthim. forchtend. so bald diese in yr heymt kōmen. sie wurde yren  
mit. indern saracenen noch vil erger thun. Die georgianische edeln frauwen  
ziehen auch vñ in streyt vñ gebirg weert in maß wie die Amazonas. frauwen  
also genant. die ein eygen landt inne haben. Die mania dieser nationen ziehen yr  
beit vñ haer. vñ lassen es nimmer absheren. Vñ tragen hūts vñ yren haubten  
von mancherley farwe. In den göntlichen ampten vnd geschafften kuchen sie  
knechtisch zungen vnd sprach. Aber suß die saracenische oder Chaldayische weltliche  
alphabets ob bezachner sein.

ლობას ანიჭებდა. მან ორივე რაინდული ორდენის ნიშნები თავის საგვარე-  
ულო დროშაზე გამოსახულ ღერძში ჩაასმევინა.

1484 წ. მოგზაურები მაინცში დაბრუნდნენ. ბრაილენბახის შემდგომი  
ცხოვრებიდან მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ იგი საეკლესიო საქმეებთან  
დაკავშირებით მალე ისევ რომს გემგზავრა. 1486 წ. იგი დაესწრო მაქსიმი-  
ლიანეს მეფედ კურთხევას აახენში (იმპერატორი, 1493—1519), ხოლო 1495 წ.  
მონაწილეობდა ვორმსის რაიხსტაგის მუშაობაში.

ბრაიდენბახი გარდაიცვალა 1497 წლის 5 მაისს.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ პალესტინას მიმავალმა ბრაიდენბახმა თან წაიყვანა უტრეხტელი ერპარდ რევიხი, რომელიც განათლებული და საკმაოდ გაწაფული მხატვარი ყოფილა. ეს კარგად ჩანს „მოგზაურობის“ აღწერაში მოთავსებული მრავალრიცხოვანი გრავეურებიდან.

გერმანელი მეცნიერი მოზერი სამართლიანად აყენებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბრაიდენბახმა მოგზაურობის დღიურების წარმოება და ჩანახატების გაკეთება რევიხს მიანდო. მაგრამ მას ეს საქმე ბრაიდენბახის ზედამხედველობით უნდა ეკეთებინა. ამ საჩუშაოს შესრულებისათვის რევიხმა გარკვეული გასამრჯელო მიიღო, ხოლო ბრაიდენბახმა *autor principalis* უფლება შეინარჩუნა, როგორც ნაშრომის დაწერის მთავარმა ინიციატორმა. სინამდვილეში რევიხი უნდა ჩაითვალოს „მოგზაურობის“ თანაავტორად. ბრაიდენბახმა რევიხის დღიურებზე დაყრდნობითა და სხვა „სწავლულის“ (ასეა ნათქვამი თხზულების შესავალში) დახმარებით, 1485 წ. გაამზადა „მოგზაურობის“ ლათინური ტექსტი, რომელშიც მრავალ ადგილას დიდი მოკრძალებით არის აღნიშნული რევიხის დამსახურება. ნაშრომი დაიბეჭდა 1486 წლის თებერვალში (მეორე ლათინური გამოცემა 1502 წ.) რევიხის მიერ გამზადებული გრავეურებითა და ლიტურებით.

იმავე (1486) წელს რევიხმა ხელახლა გადაამუშავა დღიურები, შეადგინა გერმანული ტექსტი და მოამზადა ახალი გამოცემისათვის. მართლაც 1486 წ. იენისში „მოგზაურობა“ გამოიცა გერმანულ ენაზე (მეორე გერმანული გამოცემა 1490 წ.). ამ გამოცემის ავტორადაც ბრაიდენბახი არის მოხსენიებული.

„მოგზაურობა“ ითარგმნა და გამოქვეყნდა ჰოლანდიურ (1486), ფრანგულ (1488)<sup>5</sup> და ესპანურ (1498)<sup>6</sup> ენებზე.

„მოგზაურობის“ მრავალრიცხოვანი გამოცემები მიგვიითბებენ დას. ევროპელთა ცხოველ ინტერესზე წმინდა ადგილებისა და საერთოდ აღმოსავლეთის მიმართ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, იგი პირველი, შედარებით სრულყოფილი თხზულებაა შუა საუკუნეების ევროპის იმ მრავალრიცხოვან ნაშრომებს შორის, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ხალხების გაცნობას მიეძღვნა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „მოგზაურობაში“ ნაკლებად შეიმჩნევა ამგვარი (პოლიგრიმული) უანრის ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ფანატიზმი. ავტორები (ბრაიდენბახი და რევიხი) პალესტინისა და სინას აღწერისას ერთნაირად იყვნენ დაინტერესებული როგორც ქრისტიანული წმინდა ადგილებით, ისე ქვეყნის ჰავით, რელიეფით, ფლორითა და ფაუნით, ქალაქებითა და მოსახლეობით. მათ აინტერესებდათ პალესტინაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების ჩაცმულობა, ზნე-ჩვეულება, ენა,

<sup>5</sup> ბრაიდენბახი დაკრძალეს მაინცის სეპისკოპოსო ტაძრის ღვთისმშობლის სამლოცველოში.

<sup>6</sup> მოზერის ნაშრომი მოთავსებულია კრებულში: *Scrapheum. Zeitschrift für Bibliothekswissenschaft, Handschriftenkunde und ältere Litteratur, Dritte Jahrgang, Leipzig, 1842, გვ. 56—76.*

<sup>7</sup> *Sanctae Peregrinationes. Opusculum Mogunt'ae per Erhardum Reu'ich de Trajecto inferiori impressum, Mainz, 1485.*

<sup>8</sup> ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა 4-ჯერ: 1488 და 1489 წლებში ლიონში და 1517, 1522 წლებში პარიზში.

<sup>9</sup> *Viaje de la tierra Sancta.* თარგმანი შესრულებულია 1486 წლის ლათინური გამოცემიდან მარტინეს დამპიეს მიერ.

დამწერლობა და ისტორიული წარსული. ავტორებმა, მკითხველისათვის სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის მიზნით, წიგნს დაურთეს მრავალრიცხოვანი დიაგრამები, რუკები და სურათები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრაიდენბახი და რევინი პირველნი დაინტერესდნენ გაცნობით ევროპელთათვის იერუსალიმში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების წარმომადგენელთა ენისა და დამწერლობის ნიმუშები. წიგნში ამ მიზნითაა მოცემული რამდენიმე ალფაბეტი (ვასახელებთ ისე როგორც „მოგზაურობაში“): სარკინოზული, ებრაული, სირიული, ბერძნული აბისინიური და სხვა. ნაშრომში ავტორები სთავაზობენ მკითხველს ზოგიერთი ენის (ბერძნული, თურქული, სარკინოზული) მცირე ლექსიკონებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ბრაიდენბახი, რევინი და „სხვა სწავლული“ იმ ლინგვისტურ და ფილოლოგიურ ძიებათა საქმის კურსში იყვნენ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა იტალიელმა ჰუმანისტმა ლორენცო ვალამ XV ს-ის პირველ ნახევარში.

ჩვენ ვისარგებლეთ „მოგზაურობა წმ. მიწაზე“-ს 1486 წლის გერმანული გამოცემით, რომლის ერთ-ერთი ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში. მოგვყავს იმ ტექსტის სრული თარგმანი (წიგნს პაგინაცია არა აქვს), რომელიც საქართველოსა და ქართველებს ეხება.

**გეორგიანების შესახებ, რომლებსაც სურთ გახდნენ ქრისტიანები<sup>10</sup>**

არის აგრეთვე იერუსალიმის აღმოსავლეთით მცხოვრები სხვა ხალხი, რომლის ბატონობა კასპიისაღ<sup>11</sup> წოდებულ მთებამდე ვრცელდება. დიდად მეომარი და ძლიერი ხალხია და მრავალრიცხოვანი რაინდობა ჰყავს. ასევე დიდად მიისწრაფიან ვრცელი სამყაროს დაპყრობისაკენ. ასე რომ, სარაცუნები<sup>12</sup> და პერსები<sup>13</sup>, მედეები<sup>14</sup> და ასირიელები მონასხდებიან ან მეზობლებს [არაიან და] ძალიან უშინიათ მათი. თუმცა ეს ხალხი ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია ურწმუნოებით, მაინც უშიშრად არიან. პირიქით, ყველას უშინია და იშვიათად აწყენიანებენ [მათ]. მათ ჰქვიათ გეორგიანები წმიდა გიორგის, წმიდა რაინდის [სახელის] მიხედვით<sup>15</sup>, რომელსაც ისინი თავიანთ განსაკუთრებულ პატრო-

<sup>10</sup> ბრაიდენბახს, ალბათ, უნდოდა ეთქვა: ქართველებს სურთ გახდნენ კათოლიკეები. შუა საუკუნეების დას. ევროპელის აზრით, მართლმადიდებლები გზიდან აცდენილი ცოდვილები იყვნენ. ჰუმპარიტ ქრისტიანებად მათ მხოლოდ კათოლიკეები მიაჩნდათ.

<sup>11</sup> დას. ევროპაში კავკასიის მთები უმეტესად კასპიის მთების სახელით იყო ცნობილი. თითქმის ყველა მოგზაური ამ სახელით აღნიშნავდა კავკასიონის მთაგერხილს.

<sup>12</sup> სარაკინი — (სარკინოზი) წარმომადგარი ძველ არაბეთში მცხოვრები მომთაბარე ტომის სახელიდან. შემდეგში ევროპაში ამ სახელით იწოდებოდნენ არა მხოლოდ არაბები, არამედ სავსებით მუსლიმანები. ამ შემთხვევაში კი ბრაიდენბახი არაბებს უნდა გულისხმობდეს.

<sup>13</sup> პერსებში შეიძლება საერთოდ ირანელებია ნაგულისხმევი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ პერსები (ფარსები) ყველაზე უძველესი და მრავალრიცხოვანი იყო ირანში. მცხოვრებ სხვა ხალხებთან შედარებით.

<sup>14</sup> მედეები ანუ მიდიელები. შუა საუკუნეების ზოგიერთი ევროპელი ავტორი ტერმინით „მედია“ (შუა) აღნიშნავდა შუა აზიასა და გულისხმობდა სპარსეთსა და ჩინეთს შორის არსებულ სახელმწიფოს, რომელსაც სინამდვილეში ჩილათაის ულუსი ერქვა.

<sup>15</sup> ვახუშტი ბაგრატიონი ითვალისწინებდა რა საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხოელთა შორის გაერთილებულ მოსაზრებას ქართველთა სახელის წარმოშობის შესახებ, აღნიშნავდა: „უკუალად ვინათვან იცნეს სამება-ერთარსება. ჰუმპარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ, და ესე ზაბილონ იყო კაბადუციელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა, ამისთვის მიერ ეამითუან ნინოსი და სასწაულსი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერთასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი

ნად და წინამძღოლად თვლიან და თავყვანს სცემენ დიდი მოწიწებითა და სასოებით, [განსაკუთრებით მაშინ], როცა [ბრძოლის] ველზე გადიან საბრძოლველად. ამ ხალხის [წარმომადგენლები] ცხოვრობენ იერუსალიმში. მათ შიგნით წმიდა ადგილები აქვთ, განსაკუთრებით კალვარიუს მთა<sup>16</sup> და [ის] გამოქვაბული, რომლის თავზე ერთ დიდ კლდეზე იდგა ჯვარი. იმ ჯვარზე აღილუა ქრისტე. იმავე ადგილას აქვთ საკურთხეველი [რომელსაც] ერთ-ერთი [ქართველი] შიგნიდან დაკეტილს იცავს. მათს განკარგულებასა აკრთევე წმინდა ანგელოსების ეკლესია<sup>17</sup>. იქ იდგა ეპისკოპოს ანეს<sup>18</sup> სახლი, სადაც უფალი პირველად მიიყვანეს ზეთის ხილის მთიდან. აქვე გეორგიანები ბერძნებს მისდევენ ყველა წესებსა და ცდომილებაში. აგრეთვე წმინდანებში, რის გამოც ისინი სხიზმატიკები<sup>19</sup> ან რომის ეკლესიის ურჩნი არიან... მათს სამღვდლოთ თავზე მრგვალი ტონურა აქვთ<sup>20</sup>, ბერებს კი ოთხ-

ანუ მალანი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი, და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ გორჯანსა, და რუსნი გრუზსა, და მოპმიდიანნი გურჯსა მათთა ორფორადის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 39—40).

<sup>16</sup> კალვარიუს მთა — გოლგოთა. XI საუკუნიდან. აქ არსებობდა ამავე სახელწოდების ეკლესია ქართული მშობით. ბაგრატ კურაპალატს ეპისკოპოსი კი დაუსვაშს იქ (რ. ქანელი, ქართველები იერუსალიმში, ავტორის წინასიტყვაობით. ფრანგულიდან თარგმანა შ. ვარდნიკი, სტამბოლი, 1921, გვ. 14). ქართველები დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდნენ გოლგოთაზე, მაგრამ XV საუკუნეში რამდენიმე ხნით დაუკარგავთ მისი ნახევარი, რომელიც ლათინების ხელში გადასულა. 1479 წ. იგი ისევ ქართველებმა დაიბრუნეს

Ratsherr Johann Tucher von Nürnberg, Reise nach Jerusalem, Nürnberg, 1483, გვ. 26. ხოლო როგორც „მოგზაურობის“ ცნობიდან ირკვევა, 1483—84 წწ. ქართველები სხვადასხვა წმინდა ადგილებთან ერთად „განსაკუთრებით“ კალვარიუს მთას ფლობდნენ“. შემდეგ მოგვითხრობს არაბები დაბატონებიან, რომელთა ხელიდან ბაგრატ VII (1510—64) გამოუსყიდია, ხოლო მეფე ლევანს „მაროთი აღუშენებია“ (ტიმოთევაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველი, თბ., 1956, გვ. 78).

<sup>17</sup> რ. ქანელის ნაშრომში ნათქვამია, რომ ქართველები მართლაც ფლობდნენ წმ. ანგელოსების ეკლესიას, მაგრამ XIII—XIV საუკუნეებში. შემდეგში იგი სომხების ხელში გადასულა. XX ს-ის დასაწყისში იქ სომეხი ბერ-მონაზვნები იყვნენ (რ. ქანელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 18). ბრაილენბახ-რეიხის ცნობიდან კი ირკვევა, რომ აღნიშნული ეკლესია XV საუკუნეშიც, ყოველ შემთხვევაში, 1483—84 წლებში ქართველებს ეკავათ.

<sup>18</sup> ბედქერის აზრით, „ეპისკოპოს ანეს“ სახლი სომხური სიონის ეკლესიის ადგილას იდგა (C. Bäckker, Ägypten, Leizdg, 1877, გვ. 543). სიონის ეკლესია კი ყოფილა წმ. იაკობის მონასტრია, რომელიც ქართველებმა დაარსეს მათი კეთილდღეობის ღროს და სამას წელზე მეტი არ იქნება რაც სომხების ხელში გადავიდა“ (С. Н. Муравьев, Путешествия к св. местам в 1830 г., СПб., 1848, т. II, გვ. 115). XI საუკუნეში „იაკობ აღფეს მოციქულის მონასტერი აღუშენებია გიორგი მეფეს საქართველოსას, აწ რომელიც სომეხთ უპირავსო. იტყოდნენ ვითარმედ ზარაფხანა მეფეთა საქართველოსათა იმ დიდს მონასტერში ყოფილა“ (ტ. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 78).

წმ. იაკობის მონასტერი რომ ისტორიულად ქართველებს ეკუთვნოდათ, ასეთი აზრი დიდად ყოფილა გავრცელებული აღ. ცაგარელის იერუსალიმში ყოფნისას (А. Цагарели, Памятники грузинской старины в св. земле и на Синае, СПб, 1888, გვ. 118). იქვე მახლობლად არსებობდა პატარა ნაგებობაც, სადაც, გადმოცემის თანახმად, ქრისტე იყო დამწყვდეული (V. Langmantiel, Hans Schiltbergers Reisebuch nach der Nürnberger Handschrift herausgegeben von Dr. Valentin Langmantiel. „Bibliothek des Literarisch Vereins in Stuttgart.“ Bd. 172, Tübingen, 1885).

<sup>19</sup> სხიზმატიკი — სქიზმატიკოსი, ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გამოიშველს, განხეთქილების შემტანს. ასე უწოდებდნენ კათოლიკები მართლმადიდებლებს.

<sup>20</sup> ტონურა — კათოლიკე საეკლესიო პირთა გაყრდნობის საქონი (ტექსტში გვირგვინი).

კუთხედი ან კვადრატულა<sup>21</sup>. ხშირად ეს ხალხი თავის ქვეყნიდან მიემგზავრება იერუსალიმისაკენ, [რათა] წმინდა ქალაქში ეძიონ საყუდელი. იერუსალიმში ისინი მალა აწეული დროშებითა და უსართოდ შედიან და გამოდიან<sup>22</sup>. სარაციეები ვერ ბედავენ რაიმე ენება მიაყენონ მათ იმის შიშით, რომ ისინი თავიანთ სამშობლოში დაბრუნებისათანავე მათს თანამომემ სარაციეებს უფრო მეტ ზიანს მიაყენებენ. გეორგიანელი ქალებიც მიდიან ბრძოლაში და იარაღს ხმარობენ იმგვარად, როგორც ამაზონელები — ასე იწოდებიან ქალები, რომლებსაც თავიანთი ქვეყანა აქვთ. [გეორგიანელთა] მოდგმის კაცები ატარებენ წვერსა და თმას, რომელსაც არასოდეს იკრევენ<sup>23</sup>. თავზე ახურავენ სხვადასხვა ფერის ქუდეები<sup>24</sup>. დღეთსმსახურებასა და [საეკლესიო] ნაწერებში ისინი იყენებენ ბერძნულ ენასა და მეტყველებას, მაგრამ [საერო კოფაში] ხმარობენ სარაციულს ან ქალდეურს, რომლის აღფაბეტი ზემოთ არის ნაჩვენები<sup>25</sup>.

21 ქართველი სასულიერო პირების ტონზურაში თმავარცხნილობა იგულისხმება. „მოგზაურობის“ ტექსტიდან გამომდინარე, საეკლესიო იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ პირს სხვადასხვაინარი ვარცხნილობა ჰქონია, როგორც გარეგანი განმასხვავებელი ნიშანი.

XIII საუკუნიდან მოყოლებული იერუსალიმელი ქართველების თმავარცხნილობის შესახებ ცნობები მრავალდ მოგვეპოვება. გერმანელი პოლიგრაფი თიტმარი, რომელიც იერუსალიმში იყო 1217 წელს, ქართველების შესახებ წერდა: „ყველა მღვდელსა და ბერს — აქვს ტონზურა: ბერებს ოთხკუთხედი, მღვდლებს მრგვალი“ (Laurent, Peregrinatores medii aevi quatuor, Hambourg, 1857, გვ. 51). ამჯერად ყველა ცნობის მოყვანა სკიპრო არ არის მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ თიტმარის ნათქვამს ოთხი საუკუნის შემდეგ თოქმის სიუყუასიტყვით იმეორებს სხვა გერმანელი პოლიგრაფი ლუდვიგ ჩიდე (Reise und Pilgerfahrt zum des Edlen und Besprengen Herren Ludvigen Tschudis von Glarus ecc., Gullen, 1606, გვ. 138).

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა ორი ცნობა, რომელიც დაგვიტოვეს რტალიელმა დიპლომატებმა ბარბარომ და კონტარინიმ. ისინი ზემოაღწერილ ტონზურას მიაწერენ ყველა ქართველს, განურჩევლად იმისა, სასულიერო პირი იქნებოდა თუ საერო. ბარბარო წერს: ქართველები „თავს იკრევენ ისე, რომ ირგვლივ იტოვებენ მცირეოდენ თმას მსგავსად ჩვენი აბატებისა, რომლებსაც კარგი შემოსავალი აქვთ“ (Ramusio, e Seconda volume della Navigazioni et Viaggi, Venezia, 1559, გვ. 98 v).

კონტარინი კი აღნიშნავს, რომ: მამაკაცები ატარებენ ტონზურას ბერების მსგავსად (Ramusio, დასახ. ნაშრომი, ფ. 114v).

ბარბაროს და კონტარინის ნათქვამს ეწინააღმდეგება ბრაიდენბახ-რევიცის „მოგზაურობის“ ტექსტი, საიდანაც ვიგებთ, რომ ქართველი საერო პირნი ატარებდნენ წვერსა და თმას, რომელსაც არასოდეს არ იკრებდნენ.

22 იერუსალიმში ქართველების პრივილეგირებული მდგომარეობის შესახებ არსებობს უფრო ადრინდელი ცნობაც. არაბი ავტორის ალ-კალკასანდის მიხედვით XIV ს-ის პირველი ნახევრისათვის ეგვიპტის სულთანმა ქართველებს უფლება მისცა იერუსალიმში ემოგზაურათ ცხენ-სახენდრებით ორივე გვერდზე ფეხებ-ჩამოშვებული. მანამდე ქრისტიანები ცალ გვერდზე მჯდომნი მოგზაურობდნენ (ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბ., 1966, გვ. 270).

23 ქართველ ერისკაცთა წვერ-ულვაშის სიდიდემ ბარბაროს ყურადღებაც მიიქცია. იტრას წერს იგი: ქართველები „ატარებენ ულვაშებს, რომლის ბეწვებსაც იზრდიან წვერზე დაბლა ერთი კვარტის, ერთი წყრთის სიგრძეზე“ (Ramusio, დასახ. ნაშრომი, ფ. 98v).

24 შდრ. ბარბაროსთან: „თავზე მხურავთ სხვადასხვა ფერის ქუდეები, რომელსაც წვერში ჯილა აქვს“ (Ramusio, ფ. 98v). შდრ. „მოამბე“, I, 1892, გვ. 47).

25 იმ ტექსტის წინ, რომელშიც საქართველოზეა ლაპარაკი, მართლაც მოცემულია აღფაბეტი, მაგრამ ქალდეური კი არა, არამედ ეთიოპური.

წარმოდგინა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო/პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრამ

Ю. Н. ВОРОНОВ

## РАННЕСРЕДНЕВЕКОВЫЕ КРЕПОСТИ НА ТЕРРИТОРИИ АБХАЗИИ (VII—X ВВ.)

На территории Абхазской АССР и в прилегающей части Сочинского района автором проведено обследование (обмеры и сборы подъемного материала) нескольких десятков как известных, так и вновь открытых раннесредневековых укреплений, характеристика которых позволяет наметить ряд важных закономерностей в развитии местного оборонительного зодчества<sup>1</sup>.

Выделены четыре типа укреплений-городища (Ачипсе, Хашупсе, Анакопия, Псху, Ачапара, Скайсук и др.), крепости (Хоста, Монастырь, Калдахвара, Клыч-1 и др.) замки (Хасанта-абаа, Уаз-абаа, Шубара, Ткварчели, Наджих, Пахулани, Сатанжо и др.) и ограды (Отюш, Австрица и др.). Городища формировались на основе значительных (более 0,5 га) поселений, позднее окруженных оборонительными стенами, внутри которых отмечаются остатки различных жилых и культовых зданий. Крепости возникали на стратегически выгодных возвышенностях на заселенных или не обжитых прежде местах. Площадь крепостей обычно составляет 0,1—0,5 га. Замки возводились на особо выдающихся вершинах вблизи поселений и представляли собою обычно башню с оградой, охватывающей территорию в 200—500 кв. м. Ограды-укрытия строились вблизи поселений и важных путей. К последним по своему характеру относятся отчасти и ацангуары — пастушеские сооружения того же времени в высокогорной зоне.

Планировка укреплений раннесредневековой Абхазии была тесно связана с условиями местности — стены следуют ее извивам, используют и дополняют ее выгодные в стратегическом отношении возможности. Изредка отмечаются попытки выправить изъяны местности — через глубокие трещины перебрасывались каменные арки с целью спрямления линии стен (Хашупсе) и т. д.

При сооружении стен почва снималась до скальной основы, в которой на склонах высекалась ступень, служившая опорой для осно-

<sup>1</sup> В. Б. Ковалевская, Ю. Н. Воронов, Ф. Е. Михайличенко, Исследования средневековых памятников Северо-Западного Кавказа, «Археологические открытия 1968 г.», М., 1969, стр. 124—125; Ю. Н. Воронов, Л. Н. Ситникова, Л. Л. Ситников, Археологические разведки в бассейне р. Мзымта, «Археологические открытия 1969 г.», М., 1970, стр. 86—87; Ю. Н. Воронов, Разведки в Абхазской АССР, «Археологические открытия 1970 г.», М., 1971, стр. 377; Ю. Н. Воронов, Разведочные работы в Абхазской АССР, «Археологические открытия 1971 г.», М., 1972, стр. 472—473; Ю. Н. Воронов, Археологические разведки в Абхазии, «Археологические открытия 1972 г.», М., 1973, стр. 421; О. Х. Бгажба, Материальная культура средневековой Абхазии (VI—XIII вв.), автореферат, М., 1972, стр. 7—16; В. А. Леквинадзе, Монументальные памятники Западной Грузии I—VII вв., автореферат, М., 1973, стр. 30—31, 34.

вания фундамента. Стены возводились постепенно узкими ярусами до высоты в 5—6 м и изредка оформлялись сверху зубцами. Изнутри в стене иногда делались выступающие каменные лестницы, приводившие на боевую дорожку (Хашупсе, Калдахвара и др.).

Стены укреплений в приморской зоне и в горах вдоль важнейших стратегических дорог возводились с помощью облицовочной кладки из тесаных блоков с частичным соблюдением рядов, с забутовкой из ломаного камня на растворе с крупнозернистой примесью речного или морского песка и гравия. В отдельных случаях в кладке стен отмечено использование кирпича многорядными поясами (Анакопия) либо отдельными включениями (Ачипсе, Псху, Клыч-1 и др.). В горной зоне, где добыча и доставка извести была затруднена, а укрепления носили второстепенный характер (Бешенка, Клыч-2, Сакен, Австрица и др.), использовалась нерегулярная облицовочная циклопическая кладка насухо.

Стены городищ и крепостей укреплялись выступающими, как правило, наружу башнями и контрфорсами. На труднодоступных участках возводились башни и контрфорсы прямоугольного сечения (большинство горных и предгорных укреплений), в легкодоступных для людей и стенобитных машин местах сооружались полукруглые башни и контрфорсы (Анакопия, Калдахвара, Ткварчели и др.).

Башни обычно многоярусные (в 2—4 этажа). Межэтажные перекрытия были сводчатыми с опорой на каменный столб (Анакопия) или без него (Уаз-абаа, Клыч-1 и др.) либо деревянными (Хоста, Хашупсе, Шубара и др.). Нижний этаж был либо полым (Анакопия, Уаз-абаа и др.), либо заполнялся бутом (Ачипсе, Пслух, Хасанта-абаа, Псху, Мушба и др.), наращивая естественную возвышенность. Во второй этаж обычно попадали по приставной лестнице или с боевой дорожки по стене. Этажи в башнях сообщались между собой с помощью люков и деревянных лестниц. Стены башен снабжались смотровыми окнами и бойницами. Верхняя боевая площадка окружалась по краю барьером, оформленным зубцами. Башни в замках обычно располагались внутри пространства, огражденного стеной, соприкасаясь с ней (Шубара, Уаз-абаа, Ткварчели, Пахулани и др.) или обособленно (Хасанта-абаа, Сатанжо и др.).

Контрфорсы по своему происхождению, как правило, связаны с башнями. В отдельных укреплениях (Калдахвара и др.) контрфорсы представляют собой небольшие выступающие за линию стены полукруглые башни, заполненные бутом и снабженные сверху боевыми площадками с зубчатым барьером. В других местах эти выступы уже не выполняют и таких функций, используя по прямому своему назначению (Ачипсе, Ткварчели, Пахулани и др.). Аналогична и эволюция отдельных прямоугольных башен. В отдельных случаях (Хоста, Бзыбь) такие башни постепенно утрачивают внутреннее помещение, принимая все колдцеобразную форму. Прямоугольные или треугольные в плане контрфорсы широко использовались в горных крепостях (Ачипсе, Пслух, Хашупсе, Псху, Клыч-1 и др.).

Особое значение придавалось оформлению крепостных ворот, которые на городищах и в крепостях отличались иногда значительными размерами, имели каменный порог, арочное перекрытие, массивное полотно и бревенчатый запор (Хоста, Ачипсе, Анакопия, Бзыбь, Псху, Клыч-1 и др.). В других случаях, особенно в замках, вход в целях безопасности располагался высоко над землей. Внутри укрепления в этом случае можно было попасть только по переносной или подъемной деревянной лестнице (Хасанта-абаа, Мушба, Ткварчели и др.). Иногда

отмечается каменная лестница, встроенная в стену снаружи (Уаз-абаа, Пахулани и др.). Башни и контрфорсы в районе ворот обычно располагались с тем расчетом, чтобы нападающие находились под обстрелом справа (Хоста, Аибга, Псху, Анакопия и др.).

В практике зодчих раннесредневековой Абхазии использовались и другие виды оборонительных сооружений, в первую очередь рвы и валы, располагавшиеся перед воротами поперек перешейков, соединявших территорию укрепления с окружающей местностью (Хоста, Кунцицо, Ткварчели и др.). В отдельных случаях система рвов и валов достигала значительных размеров (Клыч-1, Сатанжо и др.). Переход через рвы осуществлялся, по-видимому, с помощью подъемных деревянных мостков.

Более узкая, чем указанная в заголовке, хронологическая градация раннесредневековых укреплений Абхазии пока затруднительна. Наиболее древними, по-видимому, являются городища (VII—VIII вв. до н. э.). Позже (VIII—IX вв.) строятся крепости и ограды. В то же время замки, вероятно, могут быть отнесены к заключительному этапу периода (IX—X вв.), когда особенно в низинах и предгорьях нарастает процесс обособления феодального сословия. Отдельные замки, локализованные на особо выдающихся вершинах, могли служить и дозорными, сторожевыми укреплениями (Сатанжо, Пахулани и др.). Часть рассмотренных сооружений несет на себе следы позднейших переделок и обитания (Анакопия, Чхалта, Сатанжо и др.).

Представил Абхазский Совет Грузинского Общества  
охраны памятников культуры

ლაშარა ნახიჩიძე

მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები საქართველოს ქვის ხანის ძეგლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

იგი მოიცავს საკმაოდ ვრცელ პერიოდს, ზედა პალეოლითიდან — ენეოლითის ჩათვლით. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები ქვის ხანის ცალკეულ საფეხურებზე განვითარების გარკვეულ გზას გადის. სხვა იარაღებისაგან განსხვავებით, მათ უფრო მკაფიოდ ემჩნევათ ეპოქალური ცვლილებები. ამგვარი კანონზომიერების გამო, ქვის ხანის კომპლექსებში გეომეტრიული მიკროლითები დანაჩვენებულ ელემენტებთან შედარებით ქრონოლოგიის ყველაზე მგრძობიარე მაჩვენებელია. ამიტომ თვალის გადავინება მათი განვითარების ზოგად კანონზომიერებებზე ხელს შეუწყობს კავკასიის ქვის ხანის ქრონოლოგიისა და პერიოდიზაციის საკითხების კვლევას.

გეომეტრიული მიკროლითებიანი ინვენტარის მქონე სადგომებს ფართო ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელება აქვს, რის გამოც ამ საკითხით არა ერთი საბჭოთა და საზღვარგარეთელი არქეოლოგი დაინტერესებულა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად დიდი ინტერესისა დღემდე არ არსებობს სპეციალური გამოკვლევა, რომელშიც გაშუქებული იყოს მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების განვითარების ზოგადი საკითხები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაგვეჩვენა ამ ტექნიკისა და იარაღთა ფორმების ეპოქალური ცვლილებები. ამ მხრივ ეს საკითხი ყველაზე სუსტად კავკასიაშია შესწავლილი. მასზე არა მარტო არ არსებობს სპეციალური ნაშრომი, არამედ თვით მიკროლითებიანი სადგომებიც უკანასკნელ ხანებამდე მცირე რაოდენობით იყო გამოვლენილი და შესწავლილი.

ზოგადი საკითხების კვლევისას რიგი მეცნიერებისა (ეფიმენკო, ზამიატინი, ბიბიკოვი და სხვ.) იყენებდნენ გეომეტრიული მიკროლითების შედარებით ანალიზს. ამასთან დაკავშირებით მათ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ფართოდ შეიტანეს კავკასიური მასალებიც.

კავკასიის ზედაპალეოლითური და მეზოლითური კულტურების ლოკალური ვარიანტების საკითხების კვლევისას ნ. ბადერმა ფართოდ გააკეთა მიკროლითური ნაწარმის ანალიზი და აჩვენა მიკროლითური ტექნიკის შესაძლებლობა ლოკალური კულტურების საკითხების შესწავლისას<sup>1</sup>.

ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის ნეოლითური ძეგლების შესწავლის საფუძველზე ა. ფორმოზოვმა<sup>2</sup> მიკროლითური ტექნიკის შესახებ გამოთქვა სასაყურადღებო მოსაზრებები.

<sup>1</sup> Н. О. Бадер. О соотношении верхнепалеолитических и мезолитических культур Крыма, Кавказа и Ближнего Востока. 1964; მისივე. Варианты культуры Кавказа конца верхнего палеолита и мезолита. СА. М., 1965. გვ. 4.

<sup>2</sup> А. А. Формозов. Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа. МИА, №102, 1962.

უკანასკნელ ათწლეულში საქართველოში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა არა ერთი ზედაპალეოლითური, მეზოლითური, ნეოლითური და ენეოლითური ძეგლი, რომლებიც კარგად ასახვენ მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული ფორმის იარაღების განვითარების სხვადასხვა საფეხურს. აღნიშნული კომპლექსები კავკასიის ადრე მიკვლეულ ძეგლებთან ერთად საშუალებას იძლევა მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების შესწავლის საკითხის დასმისა.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით თვალი გავადევნოთ მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების წარმოშობა-განვითარებას ქვის ხანის ცალკეული საფეხურების მიხედვით.

მიკროლითური ტექნიკა საქართველოში ზედა პალეოლითის დასაწყისში ჩნდება. მისი ჩასახვა-განვითარება მჭიდრო კავშირშია ზედა პალეოლითის ქვის ინდუსტრიის ძირეულ სიახლესთან — დანისებური ლამელების ტექნიკის წარმოშობასთან. ზედა პალეოლითის ქვის დამუშავებაში მომხდარი ახალი ძვრები განპირობებული იყო ამ პერიოდის სამეურნეო ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხით. ამასთან დაკავშირებით ისახება პრიზმისებური ნუკლეუსებიდან დანისებური ლამელების ატკეცივის ტექნიკა, რომელიც სწრაფი აღმავალი ხაზით ვითარდება ზედა პალეოლითიდან — ლითონის ხანამდე.

ქვედა პალეოლითის ქვის ინდუსტრიასთან შედარებით, პრიზმისებური ნუკლეუსებიდან ატკეცილი დანისებური ლამელების ტექნიკა იყო ახალი, დიდი შინაგანი შესაძლებლობის მქონე, რომლის წიაღში ჩაისახა და შემდეგ ფართოდ განვითარდა ჩასართების ტექნიკა. ლამელებისა და ჩასართების ტექნიკამ ჩასახვის დროიდან (ზედა პალეოლითის დასაწყისი) — ლითონის ხანამდე — განვითარების დიდი გზა განვლო. მისმა განვითარებამ განაპირობა იარაღების მიკროლითურობა. ჩასართების ტექნიკის მთავარ კომპონენტად მიკროლითი იქცა, რამაც დასაბამი მისცა მიკროლითური ინდუსტრიის განვითარებას. აღნიშნული ტექნიკის განვითარების ხაზი ძირითადად მიკროიარაღების სრულყოფის გზით წარიმართა.

ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღები. ზედა პალეოლითის ძეგლებში მიკროლითური ტექნიკა ძირითადად წარმოდგენილია ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღებით — სხვადასხვა ტიპის მიკროწვეტანებითა და დანებით. აღნიშნული იარაღები ძალიან დამახასიათებელია საქართველოს ზედა პალეოლითისა და მეზოლითისათვის. მათ ფართო კრონოლოგიური და ტერიტორიული გავრცელება აქვთ. ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღები დამახასიათებელია მთელი კავკასიისათვის, წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ზედა პალეოლითისა და მეზოლითისათვის.

მიკროიარაღები საქართველოში ზედა პალეოლითის დასაწყისში ჩნდება (სვანთა სავანე<sup>3</sup>, ხერგულის კლდე<sup>4</sup>). ამ ძეგლებში ისინი ძირითადად წარმოდგენილია ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროწვეტანებითა და დანებით (ტაბ. 1, სურ. 1—8, 11, 12) ზედა პალეოლითის ადრეულ საფეხურზე ჩნდება ირგვლივ რტუქშირებული მიკროწვეტანები. ეს იარაღები ზედა პალეოლითის

<sup>3</sup> აღნიშნული იარაღების ჯგუფში ვაერთიანებთ ყველა ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა მიკროიარაღებს გეომეტრიული მიკროლითების გამოკლებით.

<sup>4</sup> ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი. კოლ. № 30—973.

<sup>5</sup> იქვე, კოლ. № 29—26;

დასასრულამდე არსებობენ და თანდათანობით სრულყოფილ სახეს იღებენ. აღსანიშნავია ხერგულის კლდის მიკროიარაღებზე ფუძის ათლა (მუცლის მხრიდან) ბრტყელი რეტუშით<sup>6</sup>.

ზედა პალეოლითის შუა საფენურის ძეგლებში (დევის ხვრელი, საკაეია)<sup>7</sup> (ტბ. 1, სურ. 23—26, 29, 32, 42—44) ბლაგვჭურგა და ბლაგვკვერდა მიკროიარაღების რაოდენობა მატულობს, ზომები მცირდება. დევის ხვრელში მიკროიარაღები იარაღების საერთო რაოდენობის 15% შეადგენს. საკაეიაში კი მიკროიარაღები 20%-ია. მიკროიარაღებიდან წამყვანი ადგილი წვეტანებს უჭირავს. ისინი გამოირჩევიან ფორმის მრავალფეროვნებით. გრძელდება ტრადიციული იარაღების შესწორებისა მუცლის მხრიდან ბრტყელი რეტუშით, რაც შემჩნეული იყო ხერგულის კლდეში. მცირე რაოდენობით გვხვდება ირგვლივ რეტუშირებული წვეტანები.

ზედა პალეოლითის მოგვიანო საფენურზე (გვარჯილასკლდე<sup>8</sup>) ბლაგვჭურგა და ბლაგვკვერდა მიკროიარაღების რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. გვარჯილას — კლდეში მიკროიარაღები იარაღების საერთო რაოდენობის 38% შეადგენს. აღნიშნული იარაღებიდან წამყვანი ადგილი წვეტანებს უჭირავს. მათში ჭარბობს ნემასიებური წვეტანები. წინა საფენურებთან შედარებით მათი ფორმები იხვეწება, ზომები მცირდება. დიდი ადგილი უჭირავს ისევ ე. წ. გრავეტის ტიპის წვეტანებს. ძალიან დამახასიათებელია გვარჯილას კლდისათვის ფუძემომრგვალებული მშვილდწვეტანები. მათ წვერი ხშირად უმახვილებოდათ, ხოლო, ბოლო უთხვლევოდათ ბრტყელი რეტუშით მუცლის მხრიდან.

გვარჯილას კლდეში მცირე რაოდენობით ნაპოვნია დახვეწილი ფორმის ირგვლივ რეტუშირებული წვეტანები, რომლებსაც გრავეტ-წვეტანებსაც უწოდებენ.

ადრე მეზოლითში ბლაგვჭურგა და ბლაგვკვერდა მიკროლამელები კვლავ ინარჩუნებენ წამყვან მნიშვნელობას (ქეპარა, იაშთხვა, კეპ-ბოლაში, ენწერი, ქახათი)<sup>9</sup>.

ჩრდილო კავკასიის მეზოლითურ ძეგლებშიც შეინიშნება ბლაგვჭურგა და ბლაგვკვერდა მიკროიარაღების გავრცელება<sup>10</sup>. ასეთი ძეგლების რიცხვს მიეკუთვნება ჩოხის ცნობილი სადგომიც, რომელიც საკმაოდ მდიდარია ბლაგვკვერდა ლამელებით. იგივე მდგომარეობაა კოზმა-ნოხოში<sup>11</sup> და გუბის მეშვიდე ეხში. ამ ძეგლებში ყველა იარაღთან ჭარბობს ბლაგვკვერდა მიკროლამელები. ბევრია ბლაგვკვერდა მიკროლამელები სოსრუკოს<sup>12</sup> სადგომში

<sup>6</sup> С. Н. Замятин, Палеолит Западного Закавказья. I. Палеолитические пещеры Имеретии, Сб. МАЭ, XVII, 1957, стр. 461.  
<sup>7</sup> ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ხანის ფონდი. კოლ. № 21—32—91—32; 2—55:  
<sup>8</sup> იქვე, კოლ. № 16—54.  
<sup>9</sup> ლ. წერეთელი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შვილვისპირეთში, თბ., 1973.  
<sup>10</sup> В. Г. Кото в ич, Чохская стоянка, первый памятник каменного века в горном Дагестане, Уч. записки НИИЯЛИ Даг. ФАН, СССР, III, Махачкала, 1957.  
<sup>11</sup> В. Г. Котович, დასახ. ნაპოვნი.  
<sup>12</sup> С. Н. Замятин, Раскопки грота Сосруко в 1955 г., уч. записки Кабардино-Балкарского научно-исследовательского института, т. XIII, 1957.

და შავ მღვიმეში<sup>13</sup> (ჩრდილო ოსეთი), ისინი ნაპოვნია აგრეთვე წონას<sup>14</sup> (სამხ. ოსეთი) მეზოლითურ ფენაში.

გვიანი მეზოლითის ძეგლების დიდ ნაწილში ადრე მეზოლითთან შედარებით, ბლავგვერდა მიკროლამელების რაოდენობა კლებულობს (აცი, ცივი მღვიმე). თუმცა ზედა პალეოლითის შუა საფეხურიდან ბლავგვერდა მიკროიარაღების პარალელურად ექვსგარეშე ჩნდება გეომეტრიული ფორმის იარაღები (სამკუთხედები, სეგმენტისმაგვარი იარაღები).

ადრე ნეოლითში (ანასეული I, დარკვეთი IV) და გვიან ნეოლითში (ანასეული II, კისტრიკი, ოდიში) ბლავგვურგა და ბლავგვერდა მიკროლამელები ან სულ არ გვხვდება ან იშვიათად თითო-ორი<sup>15</sup>.

უხერხულობას იწვევს აღნიშნული იარაღების ერთი საერთო სახელწოდების უქონლობა. არქეოლოგიურ ლიტერატურაში ერთი და იმავე ტიპის იარაღები ხშირად სხვადასხვა სახელწოდებითაა მოხსენიებული (და პირუკუ—სხვადასხვა ტიპის იარაღებს ზოგჯერ ერთი და იგივე სახელწოდება აქვს) — გრავეტის ტიპის დანები, გრავეტის ტიპის წვეტანები, მშვილდის ფორმის დანები, შატელპერონის ტიპის დანები, მშვილდწვეტები, გრავეტ-წვეტანები, ზურგ და გვერდბლავგული ლამელები და სხვ. ხშირად ეს ცნებები ერთმანეთს ფარაეს. სინამდვილეში ამ სახელწოდებებში გვაქვს ძირითადად ორი სხვადასხვა დანიშნულების იარაღი — მიკროწვეტანები და მიკროდანები, რომლებიც განვითარების გზაზე იცვლიან ფორმას და იხვეწებიან. ამ იარაღებს აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი, იარაღის ზურგისა და გვერდის დაბლავგება.

ბლავგვურგა მიკროიარაღებში გამოიყოფა დიდი ჯგუფი, რომლებსაც წვერი აქვთ წამახვილებული და გარეგნობით მიკროწვეტანებს წაავაიან. ამ იარაღების მთელი ცალუბი ან მათი ნაწილები კარგად მოწობს იმას, რომ წვერი მათ სავანგებოდ უკეთდებოდათ და ხშირ შემთხვევაში დამატებით უმუშავდებოდათ, როგორც ზურგის, ასევე მუცლის მხრიდან. ეს კარგად ჩანს ზედაპალეოლითური ძეგლების იარაღების მაგალითზე. აღნიშნული წვეტანების წვერის სავანგებო წამახვილება განპირობებული უნდა ყოფილიყო მისი დანიშნულებით. როგორც ჩანს, ეს წვეტანები სატყორცნ ან სამგერებელ იარაღებს წარმოადგენდნენ. ამიტომ ამგვარ ბლავგვურგა და წვერწამახვილებულ იარაღებს მართებული იქნება ვუწოდოთ ბლავგვურგა ან ბლავგვერდა მიკროწვეტანები. ამ ტერმინში ნაწილობრივ ჩანს იარაღის დანიშნულება, ნაწილობრივ კი მისი დამუშავების თავისებურება. ამგვარი სახელწოდება უფრო გასაგები იქნება ვიდრე სახელწოდება „გრავეტი“.

საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლების ბლავგვურგა მიკროწვეტანებში ძირითადად გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: 1. სწორი ბლავგვურგა წვეტანები. 2. მშვილდის ფორმის წვეტანები და 3. ირგვლივ რეტუშირებული წვეტანები.

<sup>13</sup> В. П. Люб и н. Первые сведения о мезолите горного Кавказа (Осетия) у истоков древних культур (эпоха мезолита), МИА. 123, изд. „Наука“, 1966.

<sup>14</sup> ა. კალანდ აძე. ზემო რაქისა და სამხ. ოსეთის პალეოლითური ექსპედიციის მუშაობის შედეგი, 1958, ისტორიის ინსტიტუტის სამეცნ. სესია (მოხსენებათა თეზისები) თბ., 1959.

<sup>15</sup> ლ. ნებერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, 1972, თბ., გვ. 93.

პირველ ქვეჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს გრავეტისმაგვარი და ნემსისებური წვეტანები, რადგან ტიპოლოგიურად და ფუნქციონალურად ისინი ახლოს დგანან ერთმანეთთან. აღნიშნულ იარაღებს დაბლაგვებული აქვთ ცალი სწორი მხარე, ხოლო წვერი ან ფუძე მუცლის მხრიდან ბრტყელი რეტუშით აქვთ შესწორებული. ამ იარაღებს ზედაპალეოლითურ ძეგლებში სხვა ტიპის წვეტანებთან შედარებით რიცხობრივი უპირატესობა აქვთ. საფიქრებლია, რომ ე. წ. ბლაგვზურგა ლამელების დიდი ნაწილი დაზიანებული ბლაგვზურგა სწორი წვეტანების ან სამკუთხედების შუა ნაწილები იყოს და არა დამოუკიდებელი იარაღები.

მშვილდის ფორმის წვეტანებს მორკალული, დაბლაგვული ზურგი და კარგად წაწვეტებული წვერი აქვთ. ზოგჯერ მათი ფუძე მორკალულია რეტუშით. ნ. ბადერი<sup>16</sup> სთვლის, რომ ეს იარაღები ძალიან დამახასიათებელია გვარჯილას კლდისათვის, ამიტომ იგი მათ გვარჯილას კლდის ტიპის წვეტანებს უწოდებს. უნდა აღნიშნოთ, რომ იგივე იარაღები წარმოდგენილია საკაქიას მღვიმეშიც. განსხვავება იმაშია რომ გვარჯილას კლდეში მათი რაოდენობა მატულობს და ფორმები იხვეწება, რაც სრულიად ბუნებრივია. უფრო მართებული იქნებოდა ზოგადად მათ აღსანიშნავად ბლაგვზურგა მშვილდწვეტანები ვინმართ. მით უმეტეს, რომ ეს სახელწოდება ახალი არ არის, მას იყენებდა პროფ. გ. ნიორაძე, ხოლო ახლაც ხმარობენ მას არქეოლოგები: დ. თუშაბრა-მიშვილი, გ. გრიგოლია, ლ. წერეთელი.

ბლაგვზურგა სწორი წვეტანები და ბლაგვზურგა მშვილდწვეტანები უნდა დამზადებულიყო ე. წ. წვეტიანი ლამელებისაგან, რომლებიც ძალიან ბევრია ამ კომპლექსებში (დევის ხვრელი, საკაქია, გვარჯილას კლდე). კონუსისებური ნუკლეუსებიდან ატკეცილი წვეტიანი ლამელები აღნიშნული იარაღების ნამზადები უნდა იყოს. მათ მთელი გვერდის გასწვრივ უკეთდებოდა დამაბლაგვებელი რეტუში, წვერი კი საგანგებოდ მუშავდებოდა.

ზედაპალეოლითურ ძეგლებში მიკროიარაღების მეორე დიდი ჯგუფი არის ბლაგვვერდა დანები. შემორჩენილი მთელი ეგზემპლარები გვიჩვენებენ, რომ მათ წვერი არ უკეთდებოდათ, ხოლო სამუშაო პირს გვერდი წარმოადგენდა. ამგვარ იარაღებს არქეოლოგიურ ლიტერატურაში გრავეტის ტიპის დანების ან გვერდდაბლაგვებული და ზურგდაბლაგვებული ლამელების სახელწოდებით ვხვდებით.

ზედაპალეოლითურ მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წვეტიანი იარაღების დიდ ნაწილს დაბლაგვებული ჰქონდა ზურგი, ბლაგვვერდა დანების უმეტესობას კი წვერი არ ჰქონდა წამახვილებული, რასაც მოწმობს დევის ხვრელის კოლექციის მთელი ცალები (კოლ. № 86—32; 1—38). ზიანდებოდა უმეტესად სამუშაო პირი. არის რამდენიმე შემთხვევა, როდესაც იარაღის წვერი ხელუხლებლადაა გადარჩენილი.

მიკროიარაღების ყველაზე ადრეული ფორმა უნდა ყოფილიყო ბლაგვზურგა სწორი წვეტანები, შემდეგ კი უნდა განვითარებულიყო ბლაგვზურგა მშვილდწვეტანები. საკაქიაში უკვე გვხვდება, როგორც ბლაგვზურგა სწორი წვეტანები, აგრეთვე პარალელურად ჩნდება ბლაგვზურგა მშვილდწვეტანებიც.

<sup>16</sup> Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа..., გვ. 9.

საკაეისა და სარეის<sup>17</sup> მღვიმის მასალების მაგალითზე კარგად ჩანს ბლაგვზურგა მშვილდწვეტანების გადასვლა სეგმენტისმაგვარ იარაღებში (კოლ. № 2—55—2217—2225), ხოლო გვარჯილას კლდის მასალებში ბლაგვზურგა მშვილდწვეტანების გადასვლა ასიმეტრიულ სამკუთხედებში (კოლ. 16—54—94).

მოტანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში კარგად ჩანს მიკროლითური იარაღების ჩასახვისა, გეომეტრიული მოყვანილობის მიკროლითებზე გარდამავალი ფორმების წარმოქმნისა და გეომეტრიულ ფორმებში გადასვლის პროცესი. დროის გარკვეულ მონაკვეთზე ეს ფორმები თანაარსებობენ, შემდეგ კი ბლაგვზურგა მიკროწვეტანები ჰკარგავენ მნიშვნელობას და ბოლოს წყვეტენ არსებობას.

ამ პროცესის პარალელურად ხდება ასალი გეომეტრიული ფორმების — სამკუთხედების, სწორკუთხედების, სეგმენტებისა და ტრაპეციების გაჩენა და განვითარება.

ამგვარად, საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლებს ბლაგვზურგა და ბლაგვვერდა წვეტანებსა და დანებზე დაკვირვება გვიჩვენებს მათი ჩასახვისა და განვითარების რთულ გზას. ჩანს, რომ მყარად დადგენილი იარაღების ფორმები არ არსებობდა, კარგად შეიმჩნევა მათი ფორმების ძიება. რის გამოც გვაქვს მთელი სერიები, რომლებიც ნათლად ასახავენ იარაღების ერთი სახედან მეორეში გადასვლის პროცესს. ბლაგვზურგა წვეტანები და ბლაგვზურგა დანები მიკროლითური ტექნიკის განვითარების პროდუქტია. აღნიშნულ იარაღებს განვიხილავთ, როგორც ყველაზე ადრეულ მიკრონაწარმს.

სამკუთხედები. გეომეტრიული ფორმის ჩასატებს შორის ყველაზე ადრეულ ფორმად სამკუთხედები ითვლება. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები დიდი არ არის. ისინი ჩნდებაან ზედა პალეოლითის შუა საფეხურზე და არსებობენ მეზოლითის ბოლომდე.

ყველაზე ადრეული ძეგლები, სადაც ნაპოვნია, რამდენიმე ასიმეტრიული სამკუთხედი ზედა პალეოლითის შუა საფეხურის სადგომებია (დევის ხვრელი, საკაეი; ტაბ. 1 სურ. 27—28, 30—31) ასიმეტრიულ სამკუთხედებს გარდა საკაეიაში არის დიდი ზომის სამკუთხედისმაგვარი იარაღები, რომლებიც შესაძლოა მათ პროტოტიპს წარმოადგენენ. ს. ზამიატინი<sup>18</sup> მათ თავრეტუმირებული ლამელების ვარიანტად მიიჩნევს. ნ. ბადერი<sup>19</sup> კი მათში ადრეული ფორმის წვეტანებს ხედავს.

ზედა პალეოლითის გვიან საფეხურზე (გვარჯილას კლდე) ასიმეტრიული სამკუთხედების რაოდენობა მატულობს (ტაბ. 1, სურ. 50—53). გვარჯილას კლდის მიკროიარაღებში ნ. ბადერმა<sup>20</sup> გამოყო ბოლოდამუშავებული ბლაგვზურგა ლამელების ჯგუფი. ჩვენი აზრით, ეს იარაღები დამზადებული სამკუთხედები და სწორკუთხედებია, რომელთა მთელი ნიმუშები გვაქვს კოლექციაში.

<sup>17</sup> დ. თ. შაბარაძის შვილი, ლ. წერეთელი, პალეოლითური ნაშთები სარეის ხეიდან, ძეგლის მეგობარი, № 1, 1975.

<sup>18</sup> С. Н. Замятин, დასახ. ნაშრომი, გვ. 473.

<sup>19</sup> Н. О. Бадер, Варианты культуры Кавказа..., გვ. 7.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 8.

ადრე მეზოლითში (ქვაჭარა) სამკუთხედები ინარჩუნებენ წამყვან მნიშვნელობას (ტაბ. II, სურ. 5—7) ჩოხში<sup>21</sup> და კოხმა-ნოხოში<sup>22</sup> ნაპოვია ასიმეტრიული სამკუთხედები. დარკვეთის ეხის მეზოლითური ფენის (V ფენა) გეომეტრიული მიკროლითები ძირითადად სამკუთხედებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული იარაღების სიჭარბე შეიჩინევა გვიანმეზოლითურ ძეგლ — ეძანში (ტაბ. II, სურ. 19—25), თუმცა მასში საგრძნობლად იმატა ტრაპეციებისა და სეგმენტების რიცხვმა (ტაბ. II, სურ. 26—30).

ადრენეოლითურ კომპლექსებში (ანასეული I, დარკვეთის ეხის IV ფენა) სამკუთხედები ჭერჭერობით არ არის აღმოჩენილი, თუმცა გამოირიცხული არ უნდა იყოს მათი ვადანაშთის სახით შემორჩენილობაც.

სეგმენტები. გეომეტრიული ფორმებიდან ყველაზე დიდი ქრონოლოგიური ჩარჩოები სეგმენტებს აქვთ. აღსანიშნავია სეგმენტისმაგვარი იარაღის პოვნის ფაქტი ხერგულის კლდეში (ტაბ. I, სურ. 9). მიკროიარაღების გამოჩენა ზედა პალეოლითის ადრეულ ძეგლებში საექვოდ იყო მიჩნეული და გამოთქმული იყო მოსაზრება მისი გვიანდელი ფენებიდან მომდინარეობის შესახებ. უქანასკნელ ხანებში ხერგულის კლდეში არქეოლოგ ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული მრავალწლიანი გათხრების შედეგად შესაძლებელი გახდა მღვიმის სტრატეგრაფიის შემოწმება და მისი საბოლოო დადგენა. გაირკვა, რომ ხერგულის კლდის ქვის მასალა ერთი ფენისაა<sup>23</sup>, რის შედეგადაც მიკროლითური ტექნიკის ჩასახვის ფაქტი ზედა პალეოლითის ადრე საფეხურს უნდა დაუკავშიროთ.

საგანგებო შესწავლას მოითხოვს საკითხი — გეომეტრიული მიკროლითების გაჩენა ამიერკავკასიაში ასეთ ადრეულ საფეხურზე ახალი ტექნიკის დამოუკიდებელი ძიების შედეგი იყო, თუ სამხრეთ რაიონებთან ურთიერთობისა? ამ საკითხებთან დაკავშირებით აქვე იმის თქმა შეიძლება, რომ ამ პერიოდში უკვე ჩანს კონტაქტი საქართველოს სამხრეთ რაიონებთან (ობსიდიანის შემოტანა), რომლებსაც თავის მხრივ ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთის ქვეყნების ძველ კულტურებთან (ზარზი, ნატუფი, კაფსია), რომლებიც ხასიათდებიან განვითარებული მიკროლითური ტექნიკით, ამიტომ მიკროლითური ტექნიკის სამხრეთიდან შემოსვლის ვას ვერ გამოვრცხავთ. ყოველ შემთხვევაში ერთი ცხადია, რომ ამიერკავკასიაში ზედა პალეოლითის დასაწყისში უკვე არსებობდა შინაგანი აუცილებლობა და სათანადო ნიადაგი ახალი ტექნიკის დანერგვისათვის.

ზედა პალეოლითის შუა საფეხურიდან სეგმენტების არსებობა უკვე ემპირაზე (ღვეის ხერელი, საკაქია; ტაბ. I, სურ. 33—37, 40—41), თუმცა მათი რაოდენობა აქ მცირეა, ამასთანავე ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ უხეში და მარტივია. ღვეის ხერელის მსხვილ სეგმენტისმაგვარ იარაღებს პ. ეფიმენკო<sup>24</sup> და ს. შამიატინი<sup>25</sup> ჩვეულებრივ სეგმენტჩასართად მიიჩნევენ. ნ. ბადერი კი ღვეის ხერელისა და საკაქიას სიმეტრიულ და ასიმეტრიულ სეგმენტებს, სეგმენტ-

<sup>21</sup> В. Г. Котович, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 148.

<sup>22</sup> В. Г. Котович, *Каменный век Дагестана*, 1964, გვ. 156.

<sup>23</sup> გ. დოხანაშვილი, ხერგულის კლდეში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შედეგები, სპეციალური არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), 1973, გვ. 12—15.

<sup>24</sup> П. П. Ефименко, *Первобытное общество*, Киев, 1952, გვ. 601.

<sup>25</sup> С. Н. Замятни, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 486—487.

წვეტანებად თელის და სრულიად სამართლიანად მიიჩნევა, რომ დღვის ხერხისა და საკაჟიას სეგმენტები ტიპოლოგიურად და ფუნქციონალურად ახლოსაა წვეტანებთან<sup>26</sup>.

ზედა პალეოლითის მიწურულში (გვარჯილას კლდე) სეგმენტების რაოდენობა მატულობს (ტაბ. I, სურ. 45—49), გრძელდება ფორმების დახვეწა, ზომები მცირდება. გვარჯილას კლდეში არის მცირე ზომის მომაღლო და დაბალი მოგრძო სეგმენტებიც. უკანასკნელთ წვერი და ბოლო მუცლის მხრიდან წამახვილებული აქვთ ბრტყელი რეტუშით. ამ იარაღებსაც ნ. ბადერი<sup>27</sup> სეგმენტ-წვეტანებს უწოდებს. გვარჯილას კლდის სეგმენტებს ს. ზამიატინი<sup>28</sup> ისრისპირებად მიიჩნევა. ქვაპარის მღვიმეში (ადრე მეზოლითი) სეგმენტები ცოტაა (ტაბ. II, სურ. 8, 15). საინტერესოა ეძანის დახვეწილი მოყვანილობის სეგმენტები, რომლებიც იერით გვიანნეოლითურს უახლოვდება, თუმცა პროცენტულად მათი რაოდენობა დიდი არ არის. არ ჩანან სეგმენტები ჯერჯერობით ადრე ნეოლითში. ანასეულ 1-ში (უკერამიკო) არც ერთი სეგმენტი არ არის, მაშინ, როდესაც ტრაპეციები მასალის საერთო რაოდენობის 2,2 პროცენტს შეადგენს. იგივე მდგომარეობა დადასტურდა დარკვეთის ეხის ნეოლითურ ფენაში (უკერამიკო). აქაც არ არის სეგმენტები, მაშინ როდესაც ტრაპეციები ქარბადაა (ტაბ. III, სურ. 1—4). მატულობს სეგმენტების რაოდენობა ლუმურისისა<sup>29</sup> და ჩხორთოლის<sup>30</sup> ნეოლითურ ნამოსახლარებზე. ანასეულ II-ში სეგმენტები 8,12%-ია. ძირითადად ისინი მცირე ზომის რკალდაბლაგებული ფორმებითაა წარმოდგენილი.

წოფის ადრენეოლითურ კომპლექსში ვადანაშთის სახით გვხვდება მცირე ზომის რკალდაბლაგებული სეგმენტები (ტაბ. III, სურ. 43—44), ისინი ცნობილია მაიკოპის კულტურის, მეშოკოს ნამოსახლარიდან და აგრეთვე მაიკოპის ყორღანიდან. როგორც ვხედავთ სეგმენტები ვადანაშთის სახით კიდევ განაგრძობენ არსებობას ლითონის ხანის ძეგლებში.

სწორკუთხედები და ტრაპეციები გეომეტრიული მიკროლითების ყველაზე გავრცელებული სახეა. მათი ქრონოლოგიური ჩარჩოები მოიცავს ზედა პალეოლითის გვიან საფეხურს — ლითონის ხანამდე. აქ ჩვენ ერთად განვიხილავთ სწორკუთხედებსა და ტრაპეციებს, რადგან ზოგიერთ რაიონში სწორკუთხედები შესაძლოა ტრაპეციების პროტოტიპი ან მათი ლოკალური ფორმა იყოს. ეს საკითხი ჯერ კიდევ დაკვირვებას საჭიროებს. გვიან ზედა პალეოლითში (გვარჯილას კლდე), ჩნდება გეომეტრიული იარაღების ახალი ფორმები — სწორკუთხედები, — ეს თავბოლო და გვერდებდაბლაგებული ან ორგვერდრეტუშირებული სწორკუთხედებია (კოლ. № 6—54, 86, 87). ამგვარი იარაღები განაგრძობენ არსებობას ადრე მეზოლითში (ქვაპარა), (ტაბ. II, სურ. 11—14). იერით ისინი მარტივ ტრაპეციებს ჰგვანან, ამასთანავე მათი ზომები მცირდება. ჯამპალის მღვიმეში (შუა მეზოლითი<sup>31</sup>) უკვე

<sup>26</sup> Н. О. Бадер, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>28</sup> С. Н. Замятини, დასახ. ნაშრომი, გვ. 492.

<sup>29</sup> ქ. კალანდაძე, ლუმურისის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წ. ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, V, 1973, გვ. 136.

<sup>30</sup> ქ. კალანდაძე, ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი, სავლელ არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), 1973, გვ. 15—20.

<sup>31</sup> ლ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, 1973, გვ. 68.

გვხვდება ტრაპეციები (ტაბ. II, სურ. 16). როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე შვეიცარიის გვიან მეზოლითში (ეძანი, ცივი მღვიმე, აცო III) შეინიშნება ტრაპეციების რაოდენობის ზრდა და ფორმების დახვეწა.

ადრე ნეოლითში (ანასეული I, დარკვეთი IV) ორფერდამუშავებულ ტრაპეციები ჯერჯერობით გეომეტრიული ფორმის ერთ-ერთი სახეა.

გვიან ნეოლითში ტრაპეციების რაოდენობა მატულობს, ორფერდამუშავებულ ტრაპეციებთან ერთად გვხვდება სამკვერდამუშავებულებიც (ტაბ. IV, სურ. 1—18), ამ იარაღებს „პერპენდიკულარული“ რეტულშით დამუშავებული აქვთ ორი ფერდი და ზედა ფუძე. ქვედა ფუძეზე ეტყობა გამოყენების კვალი. ეს გვეფი ხასიათდება მცირე ზომებით, მოგრძო და დაბალი მოყვანილობით, მათში არის ორმხრივდამუშავებული ცალბეცი. სამკვერდამუშავებული ტრაპეციები მცირე რაოდენობით ცნობილია ეძანის მეზოლითური ფენიდან. ანალოგიური ტრაპეციები ნაპოვნია მახვილაურის<sup>32</sup> (ბათუმის რ-ნი), ღუმურიშისა და ჩხორთოლის (გალის რ-ნი) ნეოლითურ ნაშთსაზღარებზე, რაც შეეხება ორფერდამუშავებულ ტრაპეციებს ისინი არსებობას განაგრძობენ ლითონის ხანის ძეგლებშიც—სამეღე კლდე, დარკვეთის II და III ფენები, ძუძუანა. თითო ცალი ნაპოვნია არუხლო I-ისა და იმირის ნაშთსაზღარებზე.

ზურგათლილი, მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები, ჩნდება მხოლოდ გვიანი ნეოლითის განვითარებულ კომპლექსებში (შილოვკა, კისტრიკი, ანასეული II, გურიანთა, ოდიში, მახვილაური). ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები და ზურგათლილი მაღალი სწორკუთხედები ცნობილი არ არის ზედაპალეოლითური, მეზოლითური და ადრენეოლითური კომპლექსებიდან.

კისტრიკისა (ტაბ. III, სურ. 26—27) და შილოვკისაგან განსხვავებით ანასეულ II-ში ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები მეტად თავისებური სერიითაა წარმოდგენილი (ტაბ. IV, სურ. 34—41). ამ იარაღებს აქ უფრო ზურგათლილი მაღალი სწორკუთხედების სახე აქვთ ვიდრე ტრაპეციებისა, თუმცა მათ შორის არის რამდენიმე ზურგათლილი ტრაპეციაც. აღსანიშნავია, რომ ანასეული II-ის მთელი ეს სერია ობსიდიანისაგანაა დამზადებული, მაშინ როდესაც ისინი დანარჩენ ძეგლებში ძირითადად კაქისაა. ზურგათლილი სწორკუთხედების ანალოგიური ფორმები ჯერჯერობით უცნობია. საფიქრებელია, რომ მათი სახით გვაქვს ამ იარაღების ლოკალური ფორმა.

ზურგათლილი მაღალი ტრაპეციები დამახასიათებელია ჩრდილო კავკასიისათვის, ისინი გვხვდება ყუბანისპირეთში<sup>33</sup>, სტავროპოლის მხარეში, კაკავაისპირა დიუნებში<sup>34</sup>, ყირიმის გვიანნეოლითურ ფენებში (ტაშ-აირ<sup>35</sup>

<sup>32</sup> ზ. გოგოტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლის ქვის ხანის ძეგლები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, III, თბ., 1973, გვ. 66—67, ტ. VII.

<sup>33</sup> В. П. Любин. Доклад на секции неолита пленума ИИМК, 1957.

<sup>34</sup> Т. М. Минаева. Кремневая индустрия нижнего Поволжья, Труды нижеволажского об-ва краеведения, вып. 35, 1, Саратов, 1929.

<sup>35</sup> Д. А. Крайнов. Пещерная стоянка—Таш. Аир I как основа для периодизации послепалеолитических культур Крыма, МИА, №91, М., 1960, გვ. 156, ტაბ. XXXIII, ნახ. 1—6.

1—5ა ფენა, კაია-არასი<sup>36</sup>, ატ-ბაში<sup>37</sup>, ჯეილაუ-ბაში<sup>38</sup>, ზამილ-ყობა<sup>39</sup> II, შან-ყობა<sup>40</sup> 1ა ფენა, ფატმა-ყობა<sup>41</sup>, იუსუფოვის აუზი<sup>42</sup>, ზუია<sup>43</sup> მსგავსი ტრაპეციები ნაპოვნია აზოვისპირეთში<sup>44</sup>, ჭორომისპირეთში, (სობაჩკი, სურსკის კუნძული, ვოვჩეკი<sup>45</sup>, მე-8 ივრენი. დონეცზე — ზლივკა, იზიუმ 5, სავინ-ცი-1)<sup>46</sup>.

ზემოჩამოთვლილ ძეგლებში ზურგათილი ტრაპეციები არსად არა გვხვდება გვიან ნეოლითზე ადრე. იშვიათად ისინი ადრე ენეოლითამდეც აღწევენ. საინტერესოა ზურგათილი ტრაპეციების პოვნის ფაქტი ქვემო ქართლის ადრესამიწათმომქმედო კულტურის ძეგლებში (არუხლო I, არუხლო III). არუხლო I-ის მრავალრიცხოვან ობიექტების მასალაში ნაპოვნია სამი ზურგათილი ტრაპეცია და ერთი სეგმენტი<sup>47</sup>.

ს. ბიბიკოვმა<sup>48</sup> ყირიმის ნეოლითური ძეგლების შესწავლის შედეგად დაასაბუთა, რომ ზურგათილი ტრაპეცია წარმოადგენს ყირიმის ნეოლითის დამახასიათებელ და დამათარიღებელ ფორმას, ხოლო უფრო გვიან, ყირიმში ნეოლითის უკეთესი სტრატეგრაფიის მქონე ახალი ძეგლების აღმოჩენისა და შესწავლის შედეგად ეს მოსაზრება დ. კრაინოვმა<sup>49</sup> კიდევ უფრო დააზუსტა. მან დაასაბუთა, რომ ზურგათილი ტრაპეციები ყირიმის ნეოლითის მხოლოდ გვიანი საფეხურის დამახასიათებელი და დამათარიღებელია.

აღნიშნული ნეოლითური კომპლექსების ტიპოლოგიურ-შედარებითი ანალიზი, გამორიცხვის მეთოდი, ანალოგები ყირიმის ძეგლებში, საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზურგათილი მაღალი ტრაპეციები და სწორკუთხედები ყირიმთან ერთად დასავლეთ ამიერკავკასიის გვიანი ნეოლითის დამათარიღებელ ფორამდ უნდა მივიჩნიოთ.

ზურგათილი ტრაპეციების გავრცელების სამხრეთი საზღვარი ამიერკავკასიაზე გადის. წინა აზიის ძეგლებისათვის ეს ფორმები უცნობია. ისინი არ გვხვდება აგრეთვე ტყის ზონაში, დნებრის დასავლეთით და მდ. ურალის აღმოსავლეთით. აღნიშნული იარაღები, ზემოჩამოთვლილი გავრცელების რაიონებიდან, მხოლოდ ამიერკავკასიის შავიზღვისპირეთში და ყირიმში გვხვდე-

<sup>36</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 110, ნახ. 9, სურ. 29, 30; ბახჩისარაის ისტორიული მუზეუმის კაია-არასის კოლექცია.

<sup>37</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 99, ნახ. 3, სურ. 15; მოსკოვის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის მუზეუმის ატბაშის კოლექცია.

<sup>38</sup> О. Н. Бадер, *Изучение эппалеолита Крымской пльы*: СА, вып. V, 1940.

<sup>39</sup> მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმისა და იალტის მუზეუმის კოლექციები.

<sup>40</sup> მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ზამილ-ყობა II-ის კოლექცია.

<sup>41</sup> С. Н. Библиков, *Предварительный отчет о работе крымской экспедиции*, 1935, СА, 1935.

<sup>42</sup> С. Н. Библиков, *Доклад на секции палеолита пленума ИИМХ*, 1957.

<sup>43</sup> А. А. Формозов, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 101, ნახ. 4, სურ. 14—16.

<sup>44</sup> სიმფეროპოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლ. № 5243, 5246, 9156.

<sup>45</sup> О. Н. Бадер, *Очерк работ Азово-черноморской экспедиции*, ҚСИИМХ, вып. XXXI, 1950, გვ. 652.

<sup>46</sup> უკრაინის მეცნ. აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის კოლექციები (კიევი).

<sup>47</sup> М. В. Сибильов, *Старовишности изюмщины*, вып. IV, Изюм, 1930, ტბ. XXII.

<sup>48</sup> ტ. ნუბინიშვილი, *ლ. ნებიერიძე, ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, სავლეთ ამიერკავკასიის არქეოლოგიური კვლევა-ძიება*, 1972 წელს (მოკლე ანგარიში), 1973, გვ. 29—35.

ბა დიდი რაოდენობით. გამოირჩეული არ უნდა იყოს შავიზღვისპირეთში მათი წარმოშობა და აქედან გავრცელება უფრო ჩრდილოეთით.

ამგვარად, გეომეტრიული მიკროლითების განხილვამ ქვის ხანის საფეხურების მიხედვით გვიჩვენა, რომ მთელი ზედა პალეოლითისა, მეზოლითისა და ნეოლითის მანძილზე მიკროლითური ტექნიკა ვითარდება აღმავალი ხაზით — შეიმჩნევა გეომეტრიული მიკროლითების განვითარება, ფორმების ძიება და ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლის პროცესი.

შევეხეთ რა გეომეტრიული მოყვანილობის მიკროჩასართების ყველა ტიპს, ახლა გვინდა შევეხეთ მიკროლითურ ტექნიკას. მიკროლითურმა ტექნიკამ ისევე, როგორც გეომეტრიული ფორმის მიკროლითებმა განვითარების საკმაოდ დიდი გზა განვლო. მიკროლითების დამუშავების ესა თუ ის ხერხი ქვის ხანის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გაჩნდა.

მიკროლითების ორმხრივი დამუშავების ხერხი ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის შავიზღვისპირეთის გვიან ნეოლითში გვიანნეოლითური ძეგლებიდან ყველაზე ხშირად იგი კისტრიკში გამოიყენებოდა, თუ არაფერს ვიტყვით ლუკინის კოლექციაზე, სადაც ძალიან ხშირია მიკროლითების ორმხრივი დამუშავება, მართო ჩვენ მიერ კისტრიკში მოპოვებულ მასალაში 16 გეომეტრიული ფორმიდან 13 ორმხრივდამუშავებულია (ტაბ. III, სურ. 26—28, 31, 33, 35—36). მიკროლითების ორმხრივი დამუშავება ძალიან ხშირია შილოვკაში. იქ თითქმის ყველა მათგანი ორმხრივდამუშავებულია. სხვაგვარი მდგომარეობაა ოდიშში და ანასეულ II-ში, აქ ორმხრივდამუშავების მხოლოდ ორიოდ შემთხვევაა (ტაბ. IV, სურ. 33, 39). აღნიშნული ხერხით დამუშავებული ტრაპეციები ცნობილია მეშოკოდან<sup>51</sup> (კრასნოდარის მხარე), სტავროპოლის<sup>52</sup> მხარედან. სამაგიეროდ ყირიმში ეს ხერხი თითქმის უცნობია.

მიკროლითების ორმხრივი დამუშავების ხერხი, თავდაპირველად ა. ფორმოზოვის<sup>53</sup> მიერ წმინდა კავკასიურად იყო მიჩნეული, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ამის სამტკიცებლად მას მასალა თითქმის არ გაჩნდა. შემდეგ, როდესაც ა. ფორმაზოვმა გაითვალისწინა, რომ გეომეტრიული მიკროლითების ორმხრივი დამუშავება დამახასიათებელია პალესტინის ნატუფის კულტურისა (ელ-ხიამი, ელ-ახმარი, აბუ-სიფი მკვდარი ზღვის რაიონიდან, მუგარეთ ელვადი და აბუ-უზბა-კარმელის მთაზე) და ჰელუანის სადგომებისათვის, რომლებიც გაცილებით უფრო ძველია ვიდრე კავკასიური ძეგლები, მაშინ მან გამოთქვა ახალი მოსაზრება, რომ ეს ტექნიკა წინა აზიიდან სანაპირო ზოლის მეშვეობით უნდა გავრცელებულიყო, როგორც ამიერკავკასიაში, ასევე უფრო ჩრდილოეთით. უკანასკნელ ხანებში დას. ამიერკავკასიის გეომეტრიული მიკროლითებიანი კომპლექსების განმეორებითმა და უფრო დეტალურმა შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: დას. საქართველოს ზედაპალეოლითურ ძეგლებში უკვე გვხვდება აღნიშნული ტექნიკით დამუშავებული მიკროლი-

<sup>49</sup> С. Н. Блшников, К вопросу о неолите в Крыму, КСИИМК. IV, 1940, гв. 26—31.

<sup>50</sup> Д. А. Крайнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

<sup>51</sup> სახელმწიფო ერმიტაჟის პირველყოფილი სახ. ისტორიის განყოფილების კოლექცია.

<sup>52</sup> Т. М. Минаева, Стоянка с микролитическим инвентарем на черных землях, КСИИМК, вып. 59, 1955, таб. 13.

<sup>53</sup> Д. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 147—148.

თები. ორმხრივდამუშავების შემთხვევა ცნობილია უკვე თარო-კლდიდან<sup>54</sup>. იქ ნაპოვნი სეგმენტისმაგვარი იარაღები ორმხრივია დამუშავებული. დამუშავების ეს ხერხი დადასტურებულია აგრეთვე ეძანის<sup>55</sup> ზოგიერთ მიკროიარაღზე.

მცოცავი წნეებითი რეტუსი. მიკროლითების დამუშავებაში პირველ რიგში აღსანიშნავია ე. წ. „მცოცავი“ წნეებითი რეტუსის გამოყენება. მიკროლითების ზურგის ათლა წნეებითი რეტუსის საშუალებით უცნობია მეზოლითური და ადრენეოლითური ძეგლებისათვის. ამ ხერხით მიკროლითების დამუშავება კავკასიასა და ყირიმში გვიან ნეოლითში იწყება. მის გაჩენასთან ერთად ჩნდება ტრაპეციების ახალი სახე „მცოცავი“ რეტუსით ზურგათილი ტრაპეციები და სწორკუთხედები (ტაბ. III, სურ. 23—27, 38—40, 42). წნეებითი რეტუსის გაჩენას წინ უსწრებდა მიკროლითების დამუშავება ბრტყელი რეტუსით. მიკროლითების განვითარების ადრეულ საფეხურზე გამოიყენებოდა ციცაბო, დამაბლაგვებელი და დამრეცი რეტუსი. დამაბლაგვებელი რეტუსი ჩნდება ბლაგვზურგა და ბლაგვგვერდა იარაღების გაჩენასთან ერთად. ზედა პალეოლითის შემდგომ საფეხურზე მიკროლითების დამუშავების ახალ ხერხებთან ერთად ძველიც არ არის დავიწყებული.

მიკროლითების დანიშნულების შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრება არსებობს, რომლის თანახმად ისინი რთული შედგენილი იარაღების ჩასართებადაა მიჩნეული<sup>56</sup>, რომლებიც ძვლის ან ხის ტარში მაგრდებოდა ბიტუმისმაგვარი ნივთიერებით. ქვის ხანის ძეგლებში ნაპოვნია ძვლის გვერდამოღარული იარაღები, რომლებიც ჩასართების მოსათავსებელ ჩარჩოებად ითვლება.

სადავოა საკითხი, თუ რა დანიშნულებისა იყო ეს რთული შედგენილი იარაღები, რომელთა ჩასართებაც წარმოადგენდნენ მიკროლითები. ამის შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები იყო გამოთქმული.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად გეომეტრიულ მიკროლითებს სატყორცნი იარაღების დანიშნულებას მიაწერენ. უკანასკნელის სასარგებლოდ მრავალი მოსაზრება და ფაქტიური მასალაა მოტანილი არქეოლოგიურ ლიტერატურაში, რომლის ამომწურავად წარმოადგენა წინამდებარე ნაშრომის ჩარჩოებში შეუძლებელია, მოვიყვანო მხოლოდ იმ მკვლევართა მოსაზრებებს, რომლებსაც უმუშავიათ ამ საკითხებზე და თავისი მოსაზრებები დასაბუთებული აქვთ ფაქტიური მასალით.

პირველყოვლისა საინტერესოა გ. ჩაილდის<sup>57</sup> მოსაზრება ამ საკითხის შესახებ. იგი უყოყმანოდ თვლის, რომ გეომეტრიული მიკროლითები (სეგმენტები, სამკუთხედები, ტრაპეციები) ევროპასა თუ აფრიკაში წარმოადგენდნენ შედგენილი სატყორცნი იარაღების ჩასართებს, სანადირო დანიშნულების იარაღებს.

<sup>54</sup> ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდები, კოლ. № 30—26—71;

<sup>55</sup> იქვე, კოლ. № 16—55.

<sup>56</sup> С. Н. Бибиков, Производственная роль костяного инвентаря в хозяйстве позднелеолитических обществ Крыма, уч. запiski ЛГУ, №85, сер. ист. наук, вып. 13, 1949; В. М. Масеон, Средняя Азия Древний Восток, М.-Л., 1954, зб. 14—15. Г. Ф. Коробкова, Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии, МИА, СССР, №158, 1969, зб. 24.

<sup>57</sup> Г. Чайлд, Древний Восток в свете новых раскопок, М., 1956, зб. 51—52.



გ. ჩაილდი არ ეთანხმება ადრე გავრცელებულ მოსაზრებას, რომლის თანახმად ევროპაში გეომეტრიული მიკროლითების გავრცელება ემთხვეოდა პირველ მიწათმოქმედ-მესაქონლეთა გამოჩენას. ეს მოსაზრება მან უარყო იმის საფუძველზე, რომ ევროპაში პალეოლითელი მონადირე თემები (უკანასკნელი გაყინვარების პერიოდში) იყენებდნენ გეომეტრიულ მიკროლითებს. ამით იგი გამოირცხვდა გეომეტრიული მიკროლითების სამიწათმოქმედო დანიშნულებას. თუმცა იგი ამასთანავე აღნიშნავდა, რომ გეომეტრიული მიკროლითები არ გამოდის ხმარებიდან ამ ადგილებში მიწათმოქმედ-მესაქონლეთა მოსვლის შემდეგაც. ს. სემიონოვის აზრით, მიკროლითური ტექნიკა ნადირობისათვის საჭირო იარაღის დამზადების შესაძლებლობას იძლეოდა<sup>58</sup>. ე. მასონი გეომეტრიული ფორმის იარაღებს ექვეგარეშე მიიჩნევს რთული შედგენილი სატყორცნი იარაღების ჩასართებად<sup>59</sup>.

ზოგადი საკითხების კვლევისას არქეოლოგებს პ. ეფიმენკოს<sup>60</sup>, ს. ზამიტინს<sup>61</sup>, ა. ფორმოზოს<sup>62</sup>, ნ. ბადერს<sup>63</sup> მოუხდათ კავკასიის ქვის ხანის ძეგლების გათვალისწინება, კერძოდ, კი მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების შედარებითი ანალიზის გაკეთება. ყველა მათგანი თვლიდა, რომ გეომეტრიული მიკროლითები, რთული შედგენილი სატყორცნი იარაღების ჩასართები — სანადირო დანიშნულების იარაღებია. არქეოლოგიურ ლიტერატურაში არა ერთი ფაქტია მოყვანილი იმის საბუთად, რომ გეომეტრიული მიკროლითები, კერძოდ, სეგმენტები და ტრაპეციები სატყორცნი იარაღების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდნენ.

დანიში ნაპოვნია ხის ისრები, რომელთა წვერის მაგივრობას სწევდნენ მალალი სამკუთხედები<sup>64</sup>. კუნძულ ტევისზე მეზოლითურ სამარხში აღმოჩენილი ჩონჩხის ერთ-ერთ მალაში გარკობილი იყო მიკროლითი, ხოლო მეორე მალაზე მიყენებული ნაქდვეი შეიმჩნეოდა<sup>65</sup>. ანალოგიური სამარხი იყო აღმოჩენილი უკრაინის ტერიტორიაზე. ჩონჩხის ხერხემალში გარკობილი იყო მიკროლითი.

რაც შეეხება გეომეტრიული მიკროლითების სამიწათმოქმედო დანიშნულებას, ამის შესახებ უკანასკნელი წლების არქეოლოგიურ ლიტერატურაში საკითხი არ ისმის.

ცნობილია არქეოლოგ ლ. ლიკის მიერ 1931 წელს აღმ. აფრიკის (კენია) ერთ-ერთი გამოქვაბულის გათხრის საფუძველზე გამოთქმული მოსაზრება. აქ მან შენიშნა, რომ სეგმენტები რკალისებურად იყო განლაგებული. მისი აზრით, ისინი ნამგლის ჩასართებს წარმოადგენენ<sup>66</sup>. მაგრამ უფრო მოკვიანებით,

<sup>58</sup> С. А. Семенов, Первоытная техника, МИА СССР, №54, 1957, стр. 83.

<sup>59</sup> В. М. Массон, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>60</sup> П. П. Ефименко, დასახ. ნაშრომი, გვ. 600—601.

<sup>61</sup> С. Н. Замятини, დასახ. ნაშრომი, გვ. 432.

<sup>62</sup> А. А. Формозов, Неолит Крыма и Черноморского побережья Кавказа, МИА СССР, №102, 1962; მოსკოვ. Этнокультурные области на территории Европейской части СССР в камешном веке. М., 1959, стр. 70.

<sup>63</sup> Н. О. Бадер, Варианты культуры. . . , გვ. 7—9.

<sup>64</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 70; M. et S. I. Pequart, La necropole mésoolithique de Tevic (Morbihan), L' Antropologie, t. XXXIX, №5—6, 1929.

<sup>65</sup> С. Н. Библиков, დასახ. ნაშრომი.

<sup>66</sup> L. S. Leakey, The stone age cultures of Kenya colony, Cambridge, 1931, ტაბ.



როდესაც ლ. ლიკი დაინტერესდა გეომეტრიული მიკროლითების დანიშნულებით და პრაქტიკული ექსპერიმენტებიც კი ჩატარა, მივიდა დასკვნამდე, რომ გეომეტრიული მიკროლითები წარმოადგენენ ეფექტურ სანადირო იარაღებს. ხოლო გ. ჩაილდი კენის ამ აღმოჩენის შესახებ აღნიშნავდა, რომ ისინი პალეოლითურ ფენაშია ნაპოვნი და მით გამორიცხავდა მათ სამიწათმოქმედო დანიშნულებას<sup>67</sup>. აღნიშნული სამკელი იარაღი შემგროვებლობას უნდა უკავშირდებოდეს.

მეორე გავრცელებული მოსაზრების თანახმად გეომეტრიული მიკროლითები ერთი გარკვეული სახის იარაღებს არ ეკუთვნოდნენ. სხვადასხვა ფორმის მიკროლითების ხისა ან ძვლის ტარში გარკვეული ხერხით ჩამაგრებას განსხვავებული დანიშნულების იარაღი უნდა მოეცა.

ჩასართების ტექნიკასთან დაკავშირებით ს. ბიბიკოვმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სატყორცნი იარაღების ჩასართები აღიღებდნენ ნადირობის პროდუქტიულობას და იძლეოდნენ დაკარგული ნაწილების აღვილად შეცვლის შესაძლებლობას. მაგრამ ამასთანავე მას შესაძლებლად მიაჩნდა, აგრეთვე, ტრაპეციების ერთი ნაწილის გამოყენება ისრისპირებად, მეორე ნაწილისა კი ხერხებად, დანებად და სატყეების ჩასართებადაც კი<sup>68</sup>. სამკუთხედებს ს. ბიბიკოვი სათევზაო დანიშნულების იარაღებად მიიჩნევდა<sup>69</sup>, ე. ი. ყველა შემთხვევაში იგი მათ მითვისებითი მეურნეობისათვის განკუთვნილ იარაღებად თვლიდა.

საინტერესოა გ. კორობკოვას მიერ ჯეიტუნის (შუა აზია) მიკროლითებზე ჩატარებული ტრასოლოგიური გამოკვლევის შედეგები. უკანასკნელის მიხედვით ჯეიტუნის ზოგიერთი ტრაპეცია და სეგმენტები გამოიყენებოდა შედგენილი ნამგლის ჩასართებად. ზოგიერთი კი საფეკი იარაღებისა. გეომეტრიული მიკროლითების ნაწილი კი შესაძლებელია გამოიყენებულყო სატყორცნი იარაღების წვერებად<sup>70</sup>.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, მიკროლითებს მიკროსაჭრისების დანიშნულება უნდა ჰქონოდა<sup>71</sup>. საინტერესოა წინა აზიის უძველეს ძეგლებში ე. წ. სამკელი დანების პოვნა. ეს სამკელი დანები წარმოადგენს სწორი ფორმის ძვლის ტარს შუაში ღარით, რომელშიც ჩასმული უნდა ყოფილიყო კაქის ჩასართები. მსგავსი ნამგლები ნაპოვნია გვიან ნატუფში. მათ ყველა მკვლევარი სამკელ დანებად თვლის და შემგროვებლობისათვის განკუთვნილ იარაღად მიიჩნევს. გამოჩაყლისია რ. ბრეიდუუდი, რომლის აზრითაც ეს დანები უკვე მწარმოებლურ მეურნეობას უკავშირდება<sup>72</sup>.

აღსანიშნავია, რომ ეს სამკელი დანები ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ცარიელ ტარებს, რომლებშიც არ არის შერჩენილი ჩასართები. გამოჩაყლისია ფაიუმში აღმოჩენილი სამკელი დანა, რომელშიაც ჩასმულია სწორი ლამელე-

<sup>67</sup> Г. Чайлд, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 52.


<sup>68</sup> С. Н. Биби́ков, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 22.

<sup>69</sup> С. Н. Биби́ков, *Раскопки в навесе Фатима-Коба, КСИИ*, т. 8, Киев, 1950.


<sup>70</sup> Г. Ф. Коробкова, *Орудия труда и хозяйство неолитических племен Средней Азии*, МИА СССР, 158, 1960, გვ. 24.

<sup>71</sup> L. Romendo, *L'asite 51 collections préhistoriques du (R. A. P. E) Libyca*, IX—X, 1961—1962.


<sup>72</sup> R. J. Braidwood, B. How, *Prehistoric Inversignation in Iraqi Kurdistan*, Chicago, 1960.



მიკროლითური იარაღები საქართველოს ზედაპალეოლითური ძეგლებიდან. 1—8 სენა საენე; 9—12 ხერგულს-კლდე (მ. დონანაშვილის მიხედვით); 13—22 თარო-კლდე; 23—32 დეის-ხერგოლი; 33—44 საკაია; 45—53 გვარჯილას კლდე.




მკობილითები იარაღები საქართველოს მე-  
ზოლითური ხანის ძეგლებიდან: 1—15 ქვა-  
ჩახა (ლ. წებეთის მახედეო); 16—18 ქამ-  
პალი (ლ. წებეთის მახედეო); 19—20 ეძანი;  
21—28 დაჩეკეთის V ფენა.



მიკროლითური იარაღები საქართველოს ნეოლითური და ენეოლითური ხანის ძეგლებიდან. 1—4 დარკვეთის პირველი ფენა (ადრე ნეოლითი); 5—8 ანასეთლი პირველი (ადრე ნეოლითი); 9—25 ოდიში (გვიანი ნეოლითი); 26—37 კისტრიცი (გვიანი ნეოლითი); 38—41 არუხლო პირველი (ენეოლითი); 42—არუხლო მესამე (ენეოლითი); 43—44 წოფი (ენეოლითი)

ტაბულა IV



გეომეტრიული მიკროლითები ანასელი მეორე (გვიანი ნეოლითი); 1—18 ორ და სამ-  
ვერდამეშვებელი ტრაპეციები; 19—33 სეგმენტები; 34—41 მაღალი, ზურგათილი ტრა-  
პეციები და სწორკუთხედები.

ბი და არა მიკროლითები. ასე, რომ გეომეტრიული მიკროლითების პოვნა სამკელ დანებში ჭერჭერობით დამოწმებული არ არის. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ წინა აზიის ჩამოყალიბებულ სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში აღმოჩენილია ამგვარივე იარაღები (სიალკი). მათში არ უნდა ვივარაუდოთ გეომეტრიული მიკროლითების ჩასმა, რადგან მამინ ისინი უნდა ყოფილიყვნენ სიალკისა და ხასუნას ნამოსახლარების ფენებში, სადაც ამგვარი და ზოგ შემთხვევაში უკვე მოხრილი ნამგლებიც გვაქვს. როგორც ვიცით, სიალკში და ხასუნაში გეომეტრიული მიკროლითები და საერთოდ მიკროლითური ტექნიკა აღარ გვხვდება. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ გეომეტრიული მიკროლითები სამკელ დანებს არ უნდა უკავშირდებოდეს.

სადღეისოდ გეომეტრიული მიკროლითების დანიშნულების საკითხის გადასაწყვეტად კავკასიის ძეგლებში პირდაპირი მასალა არ მოგვეპოვება. თუმცა ამის მიუხედავად ერთი რამ ცხადია, რომ მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები კავკასიაში ჩაისახა და განვითარდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მიწათმოქმედება შეიძლება ვივარაუდოთ. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები ჩნდება ზედა პალეოლითის დასაწყისში და ვითარდება მის შემდგომ საფეხურებზე, ე. ი. ჩნდება ზედა პალეოლითის იმ ეტაპებზე, როდესაც მიწათმოქმედება არ არის საკულისხმებელი.

მიკროლითური იარაღები, როგორც რთული შედგენილი იარაღების ჩასართები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ შემგროვებლობისა, ნაწილობრივ კი სანადირო და სათევზაო იარაღების ჩასართებად, ე. ი. ყველა შემთხვევაში მიკროლამელების ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები წარმოიშვა და განვითარდა მითვისებითი მეურნეობის წიაღში, მისი საჭიროებისათვის.

ზედა პალეოლითის დასაწყისიდან შეიმჩნევა მითვისებითი მეურნეობის მასშტაბების თანდათანობითი ზრდა. ვითარდება შემგროვებლობა, მეთევზეობა, ნადირობა. ყოველივე ამან განაპირობა მეურნეობის ამ დარგებისათვის საჭირო იარაღების განვითარება. მითვისებითი მეურნეობის გაფართოებასთან ერთად ვითარდება მიკროლითური ტექნიკა და პირუკუ, ამ ტექნიკის აღმავლობამ ხელი შეუწყო მითვისებითი მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ეს მოვლენები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და ურთიერთგანპირობებულობაშია.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ ამიერკავკასიის ზედა პალეოლითის, მეზოლითისა და მთელი ნეოლითისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები. ამავე ტერიტორიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებში, სადაც ჩამოყალიბებულ მიწათმოქმედებასთან გვაქვს საქმე (ნასახლარები „სოკი-ადღერის“ ტიპის თოხებით), აღნიშნული ტექნიკა ქრება. ანალოგიური მდგომარეობაა ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, აქაურ მეზოლითის (ეძანი, ზურტაყეტი, კობისტანი) ნეოლითის (კობისტანი) ახასიათებს მაღალ დონეზე განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები. ამავე ტერიტორიის ადრესამიწათმოქმედო — შულავერ-შომუ-თეფეს კულტურას (შულავერი, იმირის-გორა, შომუ-თეფე, თოირა-თეფე, ქიულთ-თეფე 1) კი მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები აღარ ახასიათებს. გადანაშთის სახით მათ გხვდებით წოფის, არუხლო I და არუხლო III ნამოსახლარებზე.

ანალოგიური სურათია წინა აზიაში. აქ მეზოლითის ხანაში უკვე გამოიყოფა ორი კულტურული არეალი. პირველი მოიცავს პალესტინას, ნაწილობრივ სირიას და მცირე აზიის სამხრეთ ნაწილს, მეორე — ჩრდილო ერაყსა და ირანის ქურთისტანს. პირველ არეალში გავრცელებულ ნატუფის კულტურას მის სამივე ფაზაში ახასიათებს განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის მიკროლითები. ამ კულტურის ყველა მკვლევარი (გაროდი, ნევილი, კენიონი), მათ შორის საბჭოთა არქეოლოგები, რომლებიც მუშაობდნენ ამ კულტურის საკითხებზე (ბადერი, მასონი, ფორმოზოვი) ერთხმად აღიარებენ, რომ ნატუფის კულტურის მატარებელი ტომების მეურნეობა დამყარებული იყო მითვისებით მეურნეობაზე, კერძოდ, ნადირობაზე და შემგროვებლობაზე. ფართოდ განვითარებული მითვისებითი მეურნეობის წიაღში, ნატუფის კულტურის მესამე ეტაპზე ჩნდება მწარმოებლური მეურნეობის ცალკეული ელემენტები, რის გამოც რ. ბრეიდვუდმა<sup>73</sup> გამოთქვა მოსაზრება ნატუფის კულტურის მესამე ეტაპის მწარმოებლური მეურნეობისადმი მიკუთვნების შესახებ. აღნიშნულმა მოსაზრებამ, ისევე, როგორც რ. ბრეიდვუდის მთელმა პერიოდიზაციამ აღიარება ვერ ჰპოვა. ვ. მასონს უსაფუძვლოდ მიაჩნია ნატუფის კულტურის მესამე ეტაპის მიკუთვნება მწარმოებლური მეურნეობისადმი. მისი აზრით ნატუფის კულტურის მესამე ეტაპი მითვისებით მეურნეობას უნდა დაუკავშირდეს<sup>74</sup>. ამ შემთხვევაში ჩვენი საკითხისათვის არა აქვს არსებითი მნიშვნელობა ნატუფის კულტურის მესამე ეტაპის კუთვნილების საკითხის გადაწყვეტას. ჩვენთვის საინტერესოა, რომ ნატუფის კულტურის მესამე ეტაპზე მწარმოებლური მეურნეობის ელემენტების გაჩენის მიუხედავად გეომეტრიული ფორმის მიკროლითების რაოდენობა უცვლელია, რაც განპირობებული იყო მითვისებითი მეურნეობის ჭერ კიდევ დიდი რაოდენობით. ამასთანავე საინტერესოა, რომ ნატუფის კულტურის წინა ორ ეტაპს ყველა მკვლევარი უყოყმანოდ აკუთვნებს მითვისებით მეურნეობას, რომლის დროსაც ფართოდაა წარმოდგენილი მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები.

მსგავსი მდგომარეობაა წინა აზიის მეორე არეალში. აქაური გვიანი ზედა პალეოლითისა და მეზოლითის ძეგლების დამახასიათებელია განვითარებული მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები (ზარზი, შანიდარი, იაბრუდი, გარი-კამარბანდი). აღიარებულია, რომ აღნიშნული კულტურის მატარებელი გვაროვნული ჯგუფების მეურნეობის საფუძველი მითვისებითი მეურნეობა იყო. როგორც ჩანს, იგივე დასკვნა გამოდის წინა აზიის მეორე არეალის გვიანი ზედაპალეოლითისა და მეზოლითის ძეგლების განხილვიდანაც, რომ მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები მითვისებითი მეურნეობის საპირობებს ემსახურებოდა.

წინა აზიის უძველესი კულტურების მკვლევარნი თვლიან, რომ ზარზის, ნატუფისა და კასპიისპირა მეზოლითური კულტურების ბაზაზე წარმოიქმნა წინა აზიის ადრესამიწათმოქმედო კულტურები. ადრესამიწათმოქმედო კულტურების წარმოქმნის ადრეულ სტადიაზე (მასონის პერიოდიზაციის მიხედ-

<sup>73</sup> R. J. Braidwood, *დასახ. ნაშრომი.*

<sup>74</sup> В. М. Массон, К вопросу о мезолите Передней Азии, МИА СССР, №126, 83. 170.



ვით)<sup>75</sup>, სადაც გვაქვს შერწყმა მითვისებითი მეურნეობისა (ნადირობა და შემკროვებლობა) და დამკდარი მიწათმოქმედების არქაული ფორმები, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული ფორმები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ (ჯარმო, იერისონი, ბელდობის B ფენა, ჯეიტუნი). მაგრამ ადრე სამიწათმოქმედო კულტურის მეორე ეტაპზე, სადაც უკვე ჩამოყალიბებულია მიწათმოქმედ-მესაქონლეთა კულტურა<sup>76</sup>, სადაც უკვე იმარჯვებს მწარმოებლური მეურნეობა, მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები მთლიანად ქრება. ამ ეტაპს მიეკუთვნება: საჯილარი, ჩათალ-ჰუი-უკი, მერსინი, აშუკი, გასული, ხასუნა, სიალკი 1, ნამაზგა 1.

ზემოთქმული უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: 1. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები არ არის სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები და ამდენად დამახასიათებელი მწარმოებლური მეურნეობისათვის; 2. მიკროლითური ტექნიკა და გეომეტრიული მიკროლითები არქეოლოგიურ კომპლექსებში წარმოადგენენ მითვისებითი მეურნეობის განვითარების ხარისხის საკმაოდ მგრძობიარე მაჩვენებელს, მითვისებითი მეურნეობის ხვედრითი წონის მაჩვენებელს.

აქვე გვინდა შევეხოთ დას. ამიერკავკასიის გვიანნეოლითური ნამოსახლარების მეურნეობის ხასიათს. ვფიქრობთ, რომ ეს ნამოსახლარები მეურნეობის ტიპით უნდა მიეკუთვნოს ვ. მასონის პერიოდიზაციის პირველ ეტაპს, რომელიც გულისხმობს მითვისებითი მეურნეობისა და მწარმოებლური მეურნეობის ელემენტების შერწყმას. აქ ჩვენ უნდა გვქონდეს შერეული ტიპის მეურნეობა, სადაც ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს მითვისებითი მეურნეობა, თუმცა მისი განვითარება ამის შემდეგ იზღუდება. რაც შეეხება მწარმოებლურ მეურნეობას, კერძოდ, მიწათმოქმედებას იგი ჩასახულია და აღმავალი ხაზით ვითარდება, რისი მაუწყებელიცაა ამ ძეგლებზე ნაპოვნი სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღები — მიკროლითები, სახნისისებური, თოხისისებური იარაღები, დაკბილული ლამელები, ხელსაფქვავეები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე მთლიანი გადასვლა მწარმოებლურ მეურნეობაზე ჯერ-ჯერობით მომხდარი არ არის, იგი მხოლოდ დაწყებულია. თვისობრივი ცვლილებები მეურნეობაში გვაქვს ნეოლითის შემდგომ საფეხურზე — ენეოლითის ხანაში, სადაც უკვე მომხდარია მთლიანი გადასვლა მწარმოებლურ მეურნეობაზე, მითვისებითი მეურნეობა კი დამხმარე დარგად გვევლინება. ამიერკავკასიაში ჯერჯერობით მწარმოებლურ მეურნეობაზე მთლიანად გადასული, ყველაზე ადრეული ძეგლებია შულავერ-შობუ-თუფეს კულტურის ნამოსახლარები. ისინი, ვ. მასონის პერიოდიზაციის თანახმად, ადრე სამიწათმოქმედო კულტურის მეორე ეტაპს განეკუთვნებიან.

კავკასიის შავიზღვისპირეთის ნეოლითური ძეგლების სამიწათმოქმედო ხასიათს ა. ფორმოზოვი ემკვიწმე აყენებს, დაუსაბუთებლად მიიჩნევს<sup>77</sup>. იგი უგულვებელყოფს ოდიშის სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღებს (მაკროლითები, სახნისისებური იარაღები, ხელსაფქვავეები, დაკბილული იარაღები) იმის გამო, რომ მასალის ნაწილი ზედაპირულადაა მოპოვებული. როგორც

<sup>75</sup> В. М. Массон, Средняя Азия и Древний Восток, М.—Л. 1964, гл. 83.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> А. А. Формозов, О соотношении неолитических и энеолитических культур Кавказа, КСИА, вып. 137, 1973, гл. 37.

ცნობილია, ოდიშის კომპლექსის დიდი ნაწილი, მათ შორის მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები ვათხრების შედეგადაა აღმოჩენილი. ვარდა ამისა, გურიანთის ნეოლითური ნამოსახლარის ვათხრის დროს ნაპოვნი იყო, აგრეთვე, ხელსაფქვავე და მაკროლითური იარაღი. ამასთანავე საინტერესოა საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ხელმძღ. ნ. ბერძენიშვილი) 1972 წელს ჩხორთოლის (გალის რ-ნი) ნეოლითურ ნამოსახლარზე ჩატარებული ვათხრები<sup>78</sup>, რომლის დროსაც ნაპოვნი იყო უძრავი კულტურული ფენა. მასში კერამიკასთან და ტიპიურ ნეოლითურ ინვენტართან ერთად აღმოჩნდა ხელსაფქვავეები და სახნისისებური იარაღები. რის შემდეგაც, ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი ეჭვი ოდიშის სახნისისებური იარაღის ძირითადი კომპლექსიდან მომდინარეობის შესახებ უნდა მოიხსნას.

დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითურ ნამოსახლარებზე აღმოჩენილი სამიწათმოქმედო დანიშნულების იარაღების შესწავლის საფუძველზე<sup>79</sup> ვერ დავეთანხმებით ა. ფორმოზოვს, რომ კავკასიის შავიზღვისპირეთის გვიანნეოლითური ნამოსახლარების სამიწათმოქმედო ხასიათი საეჭვოა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა თვით ა. ფორმოზოვის მიერ ამავე ნაშრომში მიღებული სრულიად მართებული დასკვნა: „რომ კავკასიაში, ნეოლითის ხანაში მწარმოებლური მეურნეობა უკვე ყალიბდებოდა“. თუ კი, როგორც ა. ფორმოზოვი აღნიშნავს, კავკასიის ნეოლითში მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის არავითარი ნიშნები არ იყო, მაშინ ისმის კითხვა, თუ არ იყო რა ყალიბდებოდა?

კავკასიის მასალები ცხადყოფენ, რომ ნეოლითში მწარმოებლური მეურნეობა უკვე ყალიბდებოდა და განვითარების გარკვეული გზა ჰქონდა გავლილი, თუმცა როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. ფორმოზოვი<sup>80</sup>, კარდინალური ხასიათის ცვლილებები მეურნეობაში ჯერ არ იყო მომხდარი.

ამგვარად, მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების განხილვა ქვის ხანის საფეხურების მიხედვით გვიჩვენებს, რომ დაწყებული ზედა პალეოლითის ადრეული საფეხურიდან ე. ი. მისი ჩასახვის დროიდან, აღნიშნული ტექნიკა და გეომეტრიული ფორმის იარაღები განიცდიან განვითარებას აღმავალი ხაზით, მათი თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილებების გზით, რამაც უმაღლეს განვითარებას მიაღწია გვიან ნეოლითში. აღნიშნული ინდუსტრიის სრულყოფა ხდებოდა პრიზმული მიკროლაშელების ფართო განვითარების ბაზაზე.

ჩვენ მიერ გამოანგარიშებულმა მიკროლითური ტექნიკის ინდექსებმა შესანიშნავად გვიჩვენა მიკროლითური ტექნიკის ზრდა აღმავალი ხაზით ქვის ხანის საფეხურების შესაბამისად (ზედა პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი) — საკეია — 5,5%, გეარჯილას-კლდე — 7,2%, ქვაპარა — 38%, ანასელი II — 43%. მიღებული პროცენტული მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ ყველაზე მაღალი ინდექსი აქვს გვიანი ნეოლითის მიკროლითურ ტექნიკას. სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა ჭერჭერობით ყველა ძეგლის ინდექსის გამოანგარიშება, რაც უფრო ნათელს გახდიდა მიკროლითური ტექნიკის განვითარების თავისებურებებს.

<sup>78</sup> კ. კალანდარიძე, ჩხორთოლის ნეოლითური ნამოსახლარი, სველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), 1973, გვ. 20.

<sup>79</sup> ლ. ნებეირიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

<sup>80</sup> А. А. Формозов, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

როგორც ცნობილია, ფართოდ განვითარებული მითვისებითი მეურნეობის წიაღში ჩაისახა მწარმოებლური ეკონომიკა (მიწათმოქმედება). ახალმა მზარდმა ეკონომიკამ ჯერ შეაფერხა, ხოლო შემდეგ შეამცირა მითვისებითი მეურნეობის როლი უძველესი ტომების მეურნეობაში. მითვისებითი მეურნეობის მნიშვნელობის შესუსტებაში კი გამოიწვია მიკროლამელების ტექნიკის დაცემა და მიკრონაწარმის შემცირება. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს ოდიშის ნამოსახლარი, სხვა გვიანეოლითურ ნამოსახლარებთან შედარებით მასში ყველაზე მეტია მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული იარაღები. ხოლო იმავე ძეგლებისაგან განსხვავებით მიკროლითური ტექნიკა აქ უკვე შეზღუდულადაა წარმოდგენილი. საფიქრებელია, რომ ოდიში გვიანეოლითურ ძეგლებს შორის ყველაზე მოგვიანო კომპლექსია.

გვიან ნეოლითის შემდეგ მიკროლითური ტექნიკის მზარდი განვითარება წყდება, იგი დაღმავალი ხაზით მიმდინარეობს. ამის გამო კავკასიის ადრე ლითონის ხანის ძეგლებში მიკროლითური ტექნიკის ხვედრითი წონა საგრძნობლად მცირდება. ამის მაგალითია სამელე კლდის, დაჩქვეთის I, II, III ფენები, წოფისა და არუხლო I ნამოსახლარები. ეს კი უნდა ნიშნავდეს, რომ ენეოლითში, აღმავლობის გზაზე მდგარი მწარმოებლური მეურნეობის პირობებში მცირდება იმ მეურნეობის როლი (მითვისებითი), რომელსაც ემსახურებოდა მიკროლითური ტექნიკა და მისი ნაწარმი. ქვისა და ლითონის ხანის ძეგლებში არსებული მიკროლითური ტექნიკის რაოდენობრივი მაჩვენებელი პირდაპირ პროპორციული უნდა იყოს მითვისებითი მეურნეობის ხვედრითი წონისა.

ძეგლებში, რომლებშიც საერაუღებელია (ან ჩნდება) პირველი ლითონის ნივთები ქვის ინდუსტრიის ხასიათი იცვლება. წყდება მიკროლითური ტექნიკის განვითარება, მცირდება გეომეტრიული მიკროლითებისა და წვრილი პრიზმული ლამელების რაოდენობა. მნიშვნელოვნად იცვლება იარაღთა სერიები. კლებულობს ან ქრება მიკროლითური იარაღები (გეომეტრიული მიკროლითები, მიკროსაფხეკები, მიკროსაჭრისები, მიკროსახვრეტები, მიკრობურღები და სხვ.), ფართოდ იკიდებს ფეხს იარაღების ორმხრივი დამუშავება, იხვეწება „წნევითი“ რეტუში, ისახება ახალი — მსხვილი ლამელების ტექნიკა. რაც უფრო შორსაა კომპლექსი ლითონის პირველი ნივთების გაჩენის დროიდან, მით უფრო კლებულობს ნეოლითის ნიშნები.

აღნიშნული პროცესი არ უნდა იქნას გაგებული ისე, თითქოს მითვისებითი მეურნეობა მთლიანად ქრება ენეოლითის ხანის ისეთ კულტურებში, რომლებშიც არ არის წარმოდგენილი მიკროლითური ტექნიკა. მითვისებითი მეურნეობა სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებული მასშტაბით განაგრძობს არსებობას, როგორც მეურნეობის დამხმარე დარგი. მიკროლითური ტექნიკისა და მისი ნაწარმის გაქრობა ძეგლებში უნდა აიხსნას, ერთი მხრივ იმით, რომ მცირდება მითვისებითი მეურნეობის როლი და მეორე მხრივ ძველი იარაღი იცვლება — ახლით. მწარმოებლური მეურნეობის (მიწათმოქმედება) საჭიროებისათვის გაჩენილი ქვის დამუშავების ახალი ტექნიკა (მსხვილი ლამელების) პირველხანებში ნაწილობრივ ხოლო შემდეგ მთლიანად უნდა ჩამდგარიყო მითვისებითი მეურნეობის სამსხურში.

ენეოლითის ხანის ძეგლების ქვის მასალის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ ახალი ტექნიკის განვითარება (მსხვილი ლამელების) ერთხანს აღმავალი ხაზით მიდის, მაგრამ ლითონის ნაწარმის მომატებასთან ერთად, მეტალურგიის გაჩენის დროისათვის, ქვის ინდუსტრია მთლიანად ეცემა.

ქვის ინდუსტრიის განვითარების ეს ზოგადი კანონზომიერება დამახასიათებელია არა მარტო, საქართველოს ქვისა და ენეოლითის ხანის კულტურებისათვის, იგი საერთოა მთელი კავკასიისათვის. იგივე კანონზომიერება მეორდება ყირიმისა და შუა აზიის ნეოლით-ენეოლითური ხანის ინდუსტრიაში ლოკალური ნიშნების თანხლებით. მოტანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ ჩვენს წინაშეა წინა აზიისა და მისი ჩრდილო პერიფერიის (კავკასია) ქვის ინდუსტრიის განვითარების ზოგადი კანონზომიერება.

მიკროლითური ტექნიკისა და გეომეტრიული მიკროლითების დეტალური შესწავლა (ძეგლის დანარჩენ ელემენტებთან მჭიდრო კავშირში) აღნიშნული კანონზომიერების გათვალისწინებით შესაძლებლობას მოგვცემს გავმიჯნოთ ადრესამიწათმოქმედო კულტურის პირველი ეტაპის (ნეოლითი) და მეორე ეტაპის (ენეოლითი) ძეგლები.

Л. Д. НЕБИЕРИДЗЕ

## МИКРОЛИТИЧЕСКАЯ ТЕХНИКА И ГЕОМЕТРИЧЕСКИЕ МИКРОЛИТЫ В ПАМЯТНИКАХ КАМЕННОГО ВЕКА ГРУЗИИ

Резюме

Микролитическая техника и геометрические микролиты являются главным компонентом комплексов каменного века Грузии (с начала верхнего палеолита до энеолита). Микролитическая техника и орудия геометрических форм на отдельных ступенях каменного века проходят определенный путь развития. В отличие от других орудий они ярче отражают эпохальные изменения, поэтому в комплексах каменного века они являются самыми чуткими хронологическими показателями.

Микролитическая техника в Грузии зародилась в начале верхнего палеолита. Ее возникновение и развитие находятся в тесной связи с основным новшеством каменной индустрии верхнего палеолита — с появлением техники ножевидных пластин. Новые сдвиги, происшедшие в каменной индустрии верхнего палеолита, были обусловлены переломом в хозяйственной жизни этого периода.

В отличие от каменной индустрии нижнего палеолита, техника мелких, ножевидных пластин (сколотых с призматических и карандашевидных нуклеусов) была совершенно новой, имея большие возможности. В недрах этой техники зародилась и развилась микровкладышевая техника, главным компонентом которой стал микролит.

В кавказских памятниках пока нет прямых указаний на назначение геометрических микролитов. Но, несмотря на это, одно все-таки ясно, что микролитическая техника и геометрические микролиты на Кавказе зародились гораздо раньше (с начала верхнего палеолита), чем можно предположить появление земледелия. Геометрические микролиты, как сложные составные орудия, вероятно, должны были применяться как в собирательстве, так и в охоте и рыболовстве, т. е. микролитическая техника и геометрические микролиты зародились в недрах присваивающего хозяйства, нужды которого вызвали развитие микролитической техники и, наоборот, развитие микролитической техники обусловило широкое развитие присваивающего хозяйства, эти явления взаимно обусловлены. В эпоху неолита в недрах развитого присваивающего хозяйства зародились новые формы производящей экономики (земледелие, скотоводство). Быстро развивающаяся производящая эко-

ნომიკა вызвала сначала торможение, а далее и сокращение роли присваивающего хозяйства, вследствие чего и постепенный упадок микролитической техники. Степень развития микролитической техники и геометрических микролитов в комплексах является показателем удельного веса производящего хозяйства в экономике древнейших племен.

Развитие микролитической индустрии идет по восходящей линии, до появления первых металлических предметов.

В комплексах, в которых появляются или подразумеваются первые металлические предметы, характер каменной индустрии меняется. Прекращается развитие микролитической техники, уменьшается число геометрических микролитов и мелких призматических пластин. Меняется набор орудий, исчезают микролитические орудия (микроскрепки, микрорезцы, сверла и др.). Увеличивается число наконечников копий и дротиков, появляется двусторонняя обработка орудий, совершенствуется отжимная ретушь и целый ряд других новых признаков.

Внедряется новая — крупно-пластинчатая техника. И по мере отдаленности комплексов во времени от появления первых металлических изделий степень признаков неолита снижается по наклонной линии, взамен которой начинается развитие новой техники, которая до определенного периода идет по быстро восходящей линии. Но с приближением эпохи массового появления металлических предметов каменная индустрия приходит в упадок.

Эта общая закономерность неолитической и энеолитической индустрии прослеживается с наибольшей полнотой в индустриях Крыма, Кавказа и Средней Азии.

Указанная закономерность неолита и энеолита нашего юга находится в прямой связи с общими закономерностями развития каменной индустрии Ближнего Востока.

Здесь же целесообразно коснуться характера хозяйства поздне-неолитических поселений Грузии. Эти поселения по своему типу принадлежат к смешанному виду хозяйства (первый этап по периодизации В. М. Массона), что подразумевает сочетание элементов присваивающей и производящей экономики. Налицо здесь смешанное хозяйство, где пока еще большую роль играет присваивающее хозяйство, хотя его развитие прекращается после неолита. Что касается производящей экономики, в частности земледелия, оно уже зародилось в неолитическую эпоху и развивается, на что указывают находки на поселениях земледельческих орудий (макролиты, мотыговидные и сохovidные орудия, зернотерки, зубчатые пластинки). Окончательный переход хозяйства на производящую экономику на этом этапе пока не был совершен, он только начал и делает определенные шаги. Качественные изменения в хозяйстве произошли на следующей ступени развития, в эпоху энеолита, где уже хозяйство целиком перешло на рельсы производящей экономики, а присваивающее хозяйство превратилось в подсобное. Поселения шулаверо-шомутепинской культуры пока что являются самыми ранними в Закавказье из перешедших на производящую экономику.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და  
 ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ქვის ხანის არქეოლოგიის  
 განყოფილებამ



Б. В. ГАМКРЕЛИДЗЕ

## СИСТЕМА СКОТОВОДСТВА В ГОРНОЙ ПОЛОСЕ СЕВЕРНОЙ ОСЕТИИ

На основе этнографических материалов и литературных данных выясняется, что во второй половине XIX в. и начале XX в. в горных районах Северной Осетии основными отраслями хозяйства были скотоводство и земледелие. Ведущими из них являлось скотоводство, т. к. местная географическая среда и природные условия были более благоприятны для развития этой отрасли хозяйства. Несмотря на то, что земледелие здесь носило достаточно интенсивный характер, урожай, снятый на местных участках, не удовлетворял потребностей населения. Они возмещали этот урон реализацией продукции скотоводства.

Селение горной Осетии — к ъ о у — представляло густонаселенную единицу. Особый интерес для нас представляет расположение села по отношению к сельскохозяйственным угодиям. Как известно, в горных районах Северной Осетии селения были расположены по ущельям. В некоторых случаях в ущелье — ком — располагалось только одно селение и все его угодия находились во владении одного села, иногда ущелье объединяло несколько селений, между которыми были поделены все угодия ущелья. В этом последнем случае происходило формирование территориального объединения — общины, в основе которой лежали общие территории, совместное пользование некоторыми земельными угодиями расположенными в разных местах ущелья, общность происхождения основной части населения, святилище, общие хозяйственные интересы и пр. Поскольку термин ком выражает и определенную форму поселения, ему придается не только географическое, но и социальное значение<sup>1</sup>. Аналогичное обстоятельство наблюдается в различных районах Северного Кавказа и Грузии.

Как видно из конкретных примеров, в горной Осетии все сельскохозяйственные площади были расположены вокруг селения, они начинались с окраины села и простирались до высокогорных альпийских пастбищ. Пашни занимали находившиеся вокруг села низины и искусственно созданные террасы на склонах гор; за пашнями следовали покосы и, наконец, пастбища. Покосы и пастбища, в основном, располагались на верхних склонах гор и в глубине ущелий. Часто встречаются пашни и в высокогорной полосе, с связанными со скотоводством параллельными хозяйственными базами.

Для правильного понимания характера горно-осетинского скотоводства, необходимо более подробно остановиться на годовом цикле ухода и содержания скота. На конкретных примерах этот цикл выглядит следующим образом: перезимовавший в хлевах скот в первых числах апреля переводился на выгоны, а затем в конце этого же месяца — на весенние, а в начале июня на летние горные пастбища.

Как было указано выше, у каждого селения или группы селений имела своя территория, которая делилась на определенные хозяй-

<sup>1</sup> Ал. Робакидзе, Формы поселения у осетин Урухского ущелья, Тб., 1970, 21 (рукопись), Труд хранится в архиве отдела этнографии Кавказа института истории, археологии и этнографии АН ГССР.

ственные зоны. На сельские зимние пастбища или пастбища в низменных районах овцы и ягнята выпускались вместе, затем, когда ягнята уже подрастали, их перебирали и определяли на место. До перегона скота в горы дойный и недоуный скот также содержался вместе, затем уже всем были определены собственные места.

Под весенние пастбища выделяли покосы, расположенные вдали от села. Когда в горах субальпийские и альпийские луга были покрыты снегом, а площади, находящиеся вблизи села, покрывались травой, скот до его перехода в горы, выводили на специальные весенние пастбища. Этот порядок последовательного перемещения скота был обусловлен, с одной стороны, необходимостью более рационального распределения природных ресурсов и рабочих рук, а с другой — акклиматизацией скота в процессе его перемещения с приусадебных выгонов на высокогорные пастбища, однако, специальными летними пастбищами пользовались не все селения. Часто такие пастбища были расположены около села, граничили с выгонами и постольку, поскольку в этих местах не обязательно было устраивать специальные хозяйственные базы, скот из селения выгонялся туда ежедневно.

На горных пастбищах, где были устроены хозяйственные базы — содержали доуный скот и приготавливали молочные продукты. Эту обязанность выполняли женщины. Недоуный скот был выпущен на верхние склоны гор и пастухи лишь изредка навещали его. Пастбища, находящиеся в более верхней полосе, были предназначены для овец. Овцы также, как и крупный рогатый скот в нижней полосе, были разделены на отдельные группы. Дома — при хозяйственной базе держали доуных овец, а горные вершины и труднодоступные места были отданы недоуным овцам и ягням. Присмотр за овцами, дойка и приготовление молочных продуктов было мужским делом.

Хозяйственные базы для крупного рогатого скота устраивались в нижней полосе, здесь же запасались сеном для зимовки определенной части скота. С сентября крупный рогатый скот, а немного позднее и овец, постепенно начинали перегонять вниз; они проходили все расположенные внизу зоны и спускались в селение. Определенная часть овец оставалась для зимовки на горных зимних хозяйственных базах, а большие отары пригоняли на зимние равнинные пастбища.

Сложный рельеф некоторых ущелий и суровые климатические условия не давали возможности перезимовать там скоту. В таких местах скот спускался с горных летних пастбищ прямо в селение. Понятно, в этом случае всеми кормами запасались в селении, на основном месте жительства. Вместе с тем, при наличии пастбищ, расположенных вблизи села, переработка молока в летний период происходила в селении, т. е. функции одной из параллельных хозяйственных баз в этом случае совмещало основное место жительства.

Вышеприведенные особенности годового цикла ухода за скотом дают основание утверждать, что скотоводство в горных районах Северной Осетии носило альпийский характер. Оно предусматривало последовательное и планомерное освоение местных горных и равнинных пастбищ. Поэтому скот перегоняли строго последовательно по принципу вертикальной зональности, меняя места от равнинных до высокогорных пастбищ и обратно. Вообще в специальной литературе основной характерной чертой альпийского хозяйства признано хозяйственно-географическое объединение летних пастбищ, богатых альпийской растительностью и равнинных зимних кормовых баз, передвижение скота и его обслуживающего персонала от равнин до гор и наоборот, сезонность альпийского скотоводства и его зависимый характер от равнинной ос-



новой хозяйственной базы<sup>2</sup>. Для него также было характерно горизонтальное продвижение скога в одной и той же зоне, или продвижения для последовательного освоения пастбищ, расположенных по разным сторонам ущелья. Разделений ущелья на солнечную и теневую стороны в Осетии, как и в других местах Северного Кавказа и Грузии, было вызвано хозяйственными условиями. Это условие состояло в том, что южные склоны гор в течение дня освещены солнцем, поэтому зимой снега здесь тают и население имеет возможность иногда выгонять скот на пастбища. Вместе с тем, скот выгоняли ранней весной на солнечные склоны, т. к. противоположная сторона еще была покрыта снегом. Все это определяло и то, что весенние и осенние пастбища в основном были расположены на солнечных склонах гор.

В горных районах Северной Осетии на горные летние пастбища выгоняли овец, крупный рогатый скот, недоиных и дойных, в селении же оставляли очень мало коров, столько, сколько нужно было для удовлетворения повседневных нужд семьи. В отдельных случаях на горные пастбища перегоняли недоиный крупный рогатый скот и овец, дойных же коров, а в некоторых селениях и дойных овец выгоняли летом на выгоны. Аналогичное положение встречаем и в Чечено-Ингушетии. Думается, что это последнее обстоятельство, в первую очередь, должно быть связано с качеством выгонов и их количеством. Вообще должно быть отмечено и то обстоятельство, что при расселении села обращалось внимание как на его стратегическое местоположение, так и на хозяйственные условия. Население искало такие места для жительства, которые способствовали бы развитию их ведущего хозяйства. Такими в основном, являлись те места, где располагались хозяйственные базы. Вновь выделенная семья, не имевшая местожительства рядом с отцовским домом, охотно поселялась на целинных землях, около своих хозяйственных баз, вблизи от покосов и пастбищ, где создавались всевозможные условия для ведения скотоводства в широких масштабах. Вместо с приростом населения и постепенным расширением хозяйства возможно было и здесь создавать вне селения параллельные хозяйственные базы, но эти последние были более обеспеченными выгонами, чем те от которых они сами развились.

Как было отмечено выше, в отношении вертикальной зональности горы делились на несколько хозяйственных зон и каждая из них имела определенное хозяйственное назначение. Вообще для ландшафта альпийского хозяйства от Памира до Альп и Пиринеев принято деление гор на три хозяйственной зоны.

Изучая систему альпийского хозяйства в Горной Ингушетии, В. Христианович ингушский термин *ла м'л о а м* по своему содержанию сопоставляет с немецким термином *А I р* и делит горы на три хозяйственные зоны. В Ингушетии эти зоны следующие: первая — *бей не ж*, самая нижняя; она отведена для дойных коров, начинается от верхних границ леса, часто в нее входит и лесная полоса; вторая — *рем или ла м-те-рем* — зона для недоиного крупного рогатого скота и, третья — *тар х ла м*, т. е. каменное пастбище, зона предназначенная для овец<sup>3</sup>.

Исходя из вертикального зонирования, площади в горной Ингушетии были размещены под жительство и сельскохозяйственные нужды: поселения и пахотные площади располагались на высоте 200—1500 м

<sup>2</sup> В. Шамиладзе, К вопросу горного скотоводства в Грузии, «Мацне», 1963, № 3, 106.

<sup>3</sup> В. Христианович, Горная Ингушетия, Р.-Д. 1928, стр. 112.

над уровнем моря; покосы, весенние и осенние пастбища — 1500—2000 м, а горные летние пастбища в пределах 2000—3000 м<sup>4</sup>.

По собранным нами этнографическим материалам, в горной Ингушетии составные части горы лам||лоам — корт, вершина горы, верхушка; ламта — верхние, сравнительно ровные и пригодные для покосов и пастбища места и, третье — кока, зона расположенная ниже ламта. Встречается и такое распределение гор: корт, белиш — вершина горы и юх||дух у подножья горы Юх||дух в основном были пастбища для крупного рогатого скота, белиш — для овец, а вершины не всегда имели хозяйственное значение. В некоторых конкретных случаях сказители делят горы на две зоны — лехи — нижнюю и лекхи — верхнюю. Вместе с тем указанные зоны делились еще на подзоны, имеющие свое хозяйственное назначение и выделяемые для различных видов скота.

В Чечне общим термином, обозначающим пастбища, является термин дежу или дежила. Для отличия друг от друга пастбищ для крупного рогатого скота и овец употребляли термин беж дежила и дже дежила, где первым обозначали пастбище для коров или крупного рогатого скота, а вторым — пастбища для овец. Это же значение имеют термины бежни декъ и джен декъ. Декъ по чеченски обозначает какую-нибудь часть имущества, земли и т. д. Бежни декъ и джен декъ — это те участки пастбищной земли, которые были предназначены для крупного рогатого скота и овец.

დ. გოგოლაძის ნაშრომის დადებით მხარეებზე შეიძლება საუბრის გაგრძელება, მაგრამ ზემოთნათქვამიც, ჩვენი აზრით, საკმარისია, რათა დავასკვნათ, რომ ამ ნაშრომს გარკვეული მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. იგი დაფუძნებულია საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ მყარ პრინციპებზე და ეყრდნობა ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე განმაზოგადებელი მონოგრაფია საქართველოს ფეოდალური სოფლის სოციალ-ეკონომიურ წყობილებაზე ჩვენ არ გავგაჩნდა და სარეცხი ნაშრომში ამ ხარვეზის შევსების საერთო საქმეს ემსახურება. მაგრამ სარეცხი ნაშრომი არაა უნაკლო და თავისუფალი ცალკეული მცდარი ან სადაო დებულებებისაგან:

1. ავტორი, ჩვენი აზრით, რამდენადმე აქაზებებს კონფლიქტის დონეს, ერთი მხრივ, ქართული ფეოდალური საზოგადოების გაბატონებულ წოდებასა და, მეორე მხრივ, რუსეთის მთავრობას შორის (თავი II). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გაბატონებული კლასის ნაწილი თავიდანვე ჩაღდა ცარზიმის ერთგულ სამსახურში. მხოლოდ ზოგიერთი მსხვილი თავადი, რომელთაც დაკარგეს თავისი პოლიტიკური და ადმინისტრაციული პრეროგატივები, დიდხანს იმყოფებოდნენ ოპოზიციაში ცარზიმის ხელისუფლების მიმართ. მ. კორნოციის პოლიტიკაც (ე. წ. „ახალი კურსი“) არ შეიძლება ჩაითვალოს პრინციპულად

ახალ კურსად. კომპრომისებსა და მოწყალე-ბებს ქართველ ფეოდალთა მიმართ რუსული ხელისუფლება მიმართავდა ადრეც. ვორონცოვის დროს ეს გარემოება გახდა ერთ-ერთი მიზეზი ქართველი თავადაზნაურობის ძირითადი ნაწილის საბოლოო შერიგებისა მეფის მთავრობასთან.

2. ავტორი ჩვენი აზრით, ცდება, როცა ზოგიერთ ისტორიკოსს მიაწერს „უქლადის“ (წყობის) ცნების არასწორ გაგებას (გვ. 372). ავტორის აზრით, „უქლადი“ არის განსაზღვრული საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის ყოველგვარი დონე. ჩვენ კი გამოვდიოდით „უქლადის“ იმ გაგებიდან, რომელიც მოგვცა აკად. ნ. მ. დრუჟინინმა, ე. ი. კაპიტალისტური ურთიერთობის ისეთი დონე ფეოდალური წყობილების წიაღში, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად დაშალოს ძველი საზოგადოებრივი წესწყობილება.

3. გადაჭარბებულად გეჩვენება ზოგჯერ ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ რეფორმამდელი საქართველოს სოფელში საბატონო მარცვლეული კულტურების ნათესებს ეკავა დიდი ადგილი. მის მიერ მოყვანილი 1859 წლის მონაცემებით (გვ. 259) გამოდის, რომ თბილისის გუბერნიაში საბატონო მიწებიდან აღებულ იქნა თითქმის იმდენივე პური, რამდენიც საბატონო ყმა-გლეხთა მიწებიდან, მაგრამ სხვა მონაცემებით (კერძოდ, 1862 წ.), გლეხთა მიწებიდან აღებულ იქნა ორჯერ მეტი პური, ვიდრე საბატონო მიწებიდან. მთლიანად კი გლეხთა კლასი იწვედა გაცილებით მეტ პურს, ვიდრე საკუთრივ საბატონო მეურნეობა.

4. გადაჭარბებულია აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის საქონლიანობის დონე საერთოდ. ავტორი ეყრდნობა 40-იანი წლების მონაცემებს და აკეთებს დასკვნას, რომ მოწეული მარცვლეულის 20—25% გადიოდა ბაზარზე. მაგრამ ეს წლები მალაშო-სავლიანი იყო, სხვა (ნაკლებმოსავლიან და მოუსაველ) წლებში კი ბაზარზე არაფერი გადიოდა.

5. სათავადოთა სისტემისა და ფეოდალურ საადგილმამულო ურთიერთობის რღვევის პროცესს XIX ს-ის პირველ ნახევარში ავტორი, როგორც ითქვა, თითქმის ამომწურავად აშუქებს, მაგრამ იგი არ აღნიშნავს რომ ანალოგიური პროცესის დასაწყისს ადგილი ჰქონდა სა-

ქართველოში ბევრად ადრე, რომ ეს პროცესი „არ ახალია, ძველია“. ჩვენი აზრით, ეს კი საჭირო იყო აღნიშნა ავტორს. რადგან ამ საკითხზე აზრთა. სხვაობა დღესაც გადაუჭრელი რჩება“.

6. ჩვენ მთლიანად ვერ ვავიზიარებთ ავტორის დებულებას იმის შესახებ, რომ ქართველ თავადაზნაურთა 1842 წლის პროტესტი და პეტიცია საფუძველი გახდა მიხეილ ვორონცოვისეული „ახალი პოლიტიკურ-ტაქტიკური კურსისა“ (გვ. 114—117). ჩვენი აზრით, ამ კურსის შემუშავების მიზეზები ბევრად ღრმია და იგი ადრინდელი პერიოდიდან მომდინარე სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებშიცაა დასაძებნი, რაც სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

7. მეტატონეთა ყმობისაგან გლეხთა თავდახსნის წიგნები უმთავრესად განხილულია ნაშრომის მე-5 თავში, რომელიც ეხება ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებას XIX ს-ის საქართველოში. ყმა გლეხთა თავდახსნის პროცესი, მართალია, აქაც უნდა იყოს მოცემული, ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებასთან და ამ ურთიერთობის რღვევასთან დაკავშირებით, მაგრამ, ჩვენი აზრით, აჯობებდა, მსჯელობა ავტორს ყმა გლეხთა თავდახსნა-განთავისუფლების წიგნებისა და თავდახსნის პროცესის შესახებ გადაეტანა ნაშრომის IV თავის იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკია XIX ს-ის პირველი ნახევრის ქართულ სოფელში გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის ჩანასახის გაჩენაზე, რადგან პირადად თავისუფალ და მესაკუთრე გლეხთა ფენის გაჩენა, — სწორედ ეს იყო სოფლად კლასობრივი დიფერენციაციის ჩანასახის ძირითადი ბირობი.

ასეთია ჩვენი შენიშვნები. მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, დ. გოგოლაძის მონოგრაფია — „საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში“ — ქართული ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია.

\* მეორე, მეოთხე და ამ (5) შენიშვნის ირგვლივ თვითონ რეცენზენტებს შორისაც აზრთა სხვაობაა.

ზურაბ ანანაძემ  
 აკთანდილ იოსელიანს

## ВАЖНЫЙ ИСТОЧНИК ПО ИСТОРИИ АРМЕНИИ.

**А. А. Папазян, «Джихан-нума» и «Фезлеке» Кятиба Челеби как источник по истории Армении, Ереван, 1973**

Творчество турецкого историка и географа XVII века Кятиба Челеби (1607—1658), автора 20-и с лишним сочинений, переводов и комментариев, издавна привлекало внимание ученых. Не случайным является тот факт, что в числе немногих, изданных в первой турецкой типографии книг, три сочинения связаны с именем Кятиба Челеби. Однако, в турецкой науке у первого редактора и издателя его трудов Ибрагима Мютеферрика, к сожалению, довольно долго не появлялось последователей. Некоторое оживление в этом направлении наметилось лишь с 50-х годов XX века с появлением обширного сборника «Кятиб Челеби», включающего исследование нескольких авторов (О. Гёкйия, Х. Инанча, М. Гёкбилгина, Х. Селена, А. Унвера, Б. Шехсувароглу, Х. Югеля и Х. Юлкена)<sup>1</sup>. В последнее время турецкий ученый О. Гёкйий издал также несколько сочинений Кятиба Челеби современным латинским шрифтом с комментариями.

Вместе с тем вполне закономерно раннее признание Кятиба Челеби, человека, по словам турецких ученых, впервые открывшего Турцию европейскую культуру, в европейской науке. Уже в XIX столетии с сочинениями Кятиба Челеби были знакомы и в России. Внеся значительный вклад в дело изучения его творчества, ученые, тем не менее, ограничивались первоначально переводами и незначительными комментариями (связанными в основном с «Джихан-нума»). Здесь в первую очередь следует упомянуть труды Г. Тодерини, М. Норберга, И. Хаммера, А. Сен-Мартена, Дж. Митчелла, Г. Флюгеля, Ф. Шармуа. Более подробные сведения о жизни и деятельности Кятиба Челеби можно почерпнуть в исследованиях Ф. Бабингера, И. Мордтманна и Ф. Тешнера, проанализировавшего географическое наследие автора. Что касается советской науки, несмотря на определенный интерес ученых (частые ссылки или переводы в трудах В. Бартольда, А. Тверитиновой, С. Джикиа, Г. Мамедбейли, М. Алекберли, С. Ашурбейли, А. Сафрастяна, Р. Мамедова, М. Зулаляна, В. Чочиева), детальное исследование сочинений Кятиба Челеби не проводилось, а для общего представления почти единственным пособием оставалась статья И. Крачковского «Турецкая географическая литература XV—XIX вв.». Поэтому, исследование А. А. Папазяна с этой точки зрения является первой серьезной попыткой и несомненно важным событием.

Из обширного творческого наследия Кятиба Челеби данные об Армении содержатся в основном в двух сочинениях: историко-географическом «Джихан-нума» и историческом «Фезлеке» (в данном случае имеется в виду более популярное турецкое «Фезлеке»). Больше половины книги А. Папазяна занимает перевод соответствующих глав вы-

<sup>1</sup> Kâtip Çelebi, Hayatı ve Eserleri Hakkında İncelemeler, Ankara, 1957.

шеназванных сочинений с комментариями, чему предшествует предисловие, довольно подробный анализ и история изучения «Джихан-нума» и «Фезлеке», а также общий обзор творчества Кятиба Челеби. Автор книги заостряет внимание на 8 сочинениях, хотя, как нам кажется, не было бы излишним коснуться и других трудов, тем более, что в советской историографии они малоизвестны.

Бесспорное преимущество автора заключается в глубоком знании турецкого языка. В книге довольно часто приводятся извлечения и из арабских сочинений автора. Известно с какими трудностями связан перевод средневековых турецких текстов, в частности Кятиба Челеби. Отсутствие критических изданий, частые искажения в рукописях делают реконструкцию некоторых мест почти невозможным. А. Папазян с этой задачей справляется в основном успешно, за исключением буквально единичных фраз. Так например, характеризуя особенности, присущие реке Аракс, Кятиб Челеби пишет: *و الامتبعندن اشاغي چوپان كويروسنى كچدكدن صكره هر يرندن كچلمز مكر باشندن كچمكله خاصه نك ائرى ظهور ايليه* (Джихан-нума, стр. 397).

Эта фраза А. Папазяном переведена следующим образом: «Начинал от истока, как и после перехода под мостом Чобан-кепрюсю, реку нельзя переходить вброд в любом месте, потому что в этом случае признаки болезни возобновляются» (стр. 104). По нашему мнению, данному контексту больше соответствует перевод: «За исключением истока, ниже, минуя Чобан-кепрюсю, реку нельзя переходить вброд в любом месте. Разве только действие ее особого свойства проявится при переходе в начале». Или же при описании Ахалцихе автор замечает: *بو ولايت طوايف كورجى حكامندن غزه اوغلو منوجهر ك ولايت و بطريق الارث مقر حكومتى ايدى* (Джихан-нума, стр. 408). Перевод А. Папазяна: «Когда-то был областью Газза-оглу Манучара, одного из правителей грузинских княжеств, и наследственной резиденцией патриарха» (стр. 77). Здесь допущена неточность. Слово *بطريق* переведено как «патриарх», тогда как *بطريق الارث* означает «путем наследования». Нуждается в комментарии и первая часть предложения. Речь идет о Манучаре III, сыне самцхийского правителя Кайхосро II и его жены Дедисмеди, которому в 1579 г. Лала Мустафа пашой был пожалован Ахалцихский эйялет в наследственное владение. Манучар III, упоминаемый во всех восточных источниках как *منوجهر*, ни под какими другими именами, по всей вероятности, известен не был. Исключение составляет история Кара Челеби-заде «Равзат уль-ебрар», согласно которой, «Манучар, один из грузинских амиров, именуемый Кара-оглу» (*امراء كورجندن قارى اوغلو ديمكله منوجهر*<sup>2</sup>) Ранее известный Манучар II был сыном Кваркваре II. (Кваркваре довольно распространенное имя среди атабагов Самцхе). Старшего брата Манучара III, которому после победы османского войска в Чылдырском сражении при дележе достался Олтийский санджак, также звали Кваркваре. В турецких и персидских источниках имя Кваркваре обычно передается в форме *غرغوره* *بغرغره* *قرقره*. Возможно, Кятиб Челеби и Кара Челеби-заде ошибочно считают Манучара III Манучаром II, т. е. сыном Квар-

<sup>2</sup> 33. 460, ۱۲۴۸, استانبول، البراء، العزيز روضة الابرار،

კვარე II, имя которого переписчиками несколько искажено. Исходя из этого, вышеупомянутое предложение следует понимать так: «Этот вилайет является наследственной резиденцией и хюкюметом сына Кваркваре, Манучара, одного из правителей грузинских племен».

В переводе А. Папазяна даны не совсем точные названия санджаков Ахалцихского эйялета: Петкерек, Пенек, Постхов, Тавескер, Хаджрек, Шушад, Куле, Леване, Махджи́л, Несф-и Леване (стр. 77), вместо Перткерек, Панак, Поцхов, Таоскари, Чачарак, Шавшат, Кола, Ливана, Мачახели, Нисфи Ливана<sup>3</sup>.

Перечисление санджаков Ахалцихского эйялета Кятиб Челеби начинает со следующих جاره ارد نوج اردهان بزرگ اردهان كوچكء سو كه تابع اولتى чему в книге А. Папазяна соответствует: «Аджара, Артануч, Большой Ардаган, Малый Ардаган. Соке, подчиняющийся Олти...» (стр. 77). Привлекает внимание топоним «Соке». Существование санджака под таким названием не подтверждается показаниями других источников. Возможно, здесь в тексте «Джихан-иума», подобно множеству других случаев, при переписке допущена ошибка, и на самом деле надо читать شو كه (т. е. дательный падеж указательного местоимения شو). В таком случае текст можно будет перевести таким образом: Большой Ардаган, Малый Ардаган, подчиняющийся ему Олти.

С аналогичным случаем имеем, вероятно, дело на этой же странице ниже: حالا اول دودمان اربي اترك تصرفندهدر «В данное время род Эрби находится в подчинении [османов]», — переводит А. Папазян (стр. 78). Вопрос касается того же Ахалцихского эйялета, который, как разъясняет Кятиб Челеби в предыдущем предложении, был пожалован омусульманившемуся грузинскому князю Сафар-паше. Существование так называемого «рода Эрби» на данной территории вызывает сомнение. Источники определено указывают, что после создания Ахалцихского эйялета (1579 г.) господствующим здесь продолжал оставаться род Джакели, сменяемый иногда на престоле османскими или иранскими правителями. Власть грузинских атабагов окончательно была уничтожена лишь в 1628 году, когда управление вилайетом вслед за Манучаром III было передано его дяде Бека III, тому же Сафар-паше из рода Джакели. Если допустить что в авторском тексте вместо اربي стояло слово ارثى (подобные перемещения диакритических знаков довольно часты в восточных рукописях), то тогда предложение в целом примет такой вид: «В данное время их родовое наследство находится в их (грузин. — Г. А.) владении».

Обращает внимание обилие использованной А. А. Папазяном специальной литературы. Автор максимально привлекает источники и исследования, связанные с жизнью и деятельностью Кятиба Челеби. Подробно излагая содержание «Фезлеке», автор книги приводит из него пространные извлечения. Печатный текст «Фезлеке» А. А. Папазян сличает с ленинградской рукописью, подчеркивая при этом некоторые ее преимущества. В сносках приводятся разночтения. Таким образом, рецензируемая книга в целом безусловно положительное явление и заслуживает высокой оценки. Тем не менее, некоторые утверждения автора нам показались спорными.

<sup>3</sup> С. Джикиа, Пространный реестр Гюрджистанского вилайета, кн. III, Тб, 1958, стр. 623, 631, 632, 633, 635, 638.

По словам А. А. Папазяна, «Джихан-нума» первое всеобщее историографическое произведение, написанное на турецком языке» (стр. 16). Насколько известно, аналогичные произведения, правда значительно уступавшие ему по своему уровню, создавались в Турции с XV века, а непосредственным предшественником Кятиба Челеби в данной области является Мехмед Ашик, автор сочинения «Маназир ал-авалим» (написано в 1598 г.), кстати, одного из основных источников «Джихан-нума». «Маназир ал-авалим», написанное на турецком языке, по композиции типичная космография с разделением на 2 части — космографию и географию, из которых последняя включает и историю<sup>4</sup>.

Как замечает А. А. Папазян, «рукописные списки «Джихан-нума» кончаются описанием эйялета Ван» (стр. 18). Отсюда, видимо, сделан вывод, что «перу Кятиба Челеби принадлежит описание только части страны Армении (эйялетов Ван и Карс)». Данное утверждение верно лишь частично. Текст Кятиба Челеби действительно завершается эйялетом Ван (стр. 422), но в описании Карса, Артануджа, Кагизмана и Ахалцихе (стр. 407—409), согласно замечанию издателя, «включены некоторые фразы из переведенной географии Абу Бекра ибн Бахрама ад-Димишки». Здесь выделение «некоторых фраз» Абу Бекра совсем неправомерно, так как описанные события полностью относятся к 1-ой половине XVII века, а стиль Абу Бекра, как справедливо указывает А. А. Папазян, «весьма близок к стилю сочинения Кятиба Челеби». Тем не менее, некоторое разногласие между сведениями об эйялетах Карса и Ахалцихе дает право предположить, что описания принадлежат двум разным авторам. Если допустить, что глава о Карсе написана Кятибом Челеби, в таком случае автором описания Ахалцихского эйялета надо считать Абу Бекра. Но текст «Джихан-нума» не дает основания для такого вывода. Кятиб Челеби неоднократно замечает, что Карс находится в составе Великой Армении (стр. 410—411). Трудно поверить, чтобы тот же автор за несколько страниц помещал Карс в Грузию, уверяя, что «Карс грузинский эйялет» (Джихан-нума, стр. 407). Поэтому, логичнее предположить, что сведения об Ахалцихском эйялете принадлежат Кятибу Челеби, а описание Карса, Артануджа и Кагизмана извлечено издателем из сочинения Абу Бекра ибн Бахрама ад-Димишки.

Мы не можем согласиться с упреком в адрес автора «Джихан-нума» по поводу того, что «перечисляя города Армении, он забыл отметить такие известные города и крепости, как Ани, Олти, Каписа и др...» (стр. 33). Город Олти упомянут в числе санджаков Ахалцихского эйялета (стр. 407), т. е. так как оно и было на самом деле в XVII веке (сравни с показаниями Айни Али, Кочибея Гёриджели). Что касается мнения А. Папазяна о том, что Чылдырский эйялет во времена Кятиба Челеби входил в состав Западной Армении (стр. 33), то оно также не подтверждается источниками. Чылдырский, тот же Ахалцихский эйялет в XVII веке считался официально частью Турции.

Перечисленные замечания не могут принизить значения и важности работы, проделанной автором книги А. Папазяном. Благодаря ей, ученые, получая в свое распоряжение еще один интересный источник по истории Армении, знакомятся с творчеством самого яркого представителя средневековой историографии Турции.

<sup>4</sup> И. Ю. Крачковский, Турецкая географическая литература XV—XIX вв., Избранные сочинения, IV, М.—Л., 1957, стр. 597—600.

## რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავი

3 ივნისს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიხსნა რუსეთის პირველი რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სრულიად საკავშირო სამეცნიერო სესია.

სესია მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის“ კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭომ და მისმა საქართველოს სექციამ, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა.

სესია მიეძღვნა პრობლემას „რუსეთის პირველი რევოლუცია დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიციაა“. სესიას ესწრებოდნენ მოსკოვის, თბილისის, ბაქოს, ერევნის, კიევის, რიგის, ტაშკენტისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ისტორიკოსები და სკკპ ისტორიის თვალსაჩინო სპეციალისტები. მასში მონაწილეობა მიიღეს შვიდი მოძმე სოციალისტური ქვეყნის მეცნიერებმა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

სესიაზე მოხსენებანი და ინფორმაციები გააკეთეს ორმოცდაათზე მეტმა თვალსაჩინო საბჭოთა ისტორიკოსმა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებმა. მათ გააშუქეს რუსეთის პირველი რევოლუციის ისტორიის სხვადასხვა ასპექტი და საერთაშორისო მნიშვნელობა, მისი მამოძრავებელი ძალები და სახალხო ხასიათი, რევოლუციის ლენინური გაკვეთილები.

6 ივნისს სესიამ მუშაობა დაამთავრა. სესიის მუშაობის შედეგები შეაჯამა აკადემიკოსმა ი. მინცმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. გილაშვილი.

სესიას დაესწრნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრობანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ბედინიშვილი, მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები ე. ხარაძე და ი. აბაშიძე.

# საქართველოს სსრ არქეოლოგიური ატლასი\*

არქეოლოგიური ატლასის მიზანია, მეცნიერული კარტოგრაფიის მეთოდებით წარმოაჩინოს და მიაწოდოს მკითხველს ის აურაცხელი მასალა, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი მკვყენის უძველესი ისტორია, აჩვენოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური კულტურების და მისი შემადგენელი ელემენტების გავრცელება სივრცეში (ტერიტორია) და დროში. ამ თვალსაზრისით ატლასს უნდა ჰქონდეს ისეთივე ამოცანა, როგორც „საქართველოს არქეოლოგიის“ ვრცელ გამოკვლევას, ატლასი უნდა წარმოადგენდეს მეცნიერული ინფორმაციის სრულ წყაროს ქართული არქეოლოგიის შესახებ, ამ დარგის დღევანდელი განვითარების დონის შესაბამისად.

იმდენად, რამდენადაც ატლასის მიზანია გვიჩვენოს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები, რომელთაც ახასიათებენ ჩვენი უბრალო არქეოლოგიის განვითარებას მთელი სისტრული, ატლასი უნდა მოიცავდეს არა მარტო არქეოლოგიურ ინფორმაციას, ინფორმაციას კულტურისა და მისი შემადგენელი ნაწილების შესახებ არამედ ინფორმაციას იმ გარემოს შესახებაც, სადაც ჩაისახა, განვითარდა ატლასში და მისი შემადგენელი ნაწილები.

არქეოლოგიური კულტურა გარკვეულ გარემოში წარმოიქმნება ადამიანის მოქმედების შედეგად და ამდენად იგი ცოცხალი ორგანიზმია. მას ყველა ის ნიშანი ახასიათებს, რაც ცოცხალ ორგანიზმს — ჩასახვა, განვითარება და სიკვდილი. მასსადამე, მას როგორც ცოცხალ ორგანიზმს, ახასიათებს საკუთარი სიცოცხლის დაცვის უნარი, თავისი არსებობის პირობებთან, გარემოსთან შეგუების უნარი და ამასთანავე, მას როგორც ცოცხალ ორგანიზმს დაუდგება დრო, როდესაც

\* ამ სტატიაში შემოთავაზებული „საქართველოს არქეოლოგიური ატლასის“ შედგენის პრინციპები და რუკებზე მუშაობის წესი შესაძლებელია სრული არ იყოს, ჯერ კიდევ ბევრი საკითხი გადაჭრას მოითხოვს, მაგრამ სპეციალისტების მიერ გულდაგულ განხილვა-განჭიკება, ალბათ, საშოლოდ დახვეწს შედგენის პრინციპებსაც და ატლასზე თუ რუკებზე მუშაობის წესსაც. ამ უკანასკნელის შედგენის დროს გათვალისწინებულია ის მეთოდური მითითებანი, რომელიც გამოიმუშავებულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს მიერ.

კარგავს ამ შეგუების უნარს, მისი „შინა“ გარემო „უცხო“ ხდება და კულტურა კვდება.

ამიტომ ატლასში არქეოლოგიური რუკების გარდა უნდა შევიდეს შემდეგი რუკებიც:

1. ფიზიკური რუკა (ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონებით);
  2. მეოთხეული ნალექების რუკა;
  3. მორფოგრაფიული რუკა;
  4. სასაარგებლო წიაღისეულის რუკა;
  5. მცენარეული საფარის რუკა (აღდგენილი);
  6. ზოოლოგიური რუკა (აღდგენილი);
- სანადირო ძუძუმწოვრების, ფრინველების — ქათმისნაირების, თევზების და სამონადირეო ფრინველების ჩვენებით;

7) კულტურულ მცენარეთა ზონები (აღდგენილი). მარცვლეულის, მუყენახეობის და ზაფხულისა და ზამთრის სათიბ-საძოვრების გავრცელების ძირითადი ზონების ჩვენებით.

ამ რუკების მიზანია ისტორიული თვალახედვით იმის ჩვენება, რასაც იყენებდა საზოგადოება დროის ამ მონაკვეთში რომელიც ატლასის რუკებზე იქნება წარმოდგენილი, რა გარემოში უხდებოდათ არქეოლოგიურ კულტურებს ჩასახვა-განვითარება-კვდომა. ამდენად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რუკა წარმოადგენს ატლასის შესავალს.

არქეოლოგიური ატლასისათვის ძირითადი პრობლემაა კულტურების ისტორიული გეოგრაფია. ეს პრობლემა ყველაზე უფრო რთული და აქტუალურია. კულტურების წარმოშობა და სავრცეში და დროში განვითარება ჯერჯერობით ვერ არის სათანადო სისტრული შესწავლილი და უფრო ზოგად საზღვრებში განიხილება. არქეოლოგიური კულტურა უნდა განვიხილოთ სისტემების, ცალკეული ორგანოების შეკრულ ჯაჭვად, რომელსაც ახასიათებს თავისი შიდა გარემოს მდგრადობა. ოღონდ მდგრადობა აქ უნდა გავიგოთ არა როგორც უწყველობა, არამედ როგორც ცვალებადობა, დინამიურობა, რომელიც იცავს ცოცხალ ორგანიზმს და ხელს უწყობს გარემოსთან შეგუების მის უნარს.

ამ საკითხების კარტოგრაფიულად ჩვენება, რომელიც მოითხოვს თითქმის აბსოლუტურ სიზუსტეს, მეტად მწილია. საჭიროა შესწავლილ იქნეს არქეოლოგიური კულტურების შემადგენელი და დამახასიათებელი ელემენტები და შედგეს რუკები მათი გავრცელების და განვითარების ზუსტი ჩვენებით. არქეოლოგიური კულტურის ჩამოყალიბება-

გავრცელების საზღვრების ზუსტ ჩვენებას შე-  
ტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი შეიძლე-  
ბა გადაწყდეს მხოლოდ მთელი კომპლექსის  
გულდასმითი შესწავლის საფუძველზე. ხაკლე-  
ბადაა შესწავლილი ეკონომიური გეოგრაფია,  
რაც კულტურის ერთ-ერთი ძირითადი კომპო-  
ნენტიცაა, და ნაკლებადაა მომარჩვეული  
კულტურის დადგენა-გარკვევისას. მაშასადამე  
ესეც თხოულობს დიდ სამუშაოს მისი კარ-  
ტოგრაფიულად ჩვენების პრინციპებისა და  
მეთოდების დამუშავებისას.

ჩვეულებრივ, ისტორიული მოვლენების  
პერიოდიზაცია ხდება საზოგადოების განვი-  
თარების ფორმაციების მიხედვით. ჰვარამ ამ  
შემთხვევაში (არქეოლოგიური ატლასი) ეს  
მოვლენები უნდა დაიყოს არქეოლოგიაში ჩუ-  
ლებული პრინციპის მიხედვით — ქვის ხანა,  
ბრინჯაოს ხანა და ა. შ. ეს დიდი თემები თა-  
ვისი შინაგანი განვითარების შესაბამისად კი  
ქვეთემებად. ყველა მოვლენა და კულტურა  
უნდა განიხილებოდეს ქრონოლოგიური რი-  
გით.

ყველა მოვლენა უნდა განიხილებოდეს  
აგრეთვე სივრცეში. ე. ი. გარკვეულ ტერი-  
ტორიაზე (იგულისხმება საქართველოს სსრ).  
ამასთანავე რუკები უნდა შედგეს ამა თუ იმ  
კულტურის გავრცელების მთელი ტერიტო-  
რიის გათვალისწინებითაც (იგულისხმება  
მთელ მაშინდელ მსოფლიოში კულტურის  
გავრცელების დამატებითი რუკა-სქემები).

საჩვენებლად არჩეულია ესა თუ ის მოე-  
ლენა მოცემული უნდა იყოს განვითარება-  
ში. ე. ი. მის შესახებ რამდენიმე რუკა უხდა  
შედგეს განვითარების ეტაპების ჩვენებით.  
აუცილებელია, აგრეთვე, იმის ჩვენება თუ  
სად დაიწყო ესა თუ ის მოვლენა და როგორ  
ვითარდება იგი ქრონოლოგიური რიგით. და-  
ეუშვათ, რომ ესა თუ ის მოვლენა ჩაისახა  
ქვემო ქართლში და მან განსაზღვრული დრო-  
ის გალის შემდეგ მიაღწია ზემო ქართლს.  
საინტერესო და აუცილებელი იქნება იმის  
ჩვენება თუ რა ხდება ამ დროს ქვემო ქარ-  
თლში — დარჩა ეს მოვლენა იქ, თუ გაქრა  
და სხვამ იჩინა თავი. ორ სხვადასხვა შემთხ-  
ვევაში მას სხვადასხვა კულტურულ-ისტორი-  
ული მნიშვნელობა ექნება. ამდენად, მოვლე-  
ნის ჩვენება სივრცეში და დროის ატლასის  
აუცილებელი პირობა უნდა იყოს.

**წყაროთმცოდნეობითი ბაზა.** გამოქ-  
ვეყნებული ატლასები. როგორც წესი, არ  
შეიცავენ შემადგენელი რუკების წყაროთ-  
მცოდნეობით დახასიათებას. აკადემიური, არ-  
ქეოლოგიური ატლასი ასეთ ცნობებს უხდა  
შეიცავდეს. საკმარისი არ არის მხოლოდ ძი-  
რითადი ლიტერატურის მითითება, საჭირო

იქნება რუკებს დაურთოთ მათზე დატანილი  
ყველა პუნქტის შესახებ არსებული ცნობების  
სრული სია. მაგალითად, რუკა რომელიც  
გვიჩვენებს ფოთლისებური სატივრების გავ-  
რცელებას, უნდა შეიცოს ცნობებით თუ  
სად არის დაცული და სად არის გამოქვეყნე-  
ბული ყოველი კონკრეტული სატივარი (ასე-  
თი სია რუკის დამატება იქნება). ასეთი სი-  
ვები საშუალებას მოგვცემენ სამეცნიერო მი-  
მოქცევაში შევიტანოთ მნიშვნელოვანი წყა-  
როები და ავადმოლოთ ატლასის მეცნიერული  
ინფორმაციის დონე.

ყველა რუკას წინ უნდა უძ-  
ლოდეს ზოგადი კულტურულ-  
ისტორიული დახასიათება: კულ-  
ტურის რუკას ამ კულტურისა და კულტურის  
ელემენტისა ამ ელემენტის დახასიათება.

ატლასის წყაროთმცოდნეო-  
ბითი ბაზა იქნება ყველა არ-  
ქეოლოგიური, დადასტურებუ-  
ლი ფაქტი, როგორც გამოქვეყნებული და  
მუზეუმის ფონდებში დაცული, ისე სავალ  
მუშაობისას მიგნებული ძეგლი, მიუხედავად  
იმისა ამ ძეგლიდან არის თუ არა ნივთი შე-  
სული სამუზეუმო ფონდებში.

რუკების შედგენისას ვრცლად უნდა იქ-  
ნეს გამოქვეყნებული სტატისტიკური მასა-  
ლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში  
მოგვცემენ საშუალებას შედგეს დამატებითი  
ლიაგრაფები და სქემები.

**საქართველოს სსრ არქეოლოგიური ატ-  
ლასის რუკების შედგენა.** არქეოლოგიური  
რუკების შედგენა მოითხოვს არქეოლოგთა  
დიდი მასის ჩაბმას ამ სამუშაოში. ზოგი თე-  
მის, რუკის შედგენა მოითხოვს ცალკე მო-  
ნორგრაფულ გამოკვლევასაც.

რუკის ავტორის მუშაობა ოთხ ეტაპიანი  
იქნება:

1. მასალის შეგროვება და დამუშავება.
2. საავტორო ექსიზის (შავი რუკის) და გან-  
მარტებითი ტექსტის შედგენა;
3. წყაროთ-  
მცოდნეობითი ჩანაწერის შედგენა და 4. რე-  
დაქტორთან და კარტოგრაფთან მუშაობა.

1. მასალის შეგროვება და და-  
მუშავება. დასაწყისში მუშაობა დაძო-  
კიდებული იქნება რუკის თემისაგან, რომე-  
ლიც შეიძლება: ა) უკვე იყოს საკმარისად  
შესწავლილი სივრცობლივი ჩვენებისათვის;

ბ) თხოულობდეს უკვე გამოვლენილი და გა-  
მოქვეყნებული მასალების დამატებით დაძო-  
შავებას (მუზეუმის ფონდები და ა. შ.).

გ) თხოულობდეს დამატებით საექსპედიციო სა-  
მუშაოებს და დ) თხოულობდეს სპეციალურ  
გამოკვლევას.



II. საავტორო ესკიზისა და განმარტებითი ბარათის შედგენა. საავტორო ესკიზი წარმოადგენს ავტორის მიერ ხელით შედგენილ მონახაზს ნებისმიერ რუკაზე (ტოპოგრაფიული, ფოტოპირი, სანაგებობა შედგენილი საბლანკო, გასახლულ ქალაქზე გადატახილი პირი და ა. შ.) აუცილებელი იქნება იმის ჩვენება თუ ფოტოპირი ან გასახლულ ქალაქზე გადატანილი პირი რომელი რუკიდანაა, რომელი გამოცემიდან, რა მასშტაბისაა და რამდენად შემცირებული. საავტორო ესკიზის შენაგებებად უმჯობესი იქნება თუ დამზადდება სპეციალური საბლანკო რუკები და დაურთავდება ავტორებს.

საავტორო ესკიზის დამზადებისას აუცილებელი იქნება გამოვიყენოთ ერთიანი პირობითი ნიშნები, რომლებსაც შეიძლება ვთქვათ ვთავარი რუკაზე. ან, ყოველ პუნქტს დაწეროს პირობითი ნიშნის ხომეფრი. ესკიზის შედგენისას სასურველია გამოვიყენოთ ფერადი ფანქრები.

საავტორო ესკიზს თან უნდა ახლდეს განმარტებითი ბარათი, რომელიც შეიცავს რუკის მასალის საფუძველს და სადაც ყოველ კონკრეტულ მასალაზე იქნება წყაროებისა და ლიტერატურის მითითება. ბარათი აუცილებლად რეეულში უნდა შედგეს. აქაც სასურველი იქნება ერთიანი, სპეციალური რეეულების დამზადება.

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი ს   ფ ო რ მ ა

თემის, რუკის დასახელება

პუნქტი	პირობითი ნიშანი ან მისი №	წყარო, ფონდი, ლიტერატურა	შენიშვნა

განმარტებითი ბარათის შედგენა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც არქეოლოგიური ატლასი პირველად იქმნება და მას წინამორბედი არა ჰყავს. ყოველი რუკა თხოვლობს მრავალი და ნაირნაირი მასალის დამუშავებას. რუკაზე არ შეიძლება დაიწეროს მთელი ის მასალა, რაც ბარათში უნდა შევიდეს (წყაროები, სამუხუუმო ფონდები, ლიტერატურა). ბარათი აუცილებელია შემდეგი საჩუქრული მუშაობისათვის.

საავტორო ესკიზს უნდა დაერთოს ლეგენდა, და სადაც ეს აუცილებელი იქნება, განმარტებითი ტექსტიც, რომელიც მოვეცემს საშუალებას შედგეს რუკის დამატებახი: რუკა სქემები, დიაგრამები (მაგ., რომელიმე კულტურის შემადგენელი ელემენტი თუ სცდლები საქართველოს საზღვრებს, ახ და

იმპორტი და ექსპორტი უსათუოდ ნაჩვენებო უნდა იყოს რუკა-სქემებში. სტატისტიკური მონაცემები დიაგრამებით უნდა გამოისახოს).

III. წყაროთმცოდნეობითი ჩანაწერის შედგენა. წყაროთმცოდნეობითი ჩანაწერის შედგენა და შინაარსი დამოუიდებელია თემის, რუკის მდგომარეობაზე (იხ. I ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები).

„ა“ პუნქტისათვის მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურა.

„ბ“ პუნქტისათვის მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურა და სამუხუუმო ფონდები. მიეცეს მათი მოკლე დახასიათება და აღინიშნოს რა დამუშავება განიცადა მასალამ.

„გ“ პუნქტისათვის მიეთითოს რა საექსპედიციო სამუშაოები ჩატარდა, ვის მიერ. მიეთითოს წყაროები და რა დამუშავება განიცადა მომთბულმა მასალამ.

„დ“ პუნქტისათვის მიეთითოს რა სამუშაო ჩატარდა, სად გამოქვეყნდა გამოკვლევა ან სად ინახება ხელნაწერი.

სამეცნიერო ნაშრომები და სტატიები, რომლებიც შესრულდნენ რუკის დასამზადებლად, ვერაეითარ შემთხვევაში ვერ შეეკლიან წყაროთმცოდნეობით ჩანაწერს, რომელიც უხდა დავროს საავტორო ესკიზს.

IV. რედაქტორთან დავართო გრაფთან მუშაობა. საავტორო ესკიზი და წყაროთმცოდნეობითი ჩანაწერი წინასწარ განხილული და რეცენზირებული, გადაეცემა თემის რედაქტორს, რომელიც ახორციელებს მთავარ რედაქციასთან მის შეთანხმებას და რომელსაც შეუძლია საპირობების შემთხვევაში მოაწყოს რუკის განხილვა მისი მეცხიერული ღირებულებისა და სისრულის დასადგენად. თემის რედაქტორი ხელმძღვანელობს თავისი მონაყვეთის რუკების მყეტის დამზადებას.

მუშაობის პროცესში რუკისა და წყაროთმცოდნეობითი ჩანაწერის ავტორი რედაქტორსა და კარტოგრაფ-შემსრულებელს უწევს აუცილებელ დახმარებას, მათი მითითებით ახუსტებს საავტორო ესკიზსა და წყაროთმცოდნეობით ჩანაწერს.

ლეგენდა და ლეგენდა არის პირობითი ნიშნების ნუსხა განმარტებითი ტექსტიითურთ, რომელიც ხსნის რუკის შინაარსს. როგორც ყველა ისტორიული რუკის, ასევე არქეოლოგიური რუკის მიზანი მხოლოდ ის კი არ არის რომ პირობითი ნიშანი განმარტოს, არამედ იგი უნდა დაეხმაროს მკითხველს რუკის შინაარსის გასნაში, ამიტომ ლეგენდა, მისი ავებულება და გამომახტველობა უხედიწვენივთ.

დახვეწილი, რუკის შინაარსთან შეფარდებულ და ლაკონური უნდა იყოს.

ლევენდა უნდა შედგეს მას შემდეგ რაც საბოლოოდ დადგინდება ატლასის შემადგენელ რუკათა ნუსხა.

ორგანიზაციულად მთელ სამუშაოს უნდა ხელმძღვანელობდეს მთავარი რედაქცია, რომელიც განახორციელებს დარგობრივი რედაქციების მიერ წარმოდგენილ რუკათა ნუსხების ურთიერთშეთანხმებას, ატლასის შემადგენელ რუკათა ნუსხის დახვეწა-დაზუსტებას და კარტოგრაფიული მხარის ზედამხედველობას.

რაც შეეხება დიდ თემებს, რომლებიც ატლასის მონაკვეთები იქნებიან (ქვის ხანა... ანტიკური ხანა...), და მათ შემადგენელ ნაწილებს (ბოლოკვეთილი მახვილები... ქვევრ-სამარხები...), ეს საკითხები უნდა დაამუშაონ ამ მონაკვეთების, თემების რედაქციებმა, რომელთა მიერ წარმოდგენილი გეგმების შეკერებით გაირკვევა ატლასში შემავალ რუკათა სრული ნუსხა.

არქეოლოგიური ატლასი თავისი შოკულობითა და შინაარსით მეტად ვრცელი იქნება და მისი შესრულება დიდ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ ზოგ კონკრეტულ თემაზე მარტო შეიძლება უკვე დაწყებულ იქნას რუკების შედგენა.

ზოგადად ასე წარმოგვიდგენია „საქართველოს სსრ არქეოლოგიური ატლასის“ შედ-

გენის პრინციპები და მასზე მუშაობის ორგანიზაციული მხარე. წინამდებარე წერილი ოდნავ მაინც თუ დააჩქარებს და ხელს შეუწყობს „საქართველოს არქეოლოგიური ატლასის“ შედგენას, მიზანს მიღწეულად ჩავთვლით\*.

\* ცალკეული არქეოლოგიური რუკების შედგენას ჩვენში უკვე დიდი ხნის ტრადიცია აქვს. არქეოლოგიური რუკები ექსპონირებული იყო და არის ს. ჭანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ გამოფენებზე. ასეთი რუკები შესულია საქართველოს სსრ გეოგრაფიული ატლასის შემადგენლობაშიც. არქეოლოგიური რუკები დაერთვის თითქმის ყველა გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ გამოკვლევას და გამოქვეყნებულ სადისერტაციო ნაშრომს. რუკებს ადევნენ არქეოლოგიური ექსპედიციები, მაგრამ ყველა ეს არაა გაერთიანებული ერთ ლეწში, ერთ ორგანიზაციაში და ამდენად არაა გასასხლერული საერთო გეზი და გეგმა. რუკების გამოსახვაში არ მონაწილეობენ კვალიფიციური კარტოგრაფები; არა შემუშავებული შედგენის პრინციპები; შედგენილი არაა რუკათა ნუსხა. არაა შემუშავებული ლეწენდა და გამოცხადების საშუალებანი საშუალებანი. ყველა ამის გარეშე არქეოლოგიური ატლასი ვერ შეიქმნება. საჭირო და აუცილებელი კი არის.

**ბიორგი ცვიტიშვილი**

### ნასტაკისის არქეოლოგიური მუშაობის შედეგები 1974 წლის

1974 წელს ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიცია ველზე მუშაობდა 1 ივნისიდან 31 დეკემბრამდე. ექსპედიცია დაფინანსებული იყო უნივერსიტეტის ჰიდროკვანძის დირექციის მიერ. მუშაობა მიმდინარეობდა სარკინის, ძალისასა და ნასტაკისის ველზე, ხოლო სადაზვერუო სამუშაოები ჩატარდა მცხეთის რაიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (იხ. რუკა).

ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე გათხრა გავრცელებული მეხუთე უბანზე, რომელიც მის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. აქ 1972 წელს ნაგებობის ჩაქცეული სახურავის ქვეშ აღმოჩნდა ნიღბები და ტერაკოტული ქანდაკებები. ვინაიდან ნაქალაქარი მთის კალთაზე შეფენილი, ამიტომ საცხოვრებელი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები ხელოვნურად შექმნილ ტერასებზეა განლაგებული. ერთ ასეთ ტერასას წარმოადგენს V უბანი. აქ მთის კალთაზე, კლდოვან მასივში, გამოკვეთილი

კლდის სიმაღლე 6,3 მ., ხოლო ტერასის სიგანე საშუალოდ 15 მ. უდრის. ტერასის გასაყეთებლად შესრულებულია გრანდიოზული სამუშაო, მოსწვრეული და გატანილია 2000 კუბურ მეტრამდე კლდის ქანი.

ტერასაზე, რომლის სიგრძე 40 მ., ხოლო სიგანე საშუალოდ 15 მ. უდრის, რამდენიმე ნაგებობა მდგარა. ამას ნათლად მოწმობს აქ გამოვლენილი კრამიტის ყრილები, რომლებიც ნაგებობების ჩაქცეულ სახურავს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. I, სურ. 1).

ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრები ექვემდებარებულად ადასტურებენ, რომ ნაგებობათა ასაშენებლად ძირითადად ხის მასალას იყენებდნენ. იშვიათად გვხვდება ქვიშაქვის გათლილი კვადრები და ალიზის აგური.

მეხუთე უბანზე მდგარი ნაგებობანიც ძირითადად ხის მასალით იყო აგებული. ვაწმენ-

დის შემდეგ კარგად გამოიყვება კრამიტის ყრილები, რომლებსაც ნაგებობის გეგმის მოყვანილობა ჰქონდათ. თვითონ ნაგებობის კედლები ჩვენამდე არ შემოინახა. კრამიტყრილის ალაგების შემდეგ, გამოჩნდა თიხატყვნილი იატაკი, მოზრდილი ძელების ანაბეჭდები და რყინის ოთხკუთხა განივკვეთის ჰქონდა თავბრტყევი ლურსმნები, რომლებიც ხის კონსტრუქციებთან არის დაკავშირებული.

სამშენებლო მასალად გამოყენებულია ადგილობრივი კლდის, მოშავო ფერის ქვებიც, რომლებიც დასაშუშებლად არ ვარგა, იშლება. ასეთი ქვით V უბანზე, ე. ი. ტერასის მთელ სიგრძეზე, 30 მ. სიგრძის კედელი აუშენებიათ, რომლის ნაშთა ჩვენამდე მოაღწია. წყობა მშრალი უნდა ყოფილიყო. შემავსებლებელი საშუალების არავითარი კვალი არ აღმოჩნდა.

ნაგებობები გადახურული ყოფილა ორი ტიპის, ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ღარისებრი, წითლად შეღებილი, კრამიტით. აქ განსხვავებული ფორმისა და სიდიდის კრამიტები გვხვდება, რომლებიც ერთმანეთისგან ქრონოლოგიურადაც განსხვავდებიან.

პირველი სახის კრამიტი გაცემებულია ვანლექილი თიხისაგან, კარგადაა გამოშვარი, კეცს მოყვითალო ფერი დაჰკრავს. კრამიტის აკეცილი გვერდები დბალია, ხოლო ჰედ მოკლეა და ლამაზადაა გამოყვანილი. ჰედს ზევით კრამიტის გვერდი პირამდე მომრგვალებულია. ასეთი კრამიტის სიგრძე 54—56 სმ, სიგანე თავში 41 სმ, ბოლოში 49 სმ უდრის. ჰედს ზევით სიმაღლე 8—9 სმ-ია. აკეცილი გვერდების სიმაღლე გარედან 4 სმ-ია, შიგნიდან—2—2.5 სმ, ხოლო კეცის სისქე 1.5—2 სმ უდრის.

მეორე სახის კრამიტი აღნაგობით პირველისგან არ განსხვავდება, ფორმა და სიდიდე ერთი აქვთ. მხოლოდ ჰედ აღარაა გამოყვანილი, იგი სწორადაა ჩაჭრილი და ჰედის ზედა ნაწილი კუთხეს ჰქმნის.

მესამე სახის კრამიტი ფართოდაა გავრცელებული გვიანანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოში. გაცემებულია სუფთა ვანლექილი თიხისაგან, გამოშვარია კარგად, კეცი გადანატეხში მოვარდისფერია. ეს კრამიტიც ყალიბშია ნაკეთები, შედარებით ტლანჭია. ასეთი სახის კრამიტის სიგრძე 47 სმ-ია, სიგანე თავში 35 სმ, ბოლოში 41.5 სმ, სიმაღლე ჰედს ზევით 13—14 სმ უდრის. აკეცილი გვერდის სიმაღლე 8—9 სმ აღწევს, კეცის სისქე 2—2.5 სმ-ია.

არსებული მასალების გათვალისწინებით, პირველი სახის კრამიტი ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის პირველ ნახევარში უკეთებიათ. ჩვენს წელთ-

აღრიცხვამდე III საუკუნეში და II ს-ის დასაწყისში პირველი სახის კრამიტთან ერთად გავრცელებული ჩანს მეორე სახის კრამიტი, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნიდან კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე ვაბატონებული მდგომარეობა მესამე სახის კრამიტს უყვია, თუმცა ამ სახის კრამიტებში ზოგიერთი განმასხვავებელი ნიშანიც ჩანს.

ასევე განსხვავებულია ღარისებრი კრამიტიც. ისინი ფორმისა და სიდიდის მიხედვით საბი სახისაა. ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე არ გვხვდება ხელით ნაქარწი კრამიტი. აქაური კრამიტი მორგვეზ ნაკეთები მილის ნახევარს წარმოადგენს.

პირველი სახის კრამიტის სიფართო, ე. ი. დიამეტრი 42—48 სმ აღწევს, სიგრძე კი 50—55 სმ უნდა ყოფილიყო. თავიდან 5—7 სმ დაშორებით შემოუყვებათ რგული რომლის სიმაღლე 1.5—2 სმ-ია. ასეთი კრამიტით ზღუდეებს ე. ი. გადახურული გვერდების შესაყარ ადგილებს ხურავდნენ.

მეორე სახის კრამიტი შედარებით პატარაა, მისი სიგრძე 47 სმ-ია, სიფართო თავში 18.5 სმ, ბოლოში 26 სმ, ხოლო კეცის სისქე 2 სმ უდრის. თავიდან 5—7 სმ დაშორებით ამ სახის კრამიტს გაცემებული აქვს ქიმი. ქიმიები განაკვეთში ოვალს ან საკმაოდ გრძელ ოთხკუთხედს იძლევა.

მესამე სახის კრამიტი პატარაა. მისი სიხევაარწის დიამეტრი 15—16 სმ-ს არ აღემატება. დანარჩენი ნიშნები მეორე სახის კრამიტისა აქვს.

აღწერილი კრამიტები ქრონოლოგიურად ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. ისინი ხანგრძლივად თანარსებობენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ს-ის დასასრულიდან ჩვენი წელთაღრიცხვის III ს-ის ჩათვლით.

V უბანზე მდგარი ნაგებობებიდან კარგად მხოლოდ ერთი ნაგებობის გეგმა გამოიკვეთა. მის სახმრეთ-დასავლეთ ნაწილში 1972 წელს აღმოჩნდა ნიღბები და ტერაკოტული ქანდაკების ნაშთები. კრამიტის გაშენდის შემდეგ შემოინახა ნაგებობების კონტურები, ხოლო მისი ადების შემდეგ ნათლად გამოჩნდა სწორკუთხედის მოყვანილობის ნაგებობის გეგმა. ნაგებობის სიგრძე 15 მ-ია, სიგანე კი 4 მ უდრის. ნაგებობას ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ჰქონია კედელი, რომელიც თავისებურადაა გამართული და დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე არ შეგვევდრია. კედლის გარეთა პირები ან ე. წ. პერანგები, ძელებით ან სქელი ფიცრებით ყოფილა ამოყვანილი, ხოლო მათ შორის ცარიელი ადგილი ამოვსებულია

ადგილობრივი კლდის ღორღით. ასეთნაირად გამართული კედლის სისქე 0,9 მ არ აღემატება, ხოლო შემორჩენილი კედლების სიმაღლე 0,8 მ აღწევს. კედლის მშენებლობა იატაკის დონეზე, კარგად მოსწორებულ კლდეზეა დაწყებული.

ამ ნაგებობის დანარჩენი ორი კედელი არ შემოინახა. სავარაუდოა, რომ ამ მხარეს ნაგებობის სახურავის მთელი კონსტრუქცია ხის კედელზე ან ბოქებზე იყო დაყრდნობილი, რომლებზეც ჩვენამდე ვეღარ მოაღწია.

ნაგებობას თიხატყენილი იატაკი ჰქონია, რომლის სისქე 15—30 სმ უდრის. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან საიდანაც ნაგებობას კედელი არ აქვს, კარგად გამოჩნდა თიხატყენილი იატაკის შემალღებელი და შეღესილი ნაპირი.

აღწერილი ნაგებობა ტერასაზე მთავარ შენობას წარმოადგენდა. აქ სხვა ნაგებობებიც მდგარა, მკვრამ კაპიტალური კედლების უქონლობის გამო მათი გეგმის აღდგენა შეუძლებელი ჩანს. მიუხედავად ამისა, გრძელი კედლის არსებობა და კამბიტების ყრილები — ნაგებობის ჩაქუცული სახურავი, თვალნათლივ მიუხეთებს აქ სხვა ნაგებობების არსებობაზე.

აღწერილი ნაგებობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით გრძელდება ადგილობრივი კლდის ქვებით ნაგები კედელი, რომლის სიგრძე 26 მ უდრის. ამ კედლის სამხრეთით მის გასწვრივ ხუთიოდე მეტრის სივრცის კრამიტყრილის ზედი გაიშენდა. იგი ნაგებობის სახურავს უნდა წარმოადგენდეს. ამ ნაგებობის ერთი კედელი ადგილობრივი კლდის ქვებით ყოფილა აშენებული, ხოლო დანარჩენი კედლების მაგვრობა ხის ბოქებს ან ფიცრისაგან გაკეთებულ კედელს უნდა გაეწია.

V უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, აღნიშნულ გრძელ კედელსა და ხელოვნურად მოკვეთილ კლდეს შორის მოქცეული ადგილის სიფართო 6 მ უდრის, ხოლო სიგრძე 19 მეტრს. აქ კლდის ძირის გასწვრივ 6 მეტრის სიგრძეზე ნაქროვან ფენაში, რომლის სისქე 20—35 სმ აღწევდა, განხეული იყო ოქროს მძივები და მძივსაკიდები. ოქროს ბურბუშე-ლა. აქვე აღმოჩნდა საბერძნელის შტკარი, სახერხეტები, ისრისპირები, თითისტარისებური ამფორისკის ნატეხები და სხვა. აღმოჩენილი მასალა, მათ შორის ოქროს მძივები და მძივსაკიდები, რომელთაც ხმარების კვლევა არ ეტყობათ, იმაზე მიუთითებს, რომ აქ ოქრომჭედლის სახელოსნოს არსებობასთან უნდა ვეჭვოდეს საქმე.

V უბანზე გამოვლენილი მასალებიდან აღსანიშნავია: მეგარული შავლაკიანი თასის ნატეხები, რომელსაც ოდნე მომრგვალებული

ქობა, სწორი კიდე და დაქანებული კალთები აქვს, თასი შემკულია ფრინგბად. პირველ ფრინგს 1 სმ სიფართო აქვს და შემკულია ხვეული მცენარეული ორნამენტით. ამ ფრინგს 0,5 სმ-ის დამორებით შემოსდევს კოპების წრე. თასის დაქანებული კალთები შემკულია წაგრძელებული ფოთლების გამოსახულებით, რომელთა მარჯვენა გვერდი კოპებითაა გადმოცემული. ნატეხზე შემორჩენილია მამაკაცის ოდნე მოხრილი გამოსახულება. თასის ზედაპირი დაფარულია მდარე ხარისხის შავი ლაქით. ანალოგიების საფუძველზე, თასი ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნით თარიღდება.

იატაკზე აღმოჩნდა ამფორისკის ყელისა და ძირის ნატეხები, რომლის კეცი მოკვეთილი ფერისაა. ამფორისკის მაღალი ცილინდრული ყელი და თითისტარის მაგვარი ტანი აქვს. ჩაეწვრობული მაღალი ძირა ნაწილი ფოლანქისმაგვარი ქუსლით მთავრდება. ამფორისკის სიმაღლე 18—19 სმ უნდა ყოფილიყო. მსგავსი ამფორისკის ნატეხი აღმოჩნდა გრძელ მინდორზეც 1956 წ. ამფორისკი იმპორტულ ნაწარმს მიეკუთვნება, მცირეაზიული წარმოშობისაა და ანალოგიების მიხედვით ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნით თარიღდება.

ნაქროვან ფენაში აღმოჩნდა 93 ცალი ოქროს მძივი და მძივსაკიდი. მძივები ორი სახისაა, დამზადებულია წვრილ ღრუიანი მვეთულისაგან, რომლის დიამეტრი 1,5—2 მმ არ აღემატება, ხოლო სიგრძე 3—5 მმ უდრის. არის სადა და გოფირებულ ზედაპირიანი მძივები. მძივსაკიდები სამი სახისაა: პირველი სახის მძივსაკიდს, გოფირებულ ზედაპირიან ღეროზე მირჩილულ წვრილ მავთულის რგოლზე ჩამოკიდებულ აქვს ასეთივე წვრილი მავთულის რგოლზე მირჩილული წიბოიანი ბურთულა, რომელიც ფორმით ძალიან ჰგავს ცაცხვის ნაყოფს; მეორე სახის სამწახნაგა მგორძო საკიდს წიფლის ნაყოფის ფორმა აქვს; მესამე სახის — კონუსის მოყვანილობის მოგონი საკიდი, რომელიც ცვარასმაგვარი კოპით ბოლოვდება.

ამავე ნაქროვან ფენაში აღმოჩნდა ოქროს ორი პატარა კილიტი. ვარდული, ბიბირამიდილი მძივი და ოქროს ბურბუშელა, რომელიც ოქრომჭედის გრეხილ ძაფებადაა მიჩნეული.

იატაკის დონეზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ვარდული, დიამეტრი 3,5 სმ. შედგება რვა ფურცლისაგან, ერთმანეთისგან გამოყოფილა გრეხილი ხაზებით, ცენტრში მოთავსებულ კოსს გარშემო წრე შემოსდევს; ქვედა ფირფიტას აქვს ნახვრები, რომლითაც მას იმაგრებდნენ სამოსზე.

V სექტორის IV კვადრატში აღმოჩნდა აბზინდა (?), დიამეტრი 11,3 სმ უდრის. აბზინდას გარშემო შემოუყვება მაღალი ხარისხის ვერცხლის 1,5 სმ სიფართის ზოლი, რომელიც ბრინჯაოს ფირფიტაზეა დამაგრებული ვერცხლისავე 13 მანკვლით. ბრინჯაოს ფირფიტა ორი ნაწილისგან შედგება, შუა ნაწილში 6 მმ სიფართისა და 2,5 სმ სიგრძის სათასზე კრილზე ამკვს.

იატაკზე სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდა წყვილი, ოთხკუთხა განივკვეთის მქონე ბრინჯაოს რგოლი, დიამეტრი—2,5 სმ; კონუსური მყოვანილობის ხანჯლის ქარქაშის ბოლო რკინისა; თიხის შტვირი; სიგრძე—5,5 სმ, დიამეტრი—2,5 სმ, ნახვრეტის დიამეტრი—7 მმ; სახვრეტები, რომელთა სიგრძე 5—7 სმ უდრის; რკინის ისრის წვერები, ძირითადად ერთი სახის, სამფრთიანი, მუხლანაი მოგვრით უწყნით, სიგრძე 4,5 სმ უდრის; რკინის ლურსმნების, რომელთაც ოთხკუთხა დერო და ბრტყელი თავი აქვთ, სიგრძე 10—15 სმ უდრის.

ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე (V უბანი), რომლის გათხრა 1974 წელს დასრულდა ძირითადად ერთ კულტურულ ფენას შეიცავდა. პირველი ნაგებობის ჩამოქცეული სახურავის თავზე წარმოქმნილი იყო 1 მ სისქის სტერილური ფენა, ხოლო შემდეგ იყო კრამიტების ყრილი, რომელიც ზევიდან ჩანს დაეცურებული. ამ ყრილის გაბრტყლებაში 1972 წელს აღმოჩნდა მინის ქუბუჩის პირისა და ვერდის მოზრდილი ნატეხი, რომელიც სპეციალისტების განსაზღვრით ჩვენი წელთაღრიცხვის I—II საუკუნეებით თარიღდება. ჩვენი დაკვირვების მიხედვით აღნიშნული კრამიტების ყრილი სწორედ ამ ხანისაა. ასეთ ვითარებაში ვასაკვირი აღარაა პირველი ნაგებობის ჩანერგულ სახურავსა და დაეცურებულ კრამიტებს შორის 1 მ სისქის სტერილური ფენის წარმოშობა.

უნდა აღინიშნოს, რომ V უბანზე განათხარი ნაგებობანი მიტოვებული ჩანს და თავისთავა დანგრეული. ამიტომია, რომ, როდესაც აქედან წასულან ყველაფერი თან წაუღიან და გათხრების შედეგად ძალიან მცირე მასალა აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა მივინც შესაძლებელია, რომ განათხარი ძეგლის მიტოვების აბსოლუტური თარიღი ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ს-ის მიწურულით განისაზღვროს.



ნაქალაქარ ძალისას ტერიტორიაზე გათხრები მიმდინარეობდა მეორე უბანზე (ტაბ. I,

სურ. 2). მდ. ნარეკევის მარცხენა ნაპირზე, მდინარის პარალელურად 40 მ დაშორებით გაკეთდა სადაზვერვო-საძიებო თხრილი, რომლის სიგრძე 80 მ-ია, სიგანე კი 2 მ უდრის. თხრილის გავლების მიზანს წარმოადგენდა ნაქალაქარის ამ ნაწილში ნაგებობათა ნაშთების გამოვლენა, კულტურული ფენის სისქისა და ქრონოლოგიის დადგენა. 0,7—0,8 მ. სისქის მიწის ფენის აღების შემდეგ გამოვლინდა ნაგებობათა ნაშთები, რომელთაგან აბანოს კომპლექსის დიდი ნაწილი გაითხარა, დანარჩენი ნაგებობების შესწავლა და აბანოს კომპლექსის გათხრის დასრულება მიმდინარე წელსაა ნავარაუდევო.

აღნიშნული თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში გამოვლინდა აღზის ავურის კედლის საძირკვლები და მდ. ნარეკევიდან ქალაქში შემომავალი თიხის მილებით გაკეთებული წყალსადენის ნაწილი.

ამ ნაგებობიდან სამხრეთით 4,1 მ დაშორებით გამოჩნდა დიდი, არქიტექტურულად გაფორმებული, სასახლის ტიპის ნაგებობა. ეს ნაგებობა ფასადით სამხრეთ-დასავლეთითაა მიმართული. ნაგებობის უკანა კედელი აღზის ავურით ყოფილა ამოყვანილი, შემონახულია მისი რიყისქვილი ნაგები საძირკველი, რომლის სიფართე 1,35 მ უდრის. ფასადის მხარეს შენობას კოლონები ჰქონია. გაითხარა ბანილიტის ქვისგან შესანიშნავად გამოკვეთილი ოთხი ბაზა (ტაბ. II, სურ. 1), რომელზედაც დაყრდნობილი უნდა ყოფილიყო 28 სმ დიამეტრის მქონე ხის ბოძები—კოლონები. სავარაუდოა, რომ ნაგებობის სიგრძე 30 მ უდრიდა, ხოლო სიგანე კედელსა და ფასადის კოლონებს შორის 10 მ შეადგენს. ნაგებობას გავით მოტეკანილი იატაკი აქვს, რომლის სისქე 5—7 სმ უდრის.

აღნიშნული ნაგებობის კედლისა და იატაკის ქვეშ ვაყვანილია, თიხის მილებით, წყალსადენი, რომლითაც ქალაქის ერთი ნაწილი მარადებობდა სასმელი წყლით. წყალსადენისათვის გათხრილია არხი, რომელშიც ჩაწყობილია თიხის მილები. მილის კივრთა თავი მეორე მილის ფართე ბოლში ეიჭრისნართათა ჩადულაბებული. მილგაყვანილობა აქაიქ გამაგრებულია რიყის ქვით, ხოლო მთელი არხი ამოკისლია წყალგამტარი თიხით, რაც წყალსადენის იზოლაციას წარმოადგენს. თიხის მილის სიგრძე 45 სმ-ია, დიამეტრი კი 17 სმ უდრის.

აღწერილი ნაგებობის აღმოსავლეთით, ათამდე მეტრის დაშორებით, თხრილში გამოვლინდა მოზაიკა. მოსწორებული მიწის პირი რიყის ქვითაა მოკირწყლული, რაზედაც კირხსნარის საკმაოდ სქელი ფენაა დასმული, მას-

ზე 5 ფერის ნატეხი ქვების მსხვილი კენჭებით მოზაიკა გაკეთებული, რომელზედაც ოთხკუთხედებია გამოსახული. თითქოს სავარაუდო ჩანს, რომ მოზაიკა რომელიმე დიდი ნაგებობის შიდა ეზოს ნაწილს წარმოადგენს (ტაბ. II, სურ. 2).

ჩამოთვლილი ნაგებობებისა და მოზაიკის გათხრისას გამოვლინდა ნაგებობათა კრამიტის ჩაქცეული სახურავი, რომელიც ძლიერი ხანძრითაა განადგურებული (მოზაიკის მახლობლად), დიდძალი შეღებილი კრამიტი გვიანანტიკური ხანისა, სარკმლის მინა, მინის, თხის პურკლისა და ლუთერიუმის ნატეხები, პატარა მრგვალი ქრაქები, აღნიშნული მასალები ქრონოლოგიურად ჩვენი წელთაღრიცხვის I—IV საუკუნეებში ეჭვება.

აბანოს კომპლექსსა და კოლონებიან ნაგებობას შორის გათხრილ ფართობზე გამოვლინდა ალიზის კედლის საპირკვლები; წყალსადენისა და კანალიზაციის მიღვაყვანილობანი; ნაცარნახშირის სქელი ფენები, რომელიც ქალაქის განადგურების უტყუარი მოწმეა; რიყის ქვით მოკრწყული მოედნის ნაწილი; გაურყვეველი სახის ნაგებობის ნაშთი; სამარხები და სხვა. ამ მონაკვეთზე გამოიკვეთა 5 ფენა, რომელიც ერთმანეთისაგან კარვადაა გამოყოფილი. აღმოჩენილი მასალების საფუძველზე პირველი სამი ფენა ნაგებობის ნაშთებით ჩვენი წელთაღრიცხვის I—IV საუკუნეებს ეკუთვნის, ხოლო მომდევნო ორი ფენა VII საუკუნემდეა წარმოქმნილი (ტაბ. III, სურ. 3).

მეორე უბანზე განათხარი ძეგლებიდან მთავარი აბანოს კომპლექსია. ამ კომპლექსში რამდენიმე ნაგებობაა შედის. პირველი ნაგებობის ჩვენამდე მოღწეული იატაკი და ცოკოლი, შესანიშნავად გათლილი, ტუფისქვის დიდი ფილებითაა აგებული. ამ ნაგებობის ორი განყოფილება ვადარჩა მეტ-ნაკლებად დანგრევის. პირველს პირობითად საკურთხეველიანი განყოფილება, ხოლო მეორესს ღია ეზო — ატრიუმი შევარქვით. თუმცა დასავლეთითა და აღმოსავლეთით მასზე მიშენებული და დაშენებული აბანოების მიხედვით თუ ვიმჯგულებთ, მაშინ იგი დიდი აბანოს ერთერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. ყოველ შემთხვევაში აბანოს გენერალური რეკონსტრუქციის შემდეგ გათლილი ქვის იატაკიანი ნაგებობა უშუალოდ აბანოს ნაწილს წარმოადგენდა (ტაბ. III, სურ. 2).

საკურთხეველიან განყოფილებად მიჩნეული ნაწილი გვემაში სწორკუთხედს იძლევა. მისი სიგრძე 9,95 მ-ია, სივართე სამხრეთ ნაწილში 2,60 მ, ხოლო სამხრეთის კედლიდან 7,40 მ-ის შემდეგ, გაფართოებულ ნაწილში

3,45 მ უდრის. ამ გაფართოებულ ნაწილს ჩრდილოეთიდან მიშენებული აქვს 3,20 მ სიგრძისა და 2,22 მ სიგანის შეერილი, რომელიც ასევე კარვად გათლილი ტუფის ქვისგანაა ნაშენი. მინაშენში გასასვლელი ორ კოლონას შორისაა მოთავსებული, მათ შორის დაშორება 1,38 მ უდრის. კოლონებისათვის განყოფილების ჩრდილოეთის კედელში ჩაშენებულია ორი ბაზა — ზომით 0,44×0,58 მ. კოლონებიდან ჩრდილოეთით 1,16 მ დაშორებით აღმართული ყოფილა ასევე ქვის კოლონები. ასეთივე კოლონები მდგარა პირველი კოლონას აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეადაც, კოლონების არსებობაზე მიუთითებს კოლონის ნაღვრი ოთხკუთხედი ადგილი და ამ ადგილის ცენტრში ამოკვეთილი ფოსო, რომლის ზომებია 5×5×4 მ.

ჩრდილოეთის კედლის ცოკოლიდან, მინაშენში, 1,98 მ დაშორებით ამოკვეთილია 0,45 მ დიამეტრის მქონე ფოსო. სავარაუდოა, რომ ამ ფოსოში თავის დროზე საკურთხეველი იდგა.

საკურთხეველიან განყოფილების იატაკი კარვად გათლილი და მჭიდროდ ერთმანეთზე მიწყობილი ტუფის ქვითაა გაკეთებული. უდალესი ქვის სიგრძე 2,73 მ, სიგანე 1,19 მ უდრის. ცოკოლი გრძობი კედლების გასწვრივ იატაკის დონიდან 7 სმ, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ 10 სმ-ითაა ამაღლებული.

საკურთხეველიან განყოფილებას აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს ღია ეზო — ატრიუმი (ტაბ. IV, სურ. 1). ამ განყოფილებისაც მხოლოდ გათლილი ტუფის ქვით დაგებული იატაკია ვადარჩენილი, რომელიც 15 სმ-ით დაბლა მდებარეობს პირველი განყოფილების იატაკზე. ღია ეზო გვემაში ოთხკუთხედი 7,75 მ×6,95 მ მის ცენტრში გაკეთებულია დაბალი, ოთხკუთხედი აუზი შადრენისათვის. აუზის სიმაღლე 0,17 მ, ხოლო ფართობი 2 მ×1,8 მ უდრის.

აუზს შემოვლებული აქვს 51—52 სმ სიფართის ბორღიური, კუთხეებში განლაგებულია ოთხკუთხა მოყვანილობის ქვები, რომლებიც ბორღიურის კედლებს სცილდება 10—17 სმ-ით. კუთხის ქვებს ცენტრში ამოკვეთილი აქვს ორ-ორი ფოსო (4 სმ×4 სმ×5 სმ), რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია 30—32 სმ-ით. აუზის კუთხეებში აღმართული ყოფილა ოთხკუთხედი კოლონები.

აუზში წყალი ჩრდილო-დასავლეთის კუთხიდან შემოდინდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დატოვებული ხერვლით საყანალიზაციო არხს უერთდებოდა.

აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან 1,7 მ დაშორებით, იატაკში გაკეთებულია მრგვალი ჭრილი, რომლის დიამეტრი 0,40 მ-ია, თავზე ქვა ჰქონია დაფარებული. ამ ქვის დანიშნულება აუზიდან გამავალი საკანალიზაციო არხის კონსტრუქცია იყო.

ღია ეზოს გვერდების გასწვრივ, ქვებზე კარგად ჩანს, რომ აქ ან კედელი იყო აღმართული, ან ქვები იყო დაფარული, რადგან დაფარული ნაწილი საღად გამოიყურება, ხოლო დანარჩენი კი გავეთილია. ასევე კარგად ჩანს ეს მომენტი კოლონიების ადგილზეც.

ღია ეზოს ჩრდილოეთის გვერდზე შემორჩენილია ორი ქვა, რომლებიც იატაკის დონიდან 12 სმ-ითაა ამაღლებული. ამ ქვებს შიდა მხარეს შემადგენელი ნაწილი აქვს, რომელზედაც ოთხკუთხედი (9 სმ×3,5 სმ×5 სმ), ხოლო შემადგენელი ნაწილის გვერდით მრგვალი ფოსოებია ამოკვეთილი. ბრტყელ ფოსოებში კარის ჩარჩოები უნდა ყოფილიყო დამაგრებული, მრგვალში კი კარის ქუსლი იქნა.

მეორე ნაგებობა, რომელიც პირველი ნაგებობის დასავლეთით მდებარეობს და მასზეა მიშენებული, აბანოს წარმოადგენს. მისი ძირა ნაწილი ჰიპოკაუსტია გადაჩრჩენილი, რომელიც რიყისქვით დღედაღამ აგებული.

1974 წლის განათხარის მიხედვით (აბანოს გათხრა ჯერ დასრულებული არაა) აბანო საბა—საბაზანო, თბილი და ცხელი—განყოფილებისაგან შედგება. აბანოს ჩრდილოეთი კედელი სწორია და მტკიცეაა ნაგები, აღმოსავლეთის კედელი დაშენებული ჩანს ვათილი ქვის იატაკიან ნაგებობის ცოკოლზე. სამხრეთის მხარეს აბანოს სამაგიერ განყოფილებას ლამაზად მორკალული აბსიდა აქვს. მიწის ზედა კედლები აგებული ყოფილა ბრტყელი ოთხკუთხედი აგურით. ორივე მხრიდან კედლები შეუღსილია კარგად კირხსნარით. საბაზანო ოთახში შეღსილობის რამდენიმე ფენა ჩანს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აბანოს შენობა არა ერთხელ ყოფილა შეკეთებული. საბაზანო განყოფილებაში ორი იატაკის დონეა. მეორე იატაკი პირველზე 0,6 მ-ით მაღლაა, ხოლო მათ შორის ადგილი შეუღსილია ქვებით, ნატეხი აგურითა და კარამიტით. მეორე იატაკის გაკეთება საბაზანო ოთახში დაკავშირებულია აბანოს ნაგებობის მთლიან რეკონსტრუქციასთან. თითქოს კარგად ჩანს, რომ გათლილი ქვებით დაგებული იატაკიანი შენობა, აბანოს კომპლექსში უშუალოდ ამ დროს გაერთიანდა. ამ დროს უნდა იყოს საკანალიზაციო არხი გაყვანილი პირველი ნაგებობის იატაკის ქვეშ, რამაც გამოიწვია ნაგებობის ცოკოლისა და იატაკის დაზიანება.

საბაზანო განყოფილების სიგრძე აბსიდითურთ 6,3 მ-ია, ხოლო სიგანე 3,65 მ. უდრის. აბაზანის თითქმის ნახევარი განყოფილება უკავია და მოთავსებულია სამხრეთით, აბსიდის მხარეს. აბაზანის სიგრძე 2,75 მ-ია. მის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში მოწყობილია მოკედანი (80 სმ×40 სმ). სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში, აბაზანის იატაკის დონეზე, კედელში დატანებულია მილი, რომლითაც ქუქყინანი წყალი საკანალიზაციო არხში ჩადიოდა. ამ მილის გასაკეთებლად ამოღებულია პირველი ნაგებობის ცოკოლის ვათილი ქვა. მომდევნო ხანაში ამ განყოფილებაში აბაზანა გაუქმებულია და მის ადგილზე ბრტყელაგურებიანი იატაკი დაუვით. საბაზანო ოთახი ამ პერიოდში კარგით უშუალოდ უკავშირდებოდა პირველ ნაგებობას.

საბაზანო ოთახი კედლითაა გამოყოფილი ე. წ. „თბილი აბანოდან“ და ერთმანეთს უკავშირდებოდა 0,95 მ სიგანის კარით. თბილი აბანოს სიგრძე აფსიდითურთ 6,5 მ-ია, სიგანე კი 3,95 მ. თბილი აბანოს იატაკის ქვეშ სიგრძეზე II, ხოლო სიგანეზე 7 რიგად განლაგებულია კალორიფერების სეტები. მათი უმრავლესობა ბრტყელი აგურითაა გაკეთებული. აგურებს შორის კირხსნარია. აგურები სხვადასხვა ზომისაა (35 სმ×27 სმ×4 სმ; 30 სმ×32 სმ×8 სმ; 41 სმ×30 სმ×9 სმ×29×6 სმ). გვეგება მრგვალი კალორიფერები, რომელთა დიამეტრი 30 სმ, სისქე კი 4 სმ უდრის. კალორიფერების სეტებში შემორჩენილია ზოგჯერ 19 აგურის წყობა (ტაბ. IV, სურ. 2).

თბილი აბანო, თაღზე დაყრდნობილი კედლითაა გამოყოფილი ე. წ. „ცხელი აბანოდან“. ეს განყოფილებაც ვეგმითა და მოწყობილობით თბილი აბანოს ანალოგიურია. ამ განყოფილების ნაწილია გათხრილი. ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში გაიწმინდა საცეცხლე არხი, რომელიც აგურითაა აგებული და კირხსნარით შეღსილი, არხის სიფართო თავში 0,8 მ., ხოლო ბოლოში 0,5 მ უდრის. ამ ნაწილში შემორჩა იატაკის ნაშთიც, რომელიც 12 სმ სისქის კირხსნარის ფენას წარმოადგენს. ეს ფენა ზევიდან დასხმული იყო კალორიფერებზე დაფარებულ (60×60 სმ) დიდ კვარამიკულ ფილებზე.

იმ დროს, როდესაც აბანოს შენობის რეკონსტრუქცია მოხდა და პირველი ნაგებობა აბანოს უშუალო ნაწილად გადაიქცა, პირველი ნაგებობის პერიმეტრზე დაამყენეს რიყის ქვით დღედაღამ ნაშენი ნაგებობა. რეკონსტრუქციის დროს მშენებლები მაქსიმალურად ცდილან, რომ პირველი ნაგებობა აბანოსათვის დამესგავსებინათ. ამიტომ საკურთხეველი-

ანი განყოფილების სამხრეთ კედელზე დაშენებულ რიყის ქვის კედელში აბსიდა დაატანეს, ხოლო გრძივ კედლებზე პილიასტრები მიშენებულა.

როგორც ჩანს ცოტა მოგვიანებით აბანოსა და პირველი ნაგებობისათვის ჩრდილო--დასავლეთის კუთხეში მიუშენებიათ ორი კედელი, რომლის საშუალებითაც წარმოიქმნა მოზრდილი 2 სენაკიანი ნაგებობა. სენაკებს კარები ჩრდილოეთის მხრიდან აქვს და მასში ჩასასვლელად ორსაფეხურიანი კიბვა გამართული.

ღია ეზოს აღმოსავლეთით, 0,8 მ დაშორებით გამოვლინდა რიყის ქვით დულაბზე ნაგები კედელი, რომლის სისქე 0,3 მ, უდრის. ამ ნაგებობის მცირე ნაწილი გაითხარა და გამოირკვა, რომ იგივე აბანოს წარმოადგენს. გამოჩნდა 15 სვეტი მრგვალი კალორიფერებისა, რომელთა თავზე კირხსნარის იატაკია.

უნდა აღინიშნოს რომ, მეორე უბანზე განთხარაი ყველა შენობა კრამიტით ყოფილა დახურული. გათხრების დროს დიდი რაოდენობით ამოვიდა ორივე ტიპის კრამიტის ნატეხები. ადრეული ხანის კრამიტები წითლადაა შეღებილი.

აღწერილი ნაგებობების გათხრისას მცირე ოდენობით გამოვლინდა კერამიკული და სხვა სახის მასალები. ამის მიუხედავად წინასწარული თარიღის განსაზღვრა მაინც შესაძლებელია. პირველი ნაგებობა, რომელსაც გათლილი ტუფის ქვის იატაკი აქვს, მშენებლობის ტექნიკისა და ხასიათის მიხედვით, აღმოჩენილი მასალების გათვალისწინებით ჩვენი წვლთარის ცხები I—II საუკუნეების ძველად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო აბანოს შენობა, და სხვა ნაგებობანი II—IV საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. მომავალმა გათხრებმა შესაძლებელია მოცემულ თარიღებში ცვლილებები შეიტანოს.



ნასტაკისის ველზე გათხრები გაგრძელდა პირველსა და მეოთხე — გორის უბანზე. პირველ უბანზე (ტაბ. V, სურ. 1) გაითხარა ნაგებობის ის ნაწილი, რომელიც ქუჩად იყო მიჩნეული. ქუჩა აგებულია ქვიშაქვის ლოდებისაგან, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში გამოყენებულია კონგლომერატის კვადრით. ქუჩა ორი განყოფილებისან შედგება. თითონ ქუჩის სიგრძე 2,4 მ., სიგანე 1,2 მ., ხოლო საცეცხლე არხის სიგანე 0,8 მ უდრის. საცეცხლე არხის კედლებად გამოყენებულია წისქვილის ქვები (ტაბ. V, სურ. 2). ასეთივე ქვების ნატეხებით აღმოჩნდა საესე თვით ქუჩა.

მეორე განყოფილება ქუჩის უკან მდებ-

არეობს, მისგან კედლითაა გამოყოფილი, მისი ზომებია 2,3 მ×1,8 მ ამ განყოფილებას კარები არ უჩანს. ორივე განყოფილებას ერთი მთლიანი კედლები აქვს. ქუჩის ძირი და კედლები დამწვარია. გამოსაწვავი ქუჩის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოქცეულია გვიანანტიკური ხანის დასაწყისსა და ადრეულ შუასაუკუნეების ფენებს შორის, მისი სავარაუდო თარიღი I—III საუკუნეებია.

მეოთხე ანუ გორის უბანზე გათხრები გაგრძელდა მე-11 და მე-12 თხრილებში, ორივე თხრილი გორის თხემიდან გადმონაყარის ადგილზეა, ამიტომაც, რომ განათხარ შენაში, რომლის სისქე 1,8 მ უდრის რაიმე კულტურული შრეების გამოყოფა არ მოხერხდა.

მე-11 თხრილში, რომლის ფართობი 15 მ×10 მ უდრის, აღმოჩენილ იქნა დიდი კერამიკული მასალა, რომელთაგან შემდეგი ძირითადი ჯგუფების გამოყოფა მოხერხდა: დიდი ქვევრები, რომელთაც ვარეთ გადმოშლილი ფართე პირი, მაღალი გამოთვლილი ყელი და გამოზერული მხრები აქვთ. ქვევრები მოხატულია წითელი საღებავით: მეორე ჯგუფის მოხატული ჭურჭლებისა წარმოადგენს მოზრდილი დერგები და ქოცობები; მესამეში კი შედის ფართე პირიანი ხელადები და ტილოის მაგვარი ჭურჭლები; მეოთხეში გაერთიანებულია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების მოხატული ჭურჭლის ნატეხები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წითელი საღებავით მოხატული ჭურჭლების გვერდით აღმოჩნდა მუქი საღებავით მოხატული ჭურჭლის ნატეხებიც. ასეთ საღებავს უფრო შავი ფერი დაკრავს და ჩვენ მათ შავი საღებავით მოხატული ჭურჭლები ვუწოდებ.

მეორე ძირთად ჯგუფში გაერთიანებულია მე-11 თხრილში აღმოჩენილი წითლად შეღებილი ჭურჭლის ნატეხები. ამ ჯგუფში შედის დოქები, ხელადები, ცლინდრულტანიანი, კოჭისმაგვარი, ათულობით ჯამის ნატეხი, ფილა და ფილის ნატეხები და ა. შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმპორტული კილიკის მაგვარი ჭურჭლის ადგილობრივი მინაბაძი. იგი ზუსტად იმეორებს იმპორტული ჭურჭლის ფორმას, განსხვავდება კიციის სისქით და შეღებილია წითელი საღებავით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი წითლად შეღებილი ჭურჭელი (პატარა დოქები, ხელადები) მაღალი ხარისხის ნაქეთობას წარმოადგენს. თხვა შესანიშნავადაა დამუშავებული. ასეთი ჭურჭლების კეცი თხელია და და გარედან კარგი ხარისხის წითელი საღებავითაა დაფარული. საღებავი იმდენად მაღალი ხარისხისაა, რომ მას თავისუფლად შეიძლება უწოდოთ ლაქი, ხოლო ჭურჭელს ად-

ვილობრივი, ქართული წითელლაქიანი ჭურჭელი.

ამვე თბრლში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა საღა, ღიაფერის ცეციანი ფართე პირიანი ჩაფების, ხელადების, დოჭების, სხვადასხვა დანიშნულებისა და სხვადასხვა ზომის ჭურჭლის ნატეხები, სამზარეულო კერამიკა და ა. შ.

აღმოჩნდა იმპორტული კერამიკის ნატეხები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იბერიის სამეფოს კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობისათვის იმ დროინდელ ბერძნულ სამყაროსთან. ასეთია შველქიანი ჯამის პირგერდის ნატეხი, მცირეზიური წარმოშობისა, შავლაქიანი ბალზამირის გვერდის ნატეხი, ყავისფერლაქიანი კილივისმავგარი ჭურჭლის ნატეხი. იმპორტული კერამიკის დასახელებული ნატეხები ჩვენს წელთაღრიცხვამდე II საუკუნით თარიღდება.

მე-12 თბრლში აღმოჩნდა ატიკური შველქიანი, თხელკედლიანი ჭურჭლის ნატეხი, პირზე შემორჩენილი აქვს ორი ბერძნული ასო—მიკრონი და—პსილიონი, რომლებიც დატანილია თეთრი საღებავით, განეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ს-ის დასასრულსა და III ს-ის დასაწყისს.

ამვე თბრლში აღმოჩნდა წითლად შეღებილი ლარნაკი და თიხისგან დამზადებული ოვალური საბეჭდავი, რომელზედაც უკან თავმოზრუნებული ირმის რელიეფური გამოსახულებაა.

გარდა აღწერილი მასალებისა ორივე თბრლში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა წითლად შეღებილი ორივე ტიპის კრამიტის ნატეხები, მათ შორის დიდი ნაწილი ხელითაა ნაძერწი.

მე-11 და მე-12 თბრლებში აღმოჩენილი მასალები კარგად თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III—II საუკუნეებით.

გარდა სტაციონალური ვათხრებისა ექსპედიცია ფართოდ აწარმოებდა სადაზვერვო სამუშაოებსაც (ტაბ. VI). სარკინეთის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთით, „სათხისების“ მთის წვერზე, მიკვლეულ იქნა დიდი ნაგებობის ნანგრევები, რომელიც ნაგები ყოფილა ქვის ფილებით დულაზე, აქვე დიდი რაოდენობით ყრია კრამიტისა და ქვევრის ნატეხები. მიკვლეული ძეგლი ჩვენი წელთაღრიცხვის III—IV სს. უნდა ეკუთვნოდეს.

დაზვერვები მცირე ვათხრებით ჩატარდა ნარეკვის ბინჯაოს ხანის გორებზე. აქ ვათბრლ საქანალაზიკო და სადაზვერვო თბრლებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა გვიანბრინჯაო აღრე რკინის ხანის სხვადასხვა სა-

ხისა და სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული მასალა. მიკვლეულია ნამოსახლარი და საწარმოო (ჭურჭლის) უბანი.

მდ. ქსნის ხეობაში, სოფ. სამეგრეოში ექსპედიციამ ახალი ცნობები შეკრიბა იმ ადგილის ირგვლივ, სადაც 1908 წელს აღმოჩნდა ე. წ. „ახალგორის ვანის“ ნივთები.

ექსპედიციამ დარბაზის ხევიში მოიხელა ფეოდალური ხანის ნამოსახლარები და წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, საიდანაც წამოღებულია კანელურებიანი სვეტი ანტიკური ხანისა. მოხილული იქნა ნიჩბურას ხეობა ხეობამდე, ხოლო სათოვლიას მთის ძეგლების მონახულება მომავალი წლისათვის გადაიდო.

ექსპედიციამ ერთხელ კიდევ მოინახულა სოფ. მუხრანთან „მელიების გორად“ წოდებული ნამოსახლარი, რომელიც მეურნეობას ნაწილობრივ დაუნგრევია, შეკრებილ იქნა კერამიკული მასალა.

სადაზვერვო სამუშაოები ჩატარდა სოფ. ძალისას ჩრდილოეთით, იქ სადაც მდ. ნარეკავი მუხრანის ველზე გამოდის. „ჯეხის ჯგრის“ სახელით ცნობილ ადგილებში აღმოჩენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე II ს-ის სამრახი, ამავე ადგილებში აღმოჩნდა თიხის სარკოფაგისა და დანგრეული ეკლესიების ნაშთები და სხვა.

ვანსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფ. დამპალის ჩრდილო-დასავლეთით, ქსოვრისის მიწებში მიკვლეული ორი გორა. ერისათვის, რომელსაც „გოხები“ ჰქვია ბულდოზერით თავი მოუსწორებიათ, მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილი მასალის ნაწილი,—თონისა და გობის მავგარი ჭურჭლის ნატეხების შეგროვება მოხერხდა. ისინი ანტიკური ხანისა უნდა იყოს.

მეორე გორა „გოხების“ ჩრდილო-დასავლეთით, მისგან 0,5 კმ-ის დაშორებითაა, მას „ფშუტიანთ ქედს“ ჰქვია. საემოდ მოზრდილი სამოსახლო გორაა, მჭიდროდ ყოფილა დასახლებული ანტიკურ ხანაში. ძალიან კარგად ჩანს ნამოსახლარები და მარნები, ხოლო ზედაპირზე დიდი რაოდენობით ყრია კრამიტისა და სხვადასხვა სახის ჭურჭლის ნატეხები.

„გოხებისა“ და „ფშუტიანთ ქედის“ ჩრდილოეთით აღრე შესაუკუნეების უზრმაზარი ნასოფლარია. ნასოფლარის ტერიტორიაზე კარგად ჩანს ნამოსახლარები, მთელ ტერიტორიაზე მიმობნეულია ნაირი სახის კერამიკის ნატეხები. ნასოფლარის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნულია ჯგრის ტიპის ეკლესია—„ჯგარი პატიოსანი“, ხოლო ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია უზარმაზარი მარნის ნანგრევები საწნახლოთურთ.




სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 1.




სურ. 2.



სურ. 1.



სურ. 2.



სურ. 1



სურ. 2.



მცხეთის ხაზის არქეოლოგიური რუკა

სოფ. დამპალოს ჩრდილოეთით, მთაზე, ექსპედიციამ მიაკვლია ადრეული ხანის სამოსახლო გორას, რომელზედაც აღმართულია ეკლესია და ამიტომ გორასაც და ეკლესიასაც „გორიჯვარს“ ეძახიან. გორის ზედაპირზე აკრეფილ იქნა გვიანბრინჯაოსა და ფეოდალური ხანის კერამიკული მასალა. ეს გორა მჭა-

ღიჯვრის გორიდან 2 კმ-თაა დაშორებული და მისი ანალოგიური ძეგლია.

ასეთია ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1974 წელს ჩატარებული სამუშაოს მოკლე ანგარიში.

### ალექსი ბოსონჩაძე

## 5. ბერძენიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საფენიერო სენია

1975 წლის 24—28 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XXII სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გამორჩენილი მეცნიერის აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის ხსოვნას.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გ. მედიქიშვილმა. მან აღნიშნა განსვენებული მეცნიერის ღვაწლი ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა 5 მოხსენება.

პროფ. ი. კაჭარავამ თავის მოხსენებაში „აკად. ნ. ბერძენიშვილის ისტორიოგრაფიული მივლიანი“ აღნიშნა, რომ ნ. ბერძენიშვილს, მართალია, არ შეუქმნია სპეციალური მონოგრაფიული გამოკვლევა ქართული საისტორიო მწერლობის შესახებ, მაგრამ მან თავის მრავალრიცხოვან შრომებში დასვა და გააშუქა ქართული ისტორიოგრაფიის არაერთი საკვანძო პრობლემა.

აკად. ნ. ბერძენიშვილმა, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პირველმა გაადევნა თვალის ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას ხალხური „ქართლის ცხოვრებიდან“ კომუნისტურ „ქართლის ცხოვრებამდე“ და მოგვცა ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების ყველა პერიოდისა და ეტაპის დასასიათება-შეფასება.

ამის შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ნ. ბერძენიშვილმა ფეოდალური „ქართლის ცხოვრების“ განვითარებაში სამი პერიოდი და რამდენიმე ეტაპი გამოკყო: პირველი პერიოდის ერთ-ერთ ასეთ ეტაპად მეცნიერი თვლიდა აღმაშავლი ფეოდალური კლასის ისტორიოგრაფიას, მის მაღალ პატრიოტულ ნიშნულზე კი მიაჩნდა იოანე საბანოსძის, ბასილ ზარზმელის, გიორგი ათონელის, გიორგი სუცეს-მონაზონის, არსენ კათალიკოსის, ლეონტი მროველის, დავითისა და თამარის ისტორიკოსების თხზულებანი. მათ მოღვაწეობაში რომანტიზმი გამოირიცხვლია. მან თავი იჩინა მხოლოდ XIII საუკუნის შემდეგდროინდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში, როდესაც „წარსული სულ უფრო და უფრო სანატრელი ხდება“, როდესაც იწყება „ქართლის ცხოვრების“ ახალი ეტაპი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის პირველი პერიოდი მეორე ეტაპი, რომელიც ფარგლებდა XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე. ქართულ ფეოდალურ ისტორიოგრაფიას ამ მეორე ეტაპზე, ნ. ბერძენიშვილის აზრით, „აღრავლები ახალი (იდეის განვითარების თვალსაზრისით) არ მოუვია“.

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის პირველი პერიოდის შესახებ ეტაპის საწყისად ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, შეიძლება მივიჩნიოთ XVII საუკუნის მეორე ნახევარი. ამ დროიდან „ემჩნევა ქართულ ისტორიულ აზროვნებას აღორძინება დასაკლეთ ვეროპასა და რუსეთთან კულტურული ურთიერთობის გამოცოცხლებისა და ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ ეპიკური ბრძოლის პირობებში“.

ქართული ფეოდალური ისტორიული აზრის განვითარების მორიგ ეტაპად, ბერძენიშვილს მიაჩნდა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ-პოლიტიკური აზრი, იგი ძირითადად გაბატონებული იყო XIX საუკუნის დამდეგამდე. ამ საუკუნის პირველ ნახევარში ფეოდალურ კლასს „საკუთარი წოდებები ალასარული ერთეულად აღსასრულად წარმოედგინა და ამის შესაფერისი ისტორიული კონცეფცია სახელმძღვანელოდ გამოქონდა“. ეს „ჭეშმარიტად ისტორიული აზროვნების კრიზისი იყო, მაგრამ ეს იყო ქართული ფეოდალური ისტორიული აზროვნების კრიზისი“. ფეოდალური ისტორიული აზრის დაგვიანებული ეპიგონი გიორგი ბაგრატიონ-მუსხრანელი საქართველოს „სულთათანას უგალობდა, ქართველი ერის აღსასრულს წინასწარმეტყველებდა“, ხოლო ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატები საქართველოს სტრუქტურის ახლებურად გამართვის შეცადინებოდნენ, ისტორიაში ხალხს,



მწარმოებელი კლასის წარმოქმნას ცდილობდნენ. მაგრამ აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, თერგდალეულებმა, იმ დროს, ე. ი. 80-იანი წლების საქართველოს სკეციფიკურ პირობებში ვერ დასახეს რევოლუციური გამოსავალი და კლასთა ბრძოლის ნაცვლად კლასთა შეთანხმების ქადაგება თავს იდევს. ამის შემდეგ თერგდალეულებს, მეცნიერის აზრით, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ მდგარიყვენ რევოლუციონერ-დემოკრატიზაციის პოზიციებზე.

XIX საუკუნეში ისტორიული მეცნიერების განვითარებისათვის მიმე პირობების მიუხედავად თვალსაწიონ წარმატებებს აღწევს ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია. აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა დ. ბაქრაძის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ალ. ცვაგარელის, ნ. ხიზანიშვილისა და სხვათა დიდ ღვაწლს და ცალკე გამოყოფდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ადვილისა და როლის საკითხს. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში ივ. ჯავახიშვილი ახალი ეტაპის შემქმნელია“.

ივ. ჯავახიშვილის, როგორც მეცნიერის, ფორმირება დაემთხვა საქართველოში დიდი სახალხო-რევოლუციური მოძრაობის დაწყებისა და განვითარების პერიოდს, როდესაც ერთ ნაკადად გაერთიანდა ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი ძალით დაწყებული სახალხო მოძრაობა. ამ გარემოებას არ შეიძლება კეთილმყოფელი გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდა მეცნიერის სოციალ-პოლიტიკურ, კერძოდ, ისტორიოგრაფიულ შეხედულებებზე და, მართლაც, ეს იგრძნობა დიდი მეცნიერის არა ერთ ნაშრომში, ამიტომ არ შეეცდებით თუ ივ. ჯავახიშვილს მივიჩნევთ ქართულ ისტორიოგრაფიაში დემოკრატიული-პროგრესული მიმართულების ყველაზე თვალსაწიონ წარმომადგენლად. ბუნებრივია, რომ ივ. ჯავახიშვილი გამოვიდა „ახალი ქართული მეცნიერების ფუძემდებლად“ (ნ. ბერძენიშვილი).

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მესამე პერიოდი იწყება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. ეს პერიოდი ნ. ბერძენიშვილის მიერ გააზრებულია როგორც ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ლენინური ეტაპის საწყისი სტადია. აი, აქ, ამ სტადიაზე ხედვდა ნ. ბერძენიშვილი ქართული მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის სათავეს. მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის განვითარებაში იგი გამოყოფდა სამ ძირითად ეტაპს. მისი ისტორიოგრაფიული ძიების მონაცემებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსიზმ-ლენინიზმის დამკვიდრების პირველ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ რევოლუციამდელი ხანა, მეორე ეტაპი 40-იან წლებამდე და ბოლოს, მესამე ეტაპად — მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების შემდგომი ხანა.

დასასრულ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის ისტორიოგრაფიული ხასიათის შრომებში არაერთი საყურადღებო დებულება განვითარებული ისტორიული მეცნიერების თანამედროვე ამოცანების შესახებ.

აკად. გ. მელიქიშვილმა მოხსენებაში „საკუთრების ფორმებისა და კლასობრივი სტრუქტურის შესახებ ანტიკურსა და ძველ ახლოაღმოსავლურ საზოგადოებაში“, აწვინა განსხვავება ანტიკურსა და ძველ ახლოაღმოსავლურ საზოგადოებებში არსებულ საკუთრების ფორმებს შორის. მან განმარტა, რომ ანტიკური საზოგადოება გამოირჩეოდა კერძო საკუთრების მაღალი განვითარებით. ძველ ახლოაღმოსავლურ საზოგადოებისათვის კი დამახასიათებელი იყო ფართო სამეფო საკუთრება, ეკონომიკის სახელმწიფო სექტორი. საკუთრების ამ ფორმამ განსაზღვრა კლასობრივი სტრუქტურა. ძველ ახლოაღმოსავლურ საზოგადოებაში მიწაზე დასმულ ტყე-მონისა და მეთემის ნიველირება მუდმივმოქმედ პროცესს წარმოადგენდა და ძველი ახლოაღმოსავლური საზოგადოება, ანტიკურისაგან განსხვავებით, ავტორის აზრით, შესაძლებელია დავახასიათოთ, როგორც წინაფეოდალური ადრეკლასობრივი საზოგადოება.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ. მუსხელიშვილი მოხსენებაში — „აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (შაქი და გოგარენე)“, შეეცადა აეხსნა ის გუგარებობა, რასაც იწვევს სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობა შაქის გუგარების ქვეყნად მოხსენიების შესახებ. სომეხური, არაბული, ბერძნული და სპარსული პირველწყაროების შესწავლის შედეგად ავტორმა დაადგინა, რომ გოგარენე ეწოდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას, ხოლო გუგარები აღნიშნავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ტომებს. VIII ს-დან შაქი შემოდის აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გავლენის ფარგლებში, სწორედ ამას უნდა გულისხმობდეს ვარდანის ცნობაც. მის დროს, XIII ს-ში, შაქი წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციას.

მოხსენებინ შესახებ აზრი გამოთქვა მ. დუმბაძემ. მან აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა თავისი დებულება მომხსენებელს ლინკვისტური და ეტიმოლოგიური ანალიზითაც გაემაგრებინა.

მოხსენება „ანთროპოლოგიური კვლევის 10 წელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში“ — წაითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. აბდუშელიშვილიმ. მან აღნიშნა, რომ 1965 წელს აკად. ბერძენიშვილის ინიციატივით ანთროპოლოგიის განყოფილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მორფოლოგიის ინსტიტუტიდან გადმოვიდა ისტორიის ინსტიტუტის შემადგენლობაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ განვილი 10 წლის განმავლობაში განყოფილება მუშაობდა ერთ ძირითად პრობლემაზე „ეთნოგენეზისი და ერების ფორმირების ისტორია“. ამ მიმართულებით შეგროვდა დიდი მასალა, შესრულდა 50-მდე გამოკვლევა, რომელთაგან 45 გამოქვეყნებულია. მოხსენებაში განხილული იყო ზოგადი ხასიათის ძირითადი დებულებები, რომლებიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ შრომებშია წარმოდგენილი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ცქიტიშვილმა მოხსენებაში „საქართველოს არქეოლოგიური ატლასი“. მიმოიხილა არქეოლოგიური ატლასის მიზანი და ამოცანები, ჩამოაყალიბა მის შესადგენად საჭირო პრაქტიკულ-მეთოდური პრინციპები და აღნიშნა, რომ არქეოლოგიური ატლასი მოიცავს არა მარტო არქეოლოგიურ ინფორმაციას, არამედ ინფორმაციას იმ ვარემოს შესახებაც, სადაც ჩაისახა არქეოლოგიური ობიექტი, ე. ი. ატლასში შევა არა მარტო არქეოლოგიური, არამედ ფიზიკური, ეკონომიური და სხვა რუკებიც.

25—28 მარტს მუშაობდნენ ისტორიისა და ეთნოგრაფია-სოციოლოგიის სექციები. ისტორიის სექციამ წაითხულ იქნა 10 მოხსენება.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ალ. ბოხრიძემ მოხსენებაში — „ძველი მცხეთის ლოკალიზაციისათვის“, შეეცადა დაემტკიცებინა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონიკასა და „ქართლის ცხოვრებაში“ ანტიკური ქართლის შესახებ დაცული ცნობები, რომლებიც ისტორიული სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენენ, ადგილგადანაცვლებული არიან დროსა და სივრცეში. ამ წყაროების ანალიზის შედეგად მან შემდეგი დასკვნები ჩამოაყალიბა „ძველი მცხეთა“, „პირველი მცხეთა“, „ძველი ქალაქი“ ერთმანეთის სინონიმები და ქართლის ძველი დედაქალაქის აღმნიშვნელად არის ნახმარი.

„ძველი მცხეთა“ დღევანდელი არმაზციხე-ბაგინეთის დასავლეთით, 15-დე კმ-ის მოშორებით მდ. მტკვრისა და ქსნის შესაყარში, მტკვრის ორივე ნაპირას იყო გაშენებული. ე. ი. ქალაქის დედაციხე იყო მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე დღევანდელი „სამადლოს გორა“, ხოლო ქალაქის ძირითადი უბანი — „ნასტაკისი“. აქ იყო ქართლის დედაქალაქი ძვ. წ. IV ს-ის მიწურულისა და ძვ. წ. II ს-ში.

ძვ. წ. I—ახ. წ. IV სს-ში სამეფო რეზიდენციას არმაზი წარმოადგენდა, ხოლო ახ. წ. IV ს-ში კი დღევანდელი მცხეთის ტერიტორიაზე არსებული ქალაქი.

ალ. ბოხრაძის მოხსენების გარემოთა გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: გ. მელიქიშვილმა, თ. ლორთქიფანიძემ, დ. ხახუტაიშვილმა, დ. მუსხელიშვილმა, ი. გაგოშიძემ და ზ. ალექსიძემ. მათ არ გაიზიარეს ბოხრაძის მოსაზრება „ძველი მცხეთის“ მტკვრისა და ქსნის შესაყართან ვადატანის შესახებ. ყველა მათგანმა აღნიშნა, ის, რომ „ნასტაკისსა“ და „სამადლოსზე“ აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით ძვ. წ. IV—III სს-ში აქ მძლავრი ცენტრია სავარაუდებელი, ხოლო დღევანდელი მცხეთის ტერიტორიაზე IV—III სს-მასალა ჯერჯერობით თითქმის არაა წარმოდგენილი, მხოლოდ ეს არგუმენტი ვერ გამოდგება მცხეთის ვადადგილების დასასაბუთებლად. მათ მომხსენებელს მიუთითეს (დ. მუსხელიშვილი, გ. მელიქიშვილი, დ. ხახუტაიშვილი), რომ საჭიროა მეტი ანგარიში გაეწიოს მცხეთის დედაქალაქობის შესახებ არსებულ ძველ ტრადიციას, საჭიროა დემოგრაფიული სტატისტიკის გამოყენება სამთავროს სამაროვნის მიმართ (თ. ლორთქიფანიძე) და წერილობითი წყაროების უფრო სრული და ფრთხილი გამოყენება (გ. მელიქიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ზ. ალექსიძე).

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ხაჯარაძის მოხსენება ძველფრიგიული ანბანის გენეზისის საკითხს მიემდგვა. ახალი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალებისა და ძველალმოსავლური წერილობითი წყაროების საფუძველზე ავტორმა გაიმეორა მის მიერვე ადრე (1963 წელს) გამოთქმული ვარაუდი, რომლის მიხედვითაც თანამედროვე

ძველებრძნული ანბანი ფრიგიაში აღმოსავლეთიდან, კერძოდ კილიკიიდან უნდა გავრცელებულიყო არა უგვიანეს ძვ. წ. VIII ს.-ის მეორე ნახევრისა.

ნ. ხაზარაძემ არ გაიზიარა ახალ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები ძველფრიგიული ანბანის წარმომავლობის შესახებ. ძველფრიგიული და ძველებრძნული ანბანების ურთიერთშეჯერების გზით იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ძველფრიგიული ანბანი გენეტიკურ სიხსლოვეს ირენს უკვე ჩამოყალიბებულ ადრეებრძნულ ანბანთან, რომელიც თავის მხრივ არქაული ბერძნული ანბანიდან მომდინარეობს, მაგრამ უკვე არსებითადაა განსხვავებული, როგორც ამ უკანასკნელიდან, ასევე ფინიკიურიდანაც. ავტორი არ გამოირიცხავს იმასაც, რომ სწორედ ეს შეაღებური ანბანი დაეწოდებოდა არა მხოლოდ ძველფრიგიულს, არამედ დასავლურ და აღმოსავლურ ბერძნულ ანბანებსაც.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ტუხაშვილმა მოხსენებაში „ათაბაგის სასელოს გარკვევისათვის“ შემდეგი პიპოთუზა განავითარა: ათაბაგობა საქართველოში შემოღებულ იქნა დაახლოებით 1205—1206 წელს, ივანე მხარგრძელმა ათაბაგობა მიიღო მხარგრძელთა და თორელ ახალციხელთა სავაგარეულო ურთიერთობრივად განმარჯვების შედეგად პირველი ათაბაგისაგან, ივანე ახალციხელისაგან განსხვავებული თანაბრისი, საუფლისწულო მამულების მართვას დაემატა მხარგრძელთა (თმოგველებისა და გაველების გამოკლებით) სამმართველო ოლქების კოლგეიალური მმართველობის გაფორმებაც; ივანე ვასდა არა მთელი საქართველოს, არამედ მხოლოდ ერთი რეგიონის ათაბაგი.

მომხსენებლის აზრით, ათაბაგობის მიღებით დასრულდა მხარგრძელთა სამოხელეო მფლობელობის სამამულო მფლობელობად გადაქცევის ვეოლუცია. XII—XIII სს-ის საქართველოსათვის ეს უაღრესად ტრაიური მოვლენა შედარებით უცამაფრა თამარის ნაადრევმა სიკვდილმა (1207 წ.) და აღწას კურთხევის (1210 წ.) დაგვიანებამ, რამაც ხელი შეუწყო ივანე ათაბაგის მამობრივი“ ზრუნვის შესახებ მითის შექმნასა და მხარგრძელთა პანეგირიკას.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. ლორთქიფანიძემ, მ. დუმბაძემ, ი. ვაგოშიძემ, ჯ. სტეფანაძემ, ბ. სილაგაძემ, ა. ანდლაძემ, ჯ. ოდიშელმა, კამათი უმთავრესად თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის გარშემო წარიმართა. მ. ლორთქიფანიძის, მ. დუმბაძის, ი. ვაგოშიძის, ჯ. სტეფანაძის აზრით, გ. ჯუფარიძე-ი. ნატროშვილის გამოკვლევის შემდეგ თამარის გარდაცვალების თარიღად 1210 წელი უნდა იქნეს მიღებული. ბ. სილაგაძემ და ჯ. ოდიშელმა კი თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წლის მიჩნევისათვის დამატებითი არგუმენტაცია წარმოადგინეს.

მ. ლორთქიფანიძემ არ გაიზიარა ტუხაშვილის აზრი ივანე მხარგრძელის საქართველოს მხოლოდ ერთი რეგიონის ათაბაგად მიჩნევის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მართალია, მესხეთის საქართველოდან გამოყოფის შემდეგ არსებობს მესხეთის ათაბაგის ტიტული, მაგრამ ერთიანი საქართველოს პირობებში მსგავს მოვლენას ადვილი არ ჰქონია.

ჯ. სტეფანაძემ მიუთითა მომხსენებელს, რომ საჭირო იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებულ ათაბაგობის ინსტიტუტის შესწავლა. მისი აზრით, ეს მას ათაბაგობის არსის გარკვევაში დაეხმარებოდა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ჯამბურთა მ წაიეთხა მოხსენება თემაზე: „მოქალაქეთა საკითხისათვის“. მომხსენებელმა უარყო სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული აზრი მოქალაქეთა პრივილეგიების შესახებ და საბაქიეო საბუთების მოშველიებით შეეცადა დაეზტკიცებინა, რომ საქართველოში მოქალაქეები პრივილეგირებული წოდება არ ყოფილა, „მოქალაქე“ ეწოდებოდა ქ. თბილისის მთელ ვაჭრულ-ხელოსნურ ფენას მათი ეკონომიური მდგომარეობის განურჩევლად.

მოხსენების შესახებ აზრი გამოთქვეს ე. ხოშტარიამ და მ. სამსონაძემ.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის დ. მეგრელაძის მოხსენება—„ფეოდალური ხანის საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, ბოგანოს საკითხის გარკვევას მიეძღვნა. მომხსენებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბოგანოდ იწოდებოდა არა მხოლოდ უეწახო გლეხი, არამედ ყველა ის პირი, ვისაც არ ჰქონდა მამული—მკვდრი მიწა—საკომლო (ან მისი ნაწილი) და ამიტომ საგადასახადო შეღავათებითაც სარგებლობდა. ბოგანოობის წარმოშობის გზების განხილვისას დ. მეგრელაძემ აღნიშნა, რომ ბოგანოობა ხშირად პასიური კლასობრივი ბრძოლის—აყრატაქცივის შემდგომ ეტაპს წარმოადგენდა. ბოგანოობა, როგორც კლასობრივი მოვლენა თვდაპირველად პერსპექტიული ძალა იყო. მაგრამ საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების მიერ მახინჯი ფორმების მი-

ლების კვალად XVIII ს-ის მიწურულისათვის ბოვანობაზე უპერსპექტივო, რეგრესულ მოვლენად — პროტესტის ნაცვლად გადაგვარებისა და დაკნინების სინონიმად იქცა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. სამსონიძის მოხსენებაში „ქართლ-კახეთის მეცნიერებათა კანდიდატის მ. სამსონიძის მოხსენებაში „ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან (XVIII ს-ის 70-იანი—80-იანი წწ.)“ გამოთქმული და დასაბუთებული იყო მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ჩაბმა და მონაწილეობა 1763—1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში განპირობებული იყო: 1) იმ მიზეზებით, რომელსაც ერეკლე II-ის პოლიტიკა ისახავდა იმერეთის მიმართ (ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის პირველობის შენარჩუნება და შესაფერის მომენტში საქართველოს გაერთიანების საკითხის დასმა); 2). დაკარგული ქართული ტერიტორიების დაბრუნების სურვილით და იმ წინააღმდეგობებით, რომელიც ახალციხის საფაშოს საკითხში ერეკლე მეორესა და სოლომონ პირველს შორის არსებობდა; 3). ქართლის ტახტზე კახეთის ბაგრატიონების დინასტიის დაკანონების მისწრაფებით.

1772 წელს ქართველ პოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაბიჯი — ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების თხოვნა. — ავტორის აზრით იყო ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან იძულებითი ღონისძიება, რათა თავიდან აეცილებინათ სამეფოს რუსეთთან შეერთებისა თუ იქ დინასტიის შეცვლის საშიშროება.

მოხსენების გამო აზრი გამოთქვა ლ. ტუხაშვილმა.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. შამულიამ განიხილა აგნატური ჯგუფები ძველ იბერიაში „თვისი“ და „ნათესავი“ და პირველწყაროების ანალიზის შედეგად დაასკვნა, რომ აღნიშნული ჯგუფები წარმოიშვნენ გვიანბრინჯაოს ხანაში და გენეტიკად გვაროვნულ თემს — „სამოსს“ უკავშირდებიან.

ისტორიის მეცნ. დოქტორმა მ. ჯიჯვიცილმა მოხსენებაში — „საქართველოს გლეხთა რევოლუციური ბრძოლების ფორმები და მეთოდები 1905—1907 წწ.“ — გააშუქა გლეხთა შრდის ხელშეწყობის ფაქტორები, ლენინური აგარარული პროგრამის, ბოლშევიკების საავტორიტო-პროპაგანდისტული და ორგანიზატორული საქმიანობის, ვ. ი. ლენინის ნაშრომებისა და სხვა რევოლუციური ლიტერატურის (გაზეთები, პროკლამაციები, ფურცლები და სხვ.) როლი საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის განმტკიცებაში. მომხსენებელმა, ყურადღება გაამახვილა გლეხობის სოციალური დიფერენციაციის საკითხებზე; ნათქვამი, რომ საქართველოს გლეხთა რევოლუციურმა მოძრაობამ, რომელიც თავდაპირველად დაიწყო როგორც აგარარული მოძრაობა, მალე მიიღო ორგანიზებული პოლიტიკური და შემტევი ხასიათი. ამასთან სოფლის პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული მასების ბრძოლა წარამართა როგორც მემამულეებისა და თვითმყრობელობის, ისე სოფლის ბურჟუაზიის კულაკობის წინააღმდეგ.

1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა მუშათა კლასისა და გლეხობის შედარებით შტიკცე პოლიტიკური კავშირი, საქართველოს გლეხობა მასობრივად იყენებდა პროლეტარული ბრძოლის ისეთ ძირითად და ქმედით ფორმებს, როგორცაა დემონსტრაციები, მანიფესტაციები და გაფიცვები; ბრძოლა მემამულეების (მამულის დარბევა, ცეცხლის წაკიდება, მიწების, საქონლისა და ტყის მასივების დასაკუთრება და სხვ.), სამღვდლოებისა და კულაკობის წინააღმდეგ; მეფის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ბოიკოტი; ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დარბევა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოების (გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, სახალხო სასამართლოები და სხვ.) შექმნა; რევოლუციური გლეხობის ბრძოლა პოლიციასა და ჯარის ნაწილებთან და სხვ.

მოხსენებაში ნაწევნები იყო, რომ საქართველოს გლეხობის რევოლუციური ბრძოლის ფორმები და მეთოდები კანონზომიერად ცვლიდნენ ერთმანეთს. რევოლუციური მოძრაობის შეგნებულობისა და ორგანიზებულობის შესაბამისად გლეხთა მასები ბრძოლის დაბალი ფორმებიდან თანდათანობით ვადადიოდნენ კლასობრივი ბრძოლის უფრო მაღალ ფორმებზე. სოფლად რევოლუციური ბრძოლების ძირითადი და უმაღლესი ფორმა იყო გლეხთა ორგანიზებული პოლიტიკური გამოსვლები, სადაც უშუალოდ ინიციატორისა და ხელმძღვანელის როლს მუშათა კლასი ასრულებდა. ეს გარემოება გლეხთა მოძრაობას აერთიანებდა პროლეტარიატის ბრძოლასთან და მას აძლევდა შეგნებულ, შემტევ და მასობრივ ხასიათს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. ჩიქოვანმა სესიის მონაწილეებს ვატიონ ნ. ნიკოლაძის ორი უცნობი წერილი, რომელიც ანონიმურად გამოქვეყნდა 1876 წლის თბილისურ გაზეთში „Тифлисский Вестник“ (№№ 19 და 64). ამ წერილების შესწავლამ

მომხსენებელი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ წინააღმდეგ ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდისა, თითქოს ნ. ნიკოლაძე ნაროდნიკი იყო, იგი XIX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებშიაც მტკიცე „სამოციანელია“ და მკვეთრად ემიჯნება არა რევოლუციონერებს საერთოდ, არამედ მხოლოდ რევოლუციონერ-ნაროდნიკებს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. უთურაშვილმა მოხსენებაში „საეპარო კაპიტალის შეჭრა XIX ს-ის საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ განიხილა მეურნეობის ამ დარგში საეპარო კაპიტალის მწარმოებლურ კაპიტალად გარდაქმნის პროცესი, რომელიც XIX ს-ის საქართველოში უწყვეტი ხასიათისაა და მნიშვნელოვნად ფართოვდება 60—70-იანი წლებიდან. მოხსენებაში ნაჩვენები იყო ვაჭართა მიწათმოქმედების გაფართოება. მათი მეურნეობის გაძლიერის წესების შესწავლამ მომხსენებელი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ვაჭართა მეურნეობის ორგანიზაცია უმთავრესად კაპიტალისტური ხასიათისა იყო. საქართველოს სოფელში ვაჭართა მეურნეობების მოწყობა ნიშნავდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებას, საეპარო კაპიტალის ერთი ნაწილი მწარმოებლურ კაპიტალად გარდაქმნებოდა და, მასთანამდე, ხდებოდა „კაპიტალის შედგომა ევროპეიზაცია“ (ლენინი).

\* \* \*

ეთნოგრაფიისა და სოციოლოგიის სექციაზე მოხმენილი იყო 10 მოხსენება.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. სურგულაძის მოხსენებაში „აგრარული რწმენა-წარმოდგენების ისტორიიდან“ განხილული იყო აღდგენადი და მომაკვდავი ღვთაებების საკითხი. ავტორმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ რწმენა-წარმოდგენათა ანარქული შემონახული უნდა იყოს ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაში. კერძოდ, ასეთი ბუნების არის საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ხმით ნატირღების ერთი სახეობა — მთბებღობი. ამ წარმოდგენების ნაშთები საგაზაფხულო აგრარულ დღესასწაულებშიც არის შემორჩენილი. ასევე საინტერესო მასალაა დაცული ქართულ ფოლკლორში. კერძოდ, თქმულებაში ამირანის შესახებ.

მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვეს თ. თიაურმა და ა. რობაქიძემ. თ. თიაურმა აღნიშნა, რომ ჩვენში ტოტემისტური გადმონაშთები ძირითადად სამონადირეო კულტთან არის დაკავშირებული. თუ გენეზისის თვალსაზრისით მივიღებთ ამ გადმონაშთების შესწავლას, გამოირიცხული არ არის, რომ ამან მივიყვანოს ტოტემიზმთან. ამდენად, საკითხის კლავისას, ტოტემისტური გადმონაშთების უარყოფა, ალბათ, გარკვეულ წინააღმდეგობას შეიცავს. ა. რობაქიძემ გამოთქვა მოსაზრება ზოგიერთი ცალკეული საკითხის შესახებ, როგორცაა ე. წ. ახალუხალის ინსტიტუტის გარშემო არსებული ეთნოგრაფიული მასალა საქართველოს სხვა კუთხეებიდან.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. თოფურია მ წაიკითხა მოხსენება — „სამეურნეო ნაგებობანი (საქონლის სადგომები) საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქონლის სადგომების ძირითადი აღნაგობა და შინა მოწყობილობა საქართველოში ზოგადად ერთნაირია. მათი საერთო ნიშანია საქონლის სადგომისა და საცხოვრებელი სამყოფის ერთიან კომპლექსში გაერთიანება. ქართველ მეურნეს საქონელი საოჯახო პირობებში ჰყავდა. ზოგჯერ კი პირუტყვის სადგომი წელიწადის სხვადასხვა დროის მიხედვით იცვლებოდა. ამის შესაბამისად კარტოგრაფიაზე ასახულია: 1. მსხვილფეხა საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები სოფელში და სოფლის გარეთ. 2. წვრილფეხა საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები სოფელში და სოფლის გარეთ.

მოხსენების გარშემო აზრი გამოთქვეს გ. ჩიგაიაშვილმა, ა. რობაქიძემ, ბ. გამყრელიძემ.

მ. ქანთარია მოხსენება მიემდინა სამეურნეო პერიოდების განსაზღვრის ხალხურ ხერხებს და საშუალებებს ინგუშეთში. მან წარმოადგინა დროის თვალ-აღრიცხვის ინგუშური ხალხური კალენდარი, რომელიც წინააღმდეგ საწყისეულ ეტაპზე დღეობათა კალენდრისა, აგრარულ საფუძველს ემყარებოდა. კონკრეტული ეთნოგრაფიული მასალების განხილვის შედეგად მან დაადგინა, რომ ინგუშებს ისტორიულ წარსულში არ ჰქონდათ ერთიანი სისტემატი ავტოკლავი მყოფობი უნიციფიკირებული კალენდარი. მეურნეობის წარმოების პირობები პრაქტიკულად მოითხოვდა ასტრონომიული წელიწადის განსაზღვრას, დროის თვალსა და მის სეზონებად დანაწილებას. სწორედ ამ პრაქტიკულმა გარემოებამ განაპირობა ინგუშეთში აგრარული კალენდრის მარტივი ფორმების არსებობა, რომელიც სამყაროს ავტოკლავის თაყვისებური კონცეფციიდან გამომდინარეობდა და მზის დედამინის გარშემო მოძრაობას ემყარებოდა. რელიგიურ დღეობათა კალენდარიც ამ საფუძველზე იყო ავტოკლავი.

მოსხენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. ჩიტაიამ, ა. რობაქიძემ, თ. თრიალვაძემ, თ. თრიალვაძემ შენიშნა მომხსენებელს, რომ აგრარულ-სამეურნეო კალენდრის ნაცვლად მოხსენებაში ყურადღება გამახვილებული იყო ასტრონომიულ კალენდარზე, ისინი კი ერთმანეთს არ ფარავენ. აგრარული კალენდარი განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სამეურნეო პერიოდებით და არა წელიწადის 4 დროის მიხედვით. სასურველია ეს გარემოება გათვალისწინებული იყოს შემდგომ მუშაობაში.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ბ. გამყრელიძე („თუშები სამეურნეო ყოფის ისტორიიდან“) — შეეხო თუშების მეურნეობის ძირითად დარგებს. მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით მოხსენებაში მოცემულია მეცხვარეობის განვითარების ეტაპები. დადგენილია, რომ XVI ს-ის დასაწყისიდან თუშებს კახეთის ბარის საძოვრებზე თავისუფლად გამოსვლის საშუალება ეძლევათ, რამაც ბძიგი მისცა მთაში მეცხვარეობის განვითარებას. მეცხვარეობა განსაკუთრებით აღმავლობას განიცდის XVII და XIX სს. მანძილზე, XIX საუკუნის მასალები მიხედვით იყენებენ ოჯახები, რომელთაც ცხვარი მცირე როდენობით ჰყავდათ ან სულ არ ჰყავინდათ. მაგრამ, ამავე დროს, გამოიყოფოდნენ დიდი მეცხვარეობი, რომელთაც თავის მეურნეობაში დიდძალი დაქირავებული მუშახელი ჰყავდათ დასაქმებული.

მოსხენების ირგვლივ აზრი გამოთქვეს მ. შაკალათიამ, ა. რობაქიძემ, ა. ლევიაშვილმა. მათ აღნიშნეს, რომ სასურველი იყო მომხსენებელს მეტი ადგილი დაეთმო ეთნოგრაფიული მასალებსათვის, რაც სარგებლობას მოუტანდა საკითხის სრულად წარმოჩენას.

უმცრ. მეცნ. თანამშრომლის, არქიტექტორ გ. დაკითაშვილის მოხსენება მიეძღვნა აღმოსავლეთ საქართველოს მთური საცხოვრებელი სახლის ინტერიერის შესწავლის საკითხებს. მოხსენებაში აღინიშნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთური საცხოვრებელი სახლის ინტერიერული განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს თავისი შიგა სივრცობრივი სტრუქტურით და ინტერიერის ფუნქციონალურ-გვეგმარებითი პრინციპებით. ამ პრინციპების გარკვევისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს საცხოვრებელ ნაგებობათა კლასიფიცირება და ძირითადი ტიპების დადგენა. აღსანიშნავია, რომ ეთნოგრაფიული და არქიტექტურული მასალის კომპლექსურმა გამოყენებამ შექმნა საშუალება, დადგენილიყო ფუნქციონალური ზონებისა და ჩატარებულიყო ინტერიერის მოცულობით-სივრცობრივი სტრუქტურისა და კონსტრუქციული სისტემის ანალიზი.

მოსხენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. რობაქიძემ, ი. ჭყონიამ და ჯ. რუხაძემ, ა. რობაქიძემ აღნიშნა, რომ მოხსენებაში ინტერიერის საკითხი პირველად არის განხილული პროფესიონალი არქიტექტორის მიერ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით.

ისტორიის მეცნ. კანდიდატის ნ. აბესაძის მოხსენება — „სარწყავი მიწათმოქმედების ასახვა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ატლასში“ — ეხებოდა საქართველოში სარწყავი მიწათმოქმედების მარჯვენა მონაცემების რუკაზე დატანისა და მისი ასახვის პრინციპებს, ასევე თვით რუკის ქრონოლოგიის თარიღს. ნაწილები იყო, რომ ტიპოლოგიის ერთ-ერთ საფუძვლად აღებულია მეურნეობის ამა თუ იმ გარკვეულ ფორმასთან დაკავშირებული რწყვა. ამ ტიპოლოგიის საფუძველზე რუკაზე ასახულია მეურნეობის სხვადასხვა დარგებთან (მემინდვრეობა, მევენახეობა, მებაღეობა, ტერასული და სათიბი მეურნეობა) დაკავშირებული რწყვა. შესაბამის საატლასო ტექსტში ასახულია საქართველოს ცალკეული კუთხეებისათვის (ქართლ-კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი, კოლხეთი, სვანეთი) დამახასიათებელი რწყვის თავისებურებისა და ხალხური ხერხების სპეციფიკა. რუკაზე კი ასახულია სარწყავი მიწათმოქმედების გავრცელება საქართველოში, მისი სიმძირე და ინტენსიობა.

მოსხენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ლევიაშვილმა, ა. რობაქიძემ, ჯ. სონდულაშვილმა.

რამდენიმე მოხსენება მიეძღვნა სოციოლოგიური კვლევის საკითხებს. ისტ. მეცნ. კანდიდატმა მ. ბეჟაიამ წაითხა მოხსენება თემაზე — „ოჯახის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლის ზოგიერთი ასპექტი (თბილისის მაგალითზე)“, რომელიც შეეხო განქორწინების საკითხს. მოხსენების საფუძველს წარმოადგენდა როგორც კონკრეტული დოკუმენტური მასალა (სტატისტიკის, სახალხო სასამართლოების საარქივო მონაცემები), ასევე განქორწინებულებთან ჩატარებული ზეპირი ინტერვიუს მონაცემები. კონკრეტული მასალა მომხსენებელმა გააანალიზა ოჯახის სოციოლოგიური შესწავლის თეორიული საკითხების ფონზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო განქორწინების რეალური მიზეზების დადგენასა და მათ კლასიფიკაციას.

ისტორიის მეცნ. კანდიდატების ტ. კინკაძისა და ა. კაცაძის მოხსენებები მიემდინა წითელწყაროს რაიონის სოციალური განვითარების პერსპექტიული გეგმის (1976—1990) შედგენის სამუშაოებს, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად სრულდება. სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად გეგმის შედგენაში მონაწილეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

ტ. კინკაძის მოხსენება—„მასალები სოფლის მეურნეობის მუშათა კადრების მომზადების სოციალური ასპექტების პროგნოზირებისათვის“, დაუკავშირდა წითელი წყაროს რაიონის ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისა და პროფესიული დაოსტატების კონკრეტულ-სოციოლოგიურ შესწავლას. მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მერვეკლასელთა პროფესიული ორიენტაციისა და სოფ. ჯაფარიძის პროფტექნიკური სასწავლებლის სტრუქტურასა და მისი ოპტიმიზაციის საკითხებს; წამოაყენა პრაქტიკული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

ა. კაცაძის მოხსენება „სოციალური განვითარების რეგიონალური დაგეგმვა და სოციალური დემოგრაფიის საკითხები“ შეეხებოდა წითელი წყაროს რაიონისა და მისი ზონებისათვის დამახასიათებელ დემოგრაფიულ სიტუაციას, დემოგრაფიული ქცევის ბუნებასა და ტენდენციებს, მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ფორმებსა და მოტივებს. აგრეთვე იმ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია რეგიონის სოციალურ-ეკონომიური ფუნქციონირებისა და დემოგრაფიული პროცესების ურთიერთდამოკიდებულებისათვის. მოხსენებას საფუძვლად დაედო კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის შედეგები.

პროფ. მ. გეგეშიძის მოხსენებაში „სვანური კოშკის ფუნქციის საკითხისათვის“ წამოყენებული იყო ახალი თვალსაზრისი სვანური კოშკის ძირითად ფუნქციასთან დაკავშირებით. რაც კერძოდ, ეკოლოგიურ, ადამიანის ბუნებასთან დამოკიდებულების კონცეფციას დაუკავშირა. მოხსენებლის აზრით, სვანური კოშკი უნდა იყოს ბუნებრივი სტიქიის—უსწვთოვლიანობისა და ზვავებისაგან თავდაცვის საჭიროებით შექმნილი ნაგებობა. სვანური კოშკის ძირითად ფუნქციად, მომხსენებლის აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ გვაროვნული შუღლისაგან, ან გარეშე მტრისაგან თავდაცვა.

კამათში გამოსულებმა ჯ. ოდიშელმა, ვ. ითონიშვილმა, თ. ბერაძემ, გ. ვასციანმა, ნ. სტურუამ არ გაიზიარეს მომხსენებლის მიერ წამოყენებული მოსაზრება, მათ არაღამა-ჯერებლად მიიჩნიეს სვანური კოშკის წარმოქმნაში ზვავსაწინააღმდეგო ფუნქციის როლი.

ამვე მოხსენების გამო კამათში გამოსულმა გ. ჩიტაიამ და ი. ჭყონიამ აღნიშნეს, რომ საკმაოდ რთულია იმ თვალდაპირველ მიზეზების ვარკვევა, რამაც დასაბამი მისცა სვანური კოშკების მასობრივად მშენებლობას. მათივე აზრით, ეს არც ხელალებით შეიძლება გვაროვნული შუღლის არსებობას დაუკავშიროთ, და არც მხოლოდ ეკოლოგიურს. საყურადღებოა, რომ მომხსენებელმა კვლევაში შემოიტანა ახალი ასპექტი, რომელიც შემდგომ კვლევას საჭიროებს.

ლიანა ბერიაშვილი

თინო ორჯონიძე

## საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლა-გამოცემა ყოველთვის ჯეროვანი ყურადღებით სარგებლობდა ჩვენში. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საკუთრივ ქართული საისტორიო ძეგლების კვლევას, რადგან ქართული ნარატიული, დოკუმენტური და ეპიგრაფიკული წყაროები შეიცავენ ყველაზე სრულ ინფორმაციას ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ; ძირითადად მათ საფუძველზე ხდება შესაძლებელი შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიის აღდგენა.

ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო. კერძოდ, აღსანიშნავია მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, დ. ბაქრაძის,

ე. თაყაიშვილის, თ. უორდანიას, ალ. ხახანაშვილის ღვაწლი ამ საქმეში, რევოლუციის შემდეგ არაერთი მნიშვნელოვანი წყარო გამოქვეყნდა (ივ. ჯავახიშვილი, ს. კაკაბაძე, ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ქ. შარაშიძე, ი. დოლიძე, ლ. მუსხელიშვილი და სხვ.), დაიწერა და გამოიცა აგრეთვე არაერთი გამოკვლევა, რომლებშიც მოცემულია ქართული საისტორიო ძეგლების წყაროთმცოდნეობითი და ტექსტობრივი ანალიზი.

ამ გამოცემებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართული წყაროთმცოდნეობის, არქეოგრაფიისა და ტექსტოლოგიის განვითარების საქმეში და შესაძლებელი გახადეს ფართო ისტორიული კვლევა-ძიების გაშლა. მაგრამ ამავე დროს უკანასკნელ წლებში საგრძნობი გახდა, რომ საქართველოს ისტორიის წყაროების პუბლიკაციის საქმე ჩამორჩებოდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ამას წინათ სავანეებოდ იმსჯელა საქართველოს ისტორიის წყაროთა შესწავლისა და გამოცემის მდგომარეობაზე და აღნიშნა ამ დარგში არსებული ნაკლოვანებანი. კერძოდ, პრეზიდიუმის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი წყაროს სრული ტექსტი ჯერაც არ არის გამოქვეყნებული, ხოლო ზოგიერთის პუბლიკაცია მოძველდა ან ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. გამრავლდა გამოცემები მეცნიერული კომენტარების გარეშე, სათანადო გამოკვლევისა და სამეცნიერო აპარატის დაურთველად. სათანადოდ არ არის შესწავლილი ძველი ქართველი ისტორიკოსების ენა; ცოტაა მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქართველოლოგი-ტექსტოლოგები. არ არსებობს საქართველოს ისტორიის წყაროების გამოცემის ერთიანი, პერსპექტიული გეგმა.

საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლისა და გამოცემის ხელმძღვანელობისა და სამუშაოთა კოორდინირებისათვის მთელი რესპუბლიკის მასშტაბით, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, რომელშიც შევიდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — წყაროთმცოდნენი, ტექსტოლოგები, არქეოგრაფები. კომისიის თავმჯდომარეა აკად. შ. ძიძიგური, მოადგილეები აკად. გ. მელიქიშვილი და აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ე. მეტრეველი, კომისიის წევრები არიან აკადემიკოსები — ა. ბარამიძე, თ. გამყრელიძე, ი. დოლიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ს. ჯიქია, აკად. წევრ-კორესპონდენტები ვ. ვაბაშვილი, ა. სურგულაძე, მეცნ. დოქტორები — კ. გრიგოლია, მ. დუმბაძე, მ. ლორთქიფანიძე, ვ. ფანჩიძე, ე. ხოშტარია, მეცნ. კანდიდატები — ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე, მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, ლ. -ნ. ჯანაშია, სწავლული მდივანი — მ. აბაშიძე.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად, საისტორიო წყაროების მეცნიერულად დადგენილი ტექსტების პუბლიკაცია უნდა განხორციელდეს შემდეგი სერიების მიხედვით: **1.** ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები — ქართული ტექსტები (სერიის ხელმძღვანელი ვ. ვაბაშვილი); **2.** ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები რუსული თარგმანები (სერიის ხელმძღვანელი რ. კიკნაძე); **3.** ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები (სერიის ხელმძღვანელი ზ. ალექსიძე); **4.** საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები (სერიის ხელმძღვანელი ს. ყაუხჩიშვილი); **5.** ქართული საისტორიო საბუთების კორპუსი (სერიის ხელმძღვანელი ე. ხოშტარია); **6.** ქართული სამართლის ძეგლები (სერიის ხელმძღვანელი

ლი ი. დოლიძე); 7. ძველი ქართული თარგმნითი ძეგლები (სერიის ხელმძღვანელი ე. მეტრეველი).

კომისიამ შექმნა სექციები, რომლებიც უშუალო ხელმძღვანელობას გაუწევინ ცალკეულ სერიებს. სექციები უკვე შეუდგნენ საქმიანობას, შეადგინეს პერსპექტიული და სამუშაო გეგმები, მიმდინარეობს წყაროების სამეცნიერო-კრიტიკული ტექსტების დადგენისა და გამოცემის წესების დაზუსტება.

სექციების განაცხადების საფუძველზე შედგა 1976—1990 წწ. პერსპექტიული გეგმა. დასახულია საქართველოს ისტორიის წყაროების შესწავლისა და გამოცემის ფართო პროგრამა.

სერიით „ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები“ — გამოიცემა როგორც „ქართლის ცხოვრებაში“ შესული, ისე დამოუკიდებლად არსებული საისტორიო თხზულებების ტექსტები ცალ-ცალკე, ვრცელი გამოკვლევით და სრული სამეცნიერო აპარატით (კომენტარები, შენიშვნები, ლექსიკონები, საძიებლები). აღსანიშნავია, რომ სწორედ ამგვარად ჰქონდა დაგეგმილი ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლების პუბლიკაცია დიდ ქართველ მეცნიერს აკად. ივანე ჯავახიშვილს.

ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნას კარგა ხნის ისტორია აქვს. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით გამოჩენილ მეცნიერებს თ. ყორღანიას, მ. ჯანაშვილს, ნ. მარს, ე. თაყაიშვილს, კ. კეკელიძეს, ვ. დონდუას. ამგვარ მხედველი ქართული საისტორიო თხზულება ჯერაც არ არის თარგმნილი რუსულად. პრეზიდენტის დადგენილების თანახმად, ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსული თარგმანების გამოსაცემად შეიქმნა ცალკე სერია. უკვე მიმდინარეობს მუშაობა არაერთი პირველხარისხოვანი თხზულების თარგმანზე (ლეონტი მროველი; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ფ. გორგიჯანიძე, ე. წ. „პარიზის ქრონიკა“, პაპუნა ორბელიანი და სხვ.). გამოიცემა აგრეთვე ქართული ისტორიული დოკუმენტებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების კრებულები რუსულ ენაზე. ქართული საისტორიო წყაროების რუსულად თარგმნა და გამოცემა უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს მათ კიდევ უფრო ღრმად შესწავლას და მნიშვნელოვნად გაზრდის ამ წყაროთა გამოყენების არეალს. ამავე სერიით განხორციელდება მომავალში ქართულ საისტორიო წყაროთა თარგმანები დასავლეთევროპულ ენებზე.

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კორპუსის გამოცემა რამდენიმე სერიად ივარაუდება. გამოქვეყნდება საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ყველა სახის და ყველაენოვანი წარწერების კორპუსები. შეიქმნება ერთი ტომი, რომელშიც თავმოყრილი იქნება საქართველოს საზღვრებს გარეთ (ჩრდ. კავკასია, სომხეთი, აზერბაიჯანი, ქართული სამონასტრო კომპლექსები უცხოეთში და ა. შ.) დაცული ყველა სახის წარწერები. კორპუსების ყოველ ტომს დაერთვის წარწერათა მონახაზები, ფოტოები, საძიებლები (პირთა, გეოგრაფიული, საგანთა და ტერმინთა) და წარწერათა რუკა.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიას სერიის სახით შეუერთდა ჩვენი სამეცნიერო წრეებისათვის უკვე კარგად ცნობილი „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია“, რომელსაც დაარსებიდან დღემდე გამოცემული აქვს 40 დასახელების წყარო სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევით.

უცხოური წყაროების სერიას არსებობის ხანგრძლივი ისტორია და პუბლიკაციის საქმეში მდიდარი გამოცდილება აქვს, იგი აქვეყნებს არა მარტო

უცხოური წყაროების ქართულ თარგმანებს, არამედ ხშირად კრიტიკულად დადგენილ ტექსტებსაც, რითაც გარკვეული წვლილი შეაქვს არამენოლოგიის, არაბისტიკის, ირანისტიკის, ბიზანტინოლოგიის, თურქოლოგიისა თუ სხვა დარგების განვითარებაში.

ქართული საისტორიო საბუთების კორპუსის სერიით გამოქვეყნდება სსრ კავშირის და საზღვარგარეთის არქივებში დაცული IX—XVIII სს. ყველა ქართული საისტორიო დოკუმენტი. უკვე წარმოებაშია კორპუსის პირველი ტომის პირველი ნაკვეთი, რომელშიც შეტანილია X—XIII საუკუნეთა ქართული ისტორიული საბუთები.

გაგრძელდება აგრეთვე ქართული სამართლის ძეგლთა მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტების პუბლიკაცია სათანადო გამოკვლევებითა და სამეცნიერო აპარატით.

ძველი ქართული თარგმნითი ძეგლების სერიით გამოქვეყნდება ჩვენი ძველი მწიგნობრების მიერ ბერძნული, სომხური, სპარსული, თურქული და სხვა ენებიდან თარგმნილი საისტორიო თხზულებები.

პრეზიდიუმის დადგენილებაში გამახვილებულია ყურადღება ახალგაზრდა წყაროთმცოდნე სპეციალისტთა მომზადებაზე. კერძოდ, პრეზიდიუმმა დაავალა საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ენისა და ლიტერატურის განყოფილებებში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებებს, უახლოესი ხუთი-ათი წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდა წყაროთმცოდნე სპეციალისტთა, ტექსტოლოგების, არქეოგრაფების მომზადებას.

მელა აბაშიძე

## საკავშირო სამეცნიერო კონფერანსია ლენინგრადში

1975 წლის 10—12 მარტს ლენინგრადში ჩატარდა ხალხური მედიცინის ეთნოგრაფიული ასპექტების შესწავლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

კონფერენცია მუშაობდა 4 სექციად: 1. პალეომედიცინა და ადრეკლასობრივი ეთნოსების მედიცინა; 2. აღმოსავლური მედიცინა; 3. ევროპისა და კავკასიის ხალხების მედიცინა; 4. სამედიცინო მცენარეები ხალხურ მედიცინაში. კონფერენციის პირველ და უკანასკნელ დღეს გაიმართა პლენარული სხდომები. კონფერენცია გახსნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა ი. ბრომლიმ, რომელმაც ილაპარაკა ხალხური მედიცინის, როგორც ტრადიციულ-საყოფაცხოვრებო კულტურის ერთ-ერთი კომპონენტის მნიშვნელობაზე, რაც ეთნოგრაფიული მეცნიერების შესწავლის საგანს წარმოადგენს.

ასეთი შესწავლის ერთ-ერთი ამოცანაა ხალხური მედიცინისა და ტრადიციულ-საყოფაცხოვრებო კულტურის სხვა კომპონენტების: რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი, მა-

ტერიალური კულტურა და სხვა ურთიერთკავშირის დადგენა. ეთნოგრაფიული შესწავლა ხალხური მედიცინისა და თანამედროვე მედიცინასთან მისი შედარება საშუალებას მოგვცემს გავარჩიოთ ხალხური მედიცინის რაციონალური მხარეები.

პლენარულ სხდომაზე შეჯამდა კონფერენციის შედეგები, მიღებულ იქნა რეზოლუცია.

პროგრამის გარეშე მოხენილ იყო ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის კათედრის პროფესორის სულა ბენეტის მოხსენება — „ხალხური მედიცინის შესწავლის მეთოდების შესახებ აშშ-ში“, რომელმაც მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

მასალის სიმდიდრის მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მოხსენებები: „ალექსანდრე ხალხური მედიცინა“ — მომხსენებელი რ. ლიაუნოვა; „ტაჯიკეთის ხალხური მედიცინა“ — ნ. ს. ერშოვი; „ერაყის ქურთების ხალხური მედიცინა“ — ხ. არიფი და ტ. არისტოვა.

რამდენიმე მოხსენება ეძღვნებოდა ტიბეტის მედიცინას: „ტიბეტის მედიცინა და მი-

სი სამკურნალო საშუალებანი“ — ე. ბლინოვა: „ტიბეტის უძველესი ქირურგიული ინსტრუმენტები“ — ე. ბაზაროვი და სხვ. ამ მოხსენებებში ხაზი იყო გასმული ტიბეტის მედიცინის მაღალ დონეზე, მის რაციონალურობაზე და მისი შესწავლის აუცილებლობაზე.

ვ. მერკულოვას მოხსენებაში — „დაავადებათა სახელწოდებანი რუსულ ენაში“, გამოთქმული იყო აზრი, რომ დაავადებათა ხალხური სახელწოდებანი გამოხატავენ დაავადებათა ამა თუ იმ გარეგნულ ნიშნებს და ავადმყოფობის სუბიექტურ შეგრძნებებს.

ა. შრეტერი — ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მასალის გამოყენება ახალი სამკურნალო მცენარეების საძიებლად“ — დღის წესრიგში დააყენა ხალხური მედიცინის მონაპოვარის შესწავლის აუცილებლობა — მათი რაციონალური გამოყენების მიზნით.

მესამე სექციაზე — ევროპისა და კავკასიის ხალხების მედიცინა მოსმენილ იქნა სამი მოხსენება საქართველოდან: 1. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ი. ქუჩიშვილისა — „ფეოდალური ეპოქის ქართული ხელნაწერები, როგორც ხალხური მედიცინის შესწავლის წყარო“, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ხალხური სამედიცინო ცოდნა თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა, ბოლოს შეიქმნა აუცილებლობა ამ ცოდნის ჩაწერისა და სწორედ ამ ჩანაწერმა მასალამ უპირველეს ყოვლისა თავისი ასახვა უძველეს ქართულ სამედიცინო ძეგლებში ჰპოვა, ასეთი იყო „უსწორო კარაბადინი“ XI ს., „წიგნი სააქიმოა“ XIII ს., სამკურნალო წიგნი XV ს., „იადიგარ დაუდი“ XVI ს., სადაც ასახულია ხალხური მკურნალობის საშუალებანი, სახეები და მეთოდები. ყოველივე ზემოხსენებულთან ავტორი ასკვნის, რომ ფეოდალური ეპოქის ქართული სამედიცინო ხელნაწერები ქართული ხალხური მედიცინის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მოსმენილ იქნა, აგრეთვე, საქართველოს დია ცის ქვეშ მუზეუმის თანამშრომლის — ეთნოგრაფის ლ. ბესელიას მოხსენება — „ქართული ჰიგიენა და კოსმეტია“.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხალხურ ყოფაში ახლაც შემონახულია ხალხური ჰიგიენისა და კოსმეტის ისეთი თვითმყოფადი საშუალებანი, რომლებიც ჩაი-

სახა შორეულ წარსულში, ასეთია მასაჟი, სხეულის, სახის, თმების მოვლა და სხვ. ხალხურ კოსმეტიაში დღემდე შემონახულია ზედმეტი თმანაობის, კორფლის ნაოქების საწინააღმდეგო საშუალებანი. ჰიგიენისა და კოსმეტის საშუალებანი, რომელიც ჩამოყალიბდა მრავალ საუკუნეთა მანძილზე, ასახავს ქართველი ხალხის კულტურას, მხატვრულ გემოვნებასა და ფიზიკური სილამაზის იდეალს.

მოსმენილ იქნა, აგრეთვე, ისტორიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის ნ. მინდაძის მოხსენება — „ფსიქონერვულ დაავადებათა ხალხური მკურნალობის საშუალებანი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, რადგან ხალხისათვის სრულიად უცნობი იყო ფსიქონერვულ დაავადებათა რეალური მიზეზები, ამიტომ ეს დაავადებანი დაუკავშირეს ბოროტ ძალებს, ავსულებს, რომლებიც ეუფლებიან ადამიანის სხეულს და მოქმედებენ მათ ფსიქიაზე. ბოროტი ძალების საწინააღმდეგოდ გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის მაგიურ-რელიგიური საშუალებანი: ცეცხლი, რკინა და სხვ. საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში ფსიქონერვული დაავადებით დაავადებულნი ხატში ვაჟავდათ, სრულდებოდა ქალის „დაკოქვისა“ და მამაკაცის „განათლისა“ რიტუალი, რაც ბოროტი ძალების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. ფსიქონერვულ დაავადებათა ასეთი სახის მკურნალობაში რაციონალურად უნდა ჩაითვალოს შთავიგების მეთოდი, რომელიც საკმაოდ ეფექტურად მოქმედებდა მორწმუნე ადამიანებზე.

მომხსენებები დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და სათანადოდ შეფასდა.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლუციაში, აღინიშნა, რომ ასეთი სახის კონფერენციები უნდა ჩატარდეს ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო სიმპოზიუმები უფრო ხშირად წელიწადში ერთხელ მიანიც, დაადგინეს რათა უფრო ღრმად იქნეს შესწავლილი ხალხური მედიცინა, საჭიროა მოეწყოს კომპლექსური ექსპედიციები, სადაც გაერთიანებული იქნებიან როგორც ექიმები, ასევე ეთნოგრაფები და ენათმეცნიერები.

## თამარ ბივაძე

მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისთავის გამო

(რუსული საარქივო მასალების მიხედვით)

1975 წლის მარტსა და ივლისში 350 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მარტყოფის ველზე და მარაბდასთან თავგანწირულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველმა ხალხმა ერთხელ კიდევ დაუმტკიცა შაჰ აბას პირველს თავისი უძლეველობა. გარემომცველ მაჰმადიანურ სამყაროსთან ქართველთა მრავალწლიანი ჭიდილი ყოველთვის მეზობელ ხალხთა ყურადღების ცენტრში იყო და სცდებოდა საქართველოს საზღვრებს. ამიტომაცაა, რომ ქართველი ხალხის ცხოვრების მთელმა რიგმა ფაქტებმა უხვად ჰპოვეს ასახვა უცხოენოვან წყაროებში, რომელთა შორის რუსულ საარქივო მასალას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

XVI ს-ის 80-იანი წლებიდან, რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს მიერ საქართველოსა და ირანთან მჭიდრო დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდეგ, მოსკოვის საელჩო პრიკაზში თანდათან დაგროვდა საჭირო ცნობები სამხრეთში მცხოვრები ხალხების, მათ შორის ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ქართველების შესახებ. რუსეთის დიპლომატიას აინტერესებდა ყოველივე ის, რასაც შეიძლება სასარგებლო დახმარება გაეწია მისთვის მახლობელ აღმოსავლეთში სწორი პოლიტიკური და ეკონომიური კურსის გატარებაში.

მოსკოვის, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოების, მთავრობას საჭირო ინფორმაციის მიღების მრავალი წყარო და საშუალება გააჩნდა. ძირითადად მასალა გროვდებოდა რუსეთიდან მეზობელ სახელმწიფოებში გაგზავნილი ელჩების, შიკრიკების, ვაჭრების, მსტოვრების, მოგზაურ-მლოცველების და რუსეთში ჩასული უცხოელების დაკითხვის შედეგად. ამიტომ არის, რომ ამჟამად მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, სადაც საელჩო პრიკაზის მთელი დოკუმენტაციაა დაცული, დიდძალ საინტერესო მასალას ვხვდებით XVII ს-ის საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ საკითხის შესავსებად და დასაუხსტებლად. აქ თავმოყრილია თვითმხილველთა და თანამედროვეთა მიერ საელჩო პრიკაზისათვის მიწოდებული ცნობები, რომელთა უმრავლესობა ნდობას იმსახურებს.

დოკუმენტი, რომელზედაც ამჟერად გვინდა ყურადღება შევაჩეროთ, საინტერესოა არა მარტო იმ მხრივ, რომ იგი ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებს მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების შესახებ, არამედ უფრო იმით, რომ სწორედ არსებულ წყაროებთან რუსული საარქივო მასალის თანხვედრა ხაზს უსვამს ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების გაშუქებისათვის.

ქვევით მოყვანილი წერილი წარმოადგენს ასტრახანის ვოევოდა პ. გოლოვინის მიერ 1625 წლის შემოდგომაზე მოსკოვში გაგზავნილ ანგარიშს, რო-

მელიც ასტრახანელმა თომა ტრეტიაკოვმა საელჩო პრიკაზში იმავე წლის 5 დეკემბერს წარადგინა. წერილში გადმოცემულია ის ცნობები, რომლებიც 1625 წლის აგვისტო-სექტემბერში მიიღო ვოევოდას კანცელარიამ ასტრახანში ჩასული ტყვედნამყოფი რუსის, ვასკა ავდეევის, სომეხი ვაჭრის ივანის როჯაევისა და ყაზახელი ვაჭრის ალექსი (ალიოშკა) მილნიკოვისაგან. მათი ინფორმაცია ერთ და იმავე საკითხს ეხება — ოსმალეთში მომხდარ შინააშლილობას, ოსმალეთ-ირან-საქართველოს ურთიერთობებსა და მარტყოფ-მარაბდის ბრძოლებს. ქვევით მოგვყავს როგორც პ. გოლოვინის წერილის ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანი, ისე რუსული დოკუმენტის ტექსტი, რომელიც დაცულია მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივის (ძაცსა) № 141 ფონდის 1626 წლის № 35 საქმეში. ტექსტი მოგვყავს მცირე ლინგვისტური ხასიათის ცვლილებებით. ქართული თარგმანის ლეგენდა და კომენტარები შედგენილია ჩვენ მიერ.

1626 г. декабрь, № 35 = Отписки из Астрахани от Петра Петровича Головина с товарищи о допросных речах явшасяся из Турецкой земли из полону сына боярского Андрея (sic) Авдеева о персидских и турецких движениях

Государю царю и великому князю Михаилу Федоровичу всеа Русии холопи твои Петрушка Головин, Олешка Зубов, Сенка Самсонов челом бьют: в прошлом, государь, во 133-м (1625) году, августа в 16 день приехал в Астрахан с Терка на твоей государеве терской запасной бусе полоненик одоевец сын боярской Васка Авдеев, а в роспросе нам, холопам твоим, сказал: тому де, государь, девятой год, взяли ево в полон под Крапивною ногайские татаровя Казыева улуса, и приведчи в Азов, предали в турскую землю. И жил де, государь, он в турецком в Енгуре городе у турецкого сотника стрелецкого сем лет. И тому де, государь, шесте четвертой год в Царьгороде турецкого Усман Солтана янычаря убили за то, что он янычарем жалования не давал, а как де Усман Солтан с ратными людьми ходил против литовского королевича, и в те де, государь, поры у ево Усман Солтанова двора шатры и лошади литовские люди поимали и Усман Солтан пришел к себе в Царьгород многих испагав и янычар велел казнить за то, что то учинилос от литовских людей ево ратных людей // небереженем и нераденем. И после де, государь, того как Усман Солтана янычаря убили, турецкой Абаза паша собрав турецких всяких охочих волных людей тысяч с пятнатцат, учел воеват турецкие города. И взял де турецких городов з дватцать. И янычар побивал за то, что они Усман Солтана убили. И после де, государь, Усман Солтана выбрали было турецкие люди на царство Усман Солтанова дядю Мустофу Солтана. И Мустафа де, государь, Солтан на царстве быт не похотел и турецкие де люди выбрали на царство Мурат Султана, Мустофы Султана племянника. И в прошлом де, государь, во 132-м (1624), в осен, турецкой Мурат Султан послал вязира, а как того вязира зовут, про то сказал, не ведает, а с ним ратных турецких людей тысяч с сорок, а велел тому вязиру с ратными людьми итти на Абазу пашу. И тот де, государь, турецкой вязир с ратными людьми Абазу пашу шол под турецким Кайсыром городом. И с Абазою пашею был у него бой, и на том де, государь, бою турецкой вязир Абазу пашу побил. И с того де, государь, бою Абаза паша грибежал в турецкой ж в Ызрум город, которой стоит на рубеже от Кизыл — // башской земли. А турецкой вязир с ратными людьми пошел в турецкой город в Токат. И в прошлом де, государь, во 133-м году, на весие кизылбашской шах присылал в Ызрум к Абазе паше послов своих, а ково



имянем, того не ведает, а с ними прислал к Абазе паше в дарах дватцат шесть аргамаков да дватцат верьблюдов, а приказывал де шах к Абазе паше с теми послы, чтобы он, Абаза паша был под ево шаховою рукою и ему, шаху, служил, а он де, шах, учнет ево жаловат. И Абаза де паша к шаху с послы ево приказал: будет ему турецкой Усман Султан (sic) большого вязирства на даст, и он, де Абаза паша к турецкому к Мурат Султану в Царь — // город не поедет, а учинитца под шаховою рукою и шаху служит учнет. А турецкой де, государь, Мурат Султан к Абазе паше прислал людей своих, а с ними к нему приказывал, чтоб он, Абаза паша, ехал к нему, к Мурат Султану в Царьгород, и ему служил по прежнему. И Абаза де паша к турецкому Мурат Султану с теми ево людьми приказал: будет он, Мурат Султан, пожалует ево, Абазу пашу, большим вязирством, и он де к нему, к Мурат Султану, в Царьгород не едет. Да он же де, государь, Васка слышел в Турском в Изруме городе от турецких людей в розговоре, что де, государь, сево лета, на весне, пришли Чорным морем во штидескты стругех запороских черкас и донских казаков тысячи с две и взяли де, государь турецкие города Трапизон и иных турецких городов с пят. //

Да в прошлом же де, государь, во 133-м (1625) году посылал кизылбашской шах войною на Грузинскую землю ратных своих людей с Карчагою ханом да с шемахейским с Ысуп ханом. И тех де, государь, шаховых Карчагу хана и Исуп хана грузинцы побили, а с ними побили шаховых ратных людей сем тысячь. И после де, государь, того кизылбашской шах посылал вдругоряд войною в Грузинскую ж землю Курчибаша хана да шемахейскова Казак хана с ратными людьми, а сколько было шаховых ратных людей с теми ханы, того не ведает. И тому де, государь, недель с шесть как он, Васка, был в Шемахе и в те де, государь, поры слышел он от шаховых ратных людей, которые были в походе в Грузинской земле с шемахейским // Казак ханом, что де, государь, в Грузинской земле, грузинских ратных людей грузинской воевода Маврав собрався с грузинскими ратными людьми шаховых ратных людей побили и Курчибаша хана ранили из лука по голове, а достальные де, государь, шаховы ратные люди из Грузинской земли прибежали в шахову землю. А шемахейской де Казак хан из Грузинские земли в Шамаху не бывал, а где он ныне, про то не ведает. А опроче де, государь, грузинских людей у шаха войны нискем нет. А с литовским де королем у турецкого царя войны нет, а миру нет же. А как де, государь, он, Васка, был в Шемахе, и в те де поры слышел он от шемахейских людей, что шах в своей земле, а в котором городе, про то не ведает, а хочет де шах сам итти вскоре с ратными людьми на Грузинскую землю. А турецкие, де, государь, люди збираютца с вязиром в турском Едиребеке городе, а хотят итти сее осени, очищат свой турецкой город Багдат, которой у них взял шах. Да августа ж, государь в 17 день приехал в Астарахан с Терки шаховы области армении Иванис Роджаев, а в роспросе нам, холопом сказал: тому де, государь после — // ми недели поехал он ис Шемахи в Астарахан, а шах де в те поры был в своей земле в Казбине городе, и с Казбина хотел быт в Ардевил. И в прошлом же де, государь, во 133-м (1625) году на весне послал шах войною на Грузинскую землю Карчагу хана да шемахейского Исуп хана с ратными людьми. Да с теми ж де, государь, шаховыми ратными людьми от шаха послан был грузинец Маврав босурманеной. И тому де, государь, грузинцу Мавраву приказал шах: будучи в Грузинской земле с Карчагою ханом и с Ысуп ханом, которые грузинские люди ему, шаху, противны не будут, а учнут ему служить правдою, и тех грузинских людей дарит и уговариват, что б они шаху служили правдою, а которые де, государь, грузинские земли люди шаху служить не похотят,

и тех бы де, государь, побиват. И грузинец де, государь, Маврав со-  
 лався тайно з грузинскими людьми шаховых Карчагу хана и Исуп хана  
 побили, да с ними же шаховых ратных людей побили с полтораста (sic)  
 человек. И после де того вскоре кизылбашской шах послал в Грузинскую  
 землю своих ратных многих людей с Курчибашием ханом // да с шема-  
 хейским Казак ханом и у тех де, государь, шаховых ратных людей в  
 Грузинской земле з грузинскими людьми был бой и на том де, государь,  
 бою кизылбашские ратные люди грузинцов многих людей побили и взяли  
 тысячу человек живых. И из Грузинские де, государь, земли шаховы рат-  
 ные люди пришли в шахову землю. Да тому де, государь, ныне осмат-  
 цать недель ис шаховы земли ездил он Иванис в турской город Изрум  
 с товаром и жил в Изруме четыре недели. И при нем де, государь, в  
 турском Изруме городе был турской Абаза паша, а с ним ратных турецких  
 людей тысячь з десят. И к Абазе де, государь, паше в дарех прислал  
 кизылбашской шах с людьми своими дватцат сем лошадей, коней и ино-  
 ходцев, да дватцат семь верблюдов, а с людьми де, государь, своими шах  
 Абазе паше приказывал, чтоб он, Абаза паша ему, шаху, и ево//земле  
 лиха никакова не хотел и не думал, а был бы с ним, с шахом в дружбе  
 и в любви и в совете. А чаёт де, государь, он, Иванис, что Абазе паше  
 к турецкому салтану в Царьгород не езживать потому, что Абаза паша мет  
 кров турецкова Усман Султана, побил турецких испагов и янычан тысячь с  
 трицат, а чаёт де, государь, он, Иванис, что Абазе паше быть в Кизыл-  
 башки к шаху. Да он же де, государь, Иванис, будучи в турском в Ызру-  
 ме городе слышел в разговоре от торговых людей от армени, которые  
 приехали в Ызрум ис турецких городов ис Карамана и ис Царягорода, что  
 де, государь, в прошлом, во 133-м (1625) году зимою, турецкого Мурат  
 Салтана служивой человек греченин, Джаннал Ренсов собрал волных  
 ратных людей гречен и армени // и турчан тысячь с сорок и от турецкого  
 Мурат Солтана отложился и турецких людей побивает. Да от тех же де,  
 государь, приезжих торговых людей от армени слышел он, Иваниско, в  
 Изруме, что де, государь, в прошлом во 133-м (1625) году, в марте ме-  
 сяце, приходили Чорным морем за полдница до Царягорода запороских  
 черкас и донских казаков в трехсот стругах многие люди, и взяли и виж-  
 гли турецких три села: Кобу, Евчиной и Фанар, да после того пришед  
 взяли турецкой Трапизон город да город Синоп да город Уния. А с ли-  
 товским де, государь, королем турецкой салтан не в миру, а войны нет,  
 а крымской де, государь, Мамет Гирей царь и Шан Гирей царевич с  
 литовским королем в миру. Шан Гирея де, государь, литовский король  
 назвал сыном, а Шан Гирей литовского короля назвал отцом. А опроче  
 де, государь, грузинских // людей у шаха ни с кем войны нет. Да сен-  
 тября ж, государь, в 21 день приехал в Астрахан из за моря ис Кизыл-  
 баш на шахове корабле казанец торговой человек Олешка Мыльников, а  
 в роспросе, государь, нам холопом твоим, сказал: тому де, государь, три  
 недели поехал он, Олешка, ис Шемахи в Астарахан с товаром, а шах де  
 в те поры был в городе в Салтане, а ханы де, государь, шахови Курчи-  
 баш хан да шамахейской Казак хан с ратными людьми стоят под Гру-  
 зиями, а сколко шаховых ратных и сколко в зборе грузинских людей,  
 того де, государь, он не ведаёт. И у шаховых ратных людей з грузин-  
 скими людьми был бой, и на том де, государь, бою ниhto никово // не  
 осилел, а грузинской де Темиряз царевич да воевода Маврав з грузин-  
 скими ратными людьми собрався стоят в горах в крепких местах, а тур-  
 ские де, государь, людьми з грузинскими людьми естли или нет, того де, го-  
 сударь, он не ведаёт. И опроче де, государь, грузинских людей, у шаха  
 никсторными государствы войны нет.//.

Помета на обороте ѿ подаче: «Государю, царю и великому князю Михаилу Федоровичю всеа Русии, 134- (133-1625) декабря в 5 день, с астраханцем с Фомою Третьяковым.

1626 წ. დეკემბერი, № 35 — პეტრე პეტრეს ძე გოლოვანისა და მისი ამხანაგების მიწერილობა ასტრახანიდან თურქთა ტყვეობიდან თავდასხნილი და მათთან მისული აზნაურის ანდრია ავდევეის სპარსეთში შექმნილი ვითარების შესახებ დაკითხვის თობაზე.

ხელმწიფეს მეფესა და სრულიად რუსეთის დიდ მთავარს მიხეილ თევდორეს ძეს შენი ყმები პეტრუშკა გოლოვინი, ალიოშკა ზუბოვი, სენკა სამსონოვი თავს გიკრავენ. გასულ, 133 (1625) წელს, აგვისტოს 16-ს, ხელმწიფევ, ასტრახანში თერგიდან შენი, ხელმწიფის, თერგის სათადარიგო გემით, ჩამოვიდა ტყვედნამყოფი ოდოვეელი მსახურეული აზნაური ვასკა ავდევეი. მან დაკითხვისას ჩვენ, შენს ყმებს, გვითხრა: მას შემდეგ იქნება ხელმწიფე მეცხრე წელიწადი, რაც იგი კრაპიენასთან ყაზის ულუსის ნოღაელმა თათრებმა ტყვედ ჩაიგდეს, აზოვს მიიყვანეს და თურქთა ქვეყანაში გაჰყიდეს. და ცხოვრობდა იგი, ხელმწიფევ, თურქეთის ქალაქ ენგურეში თურქ მეთოფეთა ასისთეთან შვიდ წელიწადს. მას აქეთ მეოთხე წელი იქნება, ხელმწიფევ, რაც ცარეგოროდში თურქეთის უსმან სულთანის იენიჩრებმა მოჰკლეს იმისათვის, რომ ის იენიჩრებს ხელფასს არ აძლევდა. როდესაც უსმან სულთანი [თავისი] ჯარით ლიტვის უფლისწულის წინააღმდეგ გაემართა, იმეამად, ხელმწიფევ, უსმან სულთნის კარ-მიდამოდან ლიტველებმა კარვები და ცხენები გაიტაცეს. უსმან სულთანმა თავისთან, ცარგოროდში, დაბრუნებისას მრავალი ისპაგი<sup>2</sup> და იენიჩარი დასაჯა სიკვდილით, ვინაიდან მათი გაუფრთხილებლობით და გულგრილობით მოხდა დაზარალება ლიტველებისაგან<sup>3</sup>.

მას შემდეგ, ხელმწიფევ, რაც უსმან სულთანი იენიჩრებმა მოჰკლეს, თურქმა აბაზა ფაშამ<sup>4</sup> შეკრიბა სხვადასხვა ჯურის თავისუფალი თურქი მოხალისეები, თხუთმეტი ათასამდე, და დაიწყო თურქეთის ქალაქების დაპყრობა. მან ოცამდე თურქული ქალაქი აიღო. უსმან სულთნის შემდეგ თურქებმა სამეფო ტახტზე უსმან სულთნის ბიძა, მუსტაფა სულთანი აიყვანეს<sup>5</sup>, მაგრამ მუსტაფა სულთანმა, ხელმწიფევ, არ ისურვა მეფობა და თურქებმა მეფედ აირჩიეს მურად სულთანი<sup>6</sup>, მუსტაფა სულთნის ძმისშვილი.

გასულ, 132 (1624) წელს, ხელმწიფევ, შემოდგომაზე, თურქეთის მურად სულთანმა ვეზირი გაგზავნა (რა ჰქვია იმ ვეზირს სახელად, ამის შესახებ მან არ იცის)<sup>7</sup>, და მას თან 40 000-იანი ჯარი გააყოლა. ვეზირის ებრძანა აბაზა ფაშას წინააღმდეგ გაელაშქრა. ის თურქი ვეზირი, ხელმწიფევ, თავისი ჯარით აბაზა ფაშას თურქეთის ქალაქ კაისირთან<sup>8</sup> შეეყარა და ბრძოლა გაუმართა მას. იმ ბრძოლაში, ხელმწიფევ, თურქეთის ვეზირმა აბაზა ფაშა დაამარცხა. ბრძოლის ველიდან, ხელმწიფევ, აბაზა ფაშა გაიქცა თურქეთის ქალაქ არზრუმში, რომელიც ყიზილბაშთა მიწა-წყლის საზღვრებთანაა. თურქეთის ვეზირი კი თავისი ჯარით თურქეთის ქალაქ ტოკატში<sup>9</sup> წავიდა.

გასულ, 133 (1625) წელს, ხელმწიფევე, გაზაფხულზე, ყიზილ-ბაშთა შაჰმა არზრუმში აბაზა ფაშასთან თავისი ელჩები გაგზავნა. სახელდობრ, ვინ გაგზავნა, მან ამის შესახებ არა იცის რა. მათთან ერთად აბაზა ფაშასთან საჩუქრად ოცდაექვსი ბედაური და ოცი აქლემი გაიგზავნა<sup>10</sup>. ელჩების პირით [შაჰმა] აბაზა ფაშას შეუთვალა, რომ იგი, აბაზა ფაშა, შაჰის ხელქვეითი გახდეს და მას, შაჰს, ემსახუროს, თავის მხრივ, კი შაჰი წყალობას მოიღებს. აბაზა ფაშამ მისივე ელჩების მეშვეობით უპასუხა: თუ მას თურქეთის უსმან სულთანის<sup>11</sup> დიდ ვეზირობას არ უბოძებს იგი, აბაზა ფაშა, თურქეთის მურად სულთანთან ცარგოროდში არ წავა და შაჰის ქვეშევრდომი გახდება, მის სამსახურში შევა.

თურქეთის მურად სულთანმა კი, ხელმწიფევე, აბაზა ფაშასთან თავისი ხალხი გაგზავნა და შეუთვალა, რომ იგი აბაზა ფაშა მასთან, მურად სულთანთან ცარგოროდში ჩავიდეს და ძველებურად ემსახუროს. აბაზა ფაშამ კი თურქეთის მურად სულთანს მისივე ხალხის მეშვეობით უპასუხა: კიდევაც რომ მან, მურად სულთანმა, მას, აბაზა ფაშას, დიდვეზირობა უწყალობოს, იგი მურად სულთანთან ცარგოროდში მაინც არ წავა.

მანვე, ხელმწიფევე, ვასკამ, თურქეთის ქალაქ არზრუმში თურქებთან საუბარში შეიტყო, რომ ამ წლის გაზაფხულზე, ხელმწიფევე, შავი ზღვით სამოცი ნავით ორიათასამდე ზაპოროეელი ჩერქეზი და დონელი კაზაკი მოვიდა და ტრაპიზონი და ხუთამდე სხვა თურქული ქალაქი დაიპყრო.

გასულსავე, 133 (1625) წელს, ხელმწიფევე, ყიზილბაშთა შაჰმა საქართველოზე გასალაშქრებლად თავისი ჯარი გაგზავნა ყარჩინა ხანისა<sup>12</sup> და შემახელი ისუფ ხანის<sup>13</sup> მეთაურობით. ის, შაჰის ყარჩინა ხანი და ისუფ ხანი, ხელმწიფევე, ქართველებმა დაამარცხეს და მათთან ერთად შაჰის 7000-მდე ჯარისკაცი ამოწყვიტეს<sup>14</sup>. ამის შემდეგ, ხელმწიფევე, ყიზილბაშთა შაჰმა მეორეჯერ გაგზავნა საქართველოს დასალაშქრად ყორჩიბაში ხანი<sup>15</sup> და შემახელი კაზაკ<sup>16</sup> ხანი თავისი ჯარით (სულ შაჰის რამდენი მეომარი ახლდათ იმ ხანებს, ეს არ იცის).

ექვსი კვირა იქნება მას აქეთ<sup>17</sup>, ხელმწიფევე, რაც იგი, ვასკა, შემახაში იყო და სწორედ იმ ხანებში შეიტყო მან შაჰის მეომრებისაგან, რომლებიც შემახელ კაზაკ ხანს ახლდნენ საქართველოში სალაშქროდ, რომ საქართველოში ქართველი მეზობლების ქართველმა ვოევოდამ, მოურავმა, თავი მოუყარა ქართველთა ჯარს, შაჰის ლაშქარი დაამარცხა და ყორჩიბაში ხანი ისრით თავში დასჭრა. შაჰის გადარჩენილმა მეომრებმა კი, ხელმწიფევე, საქართველოდან შაჰის მიწა-წყალზე გაქცევით უშველეს თავს. შემახელი კაზაკ ხანი კი საქართველოდან შემახაში ჯერ არ დაბრუნებულა<sup>18</sup>, ამჟამად სად არის იგი, ეს მან არ იცის. ქართველებს გარდა, ხელმწიფევე, შაჰს არავისთან ომი არა აქვს. ლიტვის მეფეს თურქეთის სულთანთან არც ომი აქვს და არც ზავი, როდესაც იგი, ვასკა, შემახაში იყო, ხელმწიფევე, იმ დროს შემახელებისაგან შეიტყო, რომ შაჰი თავის სამფლობელოშია, მაგრამ კერძოდ რომელ ქალაქშია, ეს მან

არ იცის. შაჰს სურს მოკლე ხანში საქართველოზე თვითონ გაილაშქროს. თურქები კი, ხელმწიფევე, ვეზირთან იყრიან თავს თურქეთის ქალაქ ედირბეკში<sup>19</sup> და ამ შემოდგომაზე თავისი თურქული ქალაქის, ბაღდადის (რომელიც მათ შაჰმა წაართვა)<sup>20</sup>, გასანთავისუფლებლად უნდათ წასვლა<sup>21</sup>.

აგვისტოს მე-17 დღეს, ხელმწიფევე, თერგიდან ასტრახანში შაჰის ოლქიდან სომეხი ივანის როჯაევი ჩამოვიდა და დაკითხვისას ჩვენ [შენს] ყმებს, გვითხრა: მას აქეთ იქნება ხელმწიფევე ექვსკვირანახევარი; რაც იგი შემახიდან ასტრახანს წამოვიდა. იმ დროს შაჰი თავის ქვეყანაში იყო, ქალაქ ყაზვინში და ყაზვინიდან არდევლში აბირებდა წასვლას. და ვასულსავე, 133 (1625) წლის გაზაფხულზე, ხელმწიფევე, შაჰმა საქართველოში სალაშქროდ ყარჩხა ხანი და შემახისი ისუფ ხანი გაგზავნა ჯარით. შაჰის ამავე მეომრებს შაჰმა გამაჰმადიანებული ქართველი მოურავი გააყოლა და ამ მოურავს უბრძანა საქართველოში ყორჩხა და ისუფ ხანთან ერთად ყოფნისას ის ქართველები, რომლებიც შაჰს წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ და მის სამსახურს იკისრებდნენ, დაესაჩქრებინათ და ჩაეგონებინათ, შაჰისათვის პატიოსნად ემსახურათ. ის ქართველები კი, ხელმწიფევე, რომლებიც შაჰისათვის სამსახურზე უარს იტყოდნენ, უნდა დაეხოცათ. ქართველი მოურავი კი, (ხელმწიფევე, საიდუმლოდ დაუეკავშირდა ქართველებს და შაჰის ყორჩხა ხანი და ისუფ ხანი დაამარცხეს და მათთან ერთად შაჰის ას ორმოცდაათი კაცი დახოცეს<sup>22</sup>.

~~ამის შემდეგ მალე ყიზილბაშთა შაჰმა საქართველოში თავისი ლაშქარი გაგზავნა ყორჩიბაში ხანისა და შემახელი კახაჯ ხანის მეტურობით. შაჰის ამ ლაშქარს, ხელმწიფევე, საქართველოში ბრძოლა ჰქონდა ქართველებთან და იმ შეტაკების დროს ყიზილბაშებმა მრავალი ქართველი მოკლეს და ათასამდე ტყვედ ჩაიგდეს<sup>23</sup>. საქართველოდან, ხელმწიფევე, შაჰის მოლაშქრეები შაჰის ქვეყანაში მოვიდნენ.~~

მას აქეთ იქნება 18 კვირა, ხელმწიფევე, რაც იგი, ივანისი, შაჰის ქვეყნიდან თურქეთის ქალაქ იზრუმში<sup>24</sup> საქონლით ჩავიდა და იზრუმში ოთხი კვირა ცხოვრობდა. მისი იქ ყოფნის დროს თურქეთის ქალაქ იზრუმში თურქი აბაზა ფაშა იმყოფებოდა 10 000-მდე თურქი მოლაშქრით. აბაზა ფაშასთან ყიზილბაშთა შაჰმა თავისი ხალხის ხელით ოცდაშვიდი ცხენი (ბედაური და თოხარიკი) და ოცდაშვიდი აქლემი გამოგზავნა და თავისივე ხალხის პირით შემოუთვალა აბაზა ფაშას, რომ მან, აბაზა ფაშამ, შაჰისა და მისი მიწაწყლისათვის არც ცუდი რამ მოისურვოს, არც აკადროს, პირიქით, შაჰთან მეგობრობასა, სიყვარულსა და შეთანხმებაში იმყოფებოდეს. იგი, ივანისი, ფიქრობს, ხელმწიფევე, რომ აბაზა ფაშა თურქეთის სულთანთან ცარგოროდში ვერ წავა, იმიტომ, რომ უსმან სულთანის სისხლის აღებისას ბევრი, 30 000-მდე, თურქი ისპაგი და იენიჩარი ამოწყვიტა, იგი, ივანისი, ფიქრობს, რომ აბაზა ფაშა, ხელმწიფევე, ყიზილბაშთა შაჰთან წავა.

ივანისმაცე, ხელმწიფევე, როდესაც თურქეთის ქალაქ იზრუმში იმყოფებოდა, თურქული ქალაქებიდან ქირმანიდან და ცარგოროდიდან იზრუმში ჩამოსულ სომეხ ვაჭრებთან ლაპარაკში შეიტყო, რომ გასულ, 133 (1625) წელს, ზამთარში, ხელმწიფევე, თურქეთის მურად სულთნის მსახურეულმა კაცმა, ბერძენმა ჯალნამ რასოვმა 40 000-მდე თავისუფალი თურქი, ბერძენი და სომეხი მეომარი შეაგროვა და მურად სულთანს გადაუდგა და თურქებს ანადგურებს. იმავე ჩამოსული სომეხი ვაჭრებისაგან ხელმწიფევე, მან, ივანისკომ, იზრუმში შეიტყო, რომ გასულ, 133 (1625) წელს, მარტის თვეში, ხელმწიფევე, შავი ზღვით ცარგოროდიდან ნახევარი დღის სავალზე სამასი ნავით ძალზე ბევრი ზაპოროეული ჩერქეზი და დონელი კახაკი მივიდა, რომელთაც აიღეს და დასწვეს სამი თურქული სოფელი: ქობუ, ენჩიკოი და ფანარი. ამის შემდეგ მივიდნენ და აიღეს თურქეთის ქალაქები: ტრაპიზონი, სინოპი და უნია.

ლიტვის მეფესთან კი, ხელმწიფევე, თურქეთის სულთანს არც ომი აქვს და არც ზავი. ყირიმის მეფე, მამედ გირეი კი, ხელმწიფევე, და შან გირეი უფლისწული ლიტვის მეფესთან დაზავებული არიან. შან გირეის, ხელმწიფევე, ლიტვის მეფე შეილად უხმობს, ხოლო შან გირეიმ ლიტვის მეფე მამად მიიჩნია. ქართველების მეტად, ხელმწიფევე, შაჰს არავისთან ომი არა აქვს.

სექტემბრისავე 21-ე დღეს, ხელმწიფევე, ასტრახანში ყიზილბაშეთიდან ზღვით, შაჰის ხომალდით, ყაზანელი ვაჭარი ალიოშკა მილნიკოვი ჩამოვიდა და დაკითხვისას ჩვენ, შენს ყმებს, გვითხრა: სამი კვირაა მას შემდეგ, ხელმწიფევე, რაც საქონლით გავგზავრა იგი, ალიოშკა, შემახიდან ასტრახანში, შაჰი კი იმჟამად ქალაქ სალტანეაში<sup>25</sup> იმყოფებოდა. შაჰის ხანები კი, ხელმწიფევე, ყორჩიბაში ხანი და შემახის კახაკ ხანი მოლაშქრეებით საქართველოს საზღვრებთან დგანან, ხოლო რამდენია შეკრებილი შაჰისა და ქართველების მოლაშქრე, ეს მან, ხელმწიფევე, არ იცის. შაჰის მოლაშქრეებს ქართველებთან ბრძოლა ჰქონდათ და იმ შებრძოლებისას, ხელმწიფევე, ვერავინ ვერ სძლია<sup>26</sup>.

თეიმურაზ ბატონიშვილი და ვოევოდა მოურავი ქართველთა ლაშქართან ერთად მთებში, სიმაგრეებში დგანან. თურქები კი, ხელმწიფევე, ქართველებთან ერთად არიან თუ არა ეს მან არ იცის ქართველებს გარდა შაჰს, ხელმწიფევე, არც ერთ სახელმწიფოსთან ომი არა აქვს<sup>27</sup>.

#### შენიშვნები

1. ოსმალეთის სულთანი ოსმან იზნ სულთან აჰმედი ანუ ოსმან II (1618—1622).
2. ისაპი ანუ სიფაპი, ჯარის სახეობა ოსმალეთში.
3. ოსმან II მიერ იენიჩრების დასჯისა და იენიჩრების მიერ თვით ოსმანის სიკვდილით დასჯის მიზეზებად ძირითადად პოლონეთთან ბრძოლებში დამარცხება ითვლება. მაგ., სიმეონ ლეპაკი წერს: „სულთანი ოსმანი სტამბოლში შერცხვენილი და პატივყარილი, დამარცხებული და თავჩაქინდრული დაბრუნდა. და აი, რამდენიმე დღის შემდეგ თავი წამოჰყო არმიამ, იენიჩრებმა და სიფაპიმ, და ფიცით გაერთიანებულემა სსახლისკენ გაეშურნენ...“ (Симеон Лехаши. Путевые заметки, М., 1965, გვ. 261).
4. აბაზა ფაშა, წარმოშობით აფხაზი, ქალაიკების აჯანყების მონაწილე, დიდი ვეზირის კაპიტან-ფაშის ხალილას დახმარებით მარაშის მმართველად იყო დანიშნული. 1622 წელს მან არზრუმის ვილაიეთი მიიღო სამართავად. 1623 წელს აბაზა ფაშამ ცენტრალური ხელი-

სულელების წინააღმდეგ გაილაშქრა და აჯანყება მოაწყო. აჯანყება 1628 წელს ჩაახშეს (ს. ლეკაძე, დასახ. შრ., გვ. 297, შენ. 1).

5. ოსმალეთის სულთანი მუსტაფა I (1622-1623).

6. ოსმალეთის სულთანი მურად IV (1623-1640)

7. მხედველობაშია დიდი ვეზირი ჰაფეზ აჰმედ ფაშა, ოსმალეთის ჯარების სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე. მას ერთხანს დიარბექირის ვალის თანამდებობა ეჭირა. სულთნის ბრძანებით იგი აბაზა ფაშას წინააღმდეგ გასალაშქრებლად წავიდა, მაგრამ მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა მისი დამორჩილება. 1627 წელს გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან (იხ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს., თბ., 1971, გვ. 291).

8. ქ კაისირი ანუ კაისერი, მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქი ცენტრალურ ანატოლიაში.

9. ტოკატი ქალაქი ანატოლიაში.

10. მეორე ინფორმატორი საჩუქრების რაოდენობას განსხვავებით იძლევა.

11. შეედომია, უნდა იყოს „მურად სულთანი“.

12. ყარჩხა ხანი (ყარჩილა ხანი), წარმოშობით სომეხი, შაჰ აბასის ჯარების მთავარ-სარდალი. იგი დიდი ლაშქრით გაიგზავნა საქართველოში მისი საბოლოოდ განადგურების მიზნით. ყარჩხა და მისი ვაჟი მარტყოფის ბრძოლაში მოკლულ იქნენ გიორგი სააკაძის მიერ (იხ. ქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გამოსცა ვ. ფუთურძემ, თბ., 1969, გვ. 124; ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, თბ., 1926, გვ. 25; გ. ჯამბურია, ვიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 124-127).

13. იუსუფ ხანი, შაჰ აბასის ერთ-ერთი სარდალი; წარმოშობით სომეხი, შირვანის ბეგლარბეგი, მოკლულ იქნა მარტყოფის ველზე (იხ. ქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 121-124).

14 იხ. შენიშვნა № 22;

15. ყორჩიბაში ხანი, ისა ხან ყორჩიბაში, შაჰ აბასის სიძე, გამოგზავნილ იქნა საქართველოში 1625 წლის გაზაფხულზე (იხ. ქანდერ მუნშის ცნობები, გვ. 126-129).

16. კაზაკ ხანი, ყაზახ ხან ჩერქეზი, გილანის დარულა, შემდეგ შირვანის ბეგლარბეგი, გამოიგზავნა საქართველოში ყორჩიბაშთან ერთად.

17. ვასკა ავდევეი ასტრახანში 16 აგვისტოს ჩავიდა. 6 კვირა დაახლოებით თენახევეარს შეადგენს ე. ი. ივლისის პირველ რიცხვებში შემავალი ჩასულან მარაბდის ბრძოლის მონაწილე შემახელები, რომლებიც კაზაკ ხანს ჰყავდა თან წყყინილი. ეს ერთხელ კიდევ დასტურებს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მარაბდის ბრძოლა 1625 წლის 1 ივლისს გაიმართა (იხ. ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო; კრებულში: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, თბ., 1957, გვ. 353).

18 ერთი შეხედვით რუსი ინფორმატორი მარაბდის ბრძოლას შესახებ არახუსტ ცნობას იძლევა. რთვორც სხვა წყაროები მოწმობენ, მარაბდის ველზე ქართველები დამარცხდნენ. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ვასკა ავდევეის წყარო და თვით მარაბდის ბრძოლის ისტორია. ავდევეი შემახაში იმყოფებოდა და იქ აგროვებდა ცნობებს საქართველოდან დაბრუნებული მეომრებისაგან, რომლებიც თვით მარაბდის ველზე 1625 წლის 1 ივლისს მომხდარი ამბების შთაბეჭდილების ქვეშ კი არ იყვნენ, არამედ მოვლენების შემდგომი განვითარებით იყვნენ თავზარდაცემულები. საქმე ის არის, რომ ქართველებსა და ყიზილბაშების შეტაკება ერთ დღეში არ დამთავრებულა. გიორგი სააკაძემ მომდევნო დღეებში პარტიზანული ბრძოლა გაუმართა შაჰის სარაღლებს. ერთ-ერთი ასეთი შეტაკების დროს ქსნის ხეობაში მან განადგურა შირვანის ბეგლარბეგის ცახე ხანის რანში და თვით ამავე ხანი ტყვედ ჩაიგდო ხელში. სწორედ ამ შეტაკების დროს დაწიოკებული შირვანელი მეომრები დაბრუნდნენ შინ და მათმა მონაყოლმა ქართველების გამარჯვების სურათი შექმნა. ამიტომაც, შირვანიდან რუსეთში წასული ინფორმაცია (ესი მიერაც არ უნდა ყოფილიყო ჩატანილი) ამ კუთხით უნდა შეფასდეს. მაგალითად, რუსეთის ელჩი ირანში გრ. ტიუფაიკინი მოსკოვს ატყობინებდა: „...შაჰმა საქართველოს ხელშეორედ დასარბევად თავისი სიძე ყორჩიბაში ხანი და შემახისის კაზაკ ხანი გაგზავნა. ქართველებმა ყიზილბაშებმა დაამარცხეს, შემახისის ხანი კი ცოცხლად იგდეს ხელთ. აბას შაჰმა თავის ხალხს საქართველოს დატოვება უბრძანა და საქართველოს საზღვრებთან მყოფ თავის ქალაქებში დააგულა მათ ყოფნა...“ (ძაცსა, ფ. 77, 1625, № 4, ფურ. 196). იმავეს ატყობინებდა მთავრობას ასტრახანის ვეოვოდა პ. გოლოვინი: „...საქართველბმა შაჰის სხვა ხალხიც დახოცეს, შემახელი კაზაკ ხანი ცოცხლად ჩაიგდეს ხელში. სულ ქართველებმა შაჰის 7000-მდე მეომარი ამოწყვეტეს. შემახაში აქამად... ნეზირ ხანია...“ (ძაცსა, ფ. 77, 1625, № 2, ფურ. 46).

ცოტა მოგვიანებით, 1629 წელს, რუსეთში ტყვეობიდან დაბრუნებული ფელდა გრიგორეცა და ივაშკო ივანოვი მარტყოფისა და მარბლის ბრძოლებს ერთ ეპიზოდად წარმოუდგენდნენ საელრო პრიკასს... „...სამი წელი იქნება მას შემდეგ, რაც სპარსეთის წინანდელში შაჰ აბასმა საქართველოს მეფე თეიმურაზის წინააღმდეგ ისუფ ხანი და კახაკ ხანი და სხვა ხანები გაგზავნა და თან მრაველი მეომარი გაატანა, რომელთაც საქართველოს დარბევა და ქართველების ამოწყვეტა დაელოდა. ეს იმიტომ უნდოდა, რომ იმ ადგილებში თავისი მუსლიმანური სარწმუნოების მქონე ხალხი დაესახლებინა. ქართველმა მეფე თეიმურაზმა შაჰის ხანების წინააღმდეგ თავისი ვოევოდა ზურამბეტია (ზურამ ერისთავი. — თ. ტ.) გაგზავნა და თან ქართველი მეომრები გაატანა, რათა მათ ისინი საქართველოში არ შეეშვათ და გასანადგურებლად არ მიეცათ. იმ ბრძოლის დროს, ხელმწიფე, ქართველებმა სპარსეთის წინანდელი შაჰის ბევრი მეომარი გაწყვიტეს. იმავე ბრძოლაში, ხელმწიფე, მოკლეს შაჰის ვოევოდა ისუფ ხანი, ხოლო ვოევოდა კახაკ ხანი ცოცხლად დაიპირეს და იგი, კახაკ ხანი, ყარაულებს ჩააბარეს. იმ ყარაულებმა კი ქართველ მეფეს თეიმურაზს უღალატეს, საქართველოდან გაიქცნენ და კახაკ ხანი სპარსეთში თან წიყყანეს...“ (ძაცსა, ფ. 77, 1629, № 5, ფურ. 38). კახაკ ხანის გაქცევას ადასტურებენ ისქანდერ მუნშიცა და ფარსადან გორგიჯანიძეც (ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 132; ფ. გორგიჯანიძის ისტორია..., გვ. 27).

19 ქალაქი ელიერბეგი ანუ დიარბეგი. ისქანდერ მუნში წერს: „...როცა ჰაფეზ აჰმედ ფაშა, როგორც ხსენებული იყო, დიდი ვეზირი და სარდალი გახდა და ბლდაის ციხის დასაპრობად დაიწმინა, ორი წლის განმავლობაში, როცა ის დიარბეგისაში იდგა, მან ოსმალეთის ყოველი მხრიდან დაკუთხიდან შეკრიბა ურიცხვი ჯარი და მის ურდოში უმარაგი ხალხი შეგროვდა სალსქაროდ...“ (ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 134).

20 ქ. ბაღდადი შაჰმა 1623 წელს აიღო.

21 გ. ჩოჩიევი წერს: „...სულთნის კარმა იმავე წელს სავანგებოდ მიმართა გიორგი სააკაძეს და მას ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაგან მოუწოდა, ხოლო დიდი ვეზირმა ერასიმმა ყიზილბაშების განდევნის მიზნით ბაღდადზე გაილაშქრა...“ (გ. ჩოჩიევი. მარტყოფის 1625 წლის აჯანყების გამოძახილი ოსმალეთში, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. III, თბ., 1971, გვ. 244; ამავე საკითხზე იხ. ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 134-135).

22 დოკუმენტში რიცხვი შეცდომითაა დასახელებული. მარტყოფის ბრძოლის დროს 30000 სპარსელიდან მხოლოდ 3000 — უშეუღლა გაქცეული თავს (იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევების საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), II, თბ., 1965, გვ. 336). რუსეთის მთავრობის მიერ ირანში გაგზავნილი ელჩი გრ. ტიუფაიკინი 1627 წელს მეფე მიხეილ თეოდორეს ძესა და პატრიარქ ფილარეტს ატყობინებდა: „...გასულ, 133 (1625) წელს... შაჰმა მალემსრბოლით საქართველოში ყორჩიხა ხანსა და სხვებს წერილი მისწერა და შეუთვალა, რომ საქართველო დაეპყროთ და ქართველი მოურავი მოეკლათ, მაგრამ ქართველებმა ის მალემსრბოლი დაიპირეს და მოურავს მიპყარეს, ხოლო მოურავმა ქართველები შეპყარა და შაჰის ლაშქარი და... იუსუფ ხანი... [გაანადგურა]...“ (ძაცსა, ფ. 77, 1625, № 4, ფურ. 218); ეს ცნობა დასტურდება სხვა წყაროებითაც (გერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1940, გვ. 151; გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე..., გვ. 126; დ. გვრიტიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 328; ისქანდერ მუნშის ცნობები..., გვ. 124 და სხვ.).

23 ამ საკითხზე იხ. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, გვ. 134—144; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა..., გვ. 283—284

24 აქაც და ქვევითაც უნდა იყოს „არზრუმი“.

25 ქალაქი სულთანიე, ირანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

26 იხ. შენიშვნა № 18.

27 დოკუმენტის პირველი ფურცლის მეორე მხარეზე მინაწერია: „ხელმწიფეს მეფესა და სრულიად რუსეთის დიდ მთავარს, მიხეილ თეოდორეს ძეს. 134 (1625) წლის დეკემბრის 5-ს, ასტრახანელი თომა ტრეტიაკოვის ხელით.“ (134 წელი პირველ იანვრამდე 133 წელს უდრის).

## ვახტანგ VI

(დაბადების 300 წლისთავის გამო)

ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიაში ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონს (ვახტანგ VI) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. პროგრესული სახელმწიფო მოღვაწეობითა და ქვეყნის კულტურული განვითარების საქმეში უდიდესი წვლილის შეტანით მან ჭეშმარიტად გამოჩენილი მოღვაწის სახელი მოიპოვა და ქართველი ხალხის გულში მარადიული პატივისცემა დაიმსახურა.

ვახტანგი დაიბადა 1675 წლის 15 სექტემბერს. მამამისი — ლევანი ვახტანგ V-ის ვაჟი იყო, დედა — თუთა ქაიხოსრო გურიელის ასული. სამი წლის ვახტანგს დედა გარდაეცვალა და შემდეგ მას დედინაცვალი — თინათინ ავალიშვილი ზრდიდა.

სწავლა-განათლება და სამხედრო წრეთა ვახტანგმა ბიძის, გიორგი XI-ის კარზე მიიღო. იმ დროს მიღებული წესის მიხედვით ვახტანგს როგორც ბატონიშვილს ასწავლიდნენ სასულიერო და საერო ლიტერატურას, ისტორიას და სამხედრო საქმეს. ბავშვმა სწავლაში განსაკუთრებული უნარი გამოიჩინა. მისმა ხალასმა ნიჭმა, დიღმა შრომისუნარიანობამ და სწავლისმოყვარულობამ იმთავითვე აღმზრდელების ყურადღება მიიქცია. მან საფუძვლიანად შეისწავლა ენები, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, გეოგრაფია და შემდგომ ასტრონომია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის დიდი დეაწლი, რომელიც ვახტანგის აღზრდის საქმეში გამოჩენილ ქართველ მწერალს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს სულხან ორბელიანს მიუძღვის. გამზრდელმა საგანგებოდ შეიმუშავა უფლისწულის აღზრდის კონცეფცია, რომელიც თავის ორგინალურ დიდაქტიკურ ხასიათის ნაწარმოებში „სიბრძნე სიცრუისა“ ჩამოაყალიბა.

როგორც აკად. კ. კეკელიძემ აღნიშნა: „სიბრძნე სიცრუისა“ დაუზოგავად ამახელს იმდროინდელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სენს, მეფესა და მის უკანასკნელ მოხელეს, საეროსა და სასულიეროს, მამაკაცსა და დედაკაცს. გაკიცხულია მასში სიძუნწე, ფარსევლობა, სიამაყე, ცბიერება, ანგარება, უმადურობა, მოტყუილება, სხვისი ყვლეფა, სარწმუნოებრივი პირმოთენობა და იმდროინდელი ცხოვრების სხვა ამგვარი უარყოფითი მხარეები. განსაკუთრებით გამათრახებულია იგავ-არაკებში უღირსი მეფე, უფარგისი მსაჯული (ყადისა და სადრის სახით) და სამღვდლოება. ამავე დროს, ნაკლებლოვანებათა გამოსწორების მიზნით, ავტორი იძლევა მორალური დებულებების მთელ კოდექსს. მისი მთავარი მიზანია დაგვიხატოს ნამდვილი, ღირსეული მეფის იდეალი. ეს ტენდენცია თავს იჩენს თხზულების თავშივე, მის ქარგაში, სადაც ლეონი იცავს და ამართლებს მის აღმზრდელობითს „სისტემას“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია. II, თბ., 1952, გვ.353.

ამრიგად, თავისი დროის მაღალ იდეალებზე აღზრდილმა, ფართო ერუდიციისა და დიდი განათლების მქონე ვახტანგმა მთელი თავისი ბრწყინვალე ინტელექტი და უდიდესი ენერგია საქართველოს უკეთეს მერმისზე ზრუნვას შეაღია.

თოთხმეტი წლის ასაკში ვახტანგი უკვე აქტიურად ჩაება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი გამოდის გიორგი XI-ის მხარეზე და იბრძვის ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ. მონაწილეობს აჯანყებაში, რომელიც გიორგი XI-ემ ირანის ბატონობის წინააღმდეგ დაიწყო. ხოლო აჯანყების დამარცხების შემდეგ გიორგისთან ერთად გადადის დასავლეთ საქართველოში, სადაც აქტიურად მონაწილეობს ბრძოლაში, რომელიც მისმა ბიძებმა არჩილ II-ემ და გიორგი XI-ემ იმერეთის ტახტზე არჩილის განსამტკიცებლად გააჩაღეს. ერთხანს, 1690 წ., ვახტანგი ოსმალებთან მძევლადაც იმყოფებოდა.

იმერეთში ყოფნა მას რამდენიმე წელიწადს მოუხდა. მან გარკვეული, კონტაქტები და ურთიერთობა დაამყარა ჩრდილოეთ კავკასიის მფლობელებთან. მაგალითად, ვახტანგი შეეცადა, რომ დაღესტნის შამხალი გიორგი XI-ის დასახმარებლად გამოსულიყო. 1695 წელს ხარაგაულში ყოფნისას ვახტანგმა ცოლად შეირთო ჩერქეზი ბატონის ასული რუსუდანი.

1694 წ. ირანის ტახტზე შაჰ სულთან-ჰუსეინი ავიდა. ირანის მდგომარეობა იმ დროს გართულებული იყო. უზარმაზარი სახელმწიფო ეკონომიურ და პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. დადგა უამი სეფიანთა დინასტიის დიდების მზის ჩასვენებისა. ქვეყანას აჯანყების ცეცხლი მოედო. ამბოხების ჩასახრობად და თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად შაჰი ტრადიციისამებრ ქართველთა ძალას იყენებდა. ასე, მაგალითად, 1699 წ. ირანში მყოფი გიორგი XI შაჰმა ქირმანის ბეგლარბეგად დანიშნა, რომ მას დაემორჩილებინა ბელუჯები, რომლებიც თავს ესხმოდნენ ამ პროვინციას. სამავგიეროდ შაჰი დაჰპირდა გიორგის, რომ ქართლის ტახტს დაუბრუნებდა. გიორგიც იძულებული გახდა დათანხმებულიყო და შაჰის სურვილი შეესრულებინა.<sup>2</sup>

1703 წელს შაჰმა დაუბრუნა გიორგი XI-ს ქართლის სამეფო ტახტი, რადგანაც დარწმუნდა, რომ გიორგის საქართველოში ბევრი მხარდამხვერი ჰყავდა და ამიტომაც იგი რეალურ ძალას წარმოადგენდა. ამჯერად გიორგის ხელთ შაჰი ავღანელი ტომების დამორჩილებას ლაშობდა. გიორგი ირანში დატოვეს, მას ირანის სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძეს.

ირანში შაჰის სამსახურში იყვნენ აგრეთვე ვახტანგის მამა — ლევანი, ძმა — ქაიხოსრო და ბევრი სხვა ქართველი.

წყაროებში და სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის არის ხაზგასმული ქართული ჯარის მაღალი სამხედრო თვისებები და, კერძოდ, ქართველების დამსახურება ირანის ტახტზე ამა თუ იმ კანდიდატის განმტკიცების საქმეში.<sup>3</sup>

<sup>2</sup> იხ. ვახტანგი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 476; სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, საეტიკ-პეტრობურლი, 1854, გვ. 318—319.

<sup>3</sup> იხ. ვახტანგი, დასახ. ნაშრომი, გვ. 447—480; სეხნია ჩხეიძე, ცხოვრება მეფეთა; J. Hanway, An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea, Dublin, 1754, vol. II, გვ. 144—148; D. M. Lang, Georgia and the Fall of the Safavi Dynasty, Bulletin of the School of Oriental and African Studies University of London, v. XIV, part 3, 1953; ვ. პაიჭიაძე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1960, გვ. 79—80.

რადგანაც გიორგი XI ირანში დატოვეს, ქართლში მმართველად, მეფის ნაცვლად (ჯანიშინად) გიორგის ძმისწული — ვახტანგ ლევანის ძე დანიშნეს. ოცდარვა წლის ვახტანგი ენერგიულად შეუდგა სახელმწიფოს მართვას.

ვახტანგის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით ქართლში სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დარგში განხორციელდა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რის შედეგად ქვეყანა საგრძნობლად დაწინაურდა.

ბუნებრივია, რომ უპირველეს ყოვლისა, ვახტანგმა გადააყენა ერეკლე პირველის მომხრეები და გააუქმა ერეკლეს დროს დადგენილი წესები, შემდეგ კი ენერგიულად გაშალა ბრძოლა ფეოდალური სეპარატიზმის წინააღმდეგ და მიზნად დაისახა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, რასაც იმ დროს უადრესად პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერების მიზნით ვახტანგი შეეცადა, რომ მოეწესრიგებინა სოციალური ურთიერთობა.

ვახტანგს, როგორც თავისი დროის მოწინავე მოღვაწეს, კარგად ესმოდა, რომ ფეოდალთა კლასის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მთლიანად დამოკიდებული იყო გლეხური მეურნეობისაგან. გლეხი რომ მწარმოებელი საზოგადოების ძირითადი ძალა იყო, ეს შესანიშნავად ესმოდა ვახტანგის წინამორბედს არჩილ II-საც. აკად. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით ქართულ ლიტერატურაში არჩილის მიერ გამოოქმული ფრაზა — „თუ ამოსწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“<sup>4</sup> — ნათლად მოწმობს პოეტი მეფის შეხედულებას იმაზე, რომ ქვეყნის ძალა გლეხობაშია და რომ „გლეხთა გამოსარჩლებამდე“ არჩილი მიიყვანა ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესმა.<sup>5</sup>

მაგრამ თუ არჩილს ძირითადად მხოლოდ მწერლობაში მოუხდა ამ აზრის გამოთქმა და ლაშობიერება-წესრიგისაკენ ფეოდალების მოწოდება, ვახტანგმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა.

იმ დროს ქართველი გლეხის მდგომარეობა განსაკუთრებით აუტანელი იყო. ერთი მხრივ, გლეხობა განიცდიდა ფეოდალთა მიერ უმძიმეს კლასობრივ ჩაგვრას, ხოლო მეორე მხრივ, გაუთავებელი გარეშე მტრების შემოსევებისა და შინაფეოდალური ომების პირობებში ფიზიკურად ნადგურდებოდა. მეურნეობა კი პარტახდებოდა.

ხალხისათვის განსაკუთრებით დიდ სოციალურ უბედურებას წარმოადგენდა „ტყვის სყიდვა“ — საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა ყველაზე მახინჯი ფორმა. ფეოდალების სიხარბე და წინდაუხედილობა იქამდე მიდიოდა, რომ გლეხისაგან ვაცილებით მეტს თხოვლობდნენ, ვიდრე მას შეეძლო გადაეხადა და როცა მეტი ვერაფერი მიჰქონდათ, მაშინ თვით გლეხს ყიდდნენ მონად. ირან-ოსმალეთის ბატონობა კი ამ სენს განსაკუთრებით უწყობდა ხელს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გლეხს უსპობდა ინტენსიური მეურნეობის წარმოების სტიმულს და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების დაქვეითებას იწვევდა.

<sup>4</sup> არჩილიანი, ტ. II, თბ., 1937, გვ. 73.

<sup>5</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი II, თბ., 1965, 23-

თავის მძიმე მდგომარეობას გლეხები, ცხადია, ბრძოლით უპასუხებდნენ.

ბუნებრივია, რომ საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ფეოდალურ ქვეყნებში, კლასობრივი ბრძოლა მწვავე ხასიათს ატარებდა და მრავალნაირ ფორმებს ღებულობდა: მეზატონისაგან გახიზვნა, გადასახადებზე უარის თქმა, საძულველ ფეოდალთა მკვლელობა, ტყეში გავარდნა, ადგილობრივი გლეხური გამოსვლები, აჯანყებანი და სხვ. მაგრამ რაც შეეხება ფეოდალური ეპოქის კლასობრივი ბრძოლის უმაღლეს ფორმას — გლეხთა ომს, საქართველოს ისტორიაში ჩვენ მას არ ვხვდებით, რადგანაც ამის საშუალებას არ იძლეოდა ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცებულობა და ეკონომიური ცხოვრების კარჩავეტილობა.

ვახტანგს კარგად ესმოდა, რომ ფეოდალების ზომას გადასული თვითნებობა, განსაკუთრებით კი „ტყვის სყიდვა“ კლასობრივ ბრძოლას აღვივებდა, აიძულებდა გლეხობას, აყრილიყო, რასაც მთელი რაიონების გაპარტახება მოსდევდა. ამიტომაც იმავე გაბატონებული კლასის ინტერესებიდან გამომდინარე, ვახტანგმა სცადა მოეწესრიგებინა ურთიერთობა ფეოდალებსა და ყმა გლეხებს შორის. ამისათვის მან აკრძალა „ტყვის სყიდვა“, შეზღუდა ფეოდალთა თვითნებობა და კანონით განსაზღვრა მათი უფლებები გლეხობაზე.

როგორც ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებს, ვახტანგს საგანგებო ზომები მიუღია აგრეთვე იმისათვის, რომ ქართლში დაებრუნებინა ყმა გლეხები, რომლებიც გაიხიზნენ კახეთში ერეკლე პირველის მეფობს დროს („მყრელობა“): „...ვახტანგ აღაშენა და განაგო ქართლი, რამეთუ, რომელნი ეამსა ერეკლე მეფისასა შთასრულ იყვნენ კახეთს ქართველნი, ამან ბრძანებითა ყენისათა გამოიყვანა ყოველნი და დასხნა თვსთავე ადვილთა ზედა“<sup>6</sup>.

ამ ღონისძიებათა წყალობით ვახტანგმა შეძლო ჩაესახლებინა გლეხები დიდი ხნით მიტოვებულ სოფლებში და აეღო რაიონების მთელი რაიონები, მაგალითად, თრიალეთი, გუჯარეთი, ბაიდარი, ტაშირი, ქვიშხეთი.

ვახტანგმა იზრუნა აგრეთვე მივიწყებული სარწყავი არხების აღდგენასა და ახლის გაყვანაზე. ასე მაგალითად, ვახტანგის ინიციატივით გაყვანილ იქნა ყარაიას არხი, აგრეთვე, მთელი სისტემა ქციის. მაშავერის, ლისის, შოლას, სალთვისის სარწყავი არხებისა, რომელთა მეშვეობით დაიწყეს ხრიოკი, უწყლო მიწებების მორწყვა. სპეციალური ნორმები შეიმუშავეს სარწყავი რუებით სარგებლობის შესახებ.

დიდი სამუშაო ჩატარდა გზების, წიდეების, ქარვასლების, სასახლეთა და ეკლესია-მონასტერთა აშენებისათვის.

ვახტანგის ინიციატივით და აქტიური მონაწილეობით დამუშავდა ორიგინალური ქართული ადმინისტრაციულ-სამეურნეო წესდება „დასტურლამალი“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა სახელმწიფოს ეკონომიური საფუძვლების განმტკიცებაზე<sup>7</sup>.

მტკიცე და შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ვახტანგი რეაქციონერ თავადებთან, ყველასთან ვინც ხელს უშლიდა მის პროგრესულ გეგმებს მეფის ხელისუფლების ძლიერებისა და ქვეყნის მდგომარეობის განმტკიცებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა „მცველთა ჯარის“ შექმნა, რომელიც შედგებოდა ვახტანგის ერთგული თავადიშვილების, აზნაურების და მსახურე-

<sup>6</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 481—482.

<sup>7</sup> იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ივ. სურგულაძის გამოცემა, თბ., 1970.

ბისაგან. სამეფო ხელისუფლება ურჩი თავადებთან ბრძოლაში გადამწყვეტ ზომებს მიმართავდა და მოწინააღმდეგეებს სხვადასხვა სახის მკაცრი მეთოდებით სჯიდა.

ფეოდალური საქართველოს სოციალური და ეკონომიური მდგომარეობის მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის მიერ შედგენილ სამართლის კრებულს<sup>8</sup>.

ერთი სიტყვით, ვახტანგის პოლიტიკურ მრწამსს, კრედოს წარმოადგენდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა, რომლის სათავეში ცხადია, მეფე იდგომებოდა. თავის სამართლის წიგნის შესავალსა და სხვადასხვა შრომებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებში მას არაერთგზის გამოუთქვამს საინტერესო შეხედულებები მეფის ხელისუფლების რაობისა და მისი ძლიერების საფუძვლების შესახებ<sup>9</sup>.

ამრიგად, ვახტანგს ღრმად ჰქონდა გააზრებული და საფუძვლიანად შემუშავებული დიდი პროგრამა, რომელიც გონივრულად ემსახურებოდა ფეოდალური საქართველოს წინსვლას და ობიექტურად ხელს უწყობდა ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებას, ამდენად, ვახტანგის მოღვაწეობაც პროგრესულ ხასიათს ატარებდა.

ბუნებრივია, რომ ქვეყნის სამეურნეო აღმავლობა კულტურის მნიშვნელოვან აღორძინებას იწვევდა.

კულტურის დარგში ვახტანგის თაოსნობითა და უშუალო აქტიური მონაწილეობით განხორციელებულ მრავალ ღონისძიებათა შორის პირველ რიგში დავასახელებთ 1709 წ. თბილისში პირველი ქართული სტამბის დაარსების ფაქტს. სხვას რომ თავი დაეანებოთ, მხოლოდ ესეც სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ვახტანგს ქართული კულტურის დიდი მოღვაწის საუკუნო სახელი დაემკვიდრებინა.

სასულიერო წიგნებს გარდა ამ სტამბაში ვახტანგმა მოასწრო დაებეჭდა ორი სასწავლო სახელმძღვანელო. ერთი მათგანი — „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლება მოწაფისა“ ორიგინალური იყო, ხოლო მეორე „ქმნულების ცოდნის წიგნი“ სპარსულიდან ქართულად თარგმნილი<sup>10</sup>.

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც იმას ენიჭება, რომ ამ სტამბაში 1712 წელს პირველად განხორციელდა შოთა რუსთაველის უკუდავი პოემის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა<sup>11</sup>. რედაქცია და კომენტარები თვით ვახტანგს ეკუთვნოდა. ამდენად ვახტანგი პირველ მეცნიერ-რუსთველოლოგად გვევლინება<sup>12</sup>.

<sup>8</sup> ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერების შესწავლისა და აკადემიური გამოცემის თვალსაზრისით აღსანიშნავია თინათინ ენუქიძისა და აკად. ი. დოლიძის პუბლიკაციები. თ. ენუქიძის — ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თბ., 1955; ი. დოლიძის ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, თბ., 1963.

<sup>9</sup> იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. III, ფხ., 1968, გვ. 74—86.

<sup>10</sup> იხ. ქ. შარაშიძე, ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მეთვრამეტე საუკუნეში, კრებულში: „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, 1, თბ., 1937.

<sup>11</sup> იხ. შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლის, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი, 1937.

<sup>12</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბ., 1941; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 1—2, თბ., 1970.

ვახტანგის სახელთან არის აგრეთვე დაკავშირებული საქართველოს ისტორიის შესწავლა-გაშუქების საქმის აღორძინებაც. მისი თაოსნობით „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შეკრებილ და დადგენილ იქნა „ქართლის ცხოვრების“ წყაროები და დაიწერა საქართველოს ისტორია XIV ს-ის დამდეგიდან XVIII საუკუნემდე<sup>13</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქართველოს... XIV—XVII საუკუნეების დაუწერელი ისტორიის აღდგენის აუცილებლობა პირველად მთელი სიცხადით სწორედ“ ვახტანგმა „შეიგნო და ქართული საისტორიო მწერლობის ამ ოთხ-საუკუნოვანი ხარვეზის ამოვსებისათვის“ მუშაობა გაშალა<sup>14</sup>.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების დაქსაქსულობის პირობებში შექმნილმა ამ ნაშრომმა მიზნად დაისახა მთელი საქართველოს ისტორიის გაშუქება და არა რომელიმე ერთი მისი კუთხისა ან ნაწილისა, რაც ნათლად მოწმობს იმ გარემოებას, რომ საქართველოს ერთობის აზრი ძლიერი და ცხოველყოფილი იყო<sup>15</sup>. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, მიუხედავად ნაკლისა, რომელსაც ჭერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი მიუთითებდა<sup>16</sup>, ამ საისტორიო ნაშრომის შექმნა „ქართველთა ეროვნული თვითშემეცნებისა და პოლიტიკური შეგნების გაღრმავება-გაძლიერებისათვის, ...უკუღმართი ვითარების გამოსწორებისათვის უაღრესად საჭირო იყო“<sup>17</sup>.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სწორედ ვახტანგის სკოლაში აღიზარდა ქართული საისტორიო მწერლობის ისეთი დიდი წარმომადგენელი, როგორც ვახუშტი ბაგრატიონი<sup>18</sup> იყო.

თვითონ ვახტანგი ამ უდიდეს კულტურულ საქმიანობაში გამოდიოდა არა მხოლოდ როგორც საუკეთესო ორგანიზატორი, არამედ როგორც უშუალო მონაწილე მეცნიერი, ლიტერატორ-რედაქტორი, ისტორიკოსი, პოეტი და მთარგმნელი.

სავანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გრანდიოზული მთარგმნელობითი მუშაობა, რომელიც თვითონ, ვახტანგმა გასწია. პროზითა და ლექსით მან თარგმნა სპარსული აღმზრდელობითი ხასიათის ნაშრომი „ამირნასარიანი“. მასვე ეკუთვნის ქართული თარგმანი მსოფლიოში გავრცელებული ლიტერატურული ძეგლისა „ქილილა და დამანა“-სი, რომლის სამშობლო ინდოეთია, აგრეთვე დიდაქტიკურ-მორალური ხასიათის ნაწარმოებისა „სიბრძნე მაღალბელი“. სპარსული ენიდან ვახტანგმა თარგმნა XV ს-ის ცნობილი მეცნიერის ულუღბეგის<sup>19</sup> ასტრონომიული ტაბულები (კატალოგი) „ზიჯი“—

<sup>13</sup> იხ. კ. გ რ ი გ ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954.

<sup>14</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობა წიგნისა: „ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ., 1940, გვ. V—VI.

<sup>15</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), თბ., 1945, გვ. 321.

<sup>16</sup> შ. მე ხ ს ი ა, ვახუშტი და ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, „ანალები“, ტ. I, თბ., 1947, გვ. 29.

<sup>17</sup> ივ. ჯავახიშვილი, ზემოაღნიშნული წინასიტყვაობა, გვ. V.

<sup>18</sup> იხ. ე. გა ბ ა შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი — ისტორიკოსი, წიგნში: „ქართველი მეცნიერები“, თბ., 1951.

<sup>19</sup> იხ. რ. კ ი ნ ა ძ ე, ულუღბეგი, თბ., 1968.

„ეარსკვლავთმრიცხველობა“<sup>20</sup>, აგრეთვე ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული თხზულება „ქმნულების ცოდნის წიგნი“. ცხადია, ამ უკანასკნელ ნაშრომებში ვახტანგი გამოდის არა მხოლოდ როგორც ენის მცოდნე მთარგმნელი, არამედ როგორც სპეციალისტი ასტრონომი. ვახტანგი ჩინებული ასტრონომი იყო. ცნობილია კალენდარული ხასიათის მისი ორიგინალური შრომებიც — „ხელთა“ და „კვინკლოსი“.

ვახტანგმა აგრეთვე შეადგინა „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა“<sup>21</sup>. იგი ამუშავებდა ოპტიკის ზოგიერთ წესსაც, რომელიც დღესაც მეცნიერულ ღირებულებას ინარჩუნებს<sup>22</sup>.

პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის დაკვირვებით ვახტანგი იყო მომხრე ცოცხალი, მდაბიო ენისა მწერლობაში. ხოლო მეცნიერების პოპულარზაციის მიზნით მან თარგმნა მთელი რიგი ნაშრომებისა, რათა საქართველოში „ისწავლონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსებად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილოსოფოსობა“<sup>23</sup>. ვახტანგის შემწეობით სხვა მოღვაწეების მიერ ითარგმნა და გამოსაცემად მომზადდა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი<sup>24</sup>.

ერთი სიტყვით, ვახტანგი თავისი დროის გამოჩენილი მეცნიერი იყო. მის მიწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში დიდი ადგილი ეკავა კვლევადიებითი ხასიათის მუშაობას. აღსანიშნავია ვახტანგის განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოში მეცნიერების ისეთი დარგების განვითარების საქმეში, როგორცაა ასტრონომია, ქიმია, მედიცინა, ლექსიკოგრაფია, ისტორიოგრაფია, გეოგრაფია და ფილოსოფია.

ვახტანგი ცნობილი პოეტიც იყო. მის კალამს ეკუთვნის არაერთი საინტერესო ლირიკული ნაწარმოები.

ბუნებრივია, რომ ესოდენ გამოჩენილმა მოღვაწემ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართული კულტურის ძირითადი ძალები. მისი ძვარველობის ქვეშ გაიშალა მოღვაწეობა ბრწყინვალე პლეადისა, რომელსაც პირველ რიგში ამშვენებენ სულხან-საბა ორბელიანის, ვახუშტი ბაგრატიონის, დავით გურამიშვილისა და მამუკა ბარათაშვილის სახელები.

ამრიგად, ვახტანგი სათავეში ედგა არა მხოლოდ პოლიტიკურ ცხოვრებას, არამედ უშუალოდ წარმართავდა იმდროინდელ მთელ ქართულ ინტელექტუალურ ცხოვრებასაც.

ვახტანგის ხანის საინტერესო დახასიათება მოგვცა დიდმა ქართველმა მეცნიერმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა: „სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ამ ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწის აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი სა-

<sup>20</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 161.

<sup>21</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. S, № 3721; თ. ენუქიძე, ვ. კოკლეშვილი, მეფე ვახტანგ VI-ის ქიმიკი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1969, № 8.

<sup>22</sup> მ. შენგელია, ოპტიკის და მხედველობის კორექციის საკითხები ძველ ქართულ წყაროებში და ვახტანგ VI-ის „ოპტიკური პარაგრაფები“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზ. მეცნ. გან-ბის „მოამბე“, 1963, № 5.

<sup>23</sup> გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1968, გვ. 218. //

<sup>24</sup> იხ. ლ. მენაბდე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966.

უკუნის ნამუშევარი და ნაპირნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყოველმხრივი წარმოდგენა და ცოდნა გადაეცათ<sup>25</sup>.

და მართლაც, ქართული კულტურის ისტორიაში ვახტანგის ხანა უდავოდ გარკვეული მნიშვნელობის პერიოდად წარმოგვიდგება. სწორედ ამ დროს ქართულმა კულტურამ იმ დაწინაურებას მიაღწია, რის შედეგადაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარებაში მოხდა მნიშვნელოვანი ძვრები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ განმანათლებლობას.

თავისი ნაყოფიერი საქმიანობით ვახტანგმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა მთელ საქართველოში.

ვახტანგის სამართლის კანონებითა და „დასტურლამალის“ ნორმებით ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ ქართლის სამეფოში, არამედ იმერეთსა და კახეთშიც. ხოლო ვახტანგის სტამბიდან გამოსული ქართული წიგნი საქართველოს ყველა მხარეში პოპულობდა გავრცელებას. ვახუშტი ბაგრატიონი შემთხვევით როდი აღნიშნავდა, რომ ვახტანგს „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი“<sup>26</sup>.

თავისი მსოფლმხედველობით ვახტანგი ეკუთვნოდა ფეოდალური საქართველოს იმ მოწინავე წრეს, რომლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა პატრიოტიზმი, ბრძოლა ირანელ და თურქ დამპყრობლებთან, ეროვნული ერთობის იდეების პროპაგანდა, ეროვნული კულტურის განვითარება, რაც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის იდეოლოგიური ქვაკუთხედი იყო.

ვახტანგს როგორც სახელმწიფო მოღვაწეს შესანიშნავად ესმოდა, რომ საქართველოს კეთილდღეობა, გარდა შინაფეოდალური რეაქციული ძალების დაძლევისა, აუცილებლად მოითხოვდა ყიზილბაშ და ოსმალო დამპყრობლების ბატონობის მოცილებას. ამ მხრივ დამახასიათებელია თვით ვახტანგის სიტყვები იმის შესახებ, რომ საქართველოს მდგომარეობა ირანის ბატონობის ქვეშ „ფოცხვერის ქანგში“ ყოფნას უდრის, ხოლო ოსმალეთის ბატონობის დამყარება „ბაბრის ქანგში“ მოქცევას ნიშნავდა<sup>27</sup>.

ირანელი და თურქი ასიმილატორების წინააღმდეგ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული ბრძოლის გამოცდილება ვახტანგს ნათლად კარნახობდა განსაკუთრებული მოქნილი პოლიტიკის აუცილებლობას, დიდ სიფრთხილესა და წინდახედულობას, კონკრეტული პირობების ყოველმხრივი გათვალისწინებით ლაიერებას და უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად შესაფერისი მომენტის სწორედ შერჩევას.

ვახტანგიც ასე მოქმედებდა.

იგი სარგებლობდა ირანის შაჰის კრიტიკული მდგომარეობით და ეროვნულ პოლიტიკას ოსტატურად ახორციელებდა. მაგალითად, ვახტანგმა აიძულა შაჰ სულთან-ჰუსეინი, რომელსაც ქართველების დახმარება ესაჭიროებოდა, რომ დაესაჯა თბილისში მყოფი ყიზილბაშური გარნიზონი ვახტანგისათვის წინააღმდეგობის გაწევის გამო, რის შედეგადაც ვახტანგმა ტყვეთა სყიდ-

25 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, თბ., 1928, გვ. 116.

26 ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 486.

27 Переписка грузинских царей с российскими государями, СПб., 1861, გვ. 150.

ვის ალაგმვას მიადწია და შაჰის კარზე ქართველი ქაბუკებისა და ქალიშვილების გაგზავნაც შეწყვიტა. ეს დიდი განრაჯება იყო. ვახუშტი ბაგრატიონი ამის შესახებ წერდა: „არამედ ვინაფთგან დაამდაბლნა მცველნი ტფილისისანი თათარნი. განდგნენ და დავშნეს კარნი ციხისა და დაიწყეს სროლა თოფზარბაზნითა. ესე აცნობა ყვეს ვახტანგ, განრისხნა ყენი, წარმოავლინა მტარვალნი, მოვიდა და კვლხუნდოსანნი მოართუნა ყოველნი ვახტანგს: მერმე წარიყვანეს ისპაანს და პატიმარ ჰყენეს ალამუტის ციხესა შინა.

ამისთვის არღარა იყო ტყუს-ყიდვა. კუალად ნაზარ-ალიხან, ვითარცა როსტომ მეფე, მრავალგზის წარუვლინებდა ყვენსა ტყუეთა, არამედ ვახტანგ, უკეთუ არა მოითხოვდა ყენი, არა წარუვლენდა, მასცა უმეტეს მოსყიდულთა“<sup>28</sup>.

1709 წ. აპრილში ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა გიორგი XI<sup>29</sup>. იმავე 1709 წ. მაისში გარდაიცვალა ვახტანგის მამა — ლევანი. ქართლის მეფედ შაჰმა ქაიხოსრო ლევანის ძე დანიშნა და მას ირანის სპასალარობა, თავრიზისა და ბარდას გამგებლობა უბოძა. შაჰმა აგრეთვე ქაიხოსროს ძმებიც დააწინაურა. იესე ქირმანის ბეგლარბეგად, ხოლო როსტომი ისფაჰანის მოურავად დანიშნა. ვახტანგი კვლავ ქართლის სამეფოს გამგებელი იყო. 1711 წ. ოქტომბერში ბრძოლის ველზე ქაიხოსროც დაიღუპა. ქართლის მეფედ შაჰმა ვახტანგის დანიშვნა გადაწყვიტა, რისთვისაც იგი ისფაჰანში უნდა ჩასულიყო. ირანს გამგზავრებამდე ვახტანგმა ნათესაური კავშირები განამტკიცა კახეთსა და იმერეთში. თავისი ასული თამარი ერეკლე I-ის ძეს თეიმურაზს მიათხოვა, ხოლ მეორე ქალიშვილი — ანუკა — იმერეთის თავადს ვახუშტი აბაშიძეს<sup>30</sup>.

1712 წ. აპრილში<sup>31</sup> 300 კაცის თანხლებით<sup>32</sup> ვახტანგი ისფაჰანს გაემგზავრა, ქართლის გამგებლად კი თავისი ძმა სვიმონი დატოვა. ვახტანგს თან გაჰყვა სულხან-საბა ორბელიანიც.

ამგერად ვახტანგმა სცადა შაჰის რთული მდგომარეობა გამოეყენებია იმნსათვის, რომ ბოლო მოედო ირანის მიერ თავსმობვეული კიდევ ერთი პირობისათვის — ქართლის მეფის მიერ შაჰმადიანობის მიღების აუცილებლობისათვის. მაგრამ შაჰის კარზე დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ირანის შაჰმა ნაცად ხერხს მიმართა: ისარგებლა საქართველოში არსებული შინაფეოდალური შუღლით და ვახტანგს ბაგრატიონთა გვარიდან სხვა კანდიდატი დაუპირისპირა. 1714 წ. ვახტანგი ქირმანში გაგზავნეს, სადაც იგი იმყოფებოდა როგორც ტყვე, ხოლო ქართლის მეფედ მისი ძმა — გამაჰმადიანებული იესე დანიშნეს. ეს დიდი დამარცხება იყო. მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა.

მიუხედავად ტყვეობაში მოქცევისა, ვახტანგი მჭიდრო კავშირში იყო ქართლის პროგრესულ პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ისინიც პირველ რიგში ვახტანგის განთავისუფლებასა და ქართლში მის გამეფებას ცდილობდნენ. ამ მიზნის მისაღწევად მოწინავე ქართველმა პოლიტიკოსებმა ევროპიდან დახ-

<sup>28</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 486.

<sup>29</sup> სეხნია ჩხეიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 324—325; J. Hanway, An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea, გვ. 129—130.

<sup>30</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 491; თ. უორდანი, ქრონიკება III, თბ., 1967, გვ. 42.

<sup>31</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 491.

<sup>32</sup> თ. უორდანი, ქრონიკები, III, გვ. 43.

მარების მიღებაც სცადეს. პარიზსა და რომში სავანგებო დიპლომატიური მისიით სულხან-საბა ორბელიანი გაემგზავრა. იგი წარუდგა საფრანგეთის მეფეს ლუი XIV-ს და რომის პაპს ინფორმაციით საქართველოს შესახებ. მაგრამ ყველა მისი ცდა ამაო გამოდგა. იმედგაცრუებული სულხან-საბა 1716 წ. სამშობლოში დაბრუნდა<sup>33</sup>.

ერთი სიტყვით, გამოსავალი არ ჩანდა და ვახტანგიც იძულებული შეიქნა რომ ფორმალურად ისლამის მიღებაზე დათანხმებულიყო. შაჰმაც არ დააყოვნა და იგი ქართლის მეფედ დაამტკიცა, რასაც თან მოჰყვა ვახტანგისათვის სპასალარის წოდების მინიჭება და ირანის ჯარების სარდლად დანიშვნა. საქმეც ის იყო, რომ შაჰ სულთან-ჰუსეინს განსაკუთრებით აინტერესებდა ქართლის მეფედ ვახტანგის დამტკიცება, რადგანაც ქართლში იგი გაცილებით მეტი ავტორიტეტითა და გავლენით სარგებლობდა ვიდრე იესე და ამიტომაც ირანისათვის რეალური დახმარების გაწევაც უფრო მეტად შეეძლო<sup>34</sup>.

1719 წლამდე ვახტანგ VI იძულებული იყო ირანში შაჰის სამსახურში დარჩენილიყო, ქართლის სამეფოს კი მისი შვილი — ბაქარი განაგებდა.

ირანში ყოფნის დროს ვახტანგ VI საბოლოოდ დარწმუნდა სეფიანთა სახელმწიფოს ძლიერების დაცემასში. ამასთანავე მან გაითვალისწინა ამიერკავკასიაში რუსეთის სახელმწიფო ინტერესების საფუძველზე პეტრე I-ის აქტიური მოქმედებაც და შექმნილი მდგომარეობა შეაფასა, როგორც ხელსაყრელი პირობა საქართველოს გასათავისუფლებლად ირანის ბატონობისაგან.

რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე პეტრე I მიზნად ისახავდა კასპიისპირეთის დაკავებას დალესტინის სანაპიროდან მოყოლებული ვიდრე გილანამდე. ამ ამოცანის მისაღწევად რუსეთის იმპერატორი, ბუნებრივია, დიდ მნიშვნელობას კავკასიელი ხალხების, პირველ რიგში კი, ცხადია, ქართველებისა და სომხების მხარდაჭერას ანიჭებდა.

1715 წ. პეტრე I სათანადო მზადებასაც შეუდგა. ირანში დესპანად მან ა. ვოლინსკი გაავსავნა და მას დიპლომატიური და სამხედრო-დაზვერვითი ხასიათის ამოცანები დაუსახა, აგრეთვე დაავალა, რომ გამოერკვია ვახტანგის ბედი და მასთან კავშირი დაემყარებინა.

ა. ვოლინსკიმ კარგად გაართვა თავი დაკისრებულ დავალებებს. მიუხედავად უაღრესად არახელსაყრელი ვითარებისა, მან 1717 წ. ირანთან რუსეთისათვის სარფიანი სავაჭრო ხელშეკრულება დადო და ზედმიწევნით შეისწავლა ირანის საშინაო და სავაჭრო მდგომარეობა. ირანის შესახებ საჭირო ცნობების შეგროვებაში რუს დესპანს მნიშვნელოვნად იმანაც შეუწყო ხელი, რომ მან შეძლო ქართველებთან და სომხებთან კავშირის დამყარება.

მართალია, ირანში იძულებით მყოფ ვახტანგსა და ა. ვოლინსკის, რომელსაც შაჰი არ ენდობოდა, საშუალება არ ჰქონდათ, რომ პირადად შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ მაინც მოახერხეს კონტაქტების დამყარება. ისფაჰანში ა. ვოლინსკი რამდენჯერმე შეხვდა ვახტანგის წარმომადგენელს ფარსადან-ბეგს. ფარსადანი აცილებდა რუს დესპანს, როცა იგი ისფაჰანიდან

<sup>33</sup> იხ. სულხან-საბა ორბელიანი, შეჯამება ევროპაში, თბუღებანი ოთხ ტომად, ტ. I, თბ., 1959, გვ. 153—245; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 311—334; 723—737; ი. ტაბაღუა, საქართველოსაფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972.

<sup>34</sup> იხ. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 495.

რემტში ბრუნდებოდა, ხოლო შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს შაჰნაბაში.

1719 წ. ა. ვოლინსკი, როგორც ირანის საქმეებში კომპეტენტური პიროვნება, ასტრახანის გუბერნატორად დაინიშნა, რათა შედგომოდა უშუალო სამზადისს კასპიის ზღვის სანაპიროებზე ლაშქრობისათვის. პეტრე I-ის მითითების თანახმად ა. ვოლინსკიმ დაიწყო მოლაპარაკება ვახტანგ VI-თან, რომელიც 1719 წლის 7 აგვისტოს უკვე საქართველოში დაბრუნდა.

რუსეთთან სამხედრო კავშირის დამყარების საკითხი, ცხადია, ქართლის სამეფო დარბაზის სხდომაზე განიხილეს. დარბაზის ყველა წევრი დასახული გეგმის მომხრე არ იყო. ერთ ნაწილს ეს გეგმა სახიფათოდ მიაჩნდა იმ მოტივით, რომ საქართველოს მრავალრიცხოვან მტრებს შეეძლოთ, ესარგებლათ შემთხვევით და რუსეთის ლაშქრის მოსვლამდე ქვეყნის აოხრება ეცადათ<sup>35</sup>. ისინი რჩევას იძლეოდნენ, რომ ემიქმედათ საიდუმლოდ, გამოეყენებინათ მცირერიცხოვანი ჯარი და ფარულად თიხრობოდნენ პეტრე I-ს.

ვახტანგ VI და მისი მომხრეები ხსნას მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს ერთობლივ გადაწყვეტ მოქმედებაში ზედავდნენ. რუსეთ-საქართველოს კავშირის წარმატების ერთ-ერთ ძირითად პირობად ვახტანგი ქართლში რუსეთის ხელთათასიანი ჯარის შემოყვანას მიიჩნევდა. მისი ანგარიშით ეს, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობდა ფეოდალური საქართველოს ძალების მობილიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, იძლეოდა იმის გარანტიას, რომ რუსეთი უფრო აქტიურად მოეკიდებოდა საქართველოს საკითხს. ამრიგად, ვახტანგ VI-ის მიერ დამუშავებული გეგმა ყოველმხრივ ითვალისწინებდა იმ ხანად შუა აღმოსავლეთში შექმნილ კონკრეტულ ვითარებას.

1721 წლის ნოემბერში ვახტანგ VI სწერდა პეტრე I-ს, რომ მან მიიღო ცნობა ა. ვოლინსკისაგან კასპიისპირეთში რუსეთის ჯარის მოსალოდნელი ლაშქრობის შესახებ და რომ ისინი შეთანხმდნენ, თუ როგორ წარმართონ საქმეები<sup>36</sup>.

ამრიგად, ოციან წლებში პეტრე I-სა და ვახტანგ VI-ს შორის დაიდო ხელშეკრულება საომარი მოქმედების შესახებ. მაგრამ იურიდიულად ეს შეთანხმება არსად არ იყო გაფორმებული, რადგანაც პეტრე I გაურბოდა ოფიციალური დოკუმენტების გაცემას, ფრთხილობდა, შაჰს არაფერი გაეგო და რაიმე არ ელონა.

ვახტანგი, მართალია, გადაწყვეტი მოქმედების მომხრე იყო, მაგრამ მას ფიქრადაც არ მოსვლია წინდაუხედავად ცეცხლთან თამაში. ამიტომ ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის ჩამოსვლამდე არც აპირებდა მოქმედების აშკარად დაწყებას. მთელ მოსამზადებელ სამუშაოს იგი ახორციელებდა ფარულად და ცდილობდა, არ გაემწვავებინა ურთიერთობა ირანთან ან თურქეთთან, არ გამოეწვია მათი მტრული მოქმედება საქართველოს მიმართ.

პეტრე I-თან ერთობლივი მოქმედებისათვის მზადებისას ვახტანგი ითვალისწინებდა სომხების მისწრაფებასაც, რომ განთავისუფლებულიყვნენ ირანის უღლისაგან და შეექმნათ საკუთარი სახელმწიფო. ვახტანგმა დაიწყო მოლაპა-

<sup>35</sup> იხ. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში, თბ., 1919, გვ. 8.

<sup>36</sup> Перениска грузинских царей с российскими государями, გვ. 138.

რაკება სომეხ მელიქებთან და სამღვდლოებთან და ენერგიულად შეუდგა სომეხთა ჯარის ორგანიზაციის საქმეს<sup>37</sup>.

პეტრე I-მა, რომელსაც საიმედო მოკავშირეებად ქართველები და სომეხები ჰყავდა, კასპიისპირეთში ლაშქრობის დასაწყებად ხელსაყრელი დრო შეარჩია.

ლექებმა სურხაი-ხანისა და ჰაჯი-დაუდის მეთაურობით გაილაშქრეს ირანის წინააღმდეგ და დაიკავეს შამახია, გაძარცვეს იქ მყოფი რუსი ვაჭრები და ცდილობდნენ თავიანთი სამფლობელოები კასპიისპირეთში გაეფართოებინათ. ამ განზრახვაში მათ მხარს უჭერდა ოსმალეთი. იმავე დროს ირანს ავღანელები შეესივნენ, 1722 წლის 8 მარტს ირანის დედაქალაქ ისფაჰანს მათ ალყა-შემოარტყეს. რვა თვის განმავლობაში ქალაქი ბლოკირებული იყო. ავღანელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვახტანგის ძმა როსტომი, რომელიც შაჰის გვარდიის სარდალი იყო. შაჰ სულთან-პუსეინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და პეტრე I-მა სცადა გამოეყენებინა ეს ვითარება, დაესწრო თურქებისათვის და დაეწყო კასპიისპირეთის შემოერთება. თავის მოქმედებას იგი ლეგი შეამზობებების დასჯის აუცილებლობით ხსნიდა, ხოლო შაჰს კასპიისპირა პროვინციების დათმობის საკომპენსაციოდ სამხედრო დახმარებას ჰპირდებოდა<sup>38</sup>.

1722 წ. 2 ივლისს პეტრე I-მა ვახტანგს აცნობა, რომ ჯუსთა ჯარი მალე გამოიწვებოდა კასპიის ზღვის ნაპირებზე. ქართლის მეფის იგი წინადადებას აძლევდა, რომ ლეკთა წინააღმდეგ ლაშქრობა დაეწყო და თურქებისათვის სამხედრო მოქმედების დასაწყებად რაიმე საბაზი არ მიეცა.

1722 წ. 3 აგვისტოს პეტრემ აუწყა ვახტანგს, რომ რუსთა ჯარმა კასპიისპირეთში მოქმედება დაიწყო. დაახლოებით იმავე ხანებში არზრუმის ფაშამ სულთანის სახელით ვახტანგს შეატყობინა, რომ თურქეთი ირანზე გალაშქრებას აპირებდა და ქართლის მეფესთან კავშირს სასურველად მიიჩნევდა. ასეთი კავშირისათვის სულთანს ვახტანგს მთელ საქართველოს პირდებოდა, მაგრამ ვახტანგმა უარყო ეს წინადადება და ყოველივე პეტრეს შეატყობინა<sup>39</sup>.

პეტრესადმი მიწერილ წერილში ვახტანგი რუსეთის ჯარების ლაშქრობის დაწყებასთან დაკავშირებით სიხარულს გამოთქვამდა და პირობას იძლეოდა, რომ 20 აგვისტოსათვის განჯაში თავის ლაშქარს ჩაიყვანდა. ამასთან ერთად ვახტანგი წერდა, რომ შაჰმა მას დაავალა აზერბაიჯანში ჯარების მხედართმთავრობა და მოსთხოვა აჯანყებული ლეკი მფლობელების დასჯა<sup>40</sup>. ამრიგად, თითქოს დიდი გეგმის განხორციელებას კარგი პირი უჩანდა: განჯისაკენ ლაშქრობას ვახტანგი იმით გაამართლებდა, რომ იგი შაჰის დავალებით მოქმედებდა.

ერთობლივი გეგმის შესაბამისად რუსეთის ჯარი ქართველთა და სომეხთა ლაშქარს, რომელსაც ვახტანგ VI მიუძღოდა, დარუბანდსა და ბაქოს შო-

<sup>37</sup> П. Т. Арутюнян, об. Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII века, М., 1954, стр. 155—156; И. М. Ереванская, Ш. К. Мелли-Клишаси ძილიარენსის ჩაყ-ილიასთან წარუხარეციონისის ყათონიციონისე, სრ., 1953; ჟ. ყარაიანი, ლაქსი ქათე ძილიარენსის ფარაფარ რარსტონიციონისე, სრ., 1962; В. Мартиросян, Россия и армяно-грузинские взаимоотношения в первой четверти XVIII века, Автореферат, Ереван, 1936.

<sup>38</sup> об. В. П. Лысов, Персидский поход Петра I, М., 1951.

<sup>39</sup> ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 499—500.

<sup>40</sup> Переписка..., გვ. 139—140.

რის უნდა შეერთებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის განხორციელება ვერ მოხერხდა. პეტრე I-მა მიიღწია დარუბანდს, შემდეგ კი იძულებული გახდა ანტრახანს დაბრუნებულიყო. ლაშქრობის გავრცელება მან სახიფათოდ მიიჩნია სურსათისა და სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობის გამო. კასპიის ზღვაზე დიდი ღელვის დროს რუსეთის გემები დაიღუპა. ამავე დროს რუსთა ჯარებში ავადმყოფობა გავრცელდა და, რაც მთავარია, თურქეთთან ურთიერთობა გამწვავდა. რუსეთ-ოსმალეთის მოსალოდნელი ომი კი აშინებდა იმპერატორს<sup>41</sup>.

1722 წ. შემოდგომაზე პეტრე I დაბრუნდა ანტრახანსში და გადაწყვიტა გულმოდგინედ მომზადებულიყო მომავალ გაზაფხულზე ლაშქრობის განახლებისათვის. ხოლო ვახტანგთან მოსალაპარაკებლად პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი გამოგზავნა.

ბუნებრივია, რომ ვახტანგი უნდა დათანხმებულიყო ერთობლივი სამხედრო მოქმედების გადატანაზე 1723 წლისათვის. მაგრამ ამასთან ერთად მოითხოვდა პეტრესაგან საქართველოში რუსთა ჯარის ერთი ნაწილის შემოყვანას. პეტრეს წარმომადგენელი ი. ტოლსტოიც მხარს უჭერდა ვახტანგის ამ მოთხოვნას, მაგრამ რუსეთის იმპერატორი არ ჩქარობდა საქართველოში ჯარის გამოგზავნას. ბოლოს, როდესაც ვახტანგმა და ი. ტოლსტოიმ შეატყობინეს პეტრეს, რომ არზრუმის ფაშა ყარსში ჯარებს თავს უყრიდა და მოსალოდნელი იყო ქართლში თურქების შემოჭრა, პეტრე I იძულებული გახდა დათანხმებულიყო საქართველოში ორი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარის გამოგზავნაზე. მაგრამ საქმე გაჭინურდა და საქართველოში მომხდარმა ამბებმა დაასწრეს ამ ლაშქრის ჩამოსვლას.

1722 წლის დამლევსა და 1723 წლის დამდეგს ვახტანგ VI-ის მდგომარეობა უღარესად გართულდა. ისფაჰანის რვა თვიანი ალყის შემდეგ 1722 წ. 12 ოქტომბერს ირანის შაჰი სულთან-ჰუსეინი დანებდა ავღანელებს. დედაქალაქიდან მხოლოდ ტახტის მემკვიდრემ ჰუსეინის ძემ, თამაზმა (თაჰმასპი) მოახერხა გაქცევა. მან ჩრდილოეთის პროვინციებს შეაფარა თავი და ცდილობდა ჯარი შეეგროვებინა. დეკემბრის თვეში მან ოფიციალურად აცნობა ვახტანგს ავღანელების მიერ ისფაჰანის აღება, ჰუსეინის დატყვევება და თავის დასაზარებლად ქართლის ჯარის გამოგზავნა მოითხოვა.

ამავე დროს თურქეთიც თავს უყრიდა ჯარებს ქართლის საზღვარზე. ქართლის შიგნით კი შინაფეოდალური ქიშკი სუფევდა. გამწვავდა ურთიერთობა ვახტან VI-სა და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორის. კონსტანტინემ ირანის შაჰს, თამაზს, თავისთვის ქართლის ტახტი მოსთხოვა, სამაგიეროდ პირობას დებდა, რომ ურჩ ვახტანგს გაანადგურებდა და ქართლის ჯარს თამაზის სურვილს დაუმორჩილებდა.

თბილისში მყოფმა ირანის გარნიზონმა შაჰ-თამაზის სათანადო ვანკარგულება მიიღო და ქალაქს სროლა აუტეხა. მალე კონსტანტინეც მიიღგა თბილისის თავისი ჯარით და დაქირავებული ლეკთა რაზმებით. კონსტანტინეს მხარეზე იბრძოდნენ აგრეთვე განჯისა და ერევნის ხანები, ვახტანგის სამველად კი დასავლეთ საქართველოს მეომრები მოვიდნენ. ბრძოლა სამ თვეს გრძელდებოდა. კონსტანტინემ რამდენჯერმე იგემა დამარცხება, მაგრამ იარაღს არ ყრიდა და ლეკთა ახალ ძალებს იშველიებდა. 1723 წლის 4 მაისს

<sup>41</sup> იხ. В. П. Лысов, Персидский поход Петра I; გ. პაიქაძე, დასახ. ნაშრომი.

ვახტანგის ბანაკში დალატის შედეგად<sup>42</sup> კონსტანტინემ თბილისი აიღო. ვახტანგი იძულებული გახდა ცხინვალში გახიზნულიყო.

ჯერ კიდევ თბილისისათვის ბრძოლის დროს არზრუმის ფაშამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ვახტანგ VI-ის სულთნის ძალაუფლება ეცნო, რათა მის სანაცვლოდ ქართლის ტახტი შეენარჩუნებინა. ვახტანგმა მოიწვია დარბაზის სხდომა. ქართლის თავადები მეფეს თურქეთის წინადადების მიღებას ურჩევდნენ. ამ გზით ისინი ქართლში სამეფო ხელისუფლების შენარჩუნებას ცდილობდნენ. პეტრე I-ის წარმომადგენელი ი. ტოლსტოი და ბ. თურქესტანიშვილი რუსთა ლაშქრის მალე ჩამოსვლის იმედით მეფის სადარბაზოს ეწინააღმდეგებოდნენ.

მდგომარეობა უადრესად კრიტიკული იყო. თურქებს ყოველ წუთს შეეძლოთ დაეწყათ საომარი მოქმედება. ვახტანგმა გადაწყვიტა, მიეღო ფაშას წინადადება და თავისი პირობები წამოაყენა. თურქებთან მოლაპარაკების გზით ვახტანგი დროის მოგებას ცდილობდა. ფაშა, რომელიც მის პირობებს მიიღებდა, უნდა დაკავშირებოდა კონსტანტინოპოლს, ამას კი საკმაოდ მოუწოდებდა. ამით ვახტანგი ფიქრობდა, რომ თურქეთის ჩარევას დროებით შეაჩერებდა, რადგანაც იმედოვნებდა რუსეთის ჯარის მალე ჩამოსვლას.

შექმნილ მდგომარეობაში ვახტანგის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი ნაბიჯი იყო. ესოდენ რთული ვითარების შესახებ ვახტანგ VI პეტრე I-სა და მის მოხელეებს დეტალურად ატყობინებდა<sup>43</sup>.

კონსტანტინესთან ბრძოლაში ვახტანგის დამარცხების შემდეგ ოსმალები ქართლში შემოიჭრნენ. 1723 წლის ივნისში ისინი თბილისს მოადგნენ. კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო ქალაქი. თურქებმა დაიპყრეს ქვეყანა და იქ თავიანთი წესების დამყარება დაიწყეს.

რუსეთის მთავრობამ დიპლომატიური ნაბიჯი გადადგა, რათა თავიდან აეცილებინა თურქების შემოჭრა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მათ შორის ქართლშიც. მაგრამ ბრძოლის ეს საშუალება საკმარისი არ აღმოჩნდა. რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხებზე მისწრაფება — არ დაეშვათ თურქეთის შემოჭრა — მხოლოდ ერთობლივი სამხედრო მოქმედების გზით შეიძლებოდა განხორციელებულიყო. პეტრე I-მა ქართლში რუსთა ჯარები არ გამოგზავნა. რუსეთის იმპერატორი პირველ რიგში კასპისპირეთის პროვინციების დაკავებას ჩქარობდა და კიდევაც მიიღწია თავის განზრახვას.

ჯერ კიდევ 1722 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარების ერთი ნაწილი ენზელის ყურეს მიადგა და მალე ქალაქ რეშტშიც შევიდა. რეშტის მახლობლად ციხესიმაგრის (კატერინოპოლის სახელწოდებით) მშენებლობაც დაიწყო. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას პეტრე I ქალაქ ბაქოს აღებას ანიჭებდა და 1723 წლის 28 ივლისს რუსეთის ჯარმა კიდევაც აიღო ეს ქალაქი. 1723 წლის დასასრულისათვის კი რუსეთის ჯარმა დაიკავა მდინარე მტკვრის შესართავთან სალიანი, სადაც დაიწყო სამზადისი ციხესიმაგრის ასაგებად.

თურქეთმა თავის მხრით ისარგებლა შუა აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობით და დაიკავა ქართლი, რის შემდეგ მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასიის დაპყრობას შეუდგა. თურქეთი ამავე დროს მოითხოვდა, რომ პეტრე პირველს კასპისპირეთიდან თავისი ჯარები გაეყვანა.

<sup>42</sup> იხ. ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 166.

<sup>43</sup> Переписка грузинских царей с российскими государями, გვ. 148—149.

პეტრემ გაითვალისწინა ვითარების სირთულე და თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის მზადება დაიწყო, მაგრამ კონფლიქტი დიპლომატიური გზით მოგვარდა. 1724 წლის 12 ივლისს კონსტანტინოპოლში რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულება დაიდო<sup>44</sup>.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე თურქეთი ცნობდა კასპისპირეთის რუსეთთან შეერთებას და უარს ამბობდა მთელი ირანის დაპყრობის სურვილზე. მაგრამ ამვე დროს პეტრე პირველი იძულებული გახდა თურქეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის დაპყრობას შერიგებოდა. რუსეთი მეტად საგრძნობ დათმობაზე წავიდა, როდესაც თურქეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობა ცნო. თურქეთის მეზობლობა უშალო საფრთხეს უქმნიდა რუსეთის მიერ შემოერთებულ კასპისპირეთის პროვინციებს. აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თურქეთის ბატონობას პეტრე I, ცხადია, მხოლოდ დროებით შეურიგდა.

რაც შეეხება ვახტანგ VI, იგი თურქების შემოჭრის შემდეგ უღარესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მას სათანადო რაოდენობით არ ჰყავდა ჯარი, ამიტომ საგარეო ურთიერთობის მოგვარებით ცდილობდა შეემსუბუქებინა ქართლის სახელმწიფოს მდგომარეობა. ამ მიზნით მან გადაწყვიტა, თურქებისათვის 12 ჯორზე აკიდებული ძვირფასი განძეულობა მიერთშია და ამით მშვიდობა გამოესყიდა<sup>45</sup>. მტრის ბანაკში ვახტანგმა თავისი ვაჟი ბაქარი და ძმა იესე გაგზავნა. თურქებმა განძეულობა არ იკმარეს და თვით ვახტანგის გამოცხადება მოითხოვეს, მაგრამ ვახტანგი ამას არ დათანხმდა.

ფაშასთან შეთანხმებით ქართლის გამგებლობა ბაქარ ვახტანგის ძემ იკისრა, მაგრამ მან ვერ გაუძლო ოსმალთა მკაცრ ზედამხედველობას და გადასახადებს. ბაქარი მამასთან მთაში გაიხიზნა<sup>46</sup>, სადაც ერთხანს ვახტანგსა და თავის ძმებთან ერთად პარტიზანულ ბრძოლებს აწარმოებდა დამპყრობლების წინააღმდეგ<sup>47</sup>.

თურქებმა ქართლში ვახტანგის ძმა იესე გაამეფეს. 1724 წლის ივლისში ვახტანგ VI რუსეთს გაემგზავრა. მას თან გაჰყვა ახლობელთა დიდი ამალა (1200 კაცი).

ვახტანგი იმედოვნებდა, რომ პეტრე I-ის მხარდაჭერითა და რუსეთის ჯარის დახმარებით მალე საქართველოში დაბრუნდებოდა, ოსმალთა დამპყრობლებს გაუმკლავდებოდა და ქართლის ტახტს დაიბრუნებდა, მაგრამ ყოველივე ამო აღმოჩნდა.

1725 წლის იანვარში პეტრე I გარდაიცვალა. მისი მემკვიდრეების — ეკატერინე I-ისა (1725—1727) და პეტრე II-ის (1727—1730), დროს რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. ქვეყნის ფაქტიური გამგებლები — უზენაესი საიდუმლო საბჭოს წევრები, მთლიანად დაკავებული იყვნენ თავიანთი „ზინავანი საქმეებით“ — ხელისუფლებისათვის ბრძოლით. ამიერკავკასიისა და საქართველოს საქმეებისათვის არავის ეცალა, მით უმეტეს თურქეთთან შებრძოლებისათვის.

<sup>44</sup> РСЗ, VII, № 4531.

<sup>45</sup> ვახუშტი, დასახ. ნაწილი, გვ. 505.

<sup>46</sup> ნ. ბერძენიშვილი, გ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 337.

<sup>47</sup> იხ. იესე ტლაშაძე, ბაქარიანი, თბ., 1963.

ვახტანგი ბევრს ცდილობდა, რომ საქართველოსა და საერთოდ კავკასიის საკითხით დაინტერესებინა რუსეთის მთავრობა. იგი ამტკიცებდა, რომ ამ მხარეში რუსეთს საქართველოს, სომხებისა და სხვა კავკასიელი ხალხების მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა.

ერთხანს ბედმა თითქოს კიდევაც გაუღიმა. რუსეთის მთავრობის დავალებით 1726—1727 წლებში სავანგებო მისიით გილანს ჩასულმა ვახტანგ VI-ემ შაჰ-თამაზთან მოლაპარაკება წარმატებით დაასრულა, მაგრამ ეს საქმეც უშედეგო აღმოჩნდა. ავღანთა შემოსევების გამო ირანის სახელმწიფოს საქმეები კვლავ აირია... რუსეთის მთავრობამ შაჰ-თამაზის ნაცვლად 1729 წ. ავღანთა ბელადთან — აშრაფთან ამჯობინა ხელშეკრულების დადება<sup>48</sup>.

ერთი სიტყვით, ქართლის მეფე ყოველმხრივ ცდილობდა საქართველოს საკითხი, თავისი და რუსეთის პოლიტიკა ირანისა და თურქეთის მიმართ ისე შეეხამებინა, რომ საქართველოს აქედან რაიმე სარგებელი ენახა.

ვახტანგ VI ამავე დროს გარკვეულ როლს ასრულებდა როგორც ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორი. მას მჭიდრო კავშირში ჰქონდა სომხეთის პოლიტიკურ მოღვაწეებთან<sup>49</sup> და ყაბარდოელ თავადებთანაც. მათ არაერთხელ მიუმართავთ ვახტანგისათვის თხოვნით, რომ ქართლის მეფეს რუსეთის მთავრობასთან ეშუამდგომლა ამა თუ იმ საკითხზე. ვახტანგ VI აქტიურად მოღვაწეობდა იმ მიმართულებითაც, რომ რუსეთის მთავრობის საშუალებით ზემოქმედება მოეხდინა იმ დაღესტნელ მფლობელებზე, რომლებიც რუსეთის მფარველობის ქვეშ ითვლებოდნენ, მაგრამ მაინც განაგრძობდნენ საქართველოში თარეშს.

ვახტანგ VI-ის წინადადებებსა და კონკრეტულ გეგმებში (რომელთაც იგი რუსეთის მთავრობას სთავაზობდა) დაუჭერებელი და არარეალური არაფერი იყო. დროთა ვითარებაში ირანში, თურქეთსა და ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარება უდავოდ ქმნიდა ხელსაყრელ საფუძველს იმისათვის, რომ რუსეთს უფრო გადამჭრულად ემოქმედა როგორც საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად, ისე ამიერკავკასიის ხალხების დასახმარებლად. მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს იმდროინდელი მესვეურნი თავს არიდებდნენ რისკის გაწევას და პასიური პოლიტიკის გატარებით კმაყოფილდებოდნენ. ასე იყო რუსეთში უზენაესი საიდუმლო საბჭოს მოღვაწეობის პერიოდში და მით უმეტეს ანა ივანეს ასულის მეფობის დროს (1730—1740), როდესაც „ბირონოვშიჩინას“ რეჟიმი სუფევდა და მთავრობა არსებითად ანტიეროვნულ პოლიტიკას ახორციელებდა<sup>50</sup>.

1735 წელს ვახტანგი იძულებული შეიქნა ასტრახანს დასახლებულიყო. სადაც 1737 წლის 26 მარტს გარდაიცვალა. 30 მარტს ქართლის მეფე ასტრახანის მიძინების ტაძარში დაასაფლავეს<sup>51</sup>.

<sup>48</sup> იხ. გ. პაიჭაძე, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური მოღვაწეობა 1725—1737 წლებში, უტრნ. „ცისკარი“. 1964, № 5 და № 8.

<sup>49</sup> იხ. გ. მაისურაძე, ესაი ჰასან ჯალალიანის ნაშრომი — „ალვანეთის ისტორია“ ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის შესახებ, კრებულში: „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 183—201.

<sup>50</sup> Г. Г. Пайчадзе. Русско-грузинские политические отношения в первой половине XVIII в., Тб., 1970.

<sup>51</sup> იხ. გ. პაიჭაძე, გ. ჯაფარიძე, ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში, თბ., 1974.



სავსებით გასაგებია, რომ ვახტანგის გარდაცვალება ქართველმა მოღვაწეებმა განიცადეს როგორც დიდი დანაკლისი. მაგალითად, დავით გურამიშვილმა მგზნებარე სიტყვებით გამოიტერა ვახტანგი.

ვაი, რა ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექცაო!<sup>52</sup>

ვახტანგი დიდი შესაძლებლობის მოღვაწე იყო. ბუნებისაგან ნიჭით უხვად დაჯილდოებულ ამ გამოჩენილ ადამიანს საქართველოსათვის გაცილებით მეტი სიკეთის მოტანა შეეძლო, თუკი სამშობლოს უცხო დამპყრობთა ბატონობისაგან გაათავისუფლებდა. მაგრამ ნაცვლად გამარჯვებისა მას ტრაგიკული ბედი ხვდა წილად. ამ წარუმატებლობაში პირადად ვახტანგს არავითარი ბრალი არ ედება. ვახტანგმა ყოველივე იღონა, რომ წარმატებისათვის მიეღწია, მაგრამ ის ურთულესი და უკუღმართი პირობები, რომელშიც საქართველო იმყოფებოდა, გამარჯვების მოპოვების საშუალებას არ იძლეოდა. ამ შემთხვევაში დამახასიათებელია თვით ვახტანგისავე სიტყვები:

მე ჩემთან ბედთან არ მომცა კამი ნებისა ჩემისა<sup>53</sup>.

ხოლო იმ უდიდესი სიძნელებისა და გაჭირვების შესახებ, რომელიც მან თავის ცხოვრებაში გადაიტანა, სიტყვაკაზმულად აღნიშნავდა:

„ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დაადნობდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“<sup>54</sup>.

ცხადია, რომ ბედუკუღმართობა, რომელიც ვახტანგს წილად ხვდა, მძიმე ვანცდებს იწვევდა მასში, ზემოქმედებდა მის განწყობილებაზე, მის ფსიქოლოგიაზე და, ბუნებრივია, ვლინდებოდა მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. თავის პოეტურ ნაწარმოებში, ავტობიოგრაფიულ ელეგიებში, ვახტანგი აღწერს წუთისოფლის ვერაგობას, სამშობლო არეც-დარეცასა და საკუთარ უბედურებას, წერს რომ იგი კაეშანმა დაიმონა და ა. შ. მაგრამ, როგორც ეს სავსებით სამართლიანად აღნიშნა აკად. ა. ბარამიძემ, ვახტანგის პოეზია, მთლიანად აღებული, სრულებით არ ხასიათდება პესიმიზტური მსოფლმხედველობით<sup>55</sup>.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ვახტანგის ლექსი „შეგონება“, სადაც იგი ქადაგებს სასარგებლო საქმიანობის აუცილებლობას:

კაცმან უნდა თავის საქმე ვეღა ღვთითა მოეგარვოს,

ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარჯი დაიბარვოს,

მოეყარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,

და სახელის ხე სანრდიღებლად წყლისა პირსა სამე დარგოს<sup>56</sup>.

მაღალი ჰუმანური იდეები — კაცთმოყვარეობისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის ქადაგება შეადგენენ ვახტანგ VI-ის პოეზიის მთავარ მოტივს.

ამრიგად, რაც შეეხება ვახტანგ VI როგორც ისტორიულ პიროვნებას, იგი გვევლინება გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ, რომლის ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავდადებული ბრძოლის მკაფიო მაგალითია.

52 დავით გურამიშვილი, თბ., 1948, გვ. 208.

53 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ., 1947, გვ. 53.

54 იქვე, გვ. 52—53.

55 კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1954, გვ. 410.

56 ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, გვ. 1.

## ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა ნამუშევრების კრისპუბლიკური კონკურსი

საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქ. სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიამ და საქ. სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ მიიღეს დადგენილება „საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა ნამუშევრების IV საკავშირო კონკურსის რესპუბლიკური ტურის ჩატარების შესახებ“. კონკურსი მიმდგინდა სკკპ XXV ყრილობისადმი.

დადგენილების თანახმად კონკურსის რესპუბლიკური ტური ჩატარდება 1975—1976 წწ. რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან ლაურეატის დიპლომებით. გათვალისწინებულია ლაურეატთა ნაშრომების გამოქვეყნება ჟურნალ „მაცნესა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ კრებულ-დამატებებში.

კონკურსზე დაიშვებიან გამოქვეყნებული წიგნების, ბროშურების, სტატიებისა და ხელნაწერ ნაშრომთა (არა უმეტეს 3 თაბახისა) ავტორები, რომელთა ნამუშევრები შეეხება მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, მეცნიერულ კომუნისმს, პოლიტეკონომიას, კონკრეტულ ეკონომიკას, სკკპ ისტორიას, ალკ ისტორიას, საერთაშორისო მოძრაობას, სსრკ ისტორიას, მსოფლიო ისტორიას, სამართალს, ფსიქოლოგიას, პედაგოგიკას და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებს.

კონკურსზე ნაშრომების წარდგენის უფლება აქვთ სამეცნიერო დაწესებულებათა განყოფილებებსა და სექტორებს, უმაღლეს სასწავლებელთა საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს, სამეცნიერო საბჭოებს, კომპაეშირის კომიტეტებს, ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოებს.

წარდგინებას უნდა ახლდეს: გამოხმაურება-რეკომენდაცია, ნაშრომის მოკლე ანოტაცია, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობის დახასიათება.

რესპუბლიკური კონკურსი მთავრდება 1976 წ. თებერვალ-მარტში რესპუბლიკური კონფერენციით.

საუკეთესო ნაშრომები წარდგენილ იქნება საკავშირო კონკურსის II ტურზე 1976 წლის 1 მაისამდე.

1976 წ. 1 თებერვლისათვის ავტორთა ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 33 წელს.

ნაშრომები წარმოდგენილი უნდა იქნეს 2 ეგზემპლარად. ხელნაწერი ნაშრომები უნდა გაფორმდეს სამეცნიერო და ტექნიკური ინფორმაციის საკავშირო ინსტიტუტის ინსტრუქციის შესაბამისად.

რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:

თბილისი, 380007, შაჩაბლის ქ. № 11,  
საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტი.  
მეცნიერული სახალგაზრდობის სექტორი.

616/202



ფასი 1 მან.

Индекс 76 197